

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლექციები
პიროვნების ფსიქოლოგიაში

ლექტორი:
დალი შარჯანაძე

2011 წელი

სარჩევი

რას შეისწავლის პიროვნების ფსიქოლოგია-----	3
პიროვნების მეცნიერული შესწავლა -პიროვნების კვლევის მეთოდები -----	9
ცნება პერსონა-ს ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი -----	26
პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორია-----	34
პიროვნების კონსტიტუციური თეორიები-----	42
კრემერის თეორია-----	42
შელდონის თეორია-----	48
გულუბრყვილო (ნაივური, ყოფითი, იმპლიციტური)* ფსიქოლოგი-----	53
ლიტერატურის, თუ ფსიქოლოგიის საგანია პიროვნება? (გორდონ ოლპორტის მისხედვით) -----	63
პიროვნების ფსიქოლოგიის სამი დილემა-----	68
დილემა 1. - ნომოტეტური VS იდიოგრაფიული-----	68
დილემა № 2 - პიროვნების შინაგანი სტრუქტურა VS სიტუაცია-----	70
დილემა № 3 -გენეტიკა VS გარემო-----	73
თვითობა. მე-კონცეფცია. თვითშეფასება-----	83
ზიგმუნდ ფროიდის პიროვნების თეორია-----	93
ფროიდის თეორიის მოტივაციური ასპექტები-----	101
ფროიდის თეორიის შეფასება-----	112
კარლ როჯერსის ჰუმანისტური თეორია.-----	117
პიროვნების დინამიკური ასპექტები როჯერსის თეორიაში-----	123
გორდონ ოლპორტის პიროვნული ნიშნის თეორია-----	130
ოტივაციური და სტილისტური დისპოზიციები. პიროვნების მოტივაციური ასპექტები ოლპორტთან. ფუნქციონალური ავტონომია. პროპრიუმი და მისი კომპონენტები; პიროვნული ნიშნის თეორიები-----	146
რაიმონდ კეტელის პიროვნების თეორია-----	147
აიზენკის თეორია-----	157
პიროვნების ხუთფაქტორიანი თეორია-----	170

რას შეისწავლის პიროვნების ფსიქოლოგია

პიროვნების ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგიის დარგი, რომლის მიზანიც არის ადამიანის რთული ფსიქიკური სტრუქტურის, მისი არსის, მისი ინდივიდუალობა გაგება და ახსნა. ადამიანები ბევრი რამით ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისგან. რატომ არის ერთი ადამიანი წარმატებული, მეორე კი - არა? რატომ ხედავენ ერთნი მოვლენას ამგვარად, მეორენი კი იგივე მოვლენას სხვაგვარად აღიქვამენ? რატომ იტანჯება ზოგიერთი მუდმივი სტრესისგან, მეორე კი - არა?

პიროვნების ფსიქოლოგიას აინტერესებს, რა ქმნის და როგორ იქმნება პიროვნების ინდივიდუალობა. ადამიანის განსხვავებული ასპექტები როგორ უკავშირდება ერთმანეთს?. აღქმის საკითხები, მაგალითად, პიროვნების ფსიქოლოგიის კომპეტენციაში უშუალოდ არ შემოდის, მაგრამ პიროვნების ფსიქოლოგიამ უნდა გაარკვიოს, თუ როგორ განსხვავდებიან ინდივიდები მოვლენათა თუ საგანთა აღქმის მიხედვით ერთმანეთისგან და როგორ უკავშირდება ეს განსხვავება მთლიანი პიროვნების ფუნქციონირებას. პიროვნების ფსიქოლოგიაში მეცნიერთა ყურადღება მიმართულია არა მხოლოდ ცალკეული ფსიქიკური პროცესების შესწავლაზე, არამედ ამ პროცესებს შორის ურთიერთკავშირის დადგენაზე. იმის დადგენა, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეს პროცესები, ხშირად უფრო ბევრის მომცემია, ვიდრე დამოუკიდებლად ცალკეული პროცესის შესწავლა. ადამიანი როგორც ორგანიზებული, ინტეგრირებული მთელი მოქმედებს და ამიტომაც სწორედ პიროვნების მთლიანობის შესწავლა არის პიროვნების ფსიქოლოგიის ამოსავალი პრინციპი.

პიროვნების ფსიქოლოგიის ლექციებზე ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა თეორიებს, (როგორც კლასიკურს, ისე თანამედროვეს), რომლებიც პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითად საკითხს - რა ქმნის პიროვნების ინდივიდუალობას - განსხვავებულად წყვეტენ, განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, ასეთი მრავალფეროვნება ხელს უწყობს პიროვნების ფსიქოლოგიის სრულყოფილ შესწავლას და მის განვითარებას, რადგან თითოეული თეორია პიროვნებას სხვადასხვა ასპექტით უდგება, სხვადასხვა სფეროს გამოჰყოფს და იკვლევს; საბოლოოდ კი ყოველ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს პიროვნების ინდივიდუალობის, ამ ურთულესი “კონსტრუქციის” ბოლომდე შეცნობის რთულ და ხანგრძლივ პროცესში.

პიროვნების ცნების ბევრი განსაზღვრება არსებობს “(რამდენი თეორიაცაა, იმდენი განსაზღვრებაცაა)”. ლოურენს პერვინი, პიროვნების ფსიქოლოგიის ხელმძღვანელის ერთ-ერთი ავტორი სამუშაო განსაზღვრებად გვთავაზობს პიროვნების შემდეგ განსაზღვრებას: **“პიროვნება არის ადამიანის ის მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ (პასუხს აგებენ) მისი აზრების, გრძნობებისა და ქცევის შეთანხმებულ გამოვლინებაზე”.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეიძლება არსებობდეს (და არსებობს კიდევ) პიროვნების სხვა განსაზღვრებებიც. ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად სარგებლობის მომტანია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პიროვნების განსხვავებული ასპექტებია გამოკვეთილი მეცნიერული სისტემატიზაციის გზით შესასწავლად და გასაგებად.

რა გვინდა ავხსნათ პიროვნების თეორიის მეშვეობით? თუ ინდივიდების შესწავლაზე მოვხდებით კონცენტრირებას, ჩვენ დაგვჭირდება იმის გაგება, რას წარმოადგენენ ისინი, როგორ ხდებიან ასეთები, რატომ იქცევიან ამგვარად. ანუ ჩვენ გვინდა, რომ თეორია პასუხობდეს კითხვებზე: რა? როგორ? რატომ? შეკითხვა “რა?” შეეხება ადამიანის მახასიათებლებს და იმას, თუ როგორ უკავშირდებიან ეს უკანასკნელი ერთმანეთს. ახასიათებს თუ არა მოცემულ ადამიანს კეთილსინდისიერება, დაჟინებულობა და მიღწევის მოთხოვნილება? კითხვა “როგორ?” უკავშირდება ადამიანის პიროვნების დეტერმინანტებს. რამდენად და როგორ ურთიერთქმედებენ გენეტიკური და გარემოს ფაქტორები ისე, რომ ეს შედეგი მივიღოთ? შეკითხვა “რატომ?” უკავშირდება ინდივიდუალური ქცევის მიზეზებს. პასუხები შეეხება ინდივიდის მოტივაციურ მახასიათებლებს: რატომ იჩენს ეს ადამიანი აქტივობას, თანაც მაინც და მაინც ამ მიმართულებით. თუ ინდივიდს სურს ბევრი ფული იშოვოს, რატომ აირჩია მან სწორედ ეს გზა? თუ ბავშვი კარგად სწავლობს სკოლაში, ის ამას აკეთებს იმიტომ, რომ ასიამოვნოს მშობლებს, თუ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია რომ მოახდინოს, თუ იმიტომ, რომ თავის თანაკლასელებს გაუსწროს? დედა, რომელიც ზედმეტ მზრუნველობას იჩენს ბავშვის მიმართ, ამას აკეთებს იმიტომ, რომ ძალზე მიჯაჭვულია შვილზე, თუ სურს მას მისცეს ის, რაც ბავშვობაში მოაკლდა, თუ თავს არიდებს მტრულობისა და წყენის გამოძვლავებას, რომლებსაც ბავშვის მიმართ განიცდის? ადამიანი დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფება იმიტომ, რომ ის დაამცირეს, შეყვარებულს დასცილდა თუ დანაშაულის გრძნობა აწუხებს? თეორია უნდა დაგვეხმაროს იმის გაგებაში, თუ რა ზომითაა დეპრესია დამახასიათებელი ამ ადამიანისათვის, როგორ განვითარდა ეს პიროვნული მახასიათებელი, რატომ განიცდება დეპრესია მოცემულ სიტუაციაში და რატომ იქცევა ადამიანი სწორედ ამდგვარად, როდესაც დეპრესიას განიცდის. როცა ორი ადამიანი დეპრესიისადმი მიდრეკილი, რატომ ხდება, რომ ერთი გადის სახლიდან და იწყებს საყიდლებზე სიარულს, ხოლო მეორე თავის ნაჭუჭში იკეტება?

შევეცადოთ სისტემატურად და დეტალურად განვიხილოთ მოცემული საკითხები. ჩვენ გავამახვილებთ ყურადღებას ხუთ სფეროზე, რომლებსაც უნდა მოიცავდეს პიროვნების ნებისმიერი სრულყოფილი თეორია. ესაა: 1) სტრუქტურა – პიროვნების ბაზისური ელემენტები, ან სამშენებლო ბლოკები; 2) პროცესი – პიროვნების დინამიკური ასპექტები, მოტივების ჩათვლით; 3) ზრდა და განვითარება – როგორ ხდება ჩვენი განვითარება უნიკალურ პიროვნებებად, როგორიც ყოველი ჩვენგანია; 4) ფსიქოპათოლოგია – ადამიანის ნორმალურ ფუნქციონირებაში არსებულ დარღვევათა ბუნება და მიზეზები; 5) ცვლილებები – როგორ იცვლებიან ადამიანები და ზოგჯერ რატომ ეწინააღმდეგებიან ისინი ცვლილებებს ან საერთოდ ვერ იცვლებიან.

სტრუქტურა

თეორიები შესაძლებელია შევადაროთ იმ ცნებების მიხედვით, რომლებსაც ისინი იყენებენ, რათა პიროვნებაში განსაზღვრონ “რა?”, “როგორ?” და “რატომ?”. ცნებები, რომლებიც სტრუქტურას ახასიათებს, მიუთითებს პიროვნების უფრო სტაბილურ და მდგრად ასპექტებზე, რომლებიც მისი თეორიის სამშენებლო ბლოკებია. ამ აზრით, ისინი შედარებადია სხეულის ნაწილებთან ან ისეთ ცნებებთან, როგორიცაა ატომი და მოლეკულა ფიზიკაში. ადამიანის კონცეფციის აგებისას ყველაზე პოპულარული იყო იმგვარი სტრუქტურის შემქმნელი ცნებები, როგორიცაა რეაქცია, ჩვეულება, ნიშანი ან ტიპი.

ცნება “ნიშანი” შეეხება სხვადასხვა სიტუაციებზე ინდივიდუალური რეაქციების შეთანხმებულობას და მდგრადობას და ახლოა იმ ცნებებთან, რომლებითაც სარგებლობს არასპეციალისტი, როდესაც ადამიანებს ახასიათებს. ერთ-ერთი ხერხი იმის წარმოსადგენად, რა არის ნიშანი, მდგომარეობს იმაში, რომ ვნახოთ, როგორ აღვწერდით საკუთარ თავს ან მეგობარს. მაგ., თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ისეთი ზედსართავეზით, როგორიცაა “ჭკვიანი”, “კომუნიკაბელური”, “პატიოსანი”, “მხიარული” ან “სერიოზული”. ამ ტერმინებს თქვენ იმგვარად იყენებთ, როგორც ამას პიროვნების ფსიქოლოგიის სპეციალისტები აკეთებენ.

ცნება “ტიპი” აღნიშნავს სხვადასხვა ნიშნების ერთობლიობას. ნიშნის ცნებასთან შედარებით, ტიპის ცნება გულისხმობს ქცევის ბევრად უფრო მეტ განზოგადებულობას და განმეორებადობას. ზოგიერთ ადამიანს შესაძლებელია ჰქონდეს მრავალი ნიშანი, რომლებიც სხვადასხვა ხარისხითაა გამოხატული, მაგრამ ყოველი მათგანი უფრო განზოგადებულ პლანში შესაძლებელია მივაკუთნოთ ერთ რომელიმე ტიპს. მაგ., ინდივიდების ტიპოლოგიზაცია შესაძლებელია, როგორც ექსტრავერტების ან ინტროვერტების; ან, კარენ ჰორნის ტერმინილიგიით, როგორც ინდივიდების, რომლებიც მოძრაობენ ადამიანებისკენ, ადამიანებისგან ან მათ საწინააღმდეგოდ.

პიროვნების სტრუქტურის აღსაწერად შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვა ცნებებიც, და არა მხოლოდ ტიპები ან ნიშნები. პიროვნების თეორიები ერთმანეთისგან განსხვავდება მათ

მიერ გამოყენებული ელემენტების ან სტრუქტურული ცნებების სახეებით; განსხვავდებიან ისინი აგრეთვე ამ ელემენტების ორგანიზების კონცეპტუალური გააზრების ხერხებით. ზოგიერთი თეორია აგებს *რთულ* სტრუქტურულ სისტემას, სადაც მრავალი კომპონენტი მრავალგვარი მიმართებებითაა ურთიერთდაკავშირებული. სხვა თეორიები ამჯობინებენ *მარტივ* სტრუქტურულ სისტემას, სადაც მხოლოდ რამდენიმე კომპონენტია წარმოდგენილი მცირე რიცხოვანი კავშირებით მათ შორის. ადამიანის ტვინი – გაცილებით უფრო რთული სტრუქტურაა, ვიდრე თევზის ტვინი, რადგან ის შედგება მეტი განსხვავებული ნაწილისგან, რომელებიც ერთმანეთთან შეერთებულია მეტი კავშირებით.

პიროვნების თეორიები განსხვავდება აგრეთვე იმით, თუ რამდენად იერარქიზირებულია მათში სტრუქტურული ელემენტები, ანუ რამდენად არის ეს ელემენტები ორგანიზებული ისეთი სისტემის სახით, სადაც ზოგი სტრუქტურული ელემენტი განლაგებულია უფრო მაღალ საფეხურებზე, ვიდრე სხვები, და შესაბამისად, შეუძლიათ ქვედა დონეებზე არსებული ელემენტების ფუნქციების მართვა. ადამიანის ნერვული სისტემა უფრო რთულია, ვიდრე სხვა არსებების ნერვული სისტემა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის შედგება მეტი ნაწილისგან, რომელთა შორის მეტი კავშირია, არამედ იმიტომაც, რომ ზოგიერთი მისი ნაწილი, როგორცაა თავის ტვინი, სისტემის სხვა ნაწილების ფუნქციონირებას არეგულირებს. ასეთივე ანალოგია შეიძლება გაკეთდეს ორგანიზაციების მაგალითზე. რთულ საქმიან ორგანიზაციებს გაცილებით მეტი ქვეგანყოფი აქვს მათ შორის არსებული მრავალი ურთიერთკავშირებითა და გადაწყვეტილების მიმღებ ადამიანთა რთული იერარქიით. მარტივ ორგანიზაციებში ძალზე ცოტა ქვეგანყოფილა, ისევე, როგორც ცოტაა მათ შორის არსებული კავშირები და გადაწყვეტილების მიმღებ ინსტანციათა სხვადასხვა დონე (მაგ., შეადარეთ პატარა საოჯახო მაღაზია "General Motors"-ს). ანალოგიურად, პიროვნების თეორიები განსხვავდებიან სტრუქტურული ელემენტების რაოდენობისა და მათი სახეების მიხედვით, რომელთაც ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, აგრეთვე, სისტემის სირთულისა და ორგანიზებულობის აქცენტირების მხრივ.

პროცესი

თეორიები შესაძლებელია შევადაროთ არა მხოლოდ სტრუქტურული, არამედ დინამიკური, *მოტივაციური* ცნებების თვალსაზრისით, რომლებსაც ისინი იყენებენ ქცევის ასახსნელად. ეს ცნებები მიეკუთვნება ადამიანის ქცევის *პროცესუალურ* ასპექტებს.

პიროვნების ფსიქოლოგიაში აღიარებულია მოტივაციური ცნებების სამი ძირითადი კატეგორია: სიამოვნების (ანუ ჰედონისტური) მოტივები, ზრდის (ანუ თვითაქტუალიზაციის) მოტივები და კოგნიტური მოტივები.

ჰედონისტური მოტივების კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სიამოვნებისკენ სწრაფვას და ტკივილისგან განრიდებას. აღნიშნულ მოტივაციურ კონცეფციაზე აგებულია თეორიების ორი ვარიანტი: დაძაბულობის შემცირების მოდელები და მისწრაფების მოდელები (incentive models/ модели побуждения). დაძაბულობის შემცირების მოდელების თანახმად, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები ქმნიან დაძაბულობას, რომლისგან განთავისუფლებას სუბიექტი თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით ცდილობს. მაგ., შიმშილი და წყურვილი ქმნის დაძაბულობას, რომელიც შემცირდება, თუ რაიმეს შევჭამთ და დავლევთ. ჩვეულებრივ, შინაგანი დაძაბულობის მდგომარეობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს წარმართავს ("უბიძგებს") დაძაბულობის შესამცირებლად, იყენებენ ტერმინს "ლტოლვა" ან "დრაივი". დაძაბულობის შემცირების მოდელებისგან განსხვავებით, მისწრაფების მოდელებში აქცენტირებულია საბოლოო პუნქტები, მიზნები (გარე წამქეზებლები), რომელთა მიღწევა სურს ადამიანს. მაგ., ადამიანი ესწრაფვის სიმდიდრეს, სახელს ან ძალაუფლებას. თუმცა აქ ხაზგასმულია მიზანი და არა შინაგანი დაძაბულობის მდგომარეობა, სრულიად ცხადია, რომ ამ დროს საუბარია სიამოვნებისკენ სწრაფვაზე, ოღონდ ამ შემთხვევაში სიამოვნება ასოცირდება მიზნის მიღწევასთან. სწორედ ამ მიზეზით მისწრაფების მოტივაციის მოდელები, ისევე, როგორც დაძაბულობის შემცირების მოდელები ჰედონისტურ, ანუ სიამოვნებაზე ორიენტაციის თეორიებად მიიჩნევა.

ჰედონისტური თეორიებისგან განსხვავებით, სხვა მოტივაციური თეორიები ხაზს უსვამენ ორგანიზმის სწრაფვას ზრდისა და თვითრეალიზაციისკენ. ამ კონცეფციების თანახმად, ინდივიდები ესწრაფვიან თავიანთი პოტენციალის გაზრდას და მის რეალიზებას თუნდაც დაძაბულობის ზრდის ხარჯზე.

და ბოლოს, მოტივაციის კოგნიტურ თეორიებში აქცენტი კეთდება ადამიანის სწრაფვაზე ჩაწვდეს და იწინასწარმეტყველოს სამყაროში მიმდინარე მოვლენები. ამ თეორიების თანახმად, ადამიანს შეთანხმებულობისა და შემეცნების მოთხოვნილება აქვს და არა – სიამოვნების მიღებისა და თვითრეალიზაციის. მაგ., ადამიანი შესაძლოა მიისწრაფოდეს თავისი

არაწინააღმდეგობრივი, შეთანხმებული მე-ხატის შენარჩუნებისკენ ან სხვა ადამიანთა ქცევის პროგნოზირებადობისკენ. ამ შემთხვევაში სუბიექტი ამჯობინებს პროგნოზირებადობას და შინაგან შეთანხმებულობას, თუნდაც ეს ხდებოდეს ტკივილისა და დისკომფორტის განცდის ხარჯზე. ამრიგად, ეს ნიშნავს, რომ ადამიანები შესაძლებელია უპირატესობას ანიჭებდნენ უსიამოვნო მოვლენას სასიამოვნოსთან შედარებით, თუ ეს უფრო პროგნოზირებადს და სტაბილურს გახდის სამყაროს (Swann, 1992).

პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპზე ყველაზე გავრცელებული მოდელი იყო დაძაბულობის შემცირების თეორია. მაგრამ ცხოველებზე და ადამიანებზე ჩატარებული კვლევებიდან გაირკვა, რომ ხშირად ორგანიზმი, პირიქით, ესწრაფვის დაძაბულობას. მაგ., მაიმუნები შრომობენ მათთვის მიცემული ამოცანის გადასაწყვეტად მოსალოდნელი ჯილდოს მიუხედავად; ფაქტიურად, ჯილდომ, შესაძლოა, შეუშალოს კიდევაც ხელი ამოცანის წარმატებით შესრულებას. ცხოველთა მრავალი სახეობის წარმომადგენელთა კვლევითი და თამაშის ტიპის ქცევა კარგადაა ცნობილი. ამ დაკვირვებების საფუძველზე რ. უაიტმა (R. W. White, 1959) შექმნა ადამიანის ქცევის კონცეფცია, რომელსაც მან *კომპეტენტურობის მოტივაცია* უწოდა. ამ კონცეფციის თანახმად, ადამიანები ცდილობენ კომპეტენტურად და ეფექტურად იმოქმედონ გარემოზე. მართლაც, ადამიანის ზრდასთან ერთად მისი მოქმედებების სულ უფრო მეტი ნაწილი უკავშირდება ჩვევების განვითარებას, რომლებიც გარკვეულ სფეროში მის დაოსტატებას ან გარემოზე უფრო ეფექტურ ზემოქმედებას უწყობს ხელს, და მოქმედებათა სულ უფრო მცირე ნაწილი ემსახურება მხოლოდ დაძაბულობის შემცირებას.

პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორიაში სხვადასხვა დროს პოპულარული იყო მოტივაციის სხვადასხვა თეორიები. გასული საუკუნის 50-იან წლებმდე ასეთი თეორია იყო ლტოლვის თეორია. ლტოლვისა და დაძაბულობის შემცირების მიმართ ინტერესის დაკარგვასთან ერთად უფრო პოპულარული გახდა ზრდისა და თვითაქტუალიზაციის მოდელები. 60-ან წლებში მომხდარი კოგნიტური რევილუციის შემდეგ გაჩნდა ინტერესი შემეცნებითი მოტივების მიმართ, რომლებიც შეთანხმებულობისა და პროგნოზირების მოთხოვნილებებთან იყო დაკავშირებული. ამჟამად მეტი ინტერესია მიზნის თეორიების მიმართ, რომლებიც აკეთებენ აქცენტს ადამიანის სწრაფვაზე, მიღწევის დასახულ საბოლოო მიზანს.

აუცილებელია კი არჩევანის გაკეთება მოტივაციის სხვადასხვა თეორიებს – დაძაბულობის შემცირების, თვითაქტუალიზაციას, შემეცნებით მოთხოვნილებებსა და საბოლოო მიზნებს შორის? შესაძლებელია ითქვას, რომ მათგან ერთ-ერთი მართებულია, ხოლო დანარჩენები – არა? როგორც შემდგომ დაეინახავთ, პიროვნების სხვადასხვა თეორეტიკოსები ამა თუ იმ მოტივაციური თეორიისკენ იხრებიან. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, რომ ადამიანებს შესაძლებელია ჰქონდეთ სხვადასხვა მოტივები და, შესაბამისად, ზოგჯერ ესწრაფვოდნენ სიამოვნების მიღებას დაძაბულობის შემცირების ან მიზნის მიღწევის ფორმით, ზოგჯერ კი მიმართული იყვნენ თვითრეალიზაციისკენ ან შეთანხმებულობისა და პროგნოზირებადობისკენ. ინდივიდები შესაძლებელია განსხვავდებოდნენ იმით, რამდენად და რა ხარისხით წარმართავს მათ ესა თუ ის მოტივი. სხვა სიტყვებით, ამგვარი ინდივიდუალური თავისებურებები შესაძლებელია გახდეს პიროვნების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. თუმცა აღნიშნული შეხედულება შესაძლებელია და სასურველიცაა, პიროვნების მკვლევარნი ადამიანის ქცევის პროცესუალური ასპექტების ასახსნელად მაინც რომელიმე ერთ მოდელს ამჯობინებენ.

ზრდა და განვითარება

ერთ-ერთი სერიოზული ამოცანა, რომელსაც ფსიქოლოგები აწყდებიან, – ესაა ინდივიდუალური განსხვავებებისა და ისეთი უნიკალური ინდივიდუალობის განვითარების ახსნა, როგორსაც ყოველი ჩვენი წარმოადგენს. ჩვეულებრივ, პიროვნების განვითარების განმსაზღვრელ დეტერმინანტებს გენეტიკურ და გარემოს დეტერმინანტებად ყოფენ. ამგვარი გაყოფა ხშირად ცხარე დისკუსიებს განაპირობებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელია პიროვნებისთვის უფრო მნიშვნელოვანი – ბუნება (nature) თუ აღზრდა (nurture). ბუნებაში იგულისხმება გენები, აღზრდაში კი – გარემოს ზემოქმედება. მეცნიერების განვითარების სხვადასხვა მომენტში დომინირებდა ხან ერთი შეხედულება, ხან მეორე: ბუნებით (გენებით) საყოველთაო გატაცება იცვლებოდა გარემოს (აღზრდის) პრიმატის აღიარებით, შემდეგ კი ისევ საწინააღმდეგო პოზიცია იკავებდა მის ადგილს. ბოლო წლებში მეტი აქცენტი გენეტიკურ ფაქტორებზეა გაკეთებული, თუმცა ზოგჯერ თავად ამ შეხედულების მიმდევრებიც აღიარებენ, რომ გენეტიკური დეტერმინანტების მნიშვნელობის ამგვარი ხაზგასმა საკმაოდ გაზვიადებულია.

დავუბრუნდეთ შეკითხვას: აუცილებელია ასეთი არჩევანის გაკეთება? აშკარაა, რომ როგორც გენეტიკური, ისე გარემოს დეტერმინანტები ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარებისთვის (პერუინი და ჯონი).

პიროვნული განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. შესაბამისად, ზოგიერთი თეორეტიკოსი გვთავაზობს სტადიალურ მოდელს ზრდისა და განვითარების ფაზების გასაგებად ადამიანის ცხოვრებაში. ფროიდის თეორია, რომელშიც პიროვნების ფორმირება წარმოდგენილია ფსიქოსექსუალური განვითარების სტადიების თანმიმდევრობის სახით, ამ მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია. მეორე მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენს ერიქსონის მიერ შემოთავაზებული ეგოს განვითარების რვა სტადიის კონცეფცია. მითითებული ავტორების საპირისპიროდ, მრავალი სხვა თეორეტიკოსი ხაზს უსვამს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის როლს როგორც უმნიშვნელოვანესს ფაქტორს განვითარების პრობლემის გასაგებად. მაგ., კარლ როჯერსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმას, როგორ ყალიბდება მშობლების განწყობებისა და ქცევის გავლენის შედეგად ინდივიდის მე-კონცეფცია – იქნება ეს შემეცნებისა თუ ემოციონალური სფერო – პიროვნების ფორმირების ეტაპზე.

პიროვნული ზრდა განპირობებულია მრავალი გარე და შინაგანი დეტერმინანტებით. გარე, ანუ გარემოცვის, დეტერმინანტებია: ინდივიდის მიკუთვნებულობა გარკვეული კულტურისადმი, სოციალურ-ეკონომიკური კლასისა და ოჯახური გარემოსადმი, რომელიც ყველასათვის უნიკალურია. მეორე მხრივ, შიდა დეტერმინანტები მოიცავს გენეტიკურ, ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ფაქტორებს. შემდგომი აღწერა მრავალი ცვლილებებისა, რომლებიც ჩვენს განვითარებას ახლავს – ფიზიკური, სოციალური, ინტელექტუალური, ემოციური, მორალური და ა.შ. – გვიჩვენებს, რამდენად რთულია ადამიანის განვითარების პრობლემა.

ამა თუ იმ კულტურისადმი მიკუთვნებულობა, საბოლოო ჯამში, სოციალიზაციის მეშვეობით განაპირობებს ნორმატული მოდელის ჩამოყალიბებას აზროვნებაში, ემოციებსა და ქცევაში. მიუხედავად იმისა, ვაცნობიერებთ თუ არა ამას, კულტურული გარემო გვიყალიბებს ჩვენს ხატს, სხვებთან ურთიერთობის ფორმას, მოთხოვნილებებს და მათი დაკმაყოფილების ხერხებს, აგრეთვე მიზნებს, რომლებსკენ ვისწრაფვით. ზუსტად ასევე, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური კლასისადმი მიკუთვნებულობა გავლენას ახდენს ჩვენს ღირებულებებზე, განწყობებსა და ცხოვრების სტილზე. არსებითად, ჩვენი განვითარების ძალზე მცირე ასპექტის გაგებაა შესაძლებელი იმ ჯგუფების გათვალისწინების გარეშე, რომლებსაც მივეკუთვნებით. გარკვეული სოციალური კლასისადმი მიკუთვნებულობით განპირობებული ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა კონფლიქტურ ან სტრესულ სიტუაციებში აღმოვჩნდებით და როგორ დავძლევეთ მათ. მეტიც, არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმად, ზოგიერთი ფსიქიკური დაავადების აღბათობა კორელირებს ამა თუ იმ სოციალური კლასისადმი მიკუთვნებულობასთან. მაგ., 10000 ამერიკელზე ჩატარებული კვლევის შედეგებიდან (Myers et al., 1984) გაირკვა, რომ საშუალო განათლების მქონე ადამიანებს ნაკლებად აქვს პრობლემები ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, ვიდრე მათ, ვისაც არ მიუღია საშუალო განათლება. აგრეთვე, აღმოჩნდა, რომ ფსიქიკური აშლილობები უფრო ხშირად გვხვდება ქალაქებში მცხოვრებ ღარიბ შავკანიან ამერიკელებს შორის (Gould et al., 1981).

გენეტიკური ფაქტორები – ქცევაზე გავლენის ის სახეა, რომელიც მეგვიდრეობით გადაეცემა მშობლებისგან შვილებს. გარემოსთან ერთად, ისინი გადამწყვეტ როლს ასრულებენ პიროვნების განვითარებაში. მაგ, ტყუპებზე ჩატარებული კვლევებმა სანდოდ დაადასტურა, რომ ემოციური სტაბილურობა, ექსტრავერსია, ალტრუიზმი, სიმორცხვე მეგვიდრეობით გადაეცემა შვილებს (Rose et al., 1988). სხვა პიროვნულ თავისებურებებს, რომელთაც ზომიერად გამოხატული გენეტიკური კომპონენტი აქვს, მიეკუთვნება გაჟცხობა, აგრესიულობა, მიღწევისკენ სწრაფვა, ლიდერობა, წარმოსახვა, კარგად ყოფნის განცდა (Tellegen et al., 1988).

გენეტიკური და გარემოს ფაქტორების შეფარდებითი მნიშვნელოვნების (ანუ ბუნებისა და აღზრდის დაპირისპირების) შესახებ დებატებმა ბიძგი მისცა ახალი თეორიული მიმართულებების განვითარებას. საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა ურთიერთქმედებდნენ აღნიშნული ფაქტორები, რომ ამან ქცევის გარკვეული მახასიათებლები განაპირობოს. ამგვარ ინტერაქციონისტულ პოზიციაზე მდგომი თეორეტიკოსების თანახმად, ნებისმიერი ინდივიდი ზრდის პროცესში განიცდის გარემოს ზემოქმედებას, ხოლო მისი განვითარება დამოკიდებულია გენეტიკურად განპირობებულ უნარებზე. ანუ, ამ შესხედულების მიხედვით, მეგვიდრეობითობა გარკვეულ შეზღუდვებს ადებს ამა თუ იმ მახასიათებელთა განვითარების დიაპაზონზე, თუმცა, ამ დიაპაზონის ფარგლებში მახასიათებელთა შემდგომი განვითარება განისაზღვრება გარემო ფაქტორებით (Scarr, Carter-Saltzman, 1982; Scarr, McCartney, 1983).

პიროვნების თეორიებს შორის აზრთა სხვადასხვაობა უკავშირდება მთელი ცხოვრების განმავლობაში განვითარებისა და ცვლილებების საკითხებს; განვითარებაზე პასუხისმგებელი ფაქტორების აღწერას; აგრეთვე პიროვნების განვითარებაზე ზემოქმედი გენეტიკური და გარემოს ფაქტორების ამა თუ იმ ხარისხით აქცენტირებას. მიუხედავად ამისა, პიროვნების თეორიას უნდა შეეძლოს ადამიანის ქცევის საფუძველში არსებული სტრუქტურებისა და პროცესების განვითარების ასხნა.

ფსიქოპათოლოგია

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც აწყდება პიროვნების ნებისმიერი თეორია, იმ მიზეზების ასხნის აუცილებლობაა, რატომ ვერ ახერხებს ზოგიერთი ადამიანი მოერგოს საზოგადოების მოთხოვნებს და ეფექტურად იფუნქციონიროს მასში. ყოველი პერსონოლოგი ცდილობს გაერკვეს, რატომ ავლენს ზოგიერთი ინდივიდი ქცევის პათოლოგიურ ან არაადეკვატურ სტილს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეტიოლოგია – არანორმალური ფუნქციონირების მიზეზების შესწავლა და ასხნა – პიროვნების თეორიის ამ კომპონენტის ცენტრალური თემაა.

პათოლოგიური ქცევის მიზეზთა ასხნის საჭიროებამ განაპირობა სხვადასხვა მიდგომების შემუშავება. მაგ., ფსიქოდინამიკური მიმართულების მომხრე თეორეტიკოსები დარწმუნებული არიან, რომ კონფლიქტები, რომლებიც ბავშვობაში ვერ გადაიჭრა, მოზრდილობაში შესაძლებელია პათოლოგიური ქცევის განვითარების მიზეზად იქცეს. თავად ეს კონფლიქტები სექსისა და აგრესიის მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგო სურვილების ერთდროული არსებობის გამო ჩნდება. კონფლიქტები ავადმყოფური სიმპტომების განვითარებას იწვევს. შემდგომ კი იმის გამო, რომ კონფლიქტები ვერ ცნობიერდება და ადამიანი ვერ ხვდება, რა არის ამგვარი სიმპტომების მიზეზი, ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ძლიერდება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მდგომარეობას.

ბიხევიორალური მიმართულება, პირიქით, თავად ქცევას მიიჩნევს პრობლემად. ამ მიდგომის თანახმად, არანორმალური ქცევის ასახსნელად აუცილებელი არაა ჰიპოთეზების შემუშავება და სიღრმისეული, დაკვირვებისათვის მიუწვდომელი მექანიზმების დეტალური შესწავლა. ამის ნაცვლად, საჭიროა გაანალიზდეს, როგორ მოხდა ამგვარი ქცევის დასწავლა წარსულში და რა გარემო პირობების გამო შენარჩუნდა ეს ქცევა აწმყოში. ფსიქიკური პათოლოგიის სოციოკულტურული მოდელის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სტრესებს და კონფლიქტებს, რომლებსაც ყოველდღიურ ურთიერთობაში განიცდიან ადამიანები, შეუძლიათ ქცევის პათოლოგიური ფორმების გამოწვევა და შენარჩუნება.

ფსიქიკური ჯანმრთელობა

პიროვნების თეორიას, რომელიც ითვალსწინებს ადამიანის ქცევის მრავალფეროვნებას, უნდა შეეძლოს ჯანსაღი პიროვნების შეფასების კრიტერიუმების შემოთავაზება. საკითხი ეხება იმას, რა იგულისხმება ცხოვრების ჯანსაღ წესში. პიროვნების თეორიების უმრავლესობაში განიხილება საკითხი, რისგან შედგება ფსიქოლოგიური კეთილდღეობა. მაგ., ფროიდის თანახმად, მოზრდილი ადამიანის ფუნქციონირება ხასიათდება პროდუქტული მუშაობისა და დამაკმაყოფილებელი პიროვნებათა შორის ურთიერთობის შენარჩუნების უნარით. შესაძლებელია, ეს კრიტერიუმი ძალზე გლობალური და არასპეციფიკური მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ დაეუკირდებით, საკმაოდ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მივალთ. ასე, მაგ., ფროიდის მიხედვით, მუშაობის უნარი გულისხმობს შორეული მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის უნარს, აგრეთვე შფოთვასთან გამკლავებას ისე, რომ ეს ნეგატიურად არ აისახოს ქცევაზე. ამის მსგავსად, დამაკმაყოფილებელ სოციალურ ურთიერთობებზე აქცენტი გულისხმობს უნარს, განიცადოს ემოციათა ფართო სპექტრი საფრთხის გრძნობის გარეშე.

ფსიქიკური ჯანმრთელობა შესაძლებელია აგრეთვე განისაზღვროს სოციალური დასწავლის თეორიის ტერმინებში. მაგ., ალბერტ ბანდურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ცნებებს, რომლებიც ასახავს ჩვენს უნარს დაეაკმაყოფილოთ ცხოვრებისგან მომდინარე მოთხოვნები. (Bandura, 1982). მისი აზრით, თვითეფექტურობა, ანუ გაცნობიერება თავისი უნარისა, აირჩიოს ქცევის ის სახეები, რომლებიც მიზნის მისაღწევად საჭირო, შეგუების უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა. მეტიც, ბანდურა ამტკიცებს, რომ ინდივიდებმა რომელიმე ცვალებადობის დასწავლა უნდა შეძლონ.

ადამიანებმა შეძლონ, ისახვეთ უფრო რთულ ამოცანებს, მეტ ძალისხმევას ხარჯავენ და შედეგად შესაძლებელია უფრო წარმატებულები აღმოჩნდნენ მიზნის მიღწევაში.

ზოგიერთი პერსონოლოგი დიდ ყურადღებას უთმობს ჯანსაღი პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას და ცხოვრების ჯანსაღი სტილის ძირითად შემადგენლებს. მაგ., მასლოუს თანახმად, ნორმალური პიროვნული განვითარებისათვის საჭიროა მნიშვნელოვნების გადანაცვლება უფრო პრიმიტიული მოთხოვნებიდან (ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების) ამაღლებულები და უფრო “ადამიანური” მოთხოვნებიდან (სილამაზის, ჭეშმარიტების). (პიელი და ზიგლერი)

პიროვნების მეცნიერული შესწავლა

პიროვნების თეორიის დირექტულების შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია ის, თუ რამდენად ახდენს ის კვლევების სტიმულირებას და წარმართვას. კარგი თეორია წარმოშობს ჰიპოთეზებს, რომლებიც ემპირიული კვლევის მეშვეობით უნდა შემოწმდეს. ჰიპოთეზის შესამოწმებლად ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგთა საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს, რომელი თეორიული დებულება უნდა მივიღოთ და რომელი უარყოთ. იდეალურ შემთხვევაში პერსონოლოგები ფაქტებისა და კანონზომიერებების დასადგენად უნდა მოიპოვებდნენ მონაცემებს, რომელთა ახსნა ფართო თეორიულ საფუძველებზეა შესაძლებელი. თეორიაზე დაფუძნებული კვლევა (ფუნდამენტური კვლევა) საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, არსებობს თუ არა სინამდვილაში ნავარაუდევო ურთიერთკავშირები როგორც გარკვეულ ფანომენებს შორის, ისე მათ შიგნით. როდესაც პიროვნების ორი თეორია ფუნდამენტალურად გარკვეული კლასისთვის წინასწარმეტყველებს ურთიერთშეთანხმებულ მიმართებებს, საჭირო ხდება კვლევის ჩატარება, რათა გამოვავლინოთ სინამდვილეში არსებული მიმართებები.

მაგ., ფსიქოლინამიკური თეორია წინასწარმეტყველებს, რომ სატელევიზიო გადაცემებში ძალადობის სცენების ყურება შეამცირებს მაყურებლის აქტუალური ძალადობის დონეს, რაც აიხსნება იმით, რომ ამ დროს მაყურებელში ხდება ჩახშობილი აგრესიული ენერჯის გარეთ გამოსვლა (ანუ, კათარზისი). სოციალური დასწავლის თეორია კი, პირიქით, წინასწარმეტყველებს, რომ რადგანაც აგრესიული ქცევა დასაწავლის შედეგად შეიძინება, რაც უფრო ხშირად ვხვდებით, როგორც მიმართავენ ადამიანები ძალადობას, მით უფრო მეტი ალბათობითაა მოსალოდნელი, რომ ჩვენც ამგვარადვე მოვიქცევით. ტელევიზიით და სხვა საშუალებებით ძალადობის დემონსტრირების გავლენის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ, რომელია ამ წინასწარმეტყველებებს შორის უფრო საფუძველიანი.

თუმცა მეცნიერული კვლევები პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროში იშვიათად წარმოებს თეორიული დებულებებიდან მოწყვეტილად, ეს არ ნიშნავს, რომ პიროვნების შესახებ ცოდნა არასოდეს გამდიდრებულა ისეთი კვლევების შედეგად, რომლებიც თეორიასთან არ იყო დაკავშირებული ან “შემთხვევით” იყო აღმოჩენილი. სინამდვილეში, არსებობს თავისუფლების მნიშვნელოვანი ხარისხი თეორიასა და ექსპერიმენტულ კვლევას შორის.

მიუხადავად ამისა, მაგისტრალური მიმართულება პიროვნების უფრო სრული წვდომისა და გაგების მხრივ ემყარება თეორიასა და კვლევას შორის კავშირს. შესამოწმებელი წინასწარმეტყველებები, რომლებსაც ჰიპოთეზებს ვუწოდებთ, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ამ თეორიის დებულებათა ჭეშმარიტება და სარგებლიანობა. სასარგებლო თეორია წარმოშობს შემოწმებად ჰიპოთეზებს, რომლებიც, თავის მხრივ, გარდაქმნიან და აფართოვებენ თავად თეორიას. ექსპერიმენტი ასრულებს ინდიკატორის როლს თეორიის შესამოწმებლად. თუ შესამოწმებლად ჩატარებული კვლევის შედეგები არ ეთანხმება თეორიის პოსტულატებს, ჩვენ ნაკლები საფუძველი გვაქნება ამ თეორიის მისაღებად. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება ახალი თეორიის შექმნა ან არსებულის გადასინჯვა, რათა შევძლოთ ურთიერთშეთანხმებულ მონაცემთა ახსნა. მეორე მხრივ, თუ ემპირიული კვლევის შედეგები ეთანხმება თეორიის დებულებებს, სავარაუდოდ, რომ მისი ნდობა შესაძლებელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თეორიები არასოდეს მთლიანად არ მოწმდება. კვლევის მეშვეობით, როგორც წესი, მოწმდება თეორიის დებულებებიდან გამომდინარე ცალკეული ჰიპოთეზები. შესაბამისად, პიროვნების თეორია ყოველთვის იმყოფება ემპირიული მხარდაჭერის სხვადასხვა სტადიაზე – სრული მიღებიდან – წარუმატებელ თეორიად აღიარებამდე. რაც უფრო ხშირად განამტკიცებს ექსპერიმენტული შედეგები გამოთქმულ ჰიპოთეზებს, მით მეტ ნდობას იმსახურებს თეორია, როგორც “კორექტული” ადამიანის ქცევის გარკვეული ასპექტების ასახსნელად, მით უფრო “ზუსტი” მოვლენათა არსის ახსნაში.

პიროვნების კვლევის მნიშვნელობა: პიროვნების კვლევა, იქნება ეს დაკვირვება თუ ექსპერიმენტის ჩატარება, – ინფორმაციის შეგროვების საშუალებაა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გავარკვიოთ ქცევისთან დაკავშირებული რთული საკითხები. კვლევასა და თეორიას შორის მიმართება გამოიყურება, როგორც მუდმივი ურთიერთქმედების პროცესი – ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. თეორია ასრულებს როგორც კატალიზატორის, ისე სახელმძღვანელოს როლს მსჯელობასა და ფიქრისთვის, რომელიც წინ უძღვის ემპირიულ კვლევას. ის გვეხმარება კვლევის საგულდაგულოდ შერჩეული შედეგები მოვაცილოთ ერთიან შეთანხმებულ სისტემაში, რომლის ყოველი ელემენტი შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს. მაგრამ მანამდე უნდა გვქონდეს ის, რაც ერთიანობაშია მოსაყვანი, ამას კი კვლევა უზრუნველყოფს.

მეცნიერული კვლევის ქვაკუთხედი იდეების ემპირიული შემოწმების აუცილებლობა. ეს ნიშნავს, რომ დაკვირვებისა ან ექსპერიმენტის გზით ვაღვენთ ფაქტებსა და ცვლადებს შორის მიმართებებს. სვლადების შესწავლისას გამოყენებული პროცედურები სისტემატურად უნდა ტარდებოდეს და იყოს სანდო, რათა სხვა მკვლევარებმა შეძლონ მათი გადამოწმება. მეცნიერული

თვითკუთქცით ეს ასექტი კვლევითი პრაქტიკის მთავარი ნარჩლია, რომელიც საშუალებას გვაძლევს თავი დავაღწიოთ მცდარ ცნობებს და, შესაბამისად, გავზარდოთ ემპირიულად მირებული ინფორმაციის სანდოობა და სიზუსტე. ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ემპირიულ და მეცნიერულ მეთოდებს აქვთ ჭეშმარიტების დადგენის უფლება. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე უფრო კორექტული მაინც ემპირიული მიდგომაა: მონაცემთა საგულდგულოდ შერჩევისა და ანალიზის წყალობით ის უკეთ არის აღჭურვილი საკითხების შესასწავლად, ვიდრე დისკუსიები, მსჯელობები ან სალი აზრი. მას ორი ძირითადი უპირატესობა აქვს. პირველი და, ალბათ, მისი ყველაზე დიდი ღირსებაა შეცდომებისადმი შეუწყნარებლობა. მეცნიერებმა, რომლებიც პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროში მოღვაწეობენ, არა მარტო შეიმუშავეს თავიანთ თავში ე.წ. ჯანსაღი სექსპტიციზმი, არამედ აგრეთვე ჩვევა, ზედმიწევნით ზუსტად შეამოწმონ საკუთარი და კოლეგების შედეგები. რომელიმე ობიექტური მონაცემები სანდოდ იქნება მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი არსებობა სხვა კვლევებშიც იქნება დადასტურებული. როდესაც ორ კვლევაში ერთმანეთთან შეუსაბამო შედეგები და დასკვნები მიღებული, პერსონოლოგები ცდილობენ გაარკვიონ, რატომ მოხდა ეს, და ამ მიზნით, ჩვეულებრივ, დამატებით კვლევას ატარებენ.

ემპირიული კვლევის მეორე ღირსება არის იმ წარმოდგენათა სიცხადე და გარკვეულობა, თუ როგორ უნდა აღწერო ადამიანები და მათი ქცევითი რეაქციები. ადამიანის ქცევის შესახებ წარმოდგენები სალი აზრის დონეზე, როგორც წესი, გაურკვეველი და ბუნდოვანია. ამ დონეზე გამოთქმული აზრებისა და შეფასებების ძირითადი პრობლემა ისაა, რომ შესაძლებელია ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა ინტერპრეტაცია სხვადასხვა ადამიანის მიერ. ამ დროს შეხედულებების ფორმულირებისას ძალზე ყურადღება ეთმობა მტკიცებულებათა მოძიებას და მათ შორის წინააღმდეგობების აღმოჩენას. ამის საპირისპიროდ, ემპირიული მიდგომა მოითხოვს მკაცრი მეცნიერული ენის გამოყენებას, როდესაც აღწერთ ჩვენთვის საინტერესო მოვლენებს და ფენომენებს. პიროვნების მკვლევარნი, სხვა მეცნიერთა მსგავსად, ამ მიზანს აღწევენ ე.წ. სამუშაო განსაზღვრებების ფორმულირებით ყოველი შესასწავლი ცვლადისთვის ან თეორიული კონსტრუქტისთვის. სამუშაო განსაზღვრება შეიცავს იმ მეთოდების ზუსტ აღწერას, რომლებიც გამოიყენებოდა საკვლევი ცვლადების შესაქმნელად და გასაზომად. მაგ., ფსიქოლოგს შეუძლია "დეპრესიის" სამუშაო განსაზღვრების ფორმულირება ინდექსის სახით, რომელიც მიიღება ბეკის "დეპრესიის სკალის" მეშვეობით. მას აგრეთვე შეუძლია აგრესიის სამუშაო განსაზღვრების შემოთავაზება დროის მოცემულ მონაკვეთში სუბიექტის აგრესიულობის ვერბალური და ქცევითი გამოვლინებების რეგისტრაციის საფუძველზე.

განასხვავებენ კვლევის სტრატეგიის სამ ძირითად ტიპს, რომლებსაც ფსიქოლოგები ადამიანის შესწავლისას იყენებენ. ესაა: კლინიკური შემთხვევების შესწავლა, კორელაციური ანალიზი და ფორმალური ექსპერიმენტი. თუმცა აღნიშნული სტრატეგიები განსხვავდებიან იმ სპეციფიკური მეთოდების მხრივ, რომლებსაც იყენებენ, ყოველი მათგანი გულისხმობს ზედმიწევნით ზუსტ დაკვირვებას იმაზე, რას ამბობს ან აკეთებს ცდისპირი. დაკვირვება ემპირიული კვლევის ფუნდამენტური განმსაზღვრელი მახასიათებელია ნებისმიერ დისციპლინაში, მათ შორის პერსონოლოგიაში.

დაკვირვება: ამოსავალი წერტილი.

ნებისმიერი კვლევა, იქნება ეს ავადმყოფობის ისტორიის შესწავლა, კორელაციური კავშირების დადგენა თუ ლაბორატორიული ექსპერიმენტი, დაკვირვებას ითვალისწინებს. ზოგ შემთხვევაში კვლევის იდეის გასწავლა იწყება არასისტემატიზირებული დაკვირვების საფუძველზე. მაგ., შესაძლებელია შემთხვევით მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ორი თანაკლასელი სხვადასხვა მიზეზით ადანაშაულებენ მასწავლებელს მათი საკონტროლოს დაბალი შეფასების გამო. ჩვენ შესაძლოა, შევამჩნიოთ, რომ მათ დაბალი თვითშეფასება აქვთ და ისინი დათრგუნული მდგომარეობით რეაგირებენ თავიანთ წარუმატებელ პასუხებზე. შესაძლებელია ჩავთვალოთ, რომ არასაკმარისად მაღალი თვითშეფასება დაკავშირებულია ან სულაც მიზეზია საკუთარ წარუმატებლობაში სხვების დადანაშაულების ტენდენციისა, ან რომ წარუმატებლობას თან სდევს დათრგუნულობა. პირადი დაკვირვებები ხშირად გზას გვიკვალავენ ადამიანთა ქცევის უფრო ზუსტად შესწავლისკენ.

ქცევის შესახებ ცოდნის მიღების მეორე გზაა მისი ბუნებრივ გამოვლინებებზე დაკვირვება და მათი რეგისტრაცია რეალურ ცხოვრებისეულ პირობებში, ოღონდ უფრო მეთოდური და მკაცრი სახით, ვიდრე ეს არასისტემატიზირებული დაკვირვების დროს გვაქვს. მას ეწოდება "ბუნებრივი დაკვირვება". მეგობრული ურთიერთობებისა და თამაშის მოდელები ბავშვებთან, მოზარდთა ანტისოციალური ქცევა, წარმატებული მენეჯერების მართვის სტილი ბიზნესში და აგრეთვე მრავალი კლინიკური მოვლენა შესწავლილი იყო სწორედ ბუნებრივი დაკვირვების გზით. ეს უკანასკნელი არ გვაძლევს ქცევის ახსნის საშუალებას, მაგრამ მისი მეშვეობით შესაძლებელია მდიდარი ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, როგორ იქცევიან ადამიანები მათ ჩვეულ გარემოცვაში.

ამგე დროს, გასათვლისწინებელია ის გარემოება, რომ რაგინდ მარტივი და მიმზიდველი არ უნდა ჩანდეს ბუნებრივი დაკვირვება, მას თავისი შეზღუდვებიც ახლავს. ძირითადი პრობლემა ისაა, რომ ხშირად დამკვირვებელი ხდება გაუთვალისწინებელი მოვლენების უბრალო მოწმე, რომელთა კონტროლი მას ნაკლებად ან საერთოდ არ შეუძლია. ამას ემატება თავად დამკვირვებლის პრობლემები: მისი წინასწარგანწყობები და გარკვეული მოლოდინები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმაზე, მოვლენათა რომელ ასპექტებს მიაქცევს ის განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელ მომენტებს უფრო მკაფიოდ დაიმახსოვრებს. ამ მეთოდს აგრეთვე იმის გამო აკრიტიკებენ, რომ დაკვირვების შედეგების განზოგადება დაკვირვებული ობიექტების (ადამიანების ან სიტუაციების) მცირე რაოდენობის საფუძველზე ხდება. და ბოლოს, დამკვირვებელი, შესაძლოა, უნებურად ჩაერთოს მიმდინარე მოვლენებში, რომელთა დაკვირვებასა და რეგისტრაციას ახდენს. დაეუშვათ, დამკვირვებელი თვალყურს ადევნებს ოჯახში მიმდინარე დისკუსიას იმ მიზნით, რომ შეისწავლოს კონფლიქტის გადაწყვეტის სხვადასხვა სტილი. ოჯახის წევრთა ნდობის რა ხარისხით უნდა სარგებლობდეს დამკვირვებელი, რომ მისი იქ ყოფნა არ იქცეს ფაქტორად, რომელიც გავლენას მოახდენს კონფლიქტის გადაწყვეტის გზის არჩევანზე? აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, ბუნებრივი დაკვირვების უპირატესობები ამკარავს: ადამიანთა ქცევის ნიმუშები ჩვენ გვეძლევა ყოველდღიურ სიტუაციებში, მეგობრებთან, ოჯახში, და არა – ლაბორატორიის ხელოვნურ ატმოსფეროში ან ინტერვიუს დროს.

რადგან ბუნებრივი დაკვირვება არ იძლევა ცვლადების სისტემური კონტროლის საშუალებას დაკვირვების სიტუაციაში, მკვლევარი იძულებულია დაელოდოს, როდის შეიქმნება სათანადო პირობები. ამ პრობლემის დასაძლევად ზოგიერთი მკვლევარი აწარმოებს კონტროლირებად საველე დაკვირვებას. ამგვარი კვლევითი მიდგომა აერთიანებს ბუნებრივი დაკვირვებისა და შესაბამისი ექსპერიმენტული კვლევის თავისებურებებს. ამ ტიპის მიდგომის საფუძველზე რიგანმა და მისმა კოლეგებმა (1972) ჩაატარეს საველე ექსპერიმენტი, რომლის მიზანი იყო დანაშაულის გრძნობის გავლენის შესწავლა სხვებისთვის დახმარების აღმოჩენის ხარისხზე. ექსპერიმენტატორის ასისტენტი სათითაოდ მიდიოდა მაღახიაში საყრდღებზე მსულ ქალებთან და სთხოვდა მათ, სურათი გადელთ მისთვის, რომელიც სადიპლომო ნაშრომისთვის სჭირდებოდა. სურათის გადასაღებად ის აწვდიდა მათ ძვირადღირებულ ფოტოკამერას, რომელიც ისე იყო დარეგულირებული, რომ მისი გამოყენებისას აღმოჩენილიყო, თითქოს მას რაღაც დაუზიანდა. ქალების ნახევარს ასისტენტი ეუბნებოდა, რომ კამერა მისი არასწორად გამოყენების გამო დაზიანდა. ამას, მკვლევართა ვარაუდით, ქალებში დანაშაულის გრძნობა უნდა აღეძრა. მეორე ნახევარს კი ეუბნებოდნენ, რომ კამერა უკვე დაძველდა და ამიტომაც გაფუჭდა, მათ ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვით. ცოტა ხნის შემდეგ თითოეული ამ ქალბატონის გვერდით ჩაივლიდა ექსპერიმენტის მეორე მონაწილე, რომელსაც, ვითომდა შემთხვევით, ჩანთიდან პროდუქტები უცვიოდა. ფარული დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ იმ ქალების 55%-ი, რომლებსაც დანაშაულის გრძნობა გაუჩნდათ დაზიანებული კამერის გამო, ჩერდებოდნენ და ეხმარებოდნენ პროდუქტების აკრეფაში, ხოლო მათგან, ვისაც ეს გრძნობა არ გასჩენია, მხოლოდ 15%-ი ცდილობდა დახმარების აღმოჩენას. ამგვარ კვლევას, ცხადია, ის უპირატესობა აქვს, რომ უზრუნველყოფს დამატებით დარწმუნებულობას იმაში, რომ შედეგების განვრცობა შესაძლებელია სხვა სიტუაციებზეც.

ანამნეზის მეთოდი

ადამიანის ქცევის შესწავლას დროის ხანგრძლივ პერიოდში უწოდებენ ავადმყოფობის ისტორიის, ანუ ანამნეზის შესწავლას. ას მიდგომა ხშირად გამოიყენება კლინიკურ მედიცინაში იმ ადამიანთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიზნით, რომელთაც ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები აქვთ. ექიმებში ცდილობენ გაერკვნენ ავადმყოფის ცხოვრებისეულ გამოცდილებაში და მისი ქცევის მოდელებში, რისთვისაც იყენებენ ავადმყოფის პირად მოგონებებს, იმ ადამიანებთან საუბრის მასალებს, რომლებიც მას კარგად იცნობენ, ავტობიოგრაფიულ და ბიოგრაფიულ დოკუმენტებს და ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც ფსიქოლოგიური ტესტირების შედეგად შეიძლება იყოს მირებული. ჩვეულებრივ, ექიმი ეძებს სპეციფიკურ მოვლენებს პაციენტის ცხოვრების წარსულსა და მომავალში, რათა გაარკვიოს მისი სირთულეების მიზეზები. თავის მხრივ, ავადმყოფობის ისტორია იძლევა მასალას, რომელიც კლინიციისტებს ეხმარება, ემოციური აშლილობების სამკურნალოდ ეფექტური სტრატეგიების შერჩევაში.

ავადმყოფობის ისტორიებმა, რომლებსაც ადგენდნენ ექიმები პაციენტებთან მუშაობისას მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პიროვნების ზოგიერთი თეორიის შექმნაში და ზოგადად კლინიკური აზროვნების განვითარებაში. მაგ: ფროიდის ფსიქოდინამიკური თეორია ეფუძნება მხოლოდ ცალკეული კლინიკური შემთხვევების ინტენსიურ შესწავლას. ფროიდი და მისი კოლეგები -ფსიქონალიტიკოსები მრავალი წლის განმავლობაში სიდრმისეულად შეისწავლიდნენ ქცევის მრავალგვარ გამოვლინებებს – ადრეული ბავშვობის მოგონებებს, სიზმრებს, ფანტაზიებს, ფიზიკურ დაავადებებს, სიყვარული -სიძულვილის დამოკიდებულებებს. ფროიდი მიმართავდა

კლინიკური შემთხვევების შესწავლას არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ხელს უწყობდა პროდუქტიული იდეების გაჩენას ადამიანის პიროვნების უნიკალურობასთან დაკავშირებით, ისინი აგრეთვე ემსახურებოდა მისი ძირითადი თეორიული დებულებების განმტკიცებას. მსგავსად ამისა, კ. როჯერსი პიროვნების შესწავლისადმი თავისი ფენომენოლოგიური მიდგომის ჩამოყალიბებისას ძირითადად ემყარებოდა პაციენტების კლინიკურ ისტორიებს, რომლებიც ფსიქოთერაპიას გადიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფების ისტორიები წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ კონკრეტულ პიროვნების მაქსიმალურად დეტალიზირებულ აღწერას და ანალიზს, მათი შესწავლა არაჩვეულებრივად სასარგებლო კვლევით სტრატეგიას წარმოადგენს. ხდება ხოლმე, რომ თუნდაც ერთი კლინიკური შემთხვევის შესწავლა შუქს მოჰფენს ხოლმე ადამიანის ქცევის გარკვეული კანონზომიერების გაგებას. მაგრამ, ჩვეულებრივ, ერთხელობრივი შემთხვევა ჯერ კიდევ არ იძლევა საკმარისად მტკიცე საფუძველს ქცევის ზოგადი პრინციპების აღსაწერად. მიუხედავად ამისა, თუ შემთხვევებიც, რადუნობა საკმარისი აღამოჩნდება კვლევისათვის, მეცნიერს შეეძლება დაადგინოს მათ შორის მსგავსებების ხარისხი და გააკეთოს გარკვეული ზოგადი დასკვნები. მაგალითად გამოდგება 15 სიკვდილმისჯილი მამაკაცის ისტორიების კვლევა. მათი კანდიდატები შეირჩა კვლევისათვის იმიტომ, რომ მათი სასჯელი ჩქარა უნდა ყოფილიყო მოყვანილი სისრულეში. მკვლევართა გასაკვირად 15-ვე პატიმარს ანამნეზში ჰქონდა თავის ქალის მძიმე ტრავმები, მათგან 12-ს დაარეგისტრირებული ჰქონდა თავის ტვინის დაზიანებები და ყველა მათგანის ინტელექტუალური მანევრებელი საშუალოზე დაბალი აღმოჩნდა. მიღებულმა შედეგებმა შეარყია სიკვდილმისჯილი დამნაშავეის სტერეოტიპული ხატი, როგორც ცივი, ანგარიშიანი, სასტიკი, უღმობელი მკვლელისა. მიღებული ფაქტები უფრო მოწმობს ნევროლოგიური დარღვევების კავშირზე სასჯელთან სიკვდილით დასრულებული ჩხუბის გამო.

ანამნეზის მეთოდი შეიძლება გამოიყენოს აგრეთვე სრულიად ჯანმრთელი ადამიანების ცხოვრების შესასწავლად. ჯგუფი, რომელსაც ჰენრი მიურეი ხელმძღვანელობდა პარვარდის ფსიქოლოგიურ კლინიკაში, წარმოადგენდა ძალზე დიდი იმეით, მაგრამ მკაფიო მოდელს ადამიანთა ცხოვრების ინტენსიური შესწავლისათვის. საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში პარვარდის პერსონოლოგებმა (ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს ეს მკვლევარები) მთელი ძალისხმევა მიმართეს მამაკაცების – კოლეჯის სტუდენტების სიდრმისეულ შეფასებაზე. მათი მიზანი იყო ძირითადი მოთხოვნილებების, კონფლიქტების, ღირებულებების, განწყობების და სოციალური ურთიერთობების მოდელების შესწავლა. კვლევის მეთოდიკა მოიცავდა პიროვნული კითხვარებისა და პროექციული ტესტების გამოყენებას. ცდისპირები გამოკვლეული იყვნენ არაერთხელ. გარდა ამისა, შეგროვდა დიდი რაოდენობის ბიოგრაფიული მონაცემები და ავტობიოგრაფიული მასალები. გამოიყენებოდა მოკლე ექსპერიმენტული პროცედურები და აგრეთვე სტრესის ინტერვიუ, რომლის დროსაც სტუდენტები იძულებულნი იყვნენ ეპასუხათ მათთვის უხერხულ შეკითხვებზე და დაეცვათ მათთვის მნიშვნელოვანი ღირებულებები. ბოლოს ჩატარდა კვლევა მცირე ჯგუფებში, რათა დამკვირვებლებს მიეღოთ წარმოდგენა ცდისპირთა პიროვნებათა შორის ურთიერთობის სტილის შესახებ.

მიურეის და მისი კოლეგების მიერ გამოყენებული მეთოდები მიმართული იყო ყოველი სტუდენტის ცხოვრების მრავალი ასპექტის შესწავლაზე. ეს საშუალებას იძლეოდა ყოველი სტუდენტი შეესწავლათ მთლიანობაში მისთვის ბუნებრივ პირობებში. სტუდენტების აზრების, გრძნობებისა და მოქმედებების უკეთესი შეფასებისათვის მიურეიმ შეკრიბა გამოცდილი ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომლებიც თავის აზრს გამოთქვამდნენ ყოველი სტუდენტის შესახებ ე.წ. "დიაგნოსტიკურ საბჭოზე". ამ საბჭოზე სხვადასხვა თეორიული პოზიციიდან, გამოთქვამდნენ თავიანთ კლინიკურ შთაბეჭდილებებს მის შესახებ. ამ დისკუსიის შედეგად ხმათა უმრავლესობით მიიღებოდა დასკვნა იმის შესახებ, როგორ იქნება მისი პიროვნების დახასიათება უმჯობესი. პარვარდის პერსონოლოგთა კრებითი დისციპლინათა შორის მიდგომამ გავლენა მოახდინა მკვლევართა მთელ თაობაზე წარმართა რა მათი მეცნიერული ინტერესი პიროვნებაზე.

კორელაციური მეთოდი.

კლინიკური შემთხვევების შეზღუდვების დასაძლევად პიროვნების მკვლევარნი ხშირად იყენებენ ალტერნატიულ სტრატეგიას, რომელიც ცნობილია, როგორც კორელაციური მეთოდი. ეს მეთოდი ემსახურება ურთიერთკავშირების დადგენას მოვლენათა (ცვლადებს) შორის და მათ შიგნით. ცვლადი ნებისმიერი სიდიდეა, რომელიც შეიძლება იყოს გაზომილი და რომლის რაოდენობრივი გამოსახულება შეიძლება იცვლებოდეს, ვარირებდეს ერთი და იმავე კონტინუუმის ფარგლებში. მაგ: შფოთვა ცვლადია, რადგან შესაძლებელია მისი გაზომვა (შფოთვის თვითშეფასების სკალის მეშვეობით) და იმიტომ, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მისი გამოხატულების ხარისხით.

მსგავსად ამისა, დავალების შესრულების ხიზნუსტე, რომელიც საჭიროებს გარკვეულ ჩვევას, აგრეთვე ცვლადია, რომლის გაზომვაც შესაძლებელია კორელაციური კვლევის ჩატარება შესაძლებელია უბრალოდ გარკვეული რაოდენობის ადამიანთა შფოთვის დონის გაზომვით, აგრეთვე ყოველი მათგანის მოქმედებათა სიზუსტის გაზომვით ჯგუფის მიერ რთული დავალების მიზინვით, რომ შფოთვის დაბალი მაჩვენებლების მქონე სუბიექტებს აქვთ შესრულების სიზუსტის უფრო მაღალი მაჩვენებლები. რადგან დავალების შესრულებაზე, ალბათ, გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც. მაგ. მისი შესრულების წინა გამოცდილება, მოტივაცია, ინტელექტი, კავშირი მოქმედების სიზუსტესა და შფოთვის შორის არ იქნება უნაკლო. მაგრამ ყურადღას იმეორე იქნება. კორელაციულ კვლევაში ცვლადები შეიძლება იყოს ტესტირების მონაცემები, დემოგრაფიული მახასიათებლები (როგორებიცაა ასაკი, დაბადების რიგი, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი) თვითშეფასების მეთოდით ხასიათის გაზომვის შედეგები, მოტივები, ღირებულებები და განწყობები, ფიზიოლოგიური რეაქციები (როგორიცაა პულსის სიჩქარე, არტერიული წნევა და კანის გაღვანური რეაქცია), აგრეთვე ქცევის სტილი. კორელაციური მეთოდის გამოყენებისას ფსიქოლოგებს სურთ მიიღონ პასუხი ისეთ სპეციფიკურ შეკითხვებზე, როგორიცაა: ახდენს თუ არა უმაღლესი განათლება გავლენას პროფესიულ წარმატებაზე მომავალში, აქვს თუ არა სტრესს კავშირი კორონარულ დაავადებებთან, არსებობს თუ არა კავშირი თვითშეფასებასა და მარტობას შორის, არის თუ არა კავშირი მიღწევის მოტივაციასა და დაბადების რიგს (ნომერს) შორის. კორელაციის მეთოდი არათუ შესაძლებლობას გვაძლევს დადებითად თუ უარყოფითად გუპასუხოთ ამ შეკითხვებზე, არამედ აგრეთვე რაოდენობრივი შეფასება მიეცეთ ერთი ცვლადის მნიშვნელობათა შესაბამისობას მეორე ცვლადის მნიშვნელობასთან. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ფსიქოლოგები გამოითვლიან სტატისტიკის ინდექსს, რომელსაც კორელაციის კოეფიციენტი ეწოდება (რომელიც ცნობილია როგორც პირსონის წრფივი კორელაციის კოეფიციენტი და აღნიშნავენ ასოთი "r") და გვიჩვენებს ორი ცვლადის ურთიერთკავშირის ინტენსივობას და ამ ურთიერთკავშირის მიმართულებას (უარყოფითს თუ დადებითს).

კორელაციის კოეფიციენტის რიცხობრივი მნიშვნელობა ვარირებს -1 დან (სრულიად უარყოფითი ურთიერთკავშირი) ნულის გავლით (კავშირის არარსებობა) + 1 მდე (სრულიად დადებითი). კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა ახლოსაა ნულთან, ნიშნავს, რომ ორი გასაზომი ცვლადი არ არის მნიშვნელოვნად დაკავშირებული, ანუ X ცვლადის დიდ და მცირე მნიშვნელობებს არა აქვს მნიშვნელოვანი კავშირი ცვლადის დიდ და მცირე მნიშვნელობებთან.

ამადროულად ყველა მკვლევარი აღიარებს ამ სტრატეგიის ორ სერიოზულ ნაკლს. უპირველეს ყოვლისა, კორელაციური მეთოდის გამოყენება არ აძლევს მკვლევარებს საშუალებას, გამოკვეთონ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. კორელაციურ კვლევას არ შეუძლია მოგვცეს საბოლოო დასკვნა იმის შესახებ, რომ ორი ცვლადი მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებულია ერთმანეთთან. მაგ. მრავალ კორელაციურ კვლევაში დადასტურებულია კავშირი ძალადობის სცენების ამსახველი სატელევიზიო პროგრამების ყურებასა და ბავშვების და მოზრდილი მაყურებლების ნაწილის აგრესიულ ქცევას შორის (Freedman, 1988; Huston, Wright, 1982). ერთ-ერთი შესაძლო დასკვნა აქედან არის შემდეგი: დიდი ხნის განმავლობაში ძალადობის სცენების ყურება ტელევიზიით იწვევს მაყურებელთა აგრესიული მისწრაფებების ზრდას, მაგრამ შესაძლებელია საწინააღმდეგო დასკვნაც: თავისი ბუნებით აგრესიული სუბიექტები ან ისინი, ვისაც აგრესიული ქმედებები გასუხარციელებია, უბრატესობას ანიჭებენ ძალადობის სცენების ამსახველ სატელევიზიო პროგრამებს. სამწუხაროდ კორელაციური მეთოდი არ იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომელია ამ ახსნებიდან სწორი. ამავე დროს კორელაციური კვლევა, რომელშიც დგინდება ძლიერი კორელაციური კავშირი ორი ცვლადის მნიშვნელობებს შორის აყენებს საკითხს ამ ორ ცვლადს შორის შესაძლო მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის შესახებ. უნდა ითქვას, რომ შემდგომმა ექსპერიმენტულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ძალადობის შემცველი პროგრამების ექსპოზიცია შეიძლება იყოს აგრესიული ქცევის მიზეზი (Eron, 1987)

მეორე ნაკლია – მესამე ცვლადის მოქმედებით გამოწვეული დაბნეულობა. განვიხილოთ დამოკიდებულება მშობლებისა და შვილების მიერ ნარკოტიკების მოხმარებას შორის. გულისხმობს კი კორელაციური კავშირის არსებობა იმას, რომ მოზარდები, ხედავენ რა როგორ მოიხმარენ ნარკოტიკებს მშობლები, თვითონაც იწყებენ მის მოხმარებას უფრო დიდი რაოდენობით. თუ ეს ნიშნავს, რომ წუხილი იმის გამო, რომ შვილები მოიხმარენ ნარკოტიკებს, აიძულებს მშობლებს თავადაც მიმართონ ნარკოტიკებს, რომ შეიმძირონ შფოთვა? თუ რომელიმე მესამე ფაქტორი უბიძგებს მშობლებსა და შვილებს ნარკოტიკების მოხმარებისაკენ? იქნებ ისინი ნარკოტიკებს მოიხმარენ, რათა შეეგუონ თავიანთ მძიმე მდგომარეობას და ამდენად მესამე ფაქტორი ანუ ნარკოტიკების მოხმარების ჭეშმარიტი მიზეზი მათი მძიმე მატერიალური მდგომარეობაა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი და ა.შ.

შესაძლებლობა იმისა, რომ მესამე ცვლადი, რომელიც არ იზომება და რომლის არსებობის შესახებ ვერც ხედებიან, სინამდვილეში ახდენს მიზეზობრივ გავლენას ორივე გაზომვად ცვლადზე, არ უნდა გამოირიცხოს კორელაციური მეთოდით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისას. თუმცა კორელაციური მეთოდი არ გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, ეს არ ნიშნავს, რომ მიზეზ-შედეგობრივი მიმართულები გარკვეულ შემთხვევებში შეუძლებელია შკაფიოდ განისაზღვროს. ნათქვამი განსაკუთრებით სამართლიანია ლონგიტუდური კორელაციური კვლევების მიმართ, რომლის დროსაც, მაგ. ჩვენთვის საინტერესო ცვლადები, რომლებიც დროის ერთ პერიოდშია გაზომილი, კორელირებს სხვა ცვლადებთან, რომელთა შესახებ ცნობილია, რომ ისინი ამ პირველების შემდეგ ჩნდებიან. განვიხილოთ მაგალითი: კარგად ცნობილი დადებითი კორელაცია მოწვევასა და ფილტვების კიბოს შორის. მიუხედავად შესაძლებლობისა, რომ რომელიღაც მესამე უცნობი ცვლადი (მაგ. გენეტიკური მიდრეკილება) შეიძლება იყოს, როგორც მოწვევის, ისე კიბოს მიზეზი, არავინ ჯერჯერობა ეჭვქვეშ, რომ კიბოს სავარაუდო მიზეზია მოწვევა, რადგანაც მოწვევა წინ უსწრებს ფილტვების კიბოს დაავადებას. ამგვარი სტრატეგია (ორი ცვლადის გაზომვა, რომელთა შორის გარკვეული დროითა შუალედია) მკვლევარებს საშუალებას აძლევს დაადგინონ მიზეზ-შედეგობრივი მიმართულები, როდესაც შეუძლებელია ექსპერიმენტის ჩატარება. მაგ. კლინიკური დაკვირვებების საფუძველზე მრავალი მკვლევარი დრდი ხნის განმავლობაში გამოთქვამდა ვარაუდს (ეჭვობდა), რომ ქარნიკული სტრესი ხელს უწყობს მრავალი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემების განვითარებას. ბოლოდროინდელ კვლევებში, რომლებშიც განსაზღვრავდნენ სტრესის ინტენსივობას (თვითშეფასების სკალების მეშვეობით), ამ ვარაუდის შემოწმება შესაძლებელი გახდა კორელაციური მეთოდით. მაგ. ფიზიოლოგიური დარღვევებთან დაკავშირებით დაგროვილი მონაცემები მეტყველებს შემდეგზე: სტრესი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, დიაბეტის, კიბოს და სხვადასხვა ტიპის ინფექციური დაავადებების აღმოცენება- განვითარებასთან. მიუხედავად ამისა, კრიტიკოსები სამართლიანად აღნიშავენ, რომ შესაძლებელია არსებობდეს სხვა ფაქტორები, რომლებიც ხელოვნურად აძლიერებენ სავარაუდო კავშირს სტრესსა და დაავადებას შორის. ამგვარად, ერთი გაფრთხილება მაინც ძალაში რჩება: თუმცა ზოგჯერ ორ ცვლადს შორის ძლიერი კორელაციური კავშირის აღმოჩენისას თავისთავად ჩნდება სურვილი დაასკვნა მათ შორის მიზეზობრივ მიმართებაზე, რეალურად მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების დადგენა შესაძლებელია ექსპერიმენტული გზით.

ექსპერიმენტული მეთოდი

ერთადერთი საშუალება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მიზეზ-შედეგობრივი მიმართება ორ ცვლადს შორის, არის ექსპერიმენტის ჩატარება. სწორედ ამიტომ ეს მეთოდი მიჩნეულია იდეალურ სტრატეგიად პიროვნებასთან დაკავშირებული ცენტრალური საკითხების საკვლევად.

ექსპერიმენტულ მეთოდს, კლინიკური შემთხვევების შესწავლის მეთოდსა და კორელაციის მეთოდს შორის განსხვავება შემდეგშია. მათგან პირველი, ერთ-ერთი ცვლადის მანიპულირებისა და სხვა საკვლევ ცვლადზე მისი გავლენის დაკვირვების საშუალებას აძლევს მკვლევარს ზედმიწევნითი კონტროლის პირობებში. ცვლადს, რომლის მანიპულირებაც ახდენენ, ეწოდება დამოუკიდებელი ცვლადი. დამოუკიდებელი ცვლადი ესაა გარკვეული პირობა, რომელსაც ექსპერიმენტატორი ხისტორიულად ცვლის, რომ შეაფასოს მისი გავლენა მეორე ცვლადზე. ცვლადი, რომელიც სავარაუდოდ იცვლება დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილების საპასუხოდ, ეწოდება დამოკიდებელი ცვლადი. დამოკიდებელი ცვლადი – ესაა სუბიექტის ქცევის ნებისმიერი ასპექტი, რომელსაც აკვირდებიან ან ზომავენ, როგორც პასუხს დამოუკიდებელი ცვლადის მოქმედებაზე. ამგვარად, დამოკიდებელი ცვლადი დამოუკიდებელი ცვლადის ფუნქციაა – ის "დამოკიდებულია" ცვლილებებზე, რომელიც გამოწვეულია ექსპერიმენტატორის გავლენით დამოუკიდებელ ცვლადზე.

თუმცა ექსპერიმენტული მეთოდის ლოგიკა მარტივია, სინამდვილეში ექსპერიმენტის ჩატარების პროცესი საკმაოდ რთულია. კარგად ორგანიზებულმა ექსპერიმენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს მრავალი ფაქტორი, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ შედეგის სიზუსტეზე და ერთმანეთის მნიშვნელობაზე. პრაქტიკაში ეს ნიშნავს, რომ ყველა ცვლადი და პირობა, (გარდა საკვლევ დამოუკიდებელი ცვლადისა), რომლებსაც შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს იმაზე, რასაც ვზომავთ, გამორიცხული უნდა იყოს ან სტაბილურად ერთ დონეზე უნდა შენარჩუნდეს მთელი ექსპერიმენტის განმავლობაში. გავლენის მომხდენი გარეშე ცვლადების გამორიცხვის მრავალი ხერხი არსებობს, რომელთა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ობიექტების შემთხვევითი წესით განაწილება, მოთავსება სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობებში ან ჯგუფებში.

შემთხვევითი განაწილება, რომელიც მიიღწევა ისეთი გზებით, როგორცაა მონეტის აგდება ავერსი/რევერსის წესით, შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენება იძლევა გარანტიას, რომ

ყველა-ობიექტს თანაბარი შანსი აქვს მოხვედეს ნებისმიერ ექსპერიმენტულ პირობებში ან ჯგუფში ამ შემთხვევაში მკვლევარი შეიძლება იყოს დარწმუნებული, რომ ცდისპირის ნებისმიერ მახასიათებელს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ექსპერიმენტზე (ასაკი, ინტელექტი, ეთნიკური მიკუთვნებულობა ან დაბადების რიგი) აქვს თანაბარი შანსი განაწილებისა სხვადასხვა ექსპერიმენტულ პირობებში ან ჯგუფებში. რანდომიზაცია, როგორც ექსპერიმენტული მეთოდის განმსაზღვრელი მახასიათებელი, ეფუძნება ვარაუდს, რომ ყველა სუბიექტი ექსპერიმენტის დასაწყისში ერთნაირია, გარდა ერთი პარამეტრისა: დამოუკიდებელი ცვლადის არსებობა – არარსებობისა. ამიტომ თუ სუბიექტის ქცევა იცვლება დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილების საპასუხოდ, მკვლევარი შეიძლება იყოს დარწმუნებული, რომ მხოლოდ ისაა პასუხისმგებელი ქცევაში მომხდარ ცვლილებებზე. მას შემდეგ, რაც მკვლევარი შეცვლის დამოუკიდებელ ცვლადს, სუბიექტის დაკვირვებადი ან შესასწავლი ქცევის ნებისმიერი ასპექტი არ შეიძლება იყოს რომელიმე სხვა ცვლადის მოქმედების შედეგი, რადგან არც ერთი სხვა ცვლადი არ დაიშვება ექსპერიმენტის მსვლელობისას.

ექსპერიმენტი თავისი ყველაზე მარტივი სახით მოითხოვს, რომ შედარება ხდებოდეს, სულ მცირე, ორ ჯგუფს შორის. იმ ცდისპირებს, რომლებზეც ახდენენ სპეციალურ ზემოქმედებას (ექსპერიმენტატორის მანიპულაციები), ეწოდება ექსპერიმენტალური ჯგუფი. სხვა ცდისპირები, რომლებზეც არ ახდენენ ამგვარ ზემოქმედებას, ქმნიან საკონტროლო ჯგუფს. შემდეგ ხდება ორივე ჯგუფების სუბიექტების შედარება იმის შესამოწმებლად, მოახდინა თუ არა ექსპერიმენტულმა ზემოქმედებამ რაიმე გავლენა არჩეულ დამოკიდებულ ცვლადზე. საკონტროლო ჯგუფი ამოსავალი წერტილია ექსპერიმენტულ ჯგუფზე სპეციალური ზემოქმედების შედეგების შესადარებლად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ აქვს იმას, რომ ერთადერთი განსხვავება ორ ჯგუფს შორის ეხება ერთი ფაქტორის მოქმედებას და ეს ფაქტორი გამოდის დამოუკიდებელი ცვლადის როლში. ამ მოთხოვნაში მდგომარეობს ექსპერიმენტული მეთოდის ძირითადი ლოგიკა. თუ ორი ჯგუფი იდენტურია ყველა ასპექტით, გარდა დამოუკიდებელი ცვლადის არსებობა-არარსებობისა, ნებისმიერი განსხვავება ჯგუფებს შორის დამოკიდებული ცვლადის მხრივ განპირობებული უნდა იყოს დამოუკიდებელი ცვლადის ცვლილებით, ანუ თუ ორ ჯგუფს შორის არ არის სხვა განსხვავება, გარდა იმისა, რომელიც გამოწვეულია დამოუკიდებელ ცვლადზე მანიპულაციით, აზრიანია დავასკვნათ, რომ დამოუკიდებელი ცვლადის შემოტანა დამოკიდებული ცვლადის ცვლილების მიზეზია.

ექსპერიმენტული მეთოდის საილუსტრაციოდ განვიხილოთ სოციალურ ფსიქოლოგიაში ერთ-ერთი გონებაშეხვედრის ექსპერიმენტის პროცედურა და შედეგები. ფსიქოლოგმა სტენლი შეხტერმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ადამიანები, რომლებიც შიშობენ, რომ უცნობ სიტუაციაში მათ რაიმე მოულოდნელი შეემთხვევათ, მარტო ყოფნას ამჯობინებენ ვინმესთან, თუნდაც, სრულიად უცხო ადამიანთა ერთად ყოფნას. უფრო ზუსტად კი, შეხტერმა ივარაუდა შემდეგი: შფოთვის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ზრდადი სურვილი იყოს ვინმესთან ერთად - ის რასაც უწოდებენ აფილაციის მოთხოვნილებას (ანუ ჯგუფთან მიერთებას). ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად მან მოიწვია უფროსკურსელი გოგონები. როდესაც ისინი მოვიდნენ, მათ მიესალმა თეთრ ხალათში გამოწყობილი ექსპერიმენტატორი, რომელიც გარემოცული იყო მრავალგვარი ელექტრომომწობილობით. მან წარუდგინა მათ თავი, როგორც ფსიქიატრიული კლინიკის ნევროლოგიის განყოფილების ექიმმა, და აუხსნა კვლევის მიზანი – ელექტროდების დარტყმის გავლენის შესწავლა გულის შეკუმშვის სისძირესა და წნევაზე. შემდეგ ყოველ მონაწილეს ინდივიდუალურად აუხსნა, რომ მათ მოუხდებათ ელ. დენის დარტყმის ატანა, რომლის დროსაც გაუზომავდნენ პულსს და წნევას. შფოთვის დონის მანიპულირების მიზნით (დამოუკიდებელი ცვლადი). შეხტერმა გამოიყენა ელექტროდების განმუხტვის მოქმედების ორი სხვადასხვა აღწერა. "მაღალშფოთვიანი" სიტუაციის შესაქმნელად ცდისპირებს მკაცრი, საშიში ტონით აძლევდნენ შემდეგ გაფრთხილებას: "გულწრფელად გეტყვი, რა გელით თქვენ. დენის დარტყმა ძალზე ძლიერი და მტკივნეული იქნება. თქვენ, ალბათ, გესმით, რომ ამგვარ კვლევებში ჩვენ უნდა შევისწავლოთ ყველაფერი, რაც რელაურად დაეხმარება ადამიანს, და ამიტომ უბრალოდ აუცილებელია, რომ დენის დარტყმები ინტენსიური იყოს". ცდისპირთა მეორე ჯგუფს ეუბნებოდნენ, რომ დენის დარტყმები ზომიერი და უმტკივნეულო იქნება. მაგ. აძლევდნენ შემდეგ ახსნას: "არ ავადმყოფოთ სიტყვა "დარტყმა". მე ეჭვი არ მეპარება, რომ ექსპერიმენტი სიამოვნებას მოგანიჭებთ, ეს უფრო მსუბუქ ჩქმეტას ან შედითნებას მოგაგონებთ, ვიდრე რაიმე უსიამოვნოს." სინამდვილეში კი შეხტერის ექსპერიმენტში არავითარი ელექტროდარტყმები არ იყო დაგეგმილი. ინსტრუქცია ემსახურებოდა მხოლოდ შფოთვის სხვადასხვა დონის შექმნას.

მას შემდეგ, რაც ცდისპირებს ინსტრუქციის მეშვეობით შეუქმნიდნენ შფოთვის მდგომარეობას – მაღალს და დაბალს შესაბამისად, ექსპერიმენტატორი ეუბნებოდა, რომ მათ 10 წუთით მოცდა მოუწევდათ, სანამ აპარატურას დაარეგულირებდნენ. შემდეგ მათ უხსნიდნენ, რომ შეეძლოთ დალოდებოდნენ ექსპერიმენტს მეზობელ ოთახში სხვა მონაწილეებთან ერთად და შეეძლოთ

მარტონი ყოფილიყვნეს, ვისაც როგორ უნდოდა ამის შემდგომ ყოველ სტუდენტ გოგონას ეკითხებოდნენ, როგორ ამჯობინებდა ამ 10 წუთის გატარებას – მარტოკა თუ სხვებთან ერთად, თუ მისთვის ეს სულერთია. ესა თუ ის პასუხი წარმოადგენდა დამოკიდებულ ცვლადს, რომელიც შეხტერს აინტერესებდა. როგორც მოსალოდნელი იყო, მაღალი შფოთვის მქონე ცდისპირები უფრო მეტად ამჯობინებდნენ სხვებთან ყოფნას, ვიდრე უფრო დაბალ შფოთვის მქონე ცდისპირები. მათი პროცენტი, ვინც ამჯობინებდა სხვებთან ერთად დალოდებას, ორჯერ უფრო მეტი იყო მაღალ შფოთვიან ჯგუფში, ვიდრე დაბალ შფოთვიანში. ეს კი ნიშნავდა, რომ შფოთვის დონის შეცვლამ გადაამწყვეტი გავლენა იქონია ავილაციურ ქცევაზე.

შემდგომში შეხტერმა მეორე ექსპერიმენტი ჩაატარა, იმ ჰიპოთეზის შესამოწმებლად რომ ადამიანები, რომლებიც შფოთვას განიცდიან, ერთიანდებიან მათთან, ვინც იმავე გრძნობებს განიცდის (Shachter, 1959). ქალების ორ ჯგუფს აძლევდნენ იმავე ინსტრუქციას, როგორსაც წინა ექსპერიმენტში, აძლევდნენ "მაღალ შფოთვიან" ჯგუფს. ერთ-ერთი ჯგუფის ცდისპირებს შეეძლოთ აერჩიათ, ყოფილიყვნენ მარტონი ან სხვა ქალებთან, რომლებიც ექსპერიმენტში. მონაწილეობდნენ. მეორე ჯგუფის ცდისპირებს შეეძლოთ ექსპერიმენტის დაწყებას დალოდებოდნენ მარტოკა ან იმ სტუდენტ გოგონებთან, რომლებიც მასწავლებელთან კონსულტაციაზე იყვნენ მოსული. ქალები, რომლებიც შფოთვას განიცდიდნენ, ექსპერიმენტის დალოდებას სხვა მონაწილეებთან ერთად ამჯობინებდნენ. შეხტერმა დაასკვნა რომ "უბედურების დროს საჭიროა არა უბრალოდ მეგობარი, არამედ უბედურებაში მყოფი მეგობარი". შემდეგმა კვლევებმა დაადასტურა ეს აღმოჩენა: ადამიანები, რომლებიც შფოთვის სიტუაციაში იმყოფებიან, ამჯობინებენ მიუერთდნენ ისეთივე ადამიანებს, როგორებიც თვითონ არიან. (Rofe 1984; Suls, Miller 1977)

ექსპერიმენტული მეთოდის შეფასება

ქვევარეშეა, რომ ექსპერიმენტული მეთოდი უძლიერესი ემპირიული სტრატეგიაა. სხვა მიდგომებისაგან განსხვავებით, ექსპერიმენტული მეთოდი გარკვეული ფენომენების არა მხოლოდ კონტროლის და წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა, არამედ მათი ახსნისა. სადაც არ უნდა გამოიყენებოდეს, ამ მეთოდით შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის მიღება, რომელსაც ვერ მოიპოვებ სხვა მეთოდებით. მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტულ მეთოდს თავისი შეზღუდვები აქვს, ყოველ შემთხვევაში პიროვნების ფსიქოლოგიის სფეროში. ჯერ ერთი, ზოგიერთი პრობლემის შესწავლა ექსპერიმენტული გზით უბრალოდ არაეთიკურია, თუმცა მარტივად განსახორციელებელი. მაგ. ფსიქოლოგებს არ შეუძლიათ განზრახ მოახდინონ ისეთი პირობების მოდელირება, რომლებიც პოტენციურ რისკს წარმოადგენს ცდისპირისთვის (ვთქვათ, რაიმე დაზიანების მიღების). წარმოდგინეთ მკვლევარი, რომელიც დიანტერესებულია ქრონიკული მარტობის გავლენის შესწავლით ბავშვის თვითშეფასებასა და დეპრესიის განვითარებაზე. ცხადია, ეს ემპირიულად მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ ეთიკური მოსაზრებები ხელს უშლის ასი ათწლიანი ბავშვის შეგროვებას, მათგან 50-ის შემთხვევითი წესით შერჩევას და ისეთ ექსპერიმენტულ პირობებში მოთავსებას, სადაც მათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შესაძლებლობა არ ექნებათ. მეორე ეთიკური საკითხი უკავშირდება მოტყუებასა და ეშმაკობებს. ხშირად ცდისპირი შეცდომაში შეჰყავთ ექსპერიმენტის ჭეშმარიტი მიზნის შესახებ, ან ინფორმაციას არ აძლევენ. გაიხსენეთ თუნდაც შეხტერის კვლევა და წარმოიდგინეთ, რას იგრძნობდით, თუ ამ ექსპერიმენტში მიიღებდით მონაწილეობას და "მაღალ შფოთიან" ჯგუფში აღმოჩნდებოდით. თქვენ შეიძლება გაგინდოთ კიდევაც შეკითხვა: გამართლებულია კი მოტყუება, თუნდაც მეცნიერების მიზნებიდან გამომდინარე? ისინი, ვინც ამართლებს ცდისპირთა შეცდომაში შეყვანას, შეგვახსენებენ, რომ ადამიანის ქცევის მრავალი ასპექტის შესწავლა უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა, თუ ექსპერიმენტატორებს აეკრძალებოდათ ცდისპირისაგან კვლევის ჭეშმარიტი მიზნების დამალვა (Aronson 1985; Christensen 1988). მეორე მხრივ, ზოგიერთი ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ სიმართლის დამალვის ამგვარი პრაქტიკა ფსიქოლოგიური კვლევის მიმართ ადამიანის ნდობას ძირს უთხრის და ამას შესაძლებელია შორეული შედეგები მოჰყვეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კვლევის ჭეშმარიტ მიზნებს ცდის დასრულებისთანავე გაუმხელ.

ამერიკულმა ფსიქოლოგიურმა ასოციაციამ (APA) ჩამოაყალიბა რიგი ეთიკური პრინციპებისა, რომლებიც უნდა დაიცვან ფსიქოლოგებმა ადამიანებთან მუშაობისას. მოთხოვნები შეიცავს ოთხ შემდეგ პუნქტს: ცდისპირები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებული კვლევის იმ ასპექტების შესახებ, რომლებზეც სავარაუდოდ დამოკიდებულია მათი სურვილი მონაწილეობა მიიღონ ექსპერიმენტში. აგრეთვე მათ ეძლევათ უფლება უარი თქვან ექსპერიმენტში მონაწილეობაზე ნებისმიერ მომენტში, როცა კი მოინდომებენ. ინდივიდი მონაწილეობს ექსპერიმენტში ნებაყოფლობით და ინფორმირებულია თანხმობის პრინციპის შესაბამისად.

2 - ცდისპირები არ უნდა მონაწილეობდნენ მათი ჯანმრთელობისათვის დამლუპველ ან საშიშ კვლევით პროცედურებში. თუ რისკი მაინც არსებობს, მკვლევარმა უნდა მიაწოდოს მათ ეს ინფორმაცია, მაგრამ პროცედურები, რომლებიც შეიცავს ზომიერი ფსიქოლოგიური

დისკომფორტის, რისკს, დახაშვებია, თუ ცდისპირი სრულადაა მის შესახებ ინფორმირებული და ნებაყოფლობით იძლევა თანხმობას.

3 - კვლევის მიმართ მეთოდოლოგიური მოთხოვნები შესაძლებელია შეიცავდეს ცრუ ახსნას, რომელიც ცდისპირის ჯანმრთელობის რისკთან არაა დაკავშირებული. ამ შემთხვევაში მკვლევარი პასუხისმგებელია, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება, აუხსნას ცდისპირს ნებისმიერი რამ, რაც მასში გაურკვეველობას წარმოშობს. ტყუილი (დამალული ინსტრუქცია) უნდა იყოს გახსნილი პირველივე შეხვედრაზე კვლევის დასრულების შემდეგ.

4. - ცდისპირის შესახებ ინფორმაცია უნდა განიხილებოდეს, როგორც აბსოლუტურად კონფიდენციალური მთელი კვლევის განმავლობაში. მას არავის უმხელენ ცდისპირის თანხმობის გარეშე. ცდისპირის უფლება კონფიდენციალურობაზე არ უნდა იქცეს ხელყოფის ან კომპრომისის ობიექტად.

ექსპ. სტრატეგიის მეორე, არსებით შეზღუდვად პერსონოლოგები მიიჩნევენ იმას, რომ ექსპერიმენტი ძალზე ხშირად ხელშეშობს. მისი შედეგების ექსტრაპოლირება არ ხდება სხვა პირობებზე თუ სიტუაციაზე. ისინი აკრიტიკებენ იმ გარემოებას, რომ რადგან ექსპერიმენტი ტარდება ლაბორატორიულ პირობებში, ცდისპირთა ქცევის აღწერა არ გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ იქცევიან ისინი რეალურ ცხოვრებისეულ გარემოებებში. ამასთან, ლაბორატორიული ქცევა; ჩვეულებრივ, შეზღუდულია საკმაოდ მოკლებნიანი ფენომენების შესწავლით და ამიტომ დიდია იმის ალბათობა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი პროცესები მეცნიერთა მხედველობის არეს მიღმა დარჩება. ამიტომ ბევრი პერსონოლოგისათვის ერთადერთი გზა პიროვნების რეალური გაგებისა მდგომარეობს ადამიანთა ქცევის შესწავლაში იმ სახით, როგორც ის ვლინდება ბუნებრივ სოციალურ კონტექსტში.

და ბოლოს, კონტროლის ყოველგვარი შესაძლებლობის მიუხედავად ექსპერიმენტულმა კვლევამ შესაძლოა დაუშვას გარკვეული უნებლიე არტეფაქტები, რომლებიც საზოგადოდ დამახასიათებელია ლაბორატორიული პირობებისათვის. მაგ. როგორც კი ადამიანები გაივებენ, რომ ექსპერიმენტულ პირობებში არიან, მათი ქცევა შეიძლება შეიცვალოს არა დამოუკიდებელი ცვლადის გავლენით, არამედ იმიტომ, რომ იციან იმის შესახებ, რომ ექსპერიმენტატორი მათ აკვირდება. გარდა ამისა, სულ მცირე მინიშნებებამაც კი, რომლებიც ცდისპირმა შეიძლება ამოიკითხოს ექსპერიმენტის პირობებში, შესაძლოა უბიძგოს მას მიაწეროს ექსპერიმენტატორს გარკვეული პიპოთეზა და დაიწყოს ამ პიპოთეზის დამადასტურებელი ან უარყოფელი გეგმის განხორციელება. ამგვარ მინიშნებებს უწოდებენ მოთხოვნილ მახასიათებლებს. ამ უკანასკნელის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი თავისთავად სპეციალური ურთიერთქმედების ფორმას წარმოადგენს, რომლის დროსაც სუბიექტები ცდილობენ ჩაწვდნენ მათზე ჩატარებელი კვლევების მიზანსა და აზრს. ამასთან ერთად ისინი იწყებენ შესაბამისად მოქმედებას, რათა გაამართლონ ან, პირიქით, შეეწინააღმდეგონ ექსპერიმენტატორის მოლოდინებს. ეს გარემოება, ცხადია, ამცირებს ექსპერიმენტული მეთოდის სანდოობას, რადგან ინდივიდის ქცევაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფაქტორებმა, რომლებიც ექსპერიმენტის მიზნებში არ შედის. და ბოლოს ექსპერიმენტატორის მიკერძოებული ან წინასწარ განწყობილი დამოკიდებულება შესაძლოა გახდეს შეცდომების წყარო კვლევაში, რადგან ის უნებლიედ მოახდენს გავლენას ცდისპირთა ქცევაზე. როზენტალმა ჩაატარა რამდენიმე კვლევა, რომლებმაც ჩვენა რომ ექსპერიმენტატორები გაუცნობიერებლად უგზავნიან ცდისპირს დადებით არაკვლავურ სიგნალებს იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მკვლევარის მოლოდინის შესაბამისად მოქმედებდნენ. ამგვარი გავლენის თავიდან აცილების მიზნით ამჟამად მრავალი შრომა ტარდება ორმაგი, ბრმა მეთოდით, როდესაც ექსპერიმენტატორებმა არ იციან, რომელი ჯგუფი ფასდება მოცემულ მომენტში - ექსპერიმენტული თუ საკონტროლო.

კვლევის ძირითადი სტრატეგიის განხილვა, რომლებსაც პერსონოლოგები იყენებენ, გვიჩვენებს, რომ ყოველივე მათგანს აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლი. ამავე დროს აშკარაა, რომ არ არსებობს კვლევის ერთადერთი მეთოდი, რომელიც იდეალური იქნებოდა ყოველი შემთხვევისა და საკითხის საკვლევად. სხვადასხვა საკითხი მოითხოვს გადაწყვეტის სხვადასხვა სტრატეგიას. ამასთანავე მეთოდი, რომელიც გამოსადგება რომელიმე საკითხის საკვლევად, შესაძლოა აღმოჩნდეს სრულიად გამოუსადეგარი სხვა საკითხისათვის.

ამა თუ იმ თეორიული საკითხის გადასაწყვეტად რელევანტური მეთოდის შერჩევა და ადაპტაცია მოითხოვს დიდ ოსტატობას და შემოქმედებითობას. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ პერსონოლოგებს აქვთ თავიანთი სიმპათიები, წარმოდგენები, თუ როგორ უნდა იკვლიონ მათთვის საინტერესო ფენომენი. ეს სიმპათიები დიდწილად განპირობებულია იმით, რომ სხვადასხვა თეორიული მიმართულება, ჩვეულებრივ, ფოკუსირდება ფენომენებზე, რომელთა შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული სტრატეგიის გამოყენებით. ასე, მაგალითად, არაა გასაკვირი, რომ მოვლენები, რომლებიც ფსიქოდინამიკური მიმართულების ყურადღების ცენტრშია (როგორცაა არაცნობიერი პროცესები ან ადრეული ბავშვობის განცდები) ძირითადად

~~შეისწავლეთ~~ კლინიკური შემთხვევის მეთოდით და არა მეცნიერული ექსპერიმენტის გზით. თავის მხრივ, კავშირი თეორიის ცენტრალურ საკითხებსა და მათი შესწავლის უპირატეს მეთოდებს შორის გულისხმობს, რომ კვლევის არჩევა პერსონოლოგიაში განპირობებულია მეცნიერის ინდივიდუალური შემოქმედებითი მისწრაფებებით. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ თუმცა პიროვნების კვლევის მიზანია ისეთი ფაქტებისა და კანონზომიერებების დადგენა, რომელთა გააზრება ფართო თეორიულ კონტექსტებშია შესაძლებელი, ალბათ, ყველაზე მეტი, რისი მიღწევაც შეგვიძლია, ესაა მხოლოდ ნაწილობრივი წვდომა. მიუხედავად ამისა, ადამიანის ქცევის რთული ბუნების თუნდაც ნაწილობრივი გაგება, სრული უცოდინარობის ნაცვლად, საკმაოდ მისასაღმებელი მიზანია.

პიროვნების შეფასება

პიროვნების შესწავლის გავრცელებულ თემას წარმოადგენს ინდივიდუალური განსხვავებები ადამიანთა ქცევასა და გამოცდილებაში. ინდივიდუალური განსხვავებების კვლევისას პერსონოლოგებს საქმე აქვთ ორ ურთიერთ დაკავშირებულ პრობლემასთან.

ჯერ ერთი ისინი დაინტერესებული არიან მრავალი პარამეტრის აღწერით, რომლებითაც ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამას ადასტურდებს იმ თეორიული კონცეფციების დიდი რაოდენობა, რომლებსაც პერსონოლოგები ინდივიდუალური განსხვავებების აღსაწერად იყენებენ.

ისეთი ტერმინები, როგორებიცაა ნიშანი, ტიპი, მოტივი, ღირებულება, ტემპერამენტი, ხასიათი, რწმენა, ფაქტორი, წარმოადგენს გაზომვის კონცეპტუალური ერთეულების ნაკრებს, რომლებიც გამოიყენებოდა ადამიანის ქცევის სტაბილური ასპექტების აღსაწერად. მეორე, პერსონოლოგები დაინტერესებულნი არიან ინდივიდუალური განსხვავებების გაზომვის, ანუ მათი შეფასების საშუალებების შემდგომი განვითარებით. ამ მეორე საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს ფსიქოლოგიური ტესტების ის უზარმაზარი რაოდენობა, რომლებსაც ფსიქოლოგები იყენებენ ინდივიდის მახასიათებლების რაოდენობრივი შეფასებისთვის, მათ შორის, პიროვნების გრძობებისა და მოტივაციის. რაოდენობრივი ინტერპრეტაცია ამ დროს იმგვარად ხდება, რომ ფსიქოლოგებს საშუალება ჰქონდეთ მათ მიერ ჩატარებული გაზომვის შედეგები უფრო რიცხვების სახით (ჩვეულებრივ, ტესტური შეფასების საფუძველზე) წარმოადგინონ, ვიდრე სიტყვებით. მაგ. იმის ნაცვლად რომ იკითხონ "ფრედი მორცხვი ადამიანია?" ფსიქოლოგები კითხულობენ "რამდენადაა ფრედი უფრო მორცხვი, ვიდრე სხვები?" არაპროფესიონალების მიერ არასისტემატიზირებული დაკვირვების საფუძველზე გაკეთებული პიროვნების აღწერა თავისი ბუნდოვანებით და განუსაზღვრელობით მკვეთრად განსხვავდება ფსიქოლოგების მიერ მოცემულ შეფასებებისაგან. მაგ: რას ნიშნავს, როდესაც ვინმეს ახასიათებენ, როგორც "თამამ და დაუდგრომელ ტიპს?" პრობლემა აქ იმაშია, რომ სხვადასხვა ადამიანი განსხვავებულ შინაარსს/აზრს დებს ამ დახასიათებაში. ვიდაცისათვის ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ის შეიძლება იყოს თავხედი, ცვალებადი და არასაიმედო ადამიანი, ხოლო ვოდაცისათვის – რისიკიანი და ინიციატივიანი, სიახლის მაძიებელი ადამიანი.

ამგვარი არაზუსტი, არაერთმნიშვნელოვანი დახასიათებებისგან თავის დასაღწევად პერსონოლოგები ცდილობენ ინდივიდის ზუსტი რაოდენობრივი აღწერები წარმოადგინონ.

~~პიროვნების ფორმალური შეფასება არა მხოლოდ უზრუნველყოფს ინდივიდუალური განსხვავებების შესახებ მნიშვნელოვანი და ზუსტი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, არამედ გარეთვე ამ ინფორმაციის ადამიანებისათვის მიწოდებას მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული სახით.~~

ტესტირების კონცეფციები და გაზომვები

არსებობს ტესტირების მრავალი მნიშვნელოვანი კონცეფცია. მაგრამ, სანამ ტესტირების ესა თუ ის საშუალება მოიპოვებს უფლებას, რომ მას უწოდონ ინდივიდუალური განსხვავებების გაზომვის მეცნიერულად გამართული და მისაღებ მეთოდი, მან ოთხი სპეციალური კრიტერიუმით უნდა გაიაროს შემოწმება. ეს კრიტერიუმებია – სტანდარტიზაცია, ნორმები, სანდოობა და ვალიდობა.

სტანდარტიზაცია

პიროვნული მახასიათებლების გაზომვის საკვანძო ასპექტია სტანდარტიზაცია, რაც გულისხმობს ტესტის ჩატარებისა და მისი შედეგების დათვლის პროცედურების ერთგვაროვნებას. მაგ., თვითშეფასების სკალების გამოყენებისას, ექსპერიმენტატორმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა და დარწმუნდეს, რომ ყველა ცდისპირმა წაიკითხა და გაიგო ინსტრუქცია, ყველა პასუხობს ერთიდაიმავე შეკითხვაზე და ეტყვიან ამისთვის გამოყოფილ დროში. სტანდარტიზაცია აგრეთვე ითვალისწინებს შემდეგი ინფორმაციის არსებობას (რომელიც მოცემულია თანდართულ სახელმძღვანელოში): როგორ პირობებში შესაძლებელია და არ შეიძლება ტესტის ჩატარება; ვის

უხდა. და ვის ათ უხდა იაუტარდეს ტესტირება; ტესტის შედეგების დათვლის პროცედურა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია.

ნორმები

პიროვნული ტესტის სტანდარტიზაცია აგრეთვე შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, არის თუ არა მოცემული კონკრეტული "ნედლი" (პირველადი) შეფასება დაბალი, მაღალი თუ საშუალო ტესტის სხვა "ნედლ შეფასებებთან" მიმართებაში. ამგვარი ინფორმაცია, რომელსაც ეწოდება ტესტური ნორმა, გამოიყენება სტანდარტად და მას უდარებენ ცდისპირთა შეფასებებს. ჩვეულებრივ, ნედლი ტესტური შეფასებები გადაჰყავთ პროცენტულ მანკენებლებში, რომლებიც გვიჩვენებს ცდისპირთა პროცენტულ წილს სტანდარტიზაციის შერჩევიდან, რომელთა პირველადი შეფასება უფრო დაბალია ან ტოლია ამ ცდისპირის პირველადი შეფასებისა. მაგ. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ დეპრესიის სკალა, რომელიც 30 კითხვისგან შედგება და მიიღოთ პირველადი ტესტური შედეგი 18, ანუ თქვენი პასუხები 18 შემთხვევაში დაემთხვევა დეპრესიის ნიშნებს, რომლებიც ჩამოთვლილია პასუხების ფურცლებზე. თავისთავად 18-ს ტოლი მანკენებელი არაფერს ნიშნავს მანამ, სანამ თქვენ არ მიმართავთ ტესტურ ნორმებს და არ დარწმუნდებით, რომ თქვენი შედეგი შეესაბამება 75 პროცენტულს. ეს ინფორმაცია ნიშნავს, რომ თქვენ უფრო დათრგუნული ხართ, ვიდრე 75% ადამიანებისა ნორმალური ჯგუფის შერჩევიდან.

ამგვარად, ტესტური ნორმები საშუალებას იძლევა შევადაროთ ცალკეული ინდივიდების შეფასებები სტანდარტიზაციის ჯგუფის შეფასებებთან, რაც შედეგად გვაძლევს ცდისპირის ადვილის რაოდენობრივ შეფასებას ნორმატიულ ჯგუფთან მიმართებაში. პიროვნების შეფასების მეთოდების მიმართ არსებული მეორე მოთხოვნაა სანდლობა. ეს გულისხმობს, რომ იმავე ტესტის ან მისი მეორე ვერსიის (ფორმის) ხელმეორედ ჩატარება უნდა გვაძლევდეს მსგავს შედეგებს. ანუ სანდლობა დაკავშირებულია შეფასების მეთოდის მუდმივობასა ანუ სტაბილობასთან, რაც აღამაინათა მოცემული ჯგუფის ხელმეორედ შემოწმებისას ვლინდება. რაოდენობრივად შეფასების მეთოდის მუდმივობა განისაზღვრება რეტესტული სანდლობის კოეფიციენტით. რეტესტული სანდლობის კოეფიციენტი ტოლია შედეგებს შორის ჩვეულებრივი კორელაციისა, რომელიც მიღებულია ერთი და იმავე ცდისპირთან ტესტის ორჯერ ჩატარებისას. რეტესტული სანდლობა გვაძლევს ტესტის დროში მუდმივობის შეფასებას. თუმცა არ არსებობს სანდლობის მისაღები დონის რაიმე ფიქსირებული სიდიდეები, სანდლობის კოეფიციენტები სტანდარტიზებული ფსიქოლოგიური ტესტების უმრავლესობისთვის +0,70-ზე მაღალი უნდა იყოს. რაც უფრო ახლოსაა სანდლობის კოეფიციენტი + 1-თან, მით უფრო სანდოა ტესტი. ანუ ცდისპირთა შეფასებები ხელმეორედ ტესტირებისას უახლოვდება შეფასებებს, რომლებიც მიღებულია პირველი ტესტირებისას.

სანდლობის მეორე სახეა ტესტის შინაგანი შეთანხმებულობის შემოწმება. ტესტი იყოფა ორ ურთიერთ შედარებად ნაწილად. (მაგ. ლუწი და კენტი პუნქტების მიხედვით), შემდეგ ყოველი ნაწილისთვის ითვლიან ჯამურ ქულას და ჯამური ქულების ორ რიგს შორის ახდენენ კორელირებას. (ორივე ნაწილს ერთი და იმავე ცდისპირთა ჯგუფზე ატარებენ). ამ გზით დგინდება შინაგანი შეთანხმებულობის კოეფიციენტი. შინაგანი შეთანხმებულობა ასახავს ტესტის შინაგან მუდმივობას. თუ ტესტის ორივე ნაწილი ზომავს პიროვნების ერთ და იმავე თვისებებს, ცდისპირებმა, რომლებიც მაღალ შეფასებას მიიღებენ ლუწი პუნქტებში, აგრეთვე უნდა მიიღონ მაღალი შეფასებები კენტ პუნქტების მიხედვით. ხოლო ვინც მიიღო დაბალი ლუწებში აგრეთვე უნდა მიიღოს დაბალი კენტ პუნქტებში (რაც ასევე აისახება მაღალ დადებით კორელაციაში)

სანდლობის მესამე ტიპი ემყარება ცდისპირთა ერთი და იმავე ჯგუფზე ერთი ტესტის ორი ვარიანტის ჩატარებას. თუ ტესტის ამ ორი ფორმის საფუძველზე მიღებულია დაახლოებით ერთნაირი შეფასებები, ტესტს აქვს პარალელური (ანუ მიმდინარე) სანდლობა. ამ შემთხვევაში დადებითი კორელაცია ორი ურთიერთჩანაცვლებადი ფორმების შედეგებს შორის ნიშნავს, რომ ორივე ვარიანტის პუნქტები ერთი და იმავეს ზომავს.

და ბოლოს, სანდლობა ეხება აგრეთვე იმას, რამდენად შეთანხმებულია, ემთხვევა ერთმანეთს ორი ან მეტი ექსპერტის შეფასებები ერთი და იმავე ტესტის შედეგების დათვლისას. სუბიექტური შეფასებების სანდლობა აუცილებლად უნდა იყოს შემოწმებული, როდესაც ტესტი ითვალისწინებს სუბიექტურ ინტერპრეტაციებს, რომლებიც, მაგ., პროექციული ტესტების შეფასებისას გვაქვს. სანდლობის ამ ტიპს აქვს განსაკუთრებით დაბალი მნიშვნელობები ნებისმიერი თვისებრივი მეთოდის შემთხვევაში, როგორცაა ინტერვიუ, სიზმრების ანალიზი თუ თავისუფალი პასუხების სხვა ფორმა, რომლებიც რაოდენობრივად ვერ შედარდება, მაგრამ შეთანხმებულობა იზრდება, თუ ექსპერტები სარგებლობენ ერთი და იმავე სახელმძღვანელოებით, რომლებიც შეიცავს მკაფიო წესებს ამგვარი მონაცემების შესაფასებლად.

ვალიდობა

თუმცა სახელობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, ის არ არის ტესტის გამოსადგობის შეფასების ერთადერთი გადამწყვეტი კრიტერიუმი. შესაძლებელია კიდევაც, რომ უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, ზომავს თუ არა ტესტი სწორად იმას, რის გასაზომადაა შექმნილი და შეუძლია თუ არა მას იმის წინასწარმეტყველება, რისი წინასწარმეტყველება იყო ნავარაუდები მისი შედეგებით. ეს პრობლემა დაკავშირებულია შესაფასებელი ტექნიკის ღირსების კარდინალურ კრიტერიუმთან – ვალიდობასთან. ფსიქოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ვალიდობის 3 სახეს. 1 შინაარსობრივი 2 კრიტერიული 3 კონსტრუქტული ვალიდობა. შინაარსობრივი ვალიდობა. ტესტი ვალიდურად ჩაითვლება, თუ ის შეიცავს ისეთ პუნქტებს, რომელთა შინაარსი შეესაბამება ქცევის იმ შესასწავლი სფეროს რეპრეზენტაციულ შერჩევას. დაუშვათ ჩვენს წინაშე სიმორცხვის გასაზომი ტესტი. შინაარსით ვალიდური რომ იყოს, ის უნდა შედეგობდეს შეკითხვებისაგან, რომლებიც ნამდვილად გამოკვეთს სიმორცხვის პიროვნულ ასპექტებს (მაგ. "შეიძლება ითქვას რომ სიმორცხვე თქვენი პიროვნული დისკომფორტის მთავარი წყაროა?") სოციალურ ასპექტებს (უხერხულობას განიცდით, როცა დიდი აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოდისართ?), კოგნიტური ასპექტები ("დარწმუნებლი ხართ რომ ირგვლივ მყოფნი თქვენ გვიცხავენ?"). შინაარსობრივად ვალიდური ტესტი უნდა აფასებდეს ყოველ ცომპონენტს, რომელსაც "სიმორცხვის" ცნება მოიცავს. შინაარსობრივი ვალიდობა თითქმის ყოველთვის განისაზღვრება ექსპერტთა შეთანხმების საფუძველზე იმასთან დაკავშირებით, რომ ტესტის ყოველი პუნქტი ფაქტიურად ასახავს გასაზომი ცვლადის ანუ პიროვნული თვისების ასპექტებს. კრიტერიული ვალიდობა პიროვნების შეფასება ხდება ინდივიდის ქცევის გარკვეული წარმატებას, თერაპიული პროგრამის ეფექტურობას, პროფესიულ წარმატებას და ბევრ სხვა რამეს. ის თუ რა სიზუსტით შესაძლებელია ტესტის შედეგების საფუძველზე ვიწინასწარმეტყველოთ ინდივიდის ქცევის ჩვენთვის საინტერესო ასპექტები აწმყოსა თუ მომავალში, განისაზღვრება სუბიექტის ტესტური შეფასების კორელაციით გარკვეული კრიტერიუმის მაჩვენებელთან. მაგ. თუ კრიტერიუმი - აკადემიური მოსწრება კოლეჯში იზომება ყველა საგანში მიღებული ნიშნების საშუალო არითმეტიკულით, მაშინ SAT (ეს ეი თი) მიჩნეული იქნება ვალიდურად, თუ ის ზუსტად იწინასწარმეტყველებს მოსწრების საშუალო ქულას. განარჩევენ კრიტერიული ვალიდობის 2 ქვეტიპს. ერთ-ერთს ეწოდება პროგნოსტული ვალიდობა. პროგნოსტული ვალიდობა განისაზღვრება ტესტის უნარით იწინასწარმეტყველოს ქცევა მომავალში კრიტერიუმის შესაბამისად. ინტელექტის გასაზომი ტესტი პროგნოსტულად ვალიდურია, თუ ის ზუსტად წინასწარმეტყველებს შეფასებებს სკოლაში. მეორე ქვეტიპია ეწ მიმდინარე (პარალელური) ვალიდობა. მიმდინარე ვალიდობა განისაზღვრება მოცემული ტესტის შედეგების მნიშვნელოვანი კორელაციის სიდიდით სხვა არსებულ კრიტერიულ შეფასებებთან. მაგ. თუ პაციენტის შეფასებები ტესტში, რომელიც ზომავს პარანოიდულ ტენდენციებს, დადებითად კორელირებს პარანოიდული ტენდენციების გამოსახულების შეფასებებთან, რომელიც კლინიკური ფსიქოლოგების მიერ არის მოცემული, ჩვენ შეგვიძლია მიმდინარე ვალიდობაზე ვისაუბროთ.

კონსტრუქტული ვალიდობა.

ვალიდობის შესაძენ ტიპს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია პიროვნების, როგორც მთელის შესაფასებლად კონსტრუქტული ვალიდობა ეწოდება. ის ასახავს საკვლევი ფსიქოლოგიური კონსტრუქტის რეპრეზენტაციის ხარისხს ტესტის შედეგებში (ჩრომბაცკი, მეილდ 1953). მრავალი ფსიქოლოგიური კონსტრუქტის აბსტრაქტული ბუნება, როგორცაა თვითაქტუალიზაცია, ეგო-იდენტურობა, სოციალური ინტერესი და განდევნა ართულებს ტესტირებას და გაურკვეველობას სძენს შედეგებს. ვალიდიზაციის ერთ-ერთი გზა მდგომარეობს საკვლევი კონსტრუქტის ტესტურ შეფასებებსა და მეორე ტესტის მაჩვენებლებს შორის კორელაციის დადგენაში, რომელიც სავარაუდოდ იმავე კონსტრუქტებს ზომავს. ამ პროცედურას პრაქტიკაში უწოდებენ კონვერგენტულ ვალიდიზაციას (Campbell, Fish 1959). დაუშვათ, ჩვენს წინაშეა ახალი ტესტი, რომელიც ჩვენი აზრით ზომავს თვითშეფასების კონსტრუქტს. თუ ეს ახალი ტესტი ნამდვილად ზომავს თვითშეფასებას, ის დადებითად უნდა კორელირებდეს თვითშეფასების გაზომვის სხვა პროცედურასთან, რომელიც ვალიდურია და კარგად მუშაობს. თუ თვითშეფასების რამდენიმე სხვადასხვა გაზომვის შედეგები ეთანხმება ერთმანეთს და ახალ ტესტს, ჩვენ გვაქვს თვითშეფასების ახალი ტესტის სტრუქტურული ვალიდობის გარკვეული დასაბუთება.

კონსტრუქტული ვალიდობის დადგენის მეორე გზაა იმის ჩვენება, რომ გაზომვის ახალი პროცედურა არ კორელირებს მაჩვენებლებთან, რომელთა გასაზომად ეს პროცედურა არაა შექმნილი, რომლებიც აშკარად არაა დაკავშირებული თეორეტიკოსის მიერ მოცემულ კონცეპტუალურ განსაზღვრებებთან. ვალიდიზაციის ეს ასპექტი ცნობილია სამუშაო

სახელწოდებით დივირგენტული ვალიდობა. მაგ. თუ თვითშეფასების ჩვენი ახალი ტესტი არ კორელირებს სხვა ტესტების მნიშვნელობებთან, რომლებიც შექმნილია მოცემული თვისებებისაგან კონცეპტუალურად განსხვავებული მახასიათებლების გასაზომად, ჩვენ ვიღებთ დისკრიმინანტული ვალიდობის დასაბუთებას, (რადგან თვითშეფასების გაზომვის ჩვენი პროცედურა განსხვავდება იმისაგან, რაც ზომავს არა თვითშეფასებას, არამედ სხვა რამეს, ეს ასეც უნდა იყოს). ესაა შეფასებითი პროცედურის კონსტრუქტული ვალიდობის დადგენის მნიშვნელოვანი ეტაპი. უნდა გვახსოვდეს, რომ შეფასების ნებისმიერი მეთოდის ღირსება საბოლოო ჯამში განისაზღვრება მისი კონსტრუქტული ვალიდობით. თუ მოცემულ მეთოდიკას არ აქვს კონსტრუქტული ვალიდობის ნიშნები, მისი გამოყენებისას ჩვენ შეიძლება მივიღოთ შედეგები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო გასაზომ კონცეფციასთან.

შეფასების მეთოდების ტიპები
პერსონოლოგები ადამიანის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად იყენებენ შეფასების მრავალგვარ მეთოდს. მათ მიეკუთვნება კითხვარები, მეტნის ლაქების მეთოდები, პირადი საბუთები, ქცევის შეფასების პროცედურები, დახასიათებები. ყველა მეთოდს თავისი უპირატესობა და ნაკლი აქვს პასუხების მიღების ხერხებთან, მონაცემთა დათვლასა და ინტერპრეტაციასთან, სწნდლობასა და ვალიდობასთან დაკავშირებით.

აქ განვიხილავთ პიროვნების შეფასების სამ მიმართულებას:

ინტერვიუ როგორც შეფასების მეთოდი

ინტერვიუ ადამიანების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ძველი და ფართოდ გავრცელებული მეთოდია. ინტერვიუს დროს პერსონოლოგი იღებს ინფორმაციას რესპონდენტისთვის კითხვების დასმისა და პასუხების მიღების საშუალებით. უშუალოდ ინტერვიუერს და რესპონდენტს შორის იმართება დიალოგი გარკვეული მიზნის მისაღწევად. თავად ინტერვიუს ჩატარების ფორმაც დამოკიდებულია შესასწავლ კონკრეტულ თემასა და მიზანზე. მაგ. ინტერვიუ სამუშაოზე მიღებისას მიზნად ისახავს პიროვნების თავისებურებათა შესწავლას, რომლებიც საჭიროა მოცემული საქმიანობისათვის. ინტერვიუ როგორც მეცნიერული კვლევის მეთოდი მიმართულია პიროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე კვლევის გარკვეული თემის ფარგლებში. კლინიკური ინტერვიუ მიზნად ისახავს პაციენტის პრობლემის დიაგნოსტიკას და თერაპიის შერჩევას, რომელიც ყველაზე ადეკვატურია გამოვლენილი დიაგნოზისათვის. ინტერვიუ მათი მრავალფეროვნების მიუხედავად შესაძლებელია დავეთოთ ორ ძირითად კატეგორიად: სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული. პირველი ტიპის ინტერვიუში შეკითხვები ზუსტადაა ფორმულირებული და გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული. სტრუქტურირებული ინტერვიუს სქემა ილუსტრირებულია მაგალითად წინასწარ ჩამოყალიბებული შეკითხვების შემდეგი თანმიმდევრობით: "რამდენი ხანია რაც დაქორწინებული ხართ?", "რამდენი შვილი გყავთ თქვენ და თქვენს მეუღლეს?", "მიგანით თუ არა, რომ ბავშვებს ყველაფრის კეთების უფლება აქვთ რასაც მოსურვებენ?", "თქვენ რომ გყავდეთ მოზარდი შვილი, მისცემდით თუ არა მას უფლებას მიატოვოს სწავლა და არასრული დღის განრიგი წავიდეს სამუშაოდ?". ადვილი შესამჩნევია, რომ ყველაზე პირადული და საფრთხის შემცველი შეკითხვები ბოლოს არის დასმული. სტრატეგიის არსი, რომელიც გულისხმობს ჯერ ზოგადი და უწყინარი შეკითხვების დასმას ნიადაგის მოზადებაში, უფრო ინტიმური ინფორმაციის მისაღებად, რაც შესაძლებელია ინტერვიუერის მიმართ ნდობის გაჩენისას ინტერვიუს დასაწყისში. არასტრუქტურირებულ ინტერვიუებში, პირიქით შეკითხვები ისეა აგებული, რომ რესპონდენტებს გარკვეული თავისუფლება ჰქონდეთ პასუხებში. ინტერვიუერმა შეიძლება შენიშნოს: "თქვენ გრძნობთ რომ მეუღლე ნამდვილად გაქცირებთ" ან "ეს ალბათ ძალზე რთული განცდება", რესპონდენტი თვითონ ირჩევს რა სურს უპასუხოს ამგვარ შეკითხვებს. თავის მხრივ ინტერვიუერმა ამ შემთხვევაში შესაძლებელია უარი თქვას გამოკითხვის წინასწარ დაგეგმილ პრაქტიკაზე თუ მას მიაჩნია, რომ ის არ იძლევა სასარგებლო ინფორმაციას და აირჩიოს საუბრის სხვა მიმართულება. სტრუქტურირებულ ინტერვიუსთან შედარებით არასტრუქტურირებული საშუალებას აძლევს პერსონოლოგს უფრო მოქნილად მოახდინოს რესპონდენტის აზრებისა და გრძნობების ზონდირება მიღებული პასუხების კონტექსტში.

ინტერვიუს მეთოდის სიძლიერე და სისუსტე

ინტერვიუს, თუ მას გამოცდილი ინტერვიუერი ატარებს, შეუძლია ძალზე სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება ინდივიდის პიროვნებასა და მისი ცხოვრებისეული სიტუაციის შესახებ. სხვებთან უფექტური ურთიერთობის უნარი, საკუთარი თავისა და მნიშვნელოვანი სხვების აღქმა, შფოთვის დონე სამომავლო გეგმები და სამუშაოთი კმაყოფილება- ესაა ზოგიერთი მაგალითი იმ ინფორმაციისა, რომლის მიღებაც შესაძლებელი კარგად ჩატარებული ინტერვიუს შედეგად. კარგად დაგეგმილი ინტერვიუ შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მეცნიერული ჰიპოთეზების

დან (ძალიან მგავს-მე) - 6 მდე (სრულიად არ მგავს მე) და ა.შ. მსგავსად ამისა შეფასების პროცედურების სტანდარტიზაცია ახდენს შემფასებელთა პიროვნული გავლენის მინიმიზაციას. თვითანგარიშის კითხვარები ერთმანეთისგან განსხვავდებიან პიროვნული მახასიათებლების რაოდენობით, რომლებიც ერთდროულად იზომება. ტესტები, რომლებიც ერთი რომელიმე პიროვნული ნიშნის შესაფასებლად არის შექმნილი (ერთგანზომილებიანი ტესტები), ჩვეულებრივ, იქმნება და გამოიყენება პიროვნების რომელიმე კონკრეტული ასპექტის შესაფასებლად. ტესტის ჩატარების შემდეგ მკვლევარები ამოწმებენ, განსხვავდებიან თუ არა ცდისპირები დაბალი და მაღალი ქულებით. რომლებსაც გასაზომ პარამეტრზე მიღებული აქვთ დაბალი და მაღალი ქულები, აგრეთვე ქცევითი მახასიათებლებით და სხვა პარამეტრებითაც, რომლებიც აგრეთვე დგინდება თვითშეფასების მეთოდებით. მოცემული მეთოდოლოგია გულისხმობს, რომ გასაზომი პიროვნული ნიშანი თანაბრად აქვს ყველა ინდივიდს. ანუ კვლევაში მონაწილე ნებისმიერმა ინდივიდმა შესაძლებელია მიიღოს მაღალი, საშუალო ან დაბალი შეფასება, ამასთან ცდისპირის შეფასება ერთნაირად მნიშვნელოვანი იქნება; რადგან ახსნავს ყოველი მათგანის პიროვნულ თავისებურებებს, ზოგიერთი ერთგანზომილებიანი ტესტი ორი ერთგანზომილებიანი ტესტების მაგალითებია სპილბერგერის პიროვნული და სიტუაციური შფოთვის კითხვარი (Spielberger at al., 1970), ჯულიან როტერის "კონტროლის ლოკუსის სკალა" (Rotter, 1966); სნაიდერის თვითკონტროლის სკალა (Snyder, 1974) და ა.შ. ამ ტესტებით მდებარე შეფასებები სავარაუდოდ ასახავს შედარებით სტაბილურ ინდივიდუალურ განსხვავებებს პიროვნების ცალკეული ნიშნების გამოხატულების ხარისხის მხრივ. არსებობს აგრეთვე თვითანგარიშზე დამყარებული მრავალი კითხვარი; რომლებიც ერთდროულად რამდენიმე პიროვნულ მახასიათებელს ზომავს. მრავალგანზომილებიანი ტესტების უპირატესობა იმაშია, რომ ისინი იყენებენ კლინიკურ კვლევებში, კონსულტირების პრაქტიკასა და დაწესებულების პერსონალის შერჩევისას. მაგ., რაიმონდ კეტელის 16-ფაქტორიანი პიროვნული კითხვარი (Cattell, 1965) 187 კითხვისგან შედგება და ზომავს 16 პირველად ნიშანს. შეფასებები, რომლებიც მიიღება პიროვნების ყოველ განზომილებაზე (მაგ., დომინანტურობა - დაქვემდებარება, მიმდობლობა - იტყვეულობა, მეოცნებობა - პრაქტიკულობა და ა.შ) აისახება შესაბამის ქულებში, რომელთა საფუძველზე აიგება პიროვნული პროფილი.

თვითანგარიშის მეთოდების ღირსება და ნაკლი. ინდივიდუალური განსხვავებების შეფასება პერსონოლოგიის მნიშვნელოვანი ასპექტია. თვითანგარიშზე დაფუძნებულ მეთოდებს, რომლებიც ძირითადად, კითხვარების სახითაა წარმოდგენილი, ამ ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ თვითანგარიშის ტესტების მეშვეობით შესაძლებელია უფრო სრული და სისტემატიზირებული ინფორმაციის მიღება პიროვნების შესახებ, ვიდრე ეს არარეგულარული ხასიათის ცნობებით მიიღწევა. ამ შემთხვევაში ექსპერიმენტატორის პირადი წინასწარგანწყობები ან თეორიული მკერძობა კომპენსირდება შედეგების დათვლის რობიქტურობით. გარდა ამისა, ამ ტესტებით ადვილად შეძლებს მუშაობას შედარებით ნაკლებად მომზადებული ადამიანი. თვითანგარიშის მეთოდები, როგორც წესი, მეტი სანდოობით გამოირჩევიან, ვიდრე სხვა მეთოდები (მაგ., პროექციული და მსგავსი ტესტები), ეს კი უკვე მათ დიდ უპირატესობად შეიძლება მივიჩნიოთ. დაბოლოს, მრავალგანზომილებიანი კითხვარების მეშვეობით შესაძლებელია ხდებოდეს ერთდროულად რამდენიმე პიროვნული ნიშნის/მახასიათებლის გაზომვა.

ამის მიუხედავად, პერსონოლოგები, რომლებიც აღნიშნულ მეთოდებს იყენებენ, ბევრად არიან დამოკიდებული რესპონდენტების მზაობაზე, ვაცენ ზუსტი ინფორმაცია თავისი თავის შესახებ. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად კითხვარებში ისეთი კითხვებია გამოყენებული, რომლებიც საშუალებას აძლევს რესპონდენტს შეცდომაში შეიყვანოს მკვლევარი. წინასწარ განზრახული მოტყუება კი ყველაზე მეტად მოსალოდნელია იმ შემთხვევაში, როდესაც რესპონდენტი დარწმუნებულია, რომ ამით ის რაიმე სარგებელს მიიღებს. მაგ., პრეტენდენტმა ვაკანტურ ადგილზე შესაძლებელია მოიტყუოს და დადებითი პასუხი ვაცეს ისეთ კითხვებს, რომლებზეც, მისი მოლოდინით, დამოკიდებულია, შეიქმნება თუ არა დადებითი აზრი მის შესახებ. და პირიქით, შესაძლებელია ადამიანი გარკვეულ შეკითხვებზე განზრახ უპასუხოს უარყოფითად, რათა მის შესახებ შეიქმნას წარმოდგენა, როგორც უფრო სერიოზული და ღრმა დარღვევების მქონე ადამიანზე, ვიდრე ეს სინამდვილეშია. ამგვარი რამ მოსალოდნელია ექსპერტიზის დროს, როდესაც საჭიროა დამნაშავეის სულიერი მდგომარეობის შეფასება.

ამგვარი დამახინჯებებისგან თავის დასაცავად ტესტებში იყენებენ საკონტროლო სკალებს, რომლებიც განზრახ ტყუილის თქმის ტენდენციის გამოსავლენადაა შექმნილი. მაგ., MMMPI-ში გამოიყენება სამი შეფასებითი სკალა, რომელთა მიზანია, გვიჩვენოს, როდის იტყუებიან რესპონდენტები, როდის ვლინდება ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი ან როდის არიან თავს პირდაპირ პასუხს. მეორე გზაა - დამატებითი შეკითხვების შეტანა ტესტში, რატა ცდისპირები ვერ

ჩაწვდენ ტესტის მიზანს. მაგრამ ყველა ეს საშუალება მხოლოდ ნაწილობრივ ხსნის პრობლემას, რადგან ძნელია განსაზღვრო, რა ზომით დაამახინჯებს ცპ-ი ინფორმაციას საკუთარი თავის შესახებ. ამიტომ ცპ-ის პიროვნების შესახებ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოსატანად არ უნდა დავეყაროთ მხოლოდ თვითანგარიშის ტესტების შედეგებს.

კითხვარების მეორე ნაკლი უკავშირდება ადამიანის ტენდენციას უპასუხოს ისე, რომ “კარგად გამოიყურებოდეს”. ამ ფენომენს უწოდებენ სოციალური სასურველობის ტენდენციას, და ის კლინდება არა მხოლოდ თვითანგარიშის ტესტების გამოყენებისას, არამედ აგრეთვე სხვა შეფასებითი პროცედურების დროს. წინა ტენდენციისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში ცპ-ი, შესაძლოა, ვერც კი აცნობიერებდნენ, რომ ამახინჯებენ პასუხს უკეთესი ხატის შესაქმნელად. ამ ტენდენციისგან თავის დასაცავად კითხვარებში შეაქვთ შეკითხვები, რომლებითაც დგინდება იმის ალბათობა, იძლევა თუ არა ცპ-ი სოციალურად სასურველ პასუხებს. თუმცა, ამ პრობლემის დაძლევის მეორე გზაა კითხვარში ჩასართავი შეკითხვების საგულდაგულო ანალიზი იმ მხრივ, თუ რამდენად შეუძლიათ მათ ამ ტენდენციის აღქმა. ეს ტენდენცია არ მოგვეცემს სისტემატიურ დამახინჯებას, თუ ცპ-ები ვერ ჩასწვდებიან ტესტ-კითხვარის მიმართულობას და ვერ დაუკავშირებენ სადიაგნოსტიკულ თვისებას სოციალური სასურველობის ამა თუ იმ პოლუსს.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ტესტირებაზე უარის თქმის გარკვეული ფორმები: პასუხის პოზიციური სტილი (დათანხმება ან, პირიქით, უარყოფა), შემთხვევითი პასუხები. უარის თქმის ამგვარი ფორმების გამოსავლენად, ჩვეულებრივ, საკმარისია თანაბრი რაოდენობით “პირდაპირი” (პასუხი “დიახ”, “სწორია” გასაზომი თვისების სასარგებლოდ) და “შებრუნებული” (პასუხი “არა”, “არ არის სწორი” გასაზომი თვისების სასარგებლოდ) სახის დავალებების გამოყენება. ამ დროს გამოითვლება დამადასტურებელი და უარყოფელი პასუხების ბალანსი; თუ ის მკვეთრად დარღვეულია, პასუხები არ მიიღება.

პროექციული მეთოდები

თავდაპირველად პროექციული პიროვნული ტესტები განკუთვნილი იყო კლინიკური ფსიქოლოგების დასახმარებლად პაციენტების ემოციური დარღვევების ხასიათისა და სირთულის დიაგნოსტიკისთვის. პროექციული ტესტების შექმნას სათავე დაუდო ფროიდის თეორიის დებულებამ, რომლის თანახმად, არაცნობიერი პროცესები მნიშვნელოვანია ფსიქოპათოლოგიის გასაგებად. შესაბამისად, პროექციული შეფასების მიზანია პიროვნების გაუცნობიერებელი კონფლიქტების, შიშებისა და შფოთვის წყაროების გამოვლენა. ტერმინი *პროექციული მეთოდი* შემოიღო ლორენს ფრანკმა შეფასების იმ მეთოდთა აღსანიშნავად, როდესაც ცპ-ს აძლევენ გაურკვეველ სტიმულებს, რომელთა შინაარსი არ ითვალისწინებს მკაფიო, მოცემული კულტურით გაპირობებულ პასუხებს. ამ ტიპის მეთოდები, რომლებიც პიროვნების შეფასებისას არაპირდაპირ მიდგომას გულისხმობს, საშუალებას აძლევენ ადამიანებს მოახდინონ თავიანთი გრძნობების, მოთხოვნილებების, განწყობების და ცხოვრებისადმი დამოკიდებულების “პროექცია” გაურკვეველ მასალაზე. იგულისხმება, რომ სატესტო სტიმულებზე (როგორიცაა მელნის ლაქები ან ბუნდოვანი სურათები) გაცემულ პასუხებში კლინდგება დათრგუნული იმპულსების ნიშნები, პიროვნების დაცვის შექანისებები და მისი სხვა “მხაზანი” ასპექტები. ყველა პროექციული ტესტი გამოირჩევა გარკვეული მნიშვნელოვანი თავისებურებებით. ყველა შეიცავს გაურკვეველ ან არასტრუქტურირებულ სატესტო სტიმულს. ექსპერიმენტატორი არასოდეს აცნობინებს ცპ-ს ტესტირების ნამდვილ მიზანს და არ ეუბნება, როგორ იქნება დათვლილი ან ინტერპრეტირებული მისი პასუხები. ინსტრუქციებში ხაზგასმულია, რომ აქ არ არის სწორი ან არასწორი პასუხები და ცპ-ს შეუძლია უპასუხოს ისე, როგორც მოუნდება. და ბოლოს, ცპ-ის პასუხების დათვლა და ინტერპრეტაცია ძირითადად დაფუძნებულია ექსპერიმენტატორის სუბიექტურ მსჯელობებზე, რომელიც თავისი კლინიკური გამოცდილებიდან ამოდის.

არსებობს პროექციული მეთოდების სხვადასხვა კლასიფიკაცია. ლინდსეი გამოყოფს ამ მეთოდების ხუთ კატეგორიას:

1. *ასოციაციური მეთოდები*, რომლებიც მოითხოვს, სტიმულზე პირველივე თავში მოსული აზრით (ან იმ წამს გაჩენილი გრძნობით) უპასუხონ. ასეთია, მაგ., “მენინგერის სიტყვათა ასოციაციის ტესტი” (Rapaport et al., 1968); “რორშახის მელნის ლაქების ტესტი” (Rorschach, 1942).

2. *კონსტრუქციული მეთოდები*, რომლებიც მოითხოვენ რაიმეს შექმნას ან შეთხზვას. მაგ., თემატური აპერცეპციის ტესტში (TAT, Morgan, Murray, 1935) ცპ-ს წარუდგენენ მარტივი სცენების ამსახველი სურათების სერიას და სთხოვენ, შეადგინონ მოთხრობები იმის შესახებ, რა ხდება ამ სცენებში, რას გრძნობებს განიცდიან პერსონაჟები და ა.შ.

3. დასრულების მეთოდები ცპ-სგან მოითხოვს, დაასრულოს აზრი, რომლის დასაწყისს სტიმულის სახით მოცემულია. სტიმულებად გამოიყენება დაუსრულებელი წინადადებები და დაუსრულებელი ისტორიები. ამ კატეგორიის ტესტებს მიაკუთვნებენ “როზენცვაიგის ფრუსტრაციის ტესტს” (Rosenzweig, 1945) და “როტერის დაუსრულებელი წინადადებების ჩანაწერი” (Rotter, Rafferty, 1950).

4. ექსპრესიული მეთოდები ცპ-სგან მოითხოვს, გამოხატონ თავიანთი გრძნობები ისეთი აქტივობებით, როგორცაა სურათების ხატვა ან ფსიქოდრამა. მაგ., კარენ მახოვერის ტესტში “დახატე ადამიანი” (Machover, 1949) ცპ-მა უნდა დახატოს ადამიანი და შემდეგ საწინააღმდეგო სქესის ადამიანი.

5. არჩევის მეთოდები, ან თანმიმდევრობით დალაგების მეთოდები ცპ-სგან მოითხოვს შეარჩიონ ან პრიორიტეტების მიხედვით დაალაგონ სტიმულები. მაგ., სონდის ტესტის (Szondi, 1944) შესრულებისას ცპ-მა უნდა არჩიოს ადამიანთა გამოსახულებებიდან ისეთები, რომლებიც მოეწონება ან არ მოეწონა.

ეს კატეგორიები არ არის ურთიერთგამომრიცხავი; მრავალ ტესტში გამოიყენება ორი და მეტი კატეგორიის მიღგომები.

პროექციული მეთოდების ძლიერი და სუსტი მხარეები. პროექციული მეთოდების მომხრენი აცხადებენ, რომ ამ მეთოდებს ორი უნიკალური უპირატესობა აქვს. პირველი ისაა, რომ სატესტო სტიმულები არაერთმნიშვნელოვანი და არაერთგვაროვანია, რის წყალობითაც ცპ-მა არ იცის როგორი ინტერპრეტაცია ექნება მის პასუხებს. პროექციულ მეთოდებში დაშვებულია პასუხთა განუსაზღვრელი მრავალფეროვნების არსებობა, რის გამოც ტესტირების რეალური მიზანი ცპ-სთვის უცნობი რჩება და ამით მცირდება ფალსიფიცირებული ან წინასაწარ განზრახული პასუხების ალბათობა. მეორე, სატესტო მასალის არაპირდაპირი მიწოდების წესი არ იწვევს ცპ-ს დაცვიითი მექანიზმების ამოქმედებას, რაც პიროვნების ასპექტების შესახებ ისეთი ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა, რომლებიც, ჩვეულებრივ, დაკვირვებისთვის მიუწვდომელია.

პროექციული-მეთოდების კრიტიკა ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა მათი არასაკმარისი სტანდარტიზაცია, ჩატარების, მიღებული მასალის შეფასებისა და ინტერპრეტაციის მკაფიო პროცედურის არარსებობა. კერძოდ, ტესტური მაჩვენებლების შეფასება ხშირად დამოკიდებულია ფსიქოლოგის კლინიკურ გამოცდილებაზე, ინტუიციაზე, დახელოვნებაზე, რაც მათ ძალზე არასანდოს ხდის. მაგრამ აქვე გასათვალისწინებელია, რომ მდიდარი პრაქტიკა ტესტური მაჩვენებლების დამუშავებაში ხელს უწყობს შეფასებათა შინაგანი შეთანხმებულობის ხარისხის მატებას.

უფრო სრიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამა თუ იმ ტესტის უკვე დათვლილი მაჩვენებლების ინტერპრეტაციას. თუმცა კლინიკური ფსიქოლოგები, ჩვეულებრივ, თავის გამოცდილებას ეყრდნობიან, თავად პროექციული ტექნიკები ყოველთვის თანაბრად წარმატებული არ არის. სამწუხაროდ, ამ ტესტების ინტერპრეტაცია ძალზე ხშირად დამოკიდებულია კლინიციისტიის მიხვედრილობასა და ინტუიციაზე, რაც ხელს არ უწყობს პროექციული ტესტების მეცნიერული ღირებულების გაზრდას.

და ბოლოს, კიდევ ერთი კრიტიკული არგუმენტი ეხება იმ საკითხს, რომ დღემდე არ არის მიღებული პროექციული ტესტების ვალიდობის საკმარისოდ დამაჯერებელი დადასტურება. ამიტომ ფსიქოლოგები ცდილობენ საბოლოოდ დასკვნა ჩამოაყალიბონ არა მხოლოდ პროექციული ტესტით მიღებული მასალის საფუძველზე. მიუხედავად ამ პრობლემებისა, ბევრი კლინიკური ფსიქოლოგი მაინც მიმართავს ამ მეთოდებს ადამიანის არაცნობიერი კონფლიქტების, მისი ფანტაზიებისა და მოტივების შესწავლისას.

ცნება პერსონა–ს ეტიმოლოგიური და სემანტიკური ანალიზი


(ოლპორტის მიხედვით)

თანამედროვე ფსიქოლოგიაში პიროვნების მრავალი განსაზღვრება არსებობს. თითოეულის უკან შესაბამისი თეორია დგას. პიროვნების ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი ოლპორტი, პიროვნების შესახებ თავისი კლასიკური წიგნის პირველ თავში გვაძლევს ამ თეორიათა კლასიფიკაციას და პერსონის ცნების ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ ანალიზს.

ქაზნ-ის ცნება, გავრცელებული აზრის თანახმად რომელიც მსახიობებისაგან ძველი ბერძნების მიერ გადმოღებული ნიღბის ცნებას უკავშირდება. (არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც ნიღაბი რომაელმა მსახიობმა შემოიტანა, რათა თავისი ელამი თვალები დაეფარა). ბერძნები ნიღაბს ἄνθρωπος -ს უწოდებენ. ლათინური პერსონა უღერადობით ნაკლებად ჰგავს ბერძნულ პროსოპონს. ამიტომ, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პერსონას ძირები ბერძნულშია. ნაწილი ენათმეცნიერებისა მიუთითებს პერსონის ეტიმოლოგიურ კავშირზე „პერი-სომასთან“ (სხეულის ირგვლივ), სხვები ისევ ძველ ლათინურ და ეტრუსკულ პერსუ-სთან ნახულობენ კავშირს. არსებობს აზრი, რომ პერსონა ლათინური პერ სე უნა-დან (ჩემგან, ჩემი მე-დან მოდის). ზოგიერთი მკვლევარისთვის პერისომა პერსონარე-ს გაგებას (შიგნიდან მომდინარე ხმა)უნდა უკავშირდებოდეს, რადგან ეს მკვლევარები თვლიან, რომ ნიღბის შიგნით ხმის გამძლიერებელიც უნდა ყოფილიყო.

დღეისთვის გავრცელებული აზრით, პერსონა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით უფრო ეტრუსკული პერსუს უკავშირდება. არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი იყო კედლებზე ფრესკებით მოხატული სამარხი, სადაც ხშირად გამოსახული იყო პატარა, შენიღბული ფიგურა, პერსუ, რომელიც ალტკაიმის მიხედვით იმქვეყნიური ღმერთი შეიძლება ყოფილიყო. შემდგომში, ლათინურში, პერსონა, როგორც პატარა პერსუ შევიდა.

თეატრალური ნიღბის ცნება ცხოვრებას ერთ-ერთმა პირველმა პლატონმა მიუსადაგა. პლატონს ეკუთვნის გამონათქვამი ცხოვრების ტრაგედია და კომედიაზე. ამ გამონათქვამში ცხოვრება გაგებულია, როგორც თეატრი, სცენა, სადაც ღმერთი ადამიანებს როლებს ურიგებდა და ისინი თამაშობდნენ. პლატონის შემდეგ კლიშედ იქცა ცხოვრების თეატრად წარმოდგენა.



ციცერონმა პერსონის ცნებას ოთხი განსხვავებული მნიშვნელობის მიანიჭა. ეს მნიშვნელობებია:

1. როგორ ეჩვენები სხვას (მაგრამ სინამდვილეში არ ხარ)
2. როლი, რომელსაც ადამიანი ცხოვრებაში თამაშობს. (მაგ. ფილოსოფოსი)
3. პიროვნულ, ფსიქიკურ ნიშანთა ნაკრები, რომელიც ადამიანის საქმიანობას განსაზღვრავს
4. პიროვნული თავისებურება, უნიკალობა, ღირსების, სტილის გაგებით

უკვე ამ მნიშვნელობებში გამოიკვეთა და აისახა კიდევ პიროვნების თეორიებში ორი პოლუსი პიროვნების გაგებისა, რომელთა შორის განლაგდა შემდგომი დროის პიროვნების განსაზღვრებები და თეორიები. ერთი პოლუსი ადამიანის გარეგანი, ნიღბისმიერი ბუნების ამსახველია, ხოლო მეორე კი პიროვნების შინაგან ბუნებასა და სტრუქტურას გამმოკვეთს. პიროვნება, ფაქტობრივად ამ ორი საწყისის ერთიანობაა თითოეული პოლუსის მეტნაკლები აქცენტირებით.

პიროვნების თეორიათა კლასიფიკაცია ოლპორტის მიხედვით

ოლპორტი (O'Leary) პიროვნების შესახებ ფსიქოლოგიურ თეორიებს ორ დიდ ჯგუფად, ორ მიმართულებად ჰყოფს. ეს არის **ანგლოსაქსური (ბიოსოციალური)** და **კონტინენტური (ბიოფიზიკური)** თეორიები. განსხვავება თეორიათა ამ ორ კლასს შორის უკვე მათ ფილოსოფიურ წანამძღვრებშია. ანგლოსაქსური თეორიების მსოფლმხედველობაზე გავლენა მოახდინა ლოკის ფილოსოფიამ, ხოლო კონტინენტურმა თეორიებმა კი ლაიბნიცის და კანტის ფილოსოფიის გავლენა განიცადა. ლოკის მიხედვით სული არის ნეიტრალური მედიუმი, “ტაბულა რაზა“-სუფთა დაფა, რომელზეც გარემოს გამდიზიანებლები

მოქმედებენ. ადამიანი, მისი სული **რეაქტიულია**, ქცევა ყოველთვის მხოლოდ პასუხია გამღიზიანებელზე და შინაგანი, თანდაყოლილი არაფერი მოსდევს. ლაიბნიცი და კანტი კი ამის საწინააღმდეგოდ, მიუთითებენ ადამიანის სულის **აქტიურ** სპონტანურობაზე; აქტიობა და არა რეაქტიულობა არის კონტინენტურ თეორიათა ძირითადი ნიშანი. სულის სპონტანურობის აღიარებას მიყვებათ ამ თეორიების მიერ ნასახების, კონსტიტუციის, მემკვიდრეობითობის აღიარებამდე. ეს უკანასკნელი ამ თეორიებს პიროვნებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად თვლიან.

ბიოსოციალური განსაზღვრებები უფრო გარეგან გამოვლინებებზე, ქცევაზე და სოციალურ გარემოზეა ორიენტირებული. ამ თეორიის წარმომადგენლები პიროვნების შესახებ მისი ქცევის, ობიექტურად მოცემული გარე გამოვლინებების მიხედვით მსჯელობენ, ანუ იმის მიხედვით, თუ რა გავლენას ახდენს ეს პიროვნება საზოგადოებაზე, როგორ აღიქვამენ ირგვლივ მყოფნი მას. ეს თვალსაზრისი ძალიან ახლოა პერსონის ცნების ციკერონისეულ ნიღბის მნიშვნელობასთან. (იუნგის პიროვნების სისტემაშიც ვხვდებით პიროვნების მიმართ ნიღბის ცნების გამოყენებას: “ნიღაბი კოლექტიური სულისა”, “ნიღაბი, რომელიც მაღავს ინდივიდუალობას”). ბიოსოციალური თეორიებისთვის ტიპურია მეის (□აყ) მიერ მოწოდებული პიროვნების განსაზღვრება-“პიროვნება არის სოციალური გამღიზიანებელი.” ამ თვალსაზრისის მიხედვით, ჩვენი პიროვნება ისეთია, როგორადაც გვხვდავენ სხვები. ჩვენი პიროვნება მხოლოდ სხვების მსჯელობიდან ხდება გასაგები. სხვა კრიტერიუმი პიროვნების შესაცნობად, თუ არა ის, თუ როგორ ვეჩვენებით სხვას, თუ არა სოციალური აზრი, დაფუძნებული ობიექტურ გამოვლინებებზე, არ არსებობს. ყველა ბიოსოციალურად ორიენტირებული თეორიისთვის და შესაბამისი პიროვნების განსაზღვრებებისთვის საერთოა გამომხატველი მოძრაობების (როგორც ვიტალური, ისე სოციალურად განსაზღვრული), მეტყველებით გამოვლინილი აზრების და საერთოდ, იმის, რაც სხვისთვის თვალსაჩინოა, ხაზგასმა და პიროვნების შესწავლის ძირითად ობიექტად აღიარება. ამრიგად, ამ თეორიის წარმომადგენლებისთვის პიროვნებებს შორის განსხვავების ძირითადი მიზეზი სხვებზე გავლენაში მდგომარეობს და არა სუბიექტის შინაგან წესრიგსა თუ სტრუქტურაში. ნიუკომბის განსაზღვრების მიხედვით, პიროვნება არის ის ჩვევები და ქცევები, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვა ადამიანებზე. ოლპორტი შენიშნავს, რომ ამ განსაზღვრების მიხედვით ადამიანის გეგმები, სურვილები, პატივმოყვარეობა, რომელიც შეიძლება არ გამოვლინდეს და სხვებისთვის

მისაწვდომი არ შეიქმნას, განა არ მიეკუთვნება პიროვნებას? გარდა ამისა, თუ პიროვნების ერთადერთ კრიტერიუმად სხვაზე გაგლენას მივიჩნევთ, მაშინ რობინზონ კრუზო (ყოველ შემთხვევაში, პარასკევას გამოჩენამდე) პიროვნებად არ უნდა ჩავთვალოთ?

ბიოფიზიკური თეორიებში, ბიოსოციალურისგან განსხვავებით, ხაზი ესმება სუბიექტის შინაგანი წესრიგის, შინაგანი სტრუქტურის მნიშვნელობას და პიროვნების გაგებისთვის მისი გათვალისწინების აუცილებლობას. პიროვნება, ამ თვალსაზრისის მიხედვით, რეალურად არსებობს, იგი რეალობაა, ისევე, როგორც ნებისმიერი მოვლენა, მაგალითად, თევზი, ხე თუ ვარსკლავი. მიუხედავად იმისა, თუ ეს უკანასკნელნი როგორ გვეძლევიან მცდარი აღქმების თუ მსჯელობის შედეგად (გეშაპი, როგორც თევზი, ხე-ორჯერ უფრო დიდი, ვიდრე სინამდვილეშია, ვარსკლავი, როგორც პაწაწინა ნათურა), მათი რეალური, ნამდვილი ბუნება ამით არ იცვლება. ასევეა პიროვნებაც. პიროვნებას თავისი შინაგანი სტრუქტურა, თავისი კანონზომიერებანი გააჩნია. ფსიქოლოგიამ, ოლპორტის აზრით, თვით პიროვნებაში მიმდინარე პროცესები აღქმა, ინტელექტი, გამოცდილება, მოტივები უნდა შეისწავლოს და არა ის, რასაც ბიოსოციალური მიდგომა გვთავაზობს. ამ უკანასკნელის მიხედვით პიროვნების შესწავლა ამ პიროვნების გარშემომყოფთა აღქმების, რეაქციების და სხვა ფსიქიკური პროცესების შესწავლას ნიშნავსო -ირონიულად დასძენს ოლპორტი.

პიროვნების ფსიქოლოგიურ განსაზღვრებებში, სადაც ბიოფიზიკურად ორიენტირებული თეორიები სჭარბობს, ოლპორტი რამდენიმე ჯგუფს გამოჰყოფს.

1. **კრებითი განსაზღვრებები.** ამ ჯგუფისთვის ტიპური განსაზღვრება იწყება ასე: პიროვნება არის კრებადობა. . . და შემდეგ ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომელიც ავტორს პიროვნების გაგებისთვის არსებითად მიაჩნია. კრებადობის ნაცვლად შეიძლება გამოიყენებოდეს აგრეგატი, კონსტელაცია, კომპოზიტი, ანსამბლი. ამ ტიპის მიდგომამ მიუხედავად იმისა, რომ შინაგან ფსიქიკურ ნიშნებზე მიუთითებდა, მეცნიერებას ბევრი ვერაფერი შესძინა, რადგან მათი მარგანიზებული, გამამთლიანებელი სტრუქტურა ყურადღების გარეშე დარჩა. ხოლო ნიშნების უბრალო ჩამოთვლა კი ამ შემთხვევაში იგივეა, რაც მხოლოდ იმ ასოების ჩამოთვლა, რისგანაც მოცემული ლექსი შედგება.

2. **მთლიანობითი განსაზღვრებები.** ეს არის ინტეგრალური და კონფიგურაციული განსაზღვრებები. ტიპური განსაზღვრება უორენსა და კერმაიკლს ეკუთვნის და შემდეგია: “პიროვნება არის ადამიანის ზოგადი სტრუქტურა (წესრიგი) მისი განვითარების ყოველ სტადიაზე”. მეორე ავტორს, მაკ კანდის ინდივიდუალობაც არ ავიწყდება ამ მთლიანობაში: “პიროვნება არის ინტერესთა მთლიანობა, რომელიც ორგანიზმის ქცევას განსაკუთრებულ

ინდივიდუალობას აძლევს.” ამ ტიპის მიდგომა პიროვნების მთლიანობას, მისი ნაწილების ინტეგრაციას გამოკვეთს.

3. იერარქიული განსაზღვრებები. ამ ტიპის განსაზღვრებებისთვის დამახასიათებელია ინტეგრირებულ მთელში საფეხურების გამოყოფა. პიროვნების ამგვარი განსაზღვრება პირველად ჯემსმა მოგვცა. მან პიროვნებაში ოთხი დონე გამოჰყო. ჯემსის პიროვნება შიგნიდან არის დანახული, ინტროსპექციულია. ჯემსისთვის პირველი დონე არის მატერიალური მე, სხეულის, ოჯახის, მდგომარეობის და საუკეთესო მეგობრის გათვალისწინებით. შემდეგია-სოციალური მე, რომელიც განსაზღვრულია მის გარშემო მყოფ ადამიანთა შემეცნებით. ამ საფეხურის მიმართ ჯემსის ცნობილი გამოთქმა არსებობს: ადამიანს იმდენი მე აქვს, რამდენი სოციალური ჯგუფიც არსებობს, რომელთა აზრსაც მისთვის მნიშვნელობა აქვს. მესამე საფეხური არის სულიერი მე, რომელიც ადამიანის განსხვავებულ ტენდენციებს აერთიანებს. დაბოლოს, მეოთხე, წმინდა მე, პოსტულირდება სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებით და არსებითად, მესამე საფეხურისგან არ განსხვავდება.

4. დისკრიმინაციული განსაზღვრებები. ამ შემთხვევაში პიროვნების შეცნობის და მისი არსის დადგენის კრიტერიუმი ინტერინდივიდუალური განსხვავებებია. ამ ტიპის განსაზღვრების მომხრეების აზრით, სოციალური ჯგუფის ყველა წევრი ერთნაირად რომ ფიქრობდეს, გრძნობდეს, მოქმედებდეს, მაშინ პიროვნება აღარ იარსებებდაო. ტიპური დისკრიმინაციული განსაზღვრება შემდეგია: პიროვნება არის მოწესრიგებული სისტემა, ფუნქციური მთელი ან ჩვევების, ნასახების და გრძნობების მთლიანობა, რომელიც ჯგუფის ცალკეული წევრის იგივე ჯგუფის სხვა წევრებიდან მისი განსხვავებულად შეცნობის შესაძლებლობას იძლევა.

5. შეგუებითი განსაზღვრებები. ბიოლოგებს და ბიჰევიორისტებს პიროვნების მიმართ დაახლოებით ერთნაირი მიდგომა აქვთ. ისინი პიროვნებას ადამიანის ქცევიდან გამომდინარე განიხილავენ. ამ თვალსაზრისის მიხედვით, პიროვნება არის მთლიანი ორგანიზმი მოქმედებაში. ტიპური განსაზღვრებაა კემპფის: “პიროვნება არის ჩვევათა გარკვეული სისტემების ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის გარემოსთან შეგუების თავისებურ ხასიათს”.

ბიოსოციალური პიროვნების თეორიისა და ბიჰევიორისტული თეორიის **ზოგიერთი** პოსტულატი დაედო საფუძვლად თანამედროვე პიროვნების ფსიქოლოგიის ერთ მიმართულებას, რომელიც **ემპირიული პიროვნების ფსიქოლოგიის** სახელითაა ცნობილი (თ.ქა ანნ). პიროვნების ფსიქოლოგიას საკმე აქვს ფსიქიკურ მოვლენებთან, ფენომენებთან, რომელთა დაკვირვება და რეგისტრაცია არის შესაძლებელი. ის, თუ რას განიცდის ადამიანი, მისი შინაგანი სამყარო, ამ თეორიის წარმომადგენელთა სიტყვებით, უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულების მქონეა ფსიქოლოგიისთვის, მაგრამ მისი ეს შინაგანი სამყარო გაშუალებულად გვეძლევა მეტყველების, მოძრაობების, მიმიკის და სხვ. საშუალებებით. ამგვარ მოვლენებს ემპირიული მოვლენები ეწოდებათ. სწორედ მათზე დაყრდნობით, მათ საფუძველზე უნდა მოხდეს მათ უკან მდგარი განცდების შესახებ დასკვნის გაკეთება, ანუ თეორიული კონსტრუქტის შექმნა. ემპირიულ მოვლენებს თავისი

თავის ახსნა არ შეუძლიათ. მაგალითად, როდესაც ცდის პირი ან პაციენტი ფსიქოლოგს ეუბნება, რომ იგი (პაციენტი) მოწყენილია, ეს გამონათქვამი ემპირიული მოვლენაა. ხოლო როდესაც ფსიქოლოგი ამ გამონათქვამის საფუძველზე ასკვნის, რომ ამ ავადმყოფს დეპრესია აქვს, ეს უკვე კონსტრუქტია და არა ემპირიული მოვლენა.

მეორეს მხრივ, შეიძლება ეს კონსტრუქტი არ აღმოჩნდეს ჭეშმარიტი და იგი შეიძლება სხვადასხვა ადამიანის (ფსიქოლოგის) მიერ განსხვავებულად იქნას ინტერპრეტირებული. სხვა ფსიქოლოგმა შეიძლება პირველი ფსიქოლოგის ამ გამონათქვამს სხვაგვარი ახსნა მოუნახოს, ანუ მის საფუძველზე სხვა კონსტრუქტი შექმნას: მაგალითად, რომ ეს ფსიქოლოგი თვითონ იყო მოწყენილი და ყველა მოწყენილად ეჩვენებოდა და სხვ.). მთავარი ის არის, რომ ემპირიულ პიროვნების ფსიქოლოგიაში საკუთარი და სხვისი განცდის გარეგანი გამოვლინებები განიხილება, როგორც ემპირიული მოვლენა, რომლებიც თავის თავს ვერ ხსნიან. ემპირიული მოვლენებს მიეკუთვნება აგრეთვე მიღწევები, დღიურები, ნახატები, ფიზიოლოგიური გამოვლინებები- (მაგ. პულსის სიხშირე), ანთროპომეტრული მონაცემები-სიმაღლე სხეულის ინდექსი. ყოველივე ამის გათვალისწინება აუცილებელია პიროვნების შესწავლისთვის. ჰიპოთეტური კონსტრუქციები ემპირიულ მოვლენებთან უმჭიდროეს კავშირში არიან. სწორედ თეორია, ჰიპოთეტური კონსტრუქცია აძლევს ემპირიულ მოვლენას თავის მნიშვნელობას.

ემპირიული მოვლენა და ჰიპოთეტური კონსტრუქტის შინაარსის კარგი ილუსტრაცია აქვს მოყვანილი და განხილული ცნობილ გერმანელ ფსიქოლოგს თეო ჰერმანს მოსწავლის შეფასების მაგალითზე. ვთქვათ, ბავშვმა მიიღო სკოლაში სამიანი. ეს ნიშანი არის რეალური, აღქმადი, ემპირიული მოვლენა, ერთი შეხედვით, თითქოს ერთმნიშვნელოვანიც, მაგრამ, მან შეიძლება რამდენიმე მნიშვნელობა მიიღოს, იმის მიხედვით, თუ რომელ სისტემაში ჩავსვამთ, ანუ, რომელი კუთხით შევხედავთ.

1. სამიანის მნიშვნელობები ერთმანეთისგან განსხვავებული იქნება, თუ მთელმა კლასმა საკონტროლოში სამი მიიღო, იმ შემთხვევისგან თუ ეს ერთადერთი სამიანია კლასში, ხოლო ყველა დანარჩენი-ხუთები.
2. განსხვავებული მნიშვნელობა აქვს სამიანს იმის მიხედვით, თუ რას გამოხატავს იგი- მასწავლებლის სიმკაცრეს თუ ბავშვის ცოდნას

3. დაბოლოს, სამიანი შეიძლება იყოს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმის (ახლობლის სიკვდილი) ან გადატანილი მენინგიტის შედეგად გამოწვეული გონებრივი ჩამორჩენილობის მიზეზით

ყველა ეს შესაძლებლობა ემპირიულად მოცემულ სამიანში არ ჩანს. იგივე ითქმის პიროვნების შესახებაც. პიროვნება ამ მიმართულების მიხედვით, ემპირიული მოვლენა არ არის. პიროვნების ემპირიული ფსიქოლოგია შეისწავლის ემპირიულ შინაარსებს, ადამიანის ქცევას, დაკვირვებად გარეგან გამოვლინებებს, მიღწევებს. მაგრამ ამ მოვლენებს, როგორც უკვე ვთქვით, თავისი თავის ახსნა არ შეუძლათ. ამისთვის მკვლევარი იყენებს მეცნიერულ ცნებას, თეორიას, კონსტრუქტს. პიროვნების ისეთ თვისებებს, როგორცაა შიში, ინტროვერსია-ექსტრავერსია, მოტივები ემპირიული შინაარსი არ გააჩნიათ. ეს არის მეცნიერული კონსტრუქციები, ჰიპოთეტური კონსტრუქტები, “გამონაგონები” რომლებიც მოწოდებულია რეალური, ემპირიული, თვალსაჩინო მოვლენების ასახსნელად და გამოყვანილია, ემპირიულ, თვალსაჩინო, დაკვირვებადი ემპირიული მოვლენებიდან.

პიროვნების ანგლოსაქსური და კონტინენტური მიმართულებები პიროვნების კვლევის ორ მოდელს დაედო საფუძვლად:

პირველი მოდელის მიხედვით

1. თავდაპირველად უნდა განვმარტოთ, რას ვგულისხმობთ პიროვნებაში, უნდა შევიცნოთ, პიროვნების არსი, მისი ბუნება, და მხოლოდ ამის შემდეგ:
2. უნდა მოხდეს მისი დეტალური შესწავლა-გამოკვლევა.

მეორე მოდელის მიხედვით:

1. ჯერ უნდა ვაწარმოოთ დაკვირვება ობიექტურად გამოვლენილ ქცევებზე-ემპირიულ ფენომენებზე, ხოლო შემდეგ
2. ემპირიული ფენომენების განსაზღვრისა და ახსნისთვის უნდა შეიქმნას ჰიპოთეტური კონსტრუქტები. თვით პიროვნება უზოგადესი კონსტრუქტია.

ამრიგად, პიროვნების კვლევის პირველი მოდელის მიხედვით, პირველადია პიროვნების თეორია, და შემდეგ ხდება ამ თეორიის ემპირიული შემოწმება. მეორე მოდელის მიხედვით კი ჯერ ხდება ემპირიულ მოვლენებზე დაკვირვება და შემდეგ მათ ასახსნელად ჰიპოთეტური კონსტრუქტების შექმნა. ასეთი კონსტრუქტია, მაგალითად, აიზენკის ინტროვერსია-ექსტრავერსია. ემპირიულ ფსიქოლოგიაში პიროვნების და პიროვნულ ნიშანთა კვლევა იწყება მანამ, სანამ თვით ეს ცნებები დადგინდებოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე მიმართულება მთლიან პიროვნებას თვლის თავის შესწავლის საგნად, მეორე მოდელის მიმდევრები პირველისაგან განსხვავებით ნაწილებიდან იწყებენ პიროვნების კვლევას, მათ პიროვნების შესწავლისას აქცენტი მაინც ამ მთლიანობის ნაწილებზე გადააქვთ - ცალკეულ დამოუკიდებელ პიროვნულ ნიშნებზე, განწყობებზე, სინდრომებზე, ფაქტორებზე, მიღწევებზე. თვით ამ ნაწილების დამოუკიდებლობა უფრო მეტად არის გამოკვეთილი, ვიდრე ამ ნაწილების მთელზე დამოკიდებულება და ამ მთელით განსაზღვრა, ეს ნაწილები არის სწორედ ჰიპოთეტური კონსტრუქციები და/ხოლო პიროვნება ემპირიულ ფსიქოლოგიაში უზოგადესი კონსტრუქტია. პირველი მოდელის წარმომადგენლები ცდილობენ პიროვნების შესწავლისას მთელი არ დაკარგონ მხედველობიდან. მათთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი პირველადია, ხოლო მეორე მოდელის მიმდევრებისთვის კი-მეორადი (Th. ქეზ ანნ, 1940).

ამრიგად, უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება

კონტინენტურ თეორიებში	ანგლოსაქსურ თეორიებში
შინაგან ძალებს	გარეგან გამოვლინებებს
კონსტიტუციურ პირობებს	ზედაპირულ თვისებებს
სტრუქტურულ სიმყარეს	ქცევის მოტორულ კომპონენტებს
გარემოს ზემოქმედებიდან შედარებით დამოუკიდებლობას	ინტერპერსონალურ ურთიერთობებს
პიროვნება გაგებულია, როგორც შედარებით სტაბილური ორგანიზაცია.	პიროვნება გაგებულია, როგორც შედარებით ლაბილური ორგანიზაცია.

პიროვნების ფსიქოლოგიის ისტორია

პიროვნების ფსიქოლოგიის მეცნიერული შესწავლა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან ქარაქტეროლოგიის სახელით დაიწყო. ამ დროს კვლევის ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო ადამიანებს შორის განსხვავებების შესწავლაზე, იმაზე, რაც თითოეული ადამიანის განსაკუთრებულობას, მის ინდივიდუალობას გამოკვეთდა. მართალია, იმ დროს ვუნდტს ფსიქოლოგიის ეს დარგი მეცნიერებად არ მიაჩნდა, რადგან თვლიდა, რომ იგი არ აკმაყოფილებდა ნომოტეტური პოზიციის კრიტერიუმებს (რადგან განსხვავებაზე და ინდივიდუალურზე იყო მიმართული და არა ზოგადზე), მაგრამ მეცნიერების განვითარებას თავისი ლოგიკა აქვს და მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ფსიქოლოგია არა მხოლოდ ნომოტეტურ არამედ იდიოგრაფიული პოზიციის მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს, სწორედ ეს პერიოდი ჩაითვალა პიროვნების ფსიქოლოგიის მეცნიერული შესწავლის დაწყების თარიღად. თუმცა პიროვნების ფსიქოლოგიის მეცნიერული საფუძვლები სისტემის სახით შტერნმა მოგვიანებით ჩამოაყალიბა.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მე-19 საუკუნემდე ინტერესი პიროვნების ფსიქოლოგიის მიმართ და დაკვირვებები, მოსაზრებები თუ ნაივური ახსნის მცდელობები პიროვნების ქცევის და თავისებურებისა არ არსებობდა.

უკვე მას შემდეგ, რაც ერთად დაიწვეს ცხოვრება, ადამიანებმა მიაქციეს ყურადღება იმას, თუ როგორ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისგან როგორც გარეგნობით, ისე ქცევით და ხასიათით: ზოგი სხვებზე უკეთ მღეროდა, ზოგს უკეთ ნადირობა ეხერხებოდა, ზოგი კეთილი იყო, ზოგი- ეშმაკი ან ბოროტი. ადამიანთა ეს თავისებურებები თავდაპირველად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში – ზღაპრებსა და მითებში აისახა. სწორედ ამ პირველყოფილ პერიოდს უკავშირდება, ალბათ, ადამიანებისთვის ცხოველთა თვისებების მიწერაც გარეგნობის საფუძველზე. ცხოველების სისასტიკე, სირბილე თუ ბოროტება ამ პერიოდში განსაკუთრებით ადვილი შესამჩნევი და მნიშვნელოვანი იყო ადამიანებისთვის, რომლებსაც ძალაუნებურად მათთან უხდებოდათ უშუალო ურთიერთობა მათგან დაცვის თუ მათი მოშინაურების მიზნით. ზღაპრებში მეღია ეშმაკია, მგელი ბოროტია, კაჭკაჭი მოლაყბეა, ძაღლი ერთგული და კატა კი ფლიდია და ა.შ. შემდგომში, მოგვიანებით, როგორც ჩანს, ამის საფუძველზე გავრცელდა გულუბრყვილო თეორია (რომელსაც შეცდომით არისტოტელეს მიაწერენ), რომლის მიხედვითაც, თუ ადამიანი გარეგნობით რომელიმე ცხოველს

ჰგავს, მას ამ ცხოველის ხასიათიც აქვს. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ჰგავს მელიას – ეშმაკია, ხოლო ის, ვიაც სახე უგავს არწივს- სასტიკი და დაუნდობელია.

პიროვნული ნიშნების, თვისებების მიხედვით ადამიანთა შეცნობის პარალელურად გაჩნდა ტიპოლოგიები, რომელთა ავტორებიც თვლიდნენ, რომ შესაძლებელია ადამიანთა დაყოფა ტიპთა შედარებით მცირე რაოდენობად და რომ იმის ცოდნა, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება ადამიანი, შესაძლებლობას მოგვცემს საკმაო სიზუსტით ვიწინასწარმეტყველოთ მისი ქცევის ხასიათი სხვადასხვა სიტუაციაში.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსებიდან, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესდნენ პიროვნების ფსიქოლოგიის საკითხებით, **ჰიპოკრატესა და თეოფრასტეს** შეხედულებებს გამოვყოფთ. მათ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ტიპოლოგია შექმნეს, რომლების თანამედროვე ფსიქოლოგიაში, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ანგლოსაქსური და კონტინენტური თეორიების პროტოტიპულ ჩანასახებადაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ (ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ასოციაცია, უდაოდ, ჩნდება). ჰიპოკრატეს თეორია დღესაც ძალიან პოპულარულია და ბევრისთვის ნაცნობი. თეოფრასტესი კი- შედარებით უცნობია.

ჰიპოკრატე. ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენმა ექიმმა ჰიპოკრატემ შექმნა ადამიანთა ტიპოლოგია ტემპერამენტის საფუძველზე. ჰიპოკრატეს მიხედვით ადამიანის ორგანიზმი წარმოადგენს ოთხი განსხვავებული სითხის – სისხლის(სანგუის), ლორწოს (ფლეგმა) , ყვითელი (ქოლე) და შავი ნაღველის (მელანქოლე) შერევის შედეგს. რომელიმე ერთი ნივთიერების სიჭარბე ორგანიზმში განაპირობებს განცდებისა და მათი მიმდინარეობის სისწრაფის მიხედვით ადამიანთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებულობას. ტემპერამენტის ეს ტიპოლოგია იმდენად მიახლოებული აღმოჩნდა ჭეშმარიტებასთან, რომ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც ძალიან სერიოზული ტიპოლოგიის ავტორებს თავისი ტიპოლოგია მასთან მიმართებაში მოჰყავთ (მაგალითად, აიზენკს). ისიც უნდა ითქვას, რომ საუკუნეების მანძილზე ჰიპოკრატეს ტიპოლოგიამ გარკვეული მოდიფიკაცია განიცადა (გალენი), მოხდა მისი გაანალიზება და განზომილებების გამოყოფა (ვუნდტი), კანტმა კიდევ უფრო დააზუსტა პიროვნების თითოეული ტიპის ფუნქცია. მიუხედავად იმისა, რომ ჰიპოკრატეს მიერ ტიპოლოგიის საფუძველი გულუბრყვილო იყო და

ეფუძნებოდა იმდროინდელ საბუნებისმეტყველო ცოდნას (ემპედოკლეს მოძღვრებას სამყაროს წარმოშობის ოთხი სტიქიის (ცეცხლი, მიწა, წყალი და ჰაერი) არსებობას.

ჰიპოკრატეს მიხედვით არსებობს ტემპერამენტის ოთხი ტიპი: **სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატური და მელანქოლიკური**

სანგვინიკური ტემპერამენტისთვის დამახასიათებელია ემოციების ძლიერი აგზნებადობა, ე. ი. ადვილი გამოწვევა, მაგრამ სწრაფი წარმავლობა. ამ ტიპის ადამიანს გრძნობები ადვილად უჩნება, მაგრამ მალევე უქრება. იგი ადვილად ახერხებს ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადასვლას.

შინაარსის მხრივ სანგვინიკური ტიპის ადამიანში ჭარბობს დადებითი გრძნობები: მას ახასიათებს დადებითი ემოციური განცდებისადმი მიდრეკილება. იგი უდარდელია, ოპტიმისტურადაა განწყობილი, სამყაროს ვარდისფერი სათვალეებით უყურებს; ადვილად შედის კონტაქტში ადამიანებთან, კეთილგანყოფილია ყველას მიმართ, ყველაში და ყველაფერში უფრო კარგს ხედავს, ვიდრე ცუდს. გარშემომყოფთაგანაც სიმპათიას იმსახურებს.

ამ ძირითად ემოციურ თვისებათა გარდა ამ ტემპერამენტს ახასიათებს მოქმედებისა და მოძრაობის სწრაფი ტემპი, ცოცხალი მიმიკა, გრძნობების ძლიერი, უშუალო-იმპულსური გამოხატვა და, საზოგადოდ, ფსიქიკურ პროცესთა სწრაფი მიმდინარეობა. სანგვინიკი ცოცხალი, მოძრავი ადამიანია, რომელიც, შეიძლება ითქვას უმტკივნეულოდ აღწევს თავის ცხოვრების მიზანს, ჰარმონიულია, როდესაც ალტერნატივებს წინაშე დგას, თუ რა აირჩიოს, თითქოს ინტუიტურად, ძალიან ადვილად (ბევრი ფიქრის და წვალების გარეშე), თავიდანვე ოპტიმალურ ვარიანტს ირჩევს.

ქოლერიკული ტემპერამენტისთვისაც დამახასიათებელია გრძნობების ძლიერი აგზნებადობა. გრძნობები მასში სწრაფად აღმოცენება, ხშირად აფექტურიც არის, მაგრამ სანგვინიკისგან განსხვავებით მისთვის უფრო ხანგრძლივი და მტკიცე გრძნობებია დამახასიათებელი. იგი კონსერვატორია;

უჭირს ახლის მიღება, ახალ სიტუაციასთან მორგება, ამის გამო კონფლიქტშია თავის თავთან: ძალიან ძნელად თმობს პოზიციას მაშინაც, როდესაც გონებით ხვდება, რომ საჭიროა დათმობა; თითქოს რაღაც ექაჩება, რომ ძველ პოზიციაზე დარჩეს. ეს, რა თქმა უნდა უარყოფით გრძნობებს იწვევს მასში.

და საერთოდაც, გრძნობების შინაარსის მხრივ ეს ტიპი სანგვინიკის საწინააღმდეგოა. მას უფრო უარყოფითი გრძნობებისკენ აქვს მიდრეკილება.

ის ყველაში და ყველაფერში უფრო ცუდს ხედავს, ვიდრე კარგს. იგი ხშირად გაღიზიანებულია, უკმაყოფილო, გაჯავრებული. მასთან ურთიერთობა ძნელია, ძნელა ამყარებს ადამიანებთან კონტაქტს.

რაც შეეხება მის რეაქციებს – იგი, ისევე როგორც სანგვინიკი სწრაფია, მოძრავი, ენერგიული და მისი ფსიქიკური პროცესებიც სწრაფად მიმდინარეობს. ქოლერიკიც, საბოლოოდ აღწევს თავის მიზანს, იღებს თავისთვის სასურველ პოზიციას ცხოვრებაში. მაგრამ თუ სანგვინიკს ეს ადვილად, ძალდაუტანებლად და უმტკივნეულოდ („თამაშ-თამაშით“) გამოსდის, ქოლერიკს იგივე ხანგრძლივი დროის მანძილზე მერყეობის, თავის თავთან და სხვასთან კონფლიქტების და უსიამოვნო განცდების ფონზე ეძლევა.

ფლეგმატიკური ტემპერამენტი გრძნობების აგზნებადობის თვალსაზრისით წინა ორი ტიპის საწინააღმდეგოა. მას ახასიათებს გრძნობების სუსტი აგზნებადობა. ემოციები მასში ძნელად აღმოცენდება. ეს არის მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანი, მისთვის უცხოა აფექტები. გრძნობები აღმოცენდება ნელა, გვიან მაგრამ სამაგიეროდ მტკიცე ხასიათს ატარებენ და დიდხანს არ ქრებიან. ამ მხრივ ფლეგმატიკი სანგვინიკის საწინააღმდეგო ტიპია, მაგრამ გრძნობების შინაარსის მიხედვით ჰგავს მას: მისთვისაც უფრო დამახასიათებელია მიდრეკილება დადებითი, ვიდრე უარყოფითი გრძნობებისადმი.

რაც შეეხება მოტორულ სფეროს, ფლეგმატიკებს ახასიათებთ მოქმედებათა და მოძრაობათა სიძინჯე, აუჩქარებლობა, გრძნობების გამომხატველობითი სფეროს სიღარება (მათი გრძნობები გარეთ არ ვლინდებიან).

მელანქოლიკური ტემპერამენტისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია მიდრეკილება უარყოფითი ემოციებისკენ. ის პესიმისტია. ყველაში და ყველაფერში უარყოფითს ხედავს. ამით ის ქოლერიკს ჰგავს. მაგრამ ქოლერიკი მებრძოლია, საბოლოო მიზანს მაინც აღწევს. მელანქოლიკი კი ბრძოლისუუნარო, თითქოს ენერგიაგამოცლილი პიროვნებაა, რომელიც თავიდანვე ცუდისთვის არის განწყობილი და ცუდს მოელის ამ ცხოვრებიდან.

მელანქოლიკს მოძრაობები შედარებით მოღუნებული და ზანტი აქვს.

ამრიგად, ტემპერამენტის ზემოთგანხილული ტიპები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: გრძნობების **აგზნებადობის თვალსაზრისით** სანგვინიკური და ქოლერიკული ტემპერამენტის ტიპები ერთ ჯგუფას შეადგენენ (ადვილი აგზნებადობის ტიპები არიან), ხოლო ფლეგატური და მელანქოლიკური ტიპები კი – მეორე ჯგუფს (სუსტი აგზნებადობის ტიპები).

გრძნობის შინაარსის, ე.ი. ემოციის სიამოვნება-უსიამოვნების მიმართულების თვალსაზრისით სანგეინიკური და ფლეგმატური ტემპერამენტის ტიპები ერთ ჯგუფს ქმნიან (დადებითი, სასიამოვნო ემოციები), ხოლო ქოლერიკული და მელანქოლიკური ტიპები – მეორე ჯგუფს (უარყოფითი, უსიამოვნო გრძნობები)

მიუხედავად ერთგვარი გულუბრყვილო შეხედულებისა, ჭეშმარიტების მარცვალ კიპოკრატეს ტიპოლოგიაში მაინც იყო: კიპოკრატე ტემპერამენტის საფუძველს და ადამიანებს შორის განსხვავებას ორგანიზმში არსებულ განსხვავებულ ნივთიერებებში ხედავდა. თანამედროვე ენდოკრინოლოგიაში დადგინდა, რომ ტემპერამენტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჰორმონებზე (ანუ ორგანიზმის შიგნით არსებულ ნივთიერებებზე).

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბერძენი ფილოსოფოსები (არისტოტელე, პლატონი) უკვე განასხვავებდნენ ერთმანეთისგან ტემპერამენტსა და ხასიათს. ხასიათი ნიშნავდა ადამიანის ქცევას, მის დამოკიდებულებას თავისი თავისადმი, სხვისადმი, ღირებულებებისადმი. ტემპერამენტი გამოხატავდა ადამიანის ვნებების, გრძნობების თავისებურებებს, მათ დინამიკას.

თეოფრასტე ანტიკური ხანის მეორე ბერძენი ფილოსოფოსია, რომელიც არის ხასიათის მიხედვით ადამიანთა ტიპოლოგიის ავტორი. თეოფრასტემ პირველმა იხმარა სიტყვა ხასიათი (ქარაქტერ), რომელიც ნიშნავს გამოკვეთას, ანაბეჭდს, ადამიანის მიმართ კი გამოკვეთილ თავისებურებას. მან გამოჰყო მაშინდელი ადამიანებისთვის დამახასიათებელი მკვეთრი პიროვნული ნიშნები, და ამ ნიშნების ფონზე განიხილა მთლიანად ადამიანის ქცევა. თეოფრასტე ითვლება ხასიათის შესახებ პირველი დამოუკიდებელი წიგნის ავტორად. ეს პორტრეტები ასახავენ 30 განსხვავებული, (მაგრამ მხოლოდ უარყოფითი) ნიშნების მქონე ადამიანებს. თეოფრასტეს დახასიათებები აგებულია ადამიანთა ქცევის დაკვირვებებზე, მათ აღწერაზე და იმ დომინანტური ნიშნის გამოკვეთაზე, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ქცევას ნებისმიერ სიტუაციაში. აღსანიშნავია, რომ რომ თეოფრასტეს ეს ფსიქოლოგიური პორტრეტები იმდენად დახვეწილია ლიტერატურული თვალსაზრისით, რომ ერთგვარ მხატვრულ ეტიუდს წარმოადგენს. ეს დახასიათებები, მოკლეა, შეკრული და, ამავე დროს, სრული. მისი თანამედროვე ბერძნების ტიპები იმდენად განზოგადებულია, რომ მათში მკითხველი აღმოაჩენს ყველა ეპოქის ადამიანისთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

შეიძლება ითქვას, რომ თეოფრასტემ ჩაუყარა საფუძველი ე.წ. “ლიტერატურულ ქარაქტეროლოგიას” – ერთი დამახასიათებელი, მკვეთრი ზნეობრივი თვისების მიხედვით პიროვნების პორტრეტის მხატვრულ, ლაკონურ ეტიუდში გამოქანდაკებას. მისმა წიგნმა “ხასიათები” დიდი გავლენა მოახდინა როგორც ანტიკურ, ისე შუა საუკუნეების ფილოსოფოსებსა და მოაზროვნეებზე (მაგ. ლაროშფუკო და ლაბრუიერი). (ვლ. ნორაკიძე).

თეოფრასტე ასე ახასიათებს უტაქტო ადამიანს:

“უტაქტობა – ეს არის შენთან ურთიერთობაში მყოფი ადამიანის უხერხულ(უსიამოვნო) მდგომარეობაში ჩაყენება. აი, როგორია უტაქტო ადამიანი: თავისი საქმით ძალიან დაკავებულ ადამიანთან იგი გაუფრთხილებლად მიდის რჩევის საკითხავად. ძმაკაცები თავისი შეყვარებულის გასაცნობად მიჰყავს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი სიცხიანი თავის სახლში ლოგინში წევს. ციხიდან ადამიანის გამოსაშვებად თავდებად მდგომი სასამართლოში საქმის დამთავრების შემდეგ ანუ დაგვიანებით მიდის. ქორწილში ქალების ლანძღვას იწყებს. ადამიანს, რომელიც ეს ესაა დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა სახლში სასეირნოდ წასვლას სთხოვს. შეუძლია ადამიანთან, რომელმაც გარკვეულ ფასად ნივთი გაყიდა მიუყვანოს მყიდველი, რომელიც ამ ნივთში მეტს შესთავაზებს. კრებაზე, სადაც ყველასთვის ყველაფერი ნათელია, საქმე გადაწყვეტილია და ხალხი დასაშლელად ემზადება, მას შეუძლია ადგეს და ხელახლა დაიწყოს იგივე საკითხზე მსჯელობა. როდესაც მის თვალწინ მონას როზგავენ, ის იქვე დგას და ყვება, თუ როგორ ჩამოიხრჩო ერთმა მონამ თავი გაროზგვის შემდეგ.”

თუ თეოფრასტეს მხოლოდ უარყოფითი ხასიათის ნიშნები აქვს აღწერილი თავის “ხასიათებში”, ლაბრუიერთან გარკვეული განზომილებების გამოკვეთის მცდელობაცაა მოცემული, რის საფუძველზეც ადამიანთა ურთიერთდაპირისპირებული ხასიათი იკვეთება. ასეთია ლაბრუიერის მიხედვით **გიტონი და ფედონი**.

“ **გიტონი** ლაპარაკობს თავის თავში თავდაჯერებულად. იგი გაშლის დიდ ცხვირსახოცს და ხმაურით მოიხოცავს ცხვირს. ადააფურთხებს დიდ მანძილზე და ცხვირს დააცემინებს ხმამაღლა. . . სუფრასთან და სეირნობისას მას უჭირავს მეტი ადგილი, ვიდრე სხვას. იგი იჭერს ყოველთვის ცენტრალურ ადგილს და დადის მხოლოდ თავის თანაბართან. როცა იგი ჯდება სავარძელში, ფეხებს ერთმანეთზე გადაიდებს, ქუდს ჩამოიფხატავს, მოიღუშება და არავის უყურებს. ნ ისევე აიწევს ქუდს და გამოაჩენს შუბლს სიამაყით და თავხედურად.

იგი მხიარულია, გულიანად იცინის, მოუთმენელია, თავის თავში დარწმუნებული, ფიცხია, არარელიგიური, დარწმუნებულია, რომ ნიჭიერი და გონებამახვილია. “

“**ფედონს** აქვს ღვარძლიანი კომპლექცია. იგი აბსტრაქტულია, მწეოცნებე და მიუხედავად გონებამახვილობისა, სულელად გამოიყურება. მას ავიწყდება იმის თქმაც, რაც იცის და ჰგონია, ცუდად გამოუდის ნათქვამი; ჰგონია, რომ ხელს უშლის იმას, ვისაც ელაპარაკება. ეჩვენება, რომ მომაბეზრებელია, ლაპარაკობს ცივად და მოკლედ. ცრუმორწმუნეა, ჭარბად მორიდებული; დადის სირბილით და მსუბუქად, თითქოს ძლივს ეხება მიწას. დადის დახრილი თვალებით და ვერ ბედავს თვალი გაუსწოროს გამვლელებს. იგი არასოდეს ერევა დავაში, იმალება იმ ადამიანის უკან, რომელიც ლაპარაკობს, ფრთხილად გაიგებს იმას, რასაც იგი იტყვის და გაეცლება, თუ შეამჩნია, რომ მას უყურებენ. მას არ უჭირავს სივრცე, არ აქვს პრეტენზია ადგილზე. იგი დადის მოხრილი მხრებით, ჩამოფხატული ქუდით რომ არ შეამჩნიონ, იკუმშება, იმალება თავის მოსასხამში. თუ მას სთხოვენ დაჯდომას, ჩამოჯდება სკამის კიდეზე, ლაპარაკობს სუსტი ხმით, ცუდი არტიკულაციით, ახველებს, ცხვირს იხოცავს ქუდში თავის ჩამალვით. . . “

ადამიანის თავისებურებების წვდომის ერთ-ერთ წინამეცნიერულ ეტაპს წარმოადგენს **ფიზიონომიკის** სახელით ცნობილი მიმართულება, რომლის არსიც მდგომარეობს გარეგნული ნიშნების (სახის ნაკეთების, სხეულის ნაწილების) მიხედვით პიროვნების ხასიათისა და ქცევის დადგენა და წინასწარმეტყველება. ამ დარგის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი **ლავატერია**, რომელსაც ზოგი “ყველა დროის უდიდეს ავანტიურისტს და შარლატანს” უწოდებდა, ზოგი კი მის დამსახურებას ფსიქოლოგიის წინაშე აღიარებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი უდაოდ ნიჭიერი ადამიანი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სახელი არ შემორჩებოდა ისტორიას, თუმცა შეიძლება მისი შეფასება ორივე მიმართულებით – გადაჭარბებული იყოს. ერთი კი ცხადია – იგი სერიოზულად იყო დაინტერესებული საკითხის შესწავლით, რასაც მის მიერ დატოვებული ტრაქტატიც მოწმობს, სადაც გარკვევით არის ზღვარი გავლებული **ფიზიონომიკასა** და **პათოგნომიკას** შორის. მის მიერ დადგენილ ამ განმასხვავებელ კრიტერიუმს თანამედროვე ფსიქოლოგიაც ეყრდნობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლავატერი ადამიანის ქცევის განსხვავებულ მიზეზებს აცნობიერებდა და ამ მოსაზრებებს თავის ტრაქტატში აფიქსირებდა: **ფიზიონომიკა** ადგენს კავშირს სხეულის ცალკეულ ნაკეთებსა და

ქცევაში გამოვლენილ ხასიათის თავისებურებებს შორის (მაგ. ნიკაპზე ღრმული ამ ადამიანის მტკიცე ხასიათზე მიუთითებს; ან მაღალი შუბლის მქონე ადამიანი ჭკვიანია). სხეულის ნაკეთები შედარებით მყარი და უცვლელია, ისევე როგორც ხასიათის ნიშნები. **პათოგნომიკის** შემთხვევაში კი ხდება სხეულებრივი გამოხატულებების იმ მომენტის ემოციურ მდგომარეობასთან დაკავშირება (მაგალითად, მუშტების შეკუმშვა, წამოწითლება და სხვ. გაბრაზების დროს). სხეულის ეს მდგომარეობები განსხვავებით ფიზიონომიკისგან – დროებითი, წარმავალია, ისევე როგორც თვით ემოციები.

პიროვნების კონსტიტუციური თეორიები

კრეჩმერის თეორია

მე-20 საუკუნეში ფიზიონომიკის პრინციპი საფუძვლად დაედო უფრო სერიოზული ხასიათის და მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დამყარებულ ტიპოლოგიებს, რომლებიც **კონსტიტუციური თეორიების** სახელით არის ცნობილი და რომლის წარმომადგენლებიც არიან გერმანელი **ერნსტ კრეჩმერი** და ამერიკელი **უილიამ ჰერბერტ შელდონი**.

კრეჩმერი იყო გერმანელი ფსიქიატრი და ფსიქოლოგი, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა მარბურგის ფსიქიატრიულ კლინიკაში და თავისი დაკვირვებები და ექსპერიმენტული გამოკვლევები განაზოგადა თეორიაში, რომელიც ყველაზე სრულად წარმოდგენილია მის წიგნში “**სხეულის აგებულება და ხასიათი**” (1929).

ყოველდღიურ ცხოვრებაში და წინამეცნიერულ ფსიქოლოგიურ გამოკვლევებში ხშირად ვხვდებით მითითებებს პიროვნულ და სხეულებრივ ნიშნებს შორის კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე. მაგალითად, ხალხის წარმოდგენაში ეშმაკი გამხდარი, წელში მოხრილია და გრძელი წვეტიანი ცხვირი აქვს. კრეჩმერს თავის წიგნის ეპიგრაფად არჩეული აქვს ნაწყვეტი შექსპირის ტრაგედიიდან “იულიუს კეისრი”:


კეისარი: იმას ეცადე გვერდით სრული ხალხი მეხვიოს,
გულით სადანი და ღამით ძილ-გაუტეხელნი.
ეს კასიოს კი პირხმელია, სულ მშიერსა ჰგავს
და ბევრსაც ფიქრობს, მაგისტანებს უნდა ერიდო.

ანტონიუს: ნუ გეშინია, კეისარო, შენ კასიოსი
ეგ ღირსეული, ნიჭით სავსე რომაელია“.

კრეჩმერმა ფსიქიატრიულ კლინიკაში მუშაობის დროს ყურადღება მიაქცია იმას, რომ სულიერი დაავადების ცალკეული ფორმით დაავადებული ავადამყოფები არა მხოლოდ დაავადების სიმპტომებით, არამედ გარეგნული ნიშნებითაც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ჩვეულებრივ, გარეგნული, სხეულებრივი ნიშნები – სახის ფორმა, ზომები, მოქნილობა და სხვ. სტაბილური ნიშნებია, რომელიც დამკვირვებლის მიერ უშუალოდ აღიქმება. ეს ნიშნები სიტუაციურად ინვარიანტულნი არიან და სოციალურ გარემოცვაზე უშუალოდ ახდენენ გავლენას. კრეჩმერმა ავადმყოფებზე თავისი

მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად ივარაუდა (ჰიპოთეზა), რომ უნდა არსებობდეს სისტემური კავშირი დაავადების სიმპტომებსა და სხეულის აგებულებას შორის.

კრემერის მიხედვით ადამიანის კონსტიტუცია პიროვნების როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ქცევის საფუძველია. კონსტიტუცია მას ესმის, როგორც ფსიქო-ფიზიკური მთლიანობა. კონსტიტუციის ცნებაში იგულისხმება ფსიქიკურიც. კრემერი განმარტავს: “კონსტიტუციის ქვეშ ჩვენ გვესმის ყველა ინდივიდუალურ სისტემათა ჯამი, რომელიც ემყარება მემკვიდრეობას, ე. ი. მოცემულია გენოტიპურად”.



ლეპტოსომური (ასთენიკური), პიკნიკური და ათლეტური აგებულება კრემერის მიხედვით

კრემერის მოღვაწეობის დროს ფსიქიატრიაში ფსიქოზების კლასიფიკაცია ორ განსხვავებულ კატეგორიას ცნობდა— შიზოფრენიასა და მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს, რომლებსაც მკვეთრად დამახასიათებელი და ერთმანეთისგან განმასხვავებელი სიმპტომები გააჩნდათ. კრემერს არ აკმაყოფილებდა მხოლოდ ემპირიული დაკვირვების საფუძველზე დაეფიქსირებინა სხეულებრივი განსხვავებები ამ ორი ტიპის დაავადებულებში.

მას უნდონდა სერიოზული ლაბორატორიული კვლევით დადასტურებული და სარწმუნო შედეგები მიეღო. კრემერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის კონსტიტუციის მორფოლოგიურ თავისებურებებს – სხეულის უჯრედების, ცალკეული ორგანოების, ნერვული სისტემის, ნივთიერებათა ცვლის, სქესობრივი სისტემის, სისხლძარღვების და სხვ. ურთიერთობის თავისებურებებს.

მისი აზრით, განსხვავებულად აგებული სხეული განსხვავებულ რეაქციებს იძლევა. ამიტომ მან გამოჰყო 70-ამდე მორფოლოგიური და კონსტიტუციური მახასიათებლები, რომელთა აღიცხვასაც ახდენდა. მოკლედ, კრემერმა თავის კოლეგებთან ერთად შეიმუშავა მშვენიერი სისტემა – ჰქონდა ბლანკი ამ ნიშნებით და ყოველი ავადმყოფი ამ სიაში არსებული პუნქტების მიხედვით გადიოდა შემოწმებას. ასე რომ, ადვილი იყო ორი ტიპის ავადმყოფთა შორის განსხვავების აღმოჩენა. ამ გაზომვების შედეგად კრემერმა დაავადებულ პაციენტებში კონსტიტუციის მიხედვით შემდეგი ტიპები გამოჰყო: 1. **ასთენიკური**, 2. **პიკნიკური**, 3. **ათლეტური**.

ასთენიკური (ლეპტოსომური) აგებულების ადამიანის სახე, რომელიც კვერცხის ფორმის შთაბეჭდილებას სტოვებს, გამხდარი და ფერმკრთალია, მოგრძო, ვიწრო და მკვეთრად მოხაზული. წაგრძელებული, წვეტიანი ცხვირი, რომელიც შევარდნილ ნიკაპთან ერთად სამკუთხა პროფილს ქმნის. წვრილი კისერი. მისი სხეული წვრილია, გამხდარი, სისხლნაკლული კანით. გულმკერდი ჩავარდნილი აქვს, მუცელი შეწეული, მხარ-ბეჭი ვიწრო, კიდურები წვრილი, სუსტად განვითარებული კუნთები.

პიკნიკური აგებულების (კონსტიტუციის, ჰაბიტუსის) ადამიანისთვის დამახასიათებელია ფართო, რბილი, მსხვილი სახე, რომელიც თავის ფორმის მოყვანილობას ეხამება. კისერი მოკლე და მუცელი საკმაოდ დიდი. სხეულს მიდრეკილება აქვს სიმსუქნისადმი. მძლავრად განვითარებულია სხეულის ღრუები. ასეთი ადამიანი უფრო დაბალია. აქვს სიმელოტიკენ მიდრეკილება.

ათლეტური აგებულების ადამიანის ჩონჩხი და კუნთები მძლავრად განვითარებულია. ათლეტის თავი ძვლოვანი რელიეფით და გამოსატული სახით ეყრდნობა მაღალსა და მაგარ კისერს, გულ-მკერდი და მხრები ფართოა. მთელ ტანზე, განსაკუთრებით კიდურებზე აქვს მძლავრად განვითარებული კუნთები

კრემერმა დაადგინა გარკვეული დადებითი კორელაცია კონსტიტუციის ამ ტიპებსა და დაავადების სახეებს შორის. იხ, ცხრ.

ტიპი	შიზოფრენია	ეპილეპტოიდი	მანიაკალურ დეპრესიული
	n= 5233	n=1505	n=1361
ლეპტოსომი	50,3%	25,1%	19,2%
ათლეტური	16,0%	28,9%	6,7%

პიკნიკური	13,7%	5,5%	64,6%
შერეული	20,0%	40,5%	9,5%

კრემერის თეორია ფსიქოლოგებისთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც მან თავისი კონსტიტუციური თეორია ჯანმრთელ ადამიანებზეც გაავრცელა, ოღონდ ამ შემთხვევაში დაავადების ნაცვლად ხასიათი გამოჰყო. კრემერისთვის პათოლოგია და ნორმა ერთი კონტინუუმის ორი პოლუსია.

კრემერმა ხასიათის ორი ტიპი გამოჰყო: შიზოთიმიკური და ციკლოთიმიკური და სცადა დაედგინა კავშირი ჯანმრთელი ადამიანის ხასიათსა და კონსტიტუციას შორის. როგორც აღმოჩნდა, შიზოთიმიკის სხეულის აგებულება ასთენიკურია, ხოლო ციკლოთიმიკისა კი – პიკნიკური.

მიუხედავად იმისა, რომ კრემერის წიგნის სახელწოდებაში ხასიათის ცნება ფიგურირებს, როგორც ოლპორტი მიუთითებს თავის შრომაში, კრემერი უფრო ტემპერამენტს უნდა გულისხმობდეს, რადგან ის ბიოგენეტიკური ძირები, რომელზეც აგებს კრემერი თავის თეორიას კონსტიტუციას და ტემპერამენტს უფრო მეტად აქვს საერთო, ვიდრე კონსტიტუციასა და ხასიათს.

ციკლოთიმიკური ხასიათის ადამიანი არის: 1. გულდია, გულკეთილი, გულწრფელი, ალერსიანი. 2. მხიარული, იუმორის გრძნობით, მოძრავი, ცოცხალი, მგზნებარე. 3.ჩუმი, რბილი, მშვიდი, შტაბეჭდილებიანი. ეს ნიშნები ხშირად ცვლიან ერთმანეთს. წამყვანია პირველი რიგის ნიშნები. ისინი უფრო გულდია, გულკეთილი ადამიანები არიან, რომლებთანაც ადვილია ურთიერთობა, ადვილად უგებენ ადამიანებს, ესმით ხუმრობა, დებულობენ ცხოვრებას ისე, როგორც იგი ნამდვილად არის. მათი ქცევა მუდამ ბუნებრივია, დაუძაბავი. ისინი დვილად ახერხებენ მეგობრების პოვნას. მათ არსში არის ერთგვარო სირბილე და სითბო.

თუ ციკლოთიმიკში ამ სამი რიგი ნიშნებიდან ჭარბობს აგზნებული, ჭარბად მხიარული, ოპტიმისტური განცდები, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იგი **ჰიპომანიაკალური** მდგომარეობისკენ იხრება. ხოლო როდესაც უფრო დამახასიათებელია დაწეული გუნებგანწყობილება, ჭარბი შტაბეჭდილებიანობა, მოწყენილობა, მაშინ ასეთი ციკლოთიმიკი დეპრესიისა და მელანქოლიისკენ იხრება. ციკლოთიმიკში ჰიპომანიაკალური და მელანქოლიური ნიშნები ხშირად გადაჯაჭვულნი არიან ერთმანეთზე და ხშირად ცვლიან ერთმანეთს. ამ ორი თვისების – აგზნებულის და დეპრესიულის ერთმანეთში შეჭრას, ერთგვარ ამბივალენტურ მდგომარეობას კრემერი **დიათეტურ პროპორციას** უწოდებს.

ციკლოთიმიკის ტემპერამენტი ირხევა მოწყენილობისა და სიხარულის ტალღებს შორის. ეს რხევა ზოგში უფრო სწრაფია და სწრაფწარმაგალი, ზოგში უფრო ნელი და ხანგრძლივი და ამ რხევის პროცესში ერთი მიმართულია ჰიპომანიაკალური, მეორე კი დეპრესიული პოლუსისაკენ. თუკი აგზნებულ და დეპრესიულ მდგომარეობას შორის რხევა ძალიან ძლიერია, მაშინ ადამიანი ფსიქოპათურ მდგომარეობაში იმყოფება (**ციკლოიდური ფსიქოპათია**). მაგრამ თუ დეპრესიის ან აგზნების სიმწვავე აღწევს უკიდურეს წერტილს, გამოთიშავს ადამიანს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ფსიქოპატური მდგომარეობა გადადის სრულ ფსიქიკურ დაავადებაში ცირკულარულ ფსიქოზში.

ციკლოიდური ფსიქოპათია

უკიდურესი
დეპრესია

აგზნება

ასთენიკურ აგებულებას ნორმაში შეესაბამება შიზოთიმიკური ტემპერამენტი კრეჩმერი გამოყოფს შიზოთიმიკის ნიშნების სამ ჯგუფს, რომელნიც თავს იჩენენ მის ქცევაში:

1. ჰიპერესტეტური -ზედმეტად მგრძობიარე, ტაქტიანი, დელიკატური, სენტიმენტალური, ესთეტი, ბუნების და წიგნის მეგობარი, მორცხვი.
2. შიზოთიმიური საშუალო- ცივი, გულდახურული, ენერგიული, თანმიმდევარი, სერიოზული, სისტემატური, იუმორს მოკლებული.
3. ანესტეტური –ინდიფერენტული. პედანტი, ადამიანების მიმართ უგრძობი-გულგრილი, ზოგჯერ ც კი.

სამივე ჯგუფის ნიშანი დამახასიათებელია შიზოთიმიკისთვის, მაგრამ უფრო ხშირად ჭარბობს რომელიმე მათგანი. თუმცა. ასევე გვხვდება შიზოთიმიკები, რომლებთანაც ყველა ეს ნიშანი ერთმანეთშია გადახლართული. ეს უკანასკნელნი მუდამ იხრებიან აგზნებულ, მგრძობიარე, სენტიმენტალურ მდგომარეობასა და შინაგან სიცევასა და სიჩლუნგეს შორის. ამ ორ მდგომარეობას შორის მერყეობას კრეჩმერი **ფსიქესთეტურ პროპორციას** უწოდებს.

შიზოთიმიკისთვის დამახასიათებელია აგზნებულად მგრძობიარე, სენტიმენტალურ განცდებსა და ცივ, ინდიფერენტულ მდგომარეობათა

ურთიერთში გადახლართვა, მათ შორის გადასვლები, გულდახურულობა, თავის თავში ჩაკეტილობა (აუტიზმი), სოციალური კონტაქტის სიძნელე.

როდესაც შიზოთიმის ნიშნები სუსტადაა მოცემული, მაშინ შიზოთიმურ, ნორმალურ ადამიანთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ ეს ნიშნები გამწვავდა მივიღებთ **შიზოიდურ ფსიქოპაზს**, ხოლო უკიდურესი გამწვავების შემთხვევაში კი დაავადებასთან შიზოფრენიასთან. კრეჩმერი გამოჰყოფს შიზოიდის ორ ტიპს: ჰიპერესთეტიურსა და ცივი, ჩლუნგ ტემპერამენტებს. ირველი ტიპი შემდეგ ქვეტიპებს გულისხმობს: აფექტებს მოკლებული ადამიანი; მგრძობიარე, ცივი არისტოკრატი; პათეტური იდეალისტი; ცივი, ჩლუნგი ხასიათის ადამიანი გულისხმობს სამ ქვეტიპს: გულცივი დესპოტი; ბრაზიანი, ჩლუნგი ტიპი; არაფრისმაქნისი, უსაქმური ადამიანი.

ნორმა----- შიზოიდი-----შიზოფრენია

ათლეტური აგებულების ადამიანს კრეჩმერის მიხედვით ნორმაში შეესაბამება **ვისკოზური** ტემპერამენტი. მერყეობს ექსპლოზიური *(ფეთქებადი) და ფლეგმატური ტემპერამენტის გამოვლინებებს შორის. თუ მერყეობა გამწვავდა, საქმე გვაქვს **ეპილეპტოიდთან**. უკიდურესი გამწვავების შემთხვევაში მივიღებთ **ეპილეპტიკს**. ნორმაში გვაქვს **ბარიკინეტური ტემპერამენტი - ენტოტონური პროპირცია**. ასეთ ადამიანს სავსებით ადექვატური რეაქციები აქვს გამლიზიანებლის მიმართ, თანმიმდევარია, ნელი,, მოუქნელი, მაგრამ ღონიერი.

კრეჩმერის თეორიის შეფასება. ავტორის დამსახურებაა, რომ მან სცადა სისტემური სახე მიეცა ორ განსხვავებულ განზომილებას შორის დამოკიდებულებისათვის. ამასთან, მან გვერდი აუარა ინტუიტურ მსჯელობებს და მეთოდებს და გამოიყენა ფსიქომეტრული, გაზომვადი მეთოდები,, მაგრამ მიუხედავად თავისი პოპულარობისა დღეს მას აკრიტიკებენ. მის მიმართ შენიშვნები გამოთქმული აქვთ ოლპორტს, აიზენკს, შტრომერს.

1.აიზენკის მიხედვით კრეჩმერის თეორიისთვის არსებითი კავშირი დიაგნოზსა და სხეულის აგებულებას შორის მეთოდოლოგიური არტეფაქტია: რადგან ენდოგენური ფსიქოზების გამოვლენის ასაკი განსხვავებულია შიზოფრენიკებთან და დეპრესიის მქონე პაციენტებთან. პირველებთან დაავადება უფრო ადრეულ ასაკში ვლინდება (30 წლისთვის), ხოლო დეპრესიის შემთხვევები 50 წლისთვის. გარდა ამისა, აიზენკის აზრით, სხეულის აგებულება ასაკზეც არის

დამოკიდებული: ახალგაზრდულ ასაკში ადამიანის აგებულება უფრო მეტად ასთენიკურს ემსგავსება, ხოლო ხანშიშესულობისკენ, ცხიმის დაგროვებასთან ერთად პიკნიკური აგებულების ელემენტები ჭარბობს. ყოველივე ამის გამო კი მოჩვენებით კორელაციასთან შეიძლება გვეკონდეს საქმე.

2. კრემერის თეორია გენეტიკურ ფაქტორებს გადამწყვეტ როლს ანიჭებს და ფაქტიურად სხვა ფაქტორების როლს უარყოფს.

3. არ იძლევა ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობას. არ მოიცავს და არ გვაწვდის ქცევის შეცვლის მეთოდებს და საშუალებებს

4. ოლპორტის მიხედვით, არ არის სწორი ის პირდაპირი დამოკიდებულება ნორმასა და დაავადებას შორის, რასაც კრემერი თავის თეორიაში ამტკიცებს, სახელდობრ, რომ თუ პიკნიკური აგებულების (ციკლოთიმიკებ) ადამიანებს თავისი ცხოვრების მანძილზე ფსიქიური დაავადება უწერიათ, ისინი აუცილებლად მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზით დაავადდებიან, ხოლო ასთენიკები (შიზოთიმიკები) კი - შიზოფრენიით.

5. დღეისთვის ეს თეორია მიუხედავად პრობლემის მიმზიდველობისა, ისტორიის კუთვნილებაა.

შელდონის თეორია. 1942 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგმა შელდონმა გამოაქვეყნა წიგნი „ტემპერამენტის მრავალფეროვნება“ (The Varieties of Temperament \square პსიქოლოგი ლუიჯი ლორენცო), სადაც კრემერის მსგავსად ცდილობდა დაემტკიცებინა კავშირი ადამიანის კონსტიტუციასა (პიროვნების სტრუქტურულ-სტატიკურ ასპექტსა) და ტემპერამენტს (პიროვნების დინამიკურ ასპექტს შორის). შელდონის აზრით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ მათ შორის კავშირი არსებობდეს, რადგან სტრუქტურა უნდა განსაზღვრავს ფუნქციას.

სხეულის აგებულების კომპონენტების გამოსაყოფად შელდონმა ე.წ. ანთროპოსკოპული მეთოდი გამოიყენა: მან 4000 სტუდენტს (გახდილს) გადაუღო სურათები ანფასში, პროფილში და ზურგიდან. ამ ფოტოების ვიზუალური დათვალიერების და გარკვეული კრიტერიუმის საფუძველზე ანალიზის შედეგად მან შეარჩია სხეულის აგებულების უკიდურესი ვარიანტები, რომლებიც აბსოლუტურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ასეთი სამი სომატოტიპი აღმოჩნდა.

პირველი ხასიათდებოდა მრგვალი ფორმებით – ჰქონდა ძალიან დიდი მუცელი, ბევრი ცხიმი მხრებსა და თეძოებზე, დიდი, მრგვალი თავი, დიდი


შინაგანი ორგანოები, მოდუნებული ხელ-ფეხი, ცუდად განვითარებული კუნთური და ძვლოვანი სისტემა. რს ადამიანები, ჩვეულებრივ, მსუქნები არიან და მათზე ამბობენ, რომ ისინი “წყალში არ იძირებიან”

მეორეს ჰქონდა განიერი მხარბეჭი, დაკუნთული ხელები და ფეხები, კანქვეშა ცხიმის მინიმალური რაოდენობა. ”მათი გარეგნობა დამთრგუნველად ძლიერია”.

მესამე იყო ძალიან გამხდარი, ვიწრო, ვიწრო მხარ-ბეჭით და გულმკერდით, ჰქონდა მაღალი შუბლი, წვრილი და გრძელი ხელები და ფეხები, სუსტად განვითარებული კუნთები, კარგად განვითარებული ნერვული სისტემა. “მათ ახასიათებთ სისუსტე, სითხელე, ბრტყელი მკერდი და საერთოდ, ნაზი სხეული.

ამ სამ ტიპს შევადარებ უწოდა **1. ენდომორფული, 2. მეზომორფული და 3. ექტომორფული ტიპი** . ეს სახელები უკავშირდება ჩანასახის ფურცლებს. იმ დროს ბიოლოგიაში გავრცელებული შეხედულების თანახმად ენდომორმიდან (ჩანასახის შიდა ფურცელი) ვითარდება შინაგანი ორგანოები; მეზომორმიდან (ჩანასახის შუა ფურცელი) ვითარდება ძვლები, კუნთები გული, სისხლძარღვები, ხოლო ექტომორმიდან (ჩანასახის გარე ფურცელი) ვითარდება თმები, ფრჩხილები, რეცეპტორები, ნერვული სისტემა.

შევადარებ თითოეულ სომატოტიპს რიცხობრივი ინდექსი მიაკუთვნა. ამისათვის მან შვიდქულიანი შეფასების სკალა გამოიყენა. კერძოდ, 1 იყო ამ ტიპის მახასიათებლების მინიმალური მოცემულობა, ხოლო 7 – აბსოლუტური მაქსიმუმი. ამრიგად, შევადარებ მისევედ, ყოველი კონკრეტული ინდივიდის სხეულის აგებულება სამი ციფრით შეიძლება შევაფასოთ, ანუ სომატოტიპიზირება მოვახდინოთ. მაგალითად, ინდივიდი, რომლის სომატოტიპიც არის 4-6-1 ხასიათდება დაახლოებით საშუალო ხარისხის ენდომორფული, მაღალი ხარისხის მეზომორფული აგებულებით და საერთოდ არ გააჩნია ექტომორფის თვისებები.



სხეულის აგებულების ტიპები შელდონის მიხედვით

სომატოტიპების გამოყოფის შემდეგ შელდონმა დაიწყო ტემპერამენტის ტიპების გამოსაყოფად მეთოდის შერჩევა. ამისთვის ის გაეცნო მდიდარ ლიტერატურას პიროვნების ფსიქოლოგიის შესახებ, საიდანაც ამოიწერა და შეადგინა 650 პიროვნული (ხასიათის, ტემპერამენტის) ნიშნის სია, რომელთა გადამუშავების შედეგად (გამორიცხა სინონიმები, შემთხვევითი და უმნიშვნელო თვისებები და სხვ.) და ეს ციფრი 50-დგ დაიყვანა. პიროვნული ნიშნების ამ სიის საფუძველზე შელდონი მთელი წლს განმავლობაში იკვლევდა 33 ცდის პირს სხვადასხვა მეთოდით – ტესტებით, მათ ქცევაზე დაკვირვებით, საუბრებით, კითხვარებით, მათი ნაცნობების მათ შესახებ გამოკითხვით. და დახასიათებების გაცნობით. შელდონმა შეიდქულიანი სკალა გამოიყენა იმისათვის, რომ დაედგინა და შეეფასებინა, თუ რა ხარისხით იყო თითოეული ამ 50 ნიშნიდან ამ პიროვნებებში წარმოდგენილი. ამ შეფასებების კორელაციური ანალიზის საფუძველზე მიღებული კოეფიციენტების ანალიზის შედეგად მან ნიშანთა სამი ჯგუფი გამოჰყო. და მათ უწოდა 1. ვისცეროტონია, 2. სომატოტონია და 3. ცერებროტონია. საბოლოოდ ტემპერამენტის თითოეულ ამ ტიპში 60 ნიშანი გაერთიანდა, რომელიც შელდონმა 4 წლის სკრუპულოზური მუშაობით - სხვადასხვა ნიშნების ძირითად (უკვე არსებულ) ნიშნებთან

კორელაციური ანალიზის საფუძველზე დაუმატა თავდაპირველ ნიშნებს (ტიოთოეულ ტიპს – 20 ნიშანი).

ისევე, როგორც სომატოტიპების შემთხვევაში, ტემპერამენტის ტიპების მიმართაც მან რიცხოვრივი ინდექსი შემოიღო: უკიდურესი ვისცეროტონია: 7-1-1; უკიდურესი სომატოტონია: 1-7-1; და უკიდურესი ცერებროტონია: 1-1-7. ნორმალური განაწილება – 4-4-4.

ტემპერამენტის ნიშნები შელდონის მიხედვით

ვისცეროტონია	სომატოტონია	ცერებროტონია
სხეულის და მოძრაობების მოშვებულობა-მოღუნებულობა	მიხვრა-მოხვრასა და ქცევაში იგრძნობა თავის თავში დარწმუნებულობა	შეკავებული, შეზღუდული მოძრაობები
ფიზიკური კომფორტის სიყვარული	ფიზიკური დატვირთვის სიყვარული	გადაჭარბებული ფიზიოლოგიური რეაქტიულობა
შენელებული რეაქციები	ენერგიულობა	სწრაფი რეაქციები
ჭამის სიყვარული	მოძრაობის მოთხოვნილება და სიამოვნება მისგან	ინტიმურობისკენ მიდრეკილება
კვების სოციალიზაცია	ბატონობისკენ, ძალაუფლებიდან სწრაფვა	ძლიერი გონებრივი დაძაბულობა, დაძაბული ყურადღება, შფოთვა
სიამოვნებს ჭამის პროცესი	რისკისკენ მიდრეკილება	კონტროლი ემოციებზე, შეუძლია გრძნობების დაფარვა
უყვარს, როდესაც გალანტურად ექცევიან	თავის თავში დარწმუნებული მანერები	თვალების და სახის მოუსვენარი მოძრაობები
სოციოფილია	გაბედულება ბრძოლაში	სოციოფობია
კეთილგანწყობა ყველას მიმართ	შეჯიბრში აგრესიულობა	სოციალური ურთიერთობების დამყარების სირთულე
შექების და მისი ქცევის სხვებისგან მოწონების სურვილი	ფსიქოლოგიური, ემოციური უგრძნობლობა	ახალი ჩვევების შექმნის სირთულე, სუსტი ავტომატიზმი
სხვებზე ორიენტაცია	კლასტროფობია	ავორაფობია
ემოციურ გამოვლენათა სტაბილურობა	შეცოდების და ტაქტის უქონლობა	სხვათა მხრიდან მის მიმართ დამოკიდებულების წინასწარმეტყველების შეუძლებლობა
მოთმინების უნარი	ხმამაღლა ლაპარაკობს	წყნარი, ჩუმი საუბარი. შიში, არ გამოიწვიოს ხმაური
თავდავიწყებით ეძლევა სიამოვნებას	ტკივილის სპარტანული ამტანობა	ტკივილის განსაკუთრებული მგრძობელობა (აუტანლობა)
ღრმა ძილი	ხმაურიანია	გამოუძინებლობა, ქრონიკული დაღლილობა
უნებისყოფობა	გარეგნულად უფრო ხნიერი ჩანს	ახალგაზრდული იერი და მანერები
გრძნობების გამოვლენისა და ურთიერთობის სიადვილე, ვისცეროტონული ექსტრავერსია	ექსტრავერსია ქცევაში, მაგრამ დაფარული გრძნობები და ემოციები, სომატოტონური ექსტრავერსია	ცერებროტონული ინტროვერსია
სიმთვრალის დროს სირბილე და გახსნილი ურთიერთობები	აგრესიულობა და სიჯიუტე სიმთვრალის დროს	ალკოჰოლისა და სხვა დეპრესანტებისადმი მდგრადობა

მძიმე წუთებში ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნები	მძიმე წუთებში მოქმედების მოთხოვნები	მძიმე წუთებში განმარტების მოთხოვნები
ბავშვობაზე და ოჯახურ ურთიერთობებზე ორიენტაცია	ახალგაზრდულ მიზნებსა და საქმიანობაზე ორიენტაცია	უპირატესად უფროსი ასაკის საქმიანობაზე ორიენტაცია.

დაბოლოს, შედეგად ხუთი წლის მანძილზე იკვლია 200 მოზრდილი ადამიანი და დაადგინა კავშირი კონსტიტუციასა (სომატოტიპსა) და ტემპერამენტის ტიპებს შორის.

ენდომორფი – ვისცეროტიპი

მეზომორფი – სომატოტიპი

ექტომორფი – ცერებროტიპი

კორელაცია სხეულის აგებულებასა და ტემპერამენტს შორის

	ვისცეროტიპი	სომატოტიპი	ცერებროტიპი
ენდომორფული	+79	-29	-32
mezomorfuli	-23	+82	-58
ექტომორფული	-40	-53	+83

გულუბრყვილო (ნაიფური, ყოფითი, იმპლიციტური)* ფსიქოლოგია

ფსიქოლოგიის და, შეიძლება ითქვას, ნებისმიერი მეცნიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მიზეზი ყოველდღიური, ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრის აუცილებლობაა. მაგრამ ჭკმმარიტად მეცნიერულ გადაწყვეტას წინ უსწრებს ამ პრობლემების თუ მოვლენების ახსნის გულუბრყვილო ცდები. ჩვეულებრივ, ამ ახსნას ადამიანთა დიდი ჯგუფი იზიარებს, ვრცელდება ხალხში, იგი არსებობს კიდევ მეცნიერული აზრის პარალელურად და გარკვეულწილად უტყუარი მტკიცების ძალას იძენს. ამიტომაც უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან ნაიფური და მეცნიერული ფსიქოლოგია.

ყოფითი (ნაიფური, გულუბრყვილო, იმპლიციტური) ფსიქოლოგია არის ადამიანის განცდებსა, ქცევებსა და მათ მიზეზებზე კულტურულ-ტრადიციული შეხედულებების სისტემა, გაზიარებული ერთი კულტურის წარმომადგენელთა დიდი ნაწილის მიერ.

ხალხში გავრცელებული ნაიფური შეხედულებები ყველა მეცნიერული სისტემის თანმდევი მოვლენაა. მაგალითად, შეიძლება ვილაპარაკოთ ნაიფური, ყოფითი ფიზიკის შესახებაც კი: დღეს სერიოზულად არავინ მიიღებს მტკიცებას იმის შესახებ, რომ ელვის მიზეზი ზევსი, მის მიერ გამოსროლილი ცეცხლია. თუმცა კლასიკურ საბერძნეთში ამ აზრის სისწორეში ეჭვი არ შეჰქონდათ. თანამედროვე საბერძნეთის არამეცნიერულ ანუ ყოფით ფიზიკაში ზევსი აღარ ფიგურირებს და ქუხილი აიხსნება ელექტრული განმუხტვით, თუმცა, საეჭვოა დიდმა ნაწილმა შეძლოს ამ ცნების ზუსტად განსაზღვრა. როგორც ვხედავთ, ყოფითი ფიზიკა მეცნიერული შემეცნების გავლენას განიცდის, მაგრამ ყოველთვის რაღაც მანძილით უკან რჩება აქტუალურ მეცნიერულ აზრს. ეს იმიტომ ხდება, რომ მეცნიერული აზრის საყოველთაო

* ცნებები “ნაიფური,” “გულუბრყვილო,” “ყოფითი” და “ყოველდღიური” ფსიქოლოგია, როგორც სინონიმები განიხილება და ტექსტში ერთმანეთის მონაცვლედ შეიძლება შეგხვდეთ. არ გაგიკვირდეთ!

დამკვიდრებას სჭირდება დრო, რომელიც არა წლებით, არამედ თაობებით იზომება. ამასთან, თანამედროვე ფიზიკის ბევრი მონაპოვარი იმდებოდ რთულია, რომ არასპეციალისტისთვის გასაგებად თითქმის მიუწვდომელია.

იგივე ითქმის ფსიქოლოგიაზეც, თუმცა ყოფით ფიზიკასთან შედარებით იგი ემოციურად უფრო დატვირთულია. იგი შეიცავს არა მხოლოდ აზრებს,

რომლებიც შეიძლება ადამიანმა ძალიან სწრაფად შეიცვალოს, არამედ ბევრ ისეთ ღრმად გამჯდარ შეხედულებასაც, რომელთა შეცვლაც და რომელთაგან თავის დაღწევაც უკიდურესად ძნელია. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით არის განპირობებული, რომ ადამიანი ფიზიკურთან შედარებით ფსიქოლოგიური პრობლემების გაგებისა და გადაწყვეტისთვის თავს უფრო კომპეტენტურად გრძნობს. ამას, თავის მხრივ, ისიც უწყობს ხელს, რომ ფსიქოლოგიაში მაცნიერული და ყოველდღიური ცნებები ერთსა და იგივე სახელს ატარებს, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერული ცნებები თავისი შინაარსითა და სიზუსტით განსხვავდება ყოველდღიურ მეტყველებაში გამოყენებული ცნებებისგან. ფიზიკაში კი ამგვარი აღრევა არ ხდება. კითხვაზე “რა არის პროტონი” და “ელექტრონი” პასუხს ადამიანი მთლიანად ანდობს ფიზიკოსს, მაშინ როდესაც ყოფაში გამოყენებული ცნებები – შიში, აგრესია, პიროვნება და სხვ. მეცნიერულ ფსიქოლოგიაშიც იგივე სახელწოდებით არსებობს. ამიტომაც, ფსიქოლოგები დაინტერესდნენ გამოაეშკარავებინათ ის განსხვავება, რომელიც ყოფით და მეცნიერულ ფსიქოლოგიას შორის არსებობს.

ყოველ რიგით ადამიანს, რამდენადაც ის საზოგადოებაში ცხოვრობს, შეუძლია და უხდება ხოლმე მეორე ადამიანის ქცევის აღწერა, ახსნა და წინასწარმეტყველება. სხვაგვარად ადამიანური ურთიერთობა წარმოუდგენელია. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ადამიანს ეს ამოცანა განსხვავებული წარმატებით გამოსდის, აღმოჩნდა, რომ ეს პროცესი, რომელთაც ადამიანი ურთიერთობაში იყენებს, თავის მხრივ, გარკვეულ კანონზომიერებათა სისტემას ე.წ. **ნაივურ თეორიას** ეყრდნობა. ეს თეორია გააზრებული, გაცნობიერებული ანუ ექსპლიციტურად, რა თქმა უნდა, არც ერთ ადამიანს არც თავისი ქცევის პროცესში და არც წინასწარ არ აქვს.

ამრიგად, ნაივური პიროვნების თეორია არის ქცევისა და გარეგნობის შესახებ ინდივიდუალურ თავისებურებათა, აგრეთვე აქტუალურ სიტუაციაში მათი ფუნქციისა და განვითარების შესახებ ადამიანთა შეხედულებათა კომპლექსური სისტემა. **მაგრამ აქვე ისმის კითხვა, არის გულუბრყვილო პიროვნების თეორია მეცნიერული თვალსაზრისით თეორია?** აკმაყოფილებს თუ არა იგი თანამედროვე მეცნიერული თეორიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს? არის თუ არის ის მეცნიერული თეორია? ამისთვის გავეცნოთ თანამედროვე ემპირიული ფსიქოლოგიური თეორიის აუცილებელ კრიტერიუმებს.

თანამედროვე ფსიქოლოგია ემპირიული მეცნიერებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მსჯელობა და გამონათქვამები დაკვირვების მონაცემებს ემყარება და

ამიტომ მხოლოდ დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე შეიძლება მათი დადასტურება ან უარყოფა. ემპირიულ მეცნიერებებში თეორიები წარმოდგენენ გარკვეულ მოვლენათა შესახებ შეხედულებათა სისტემას, რომლებიც შეიძლებისდაგვარად მრავალი დაკვირვების აღწერის, წინასწარმეტყველებისა და ახსნის შესაძლებლობას იძლევა. ფსიქოლოგიური თეორიები ეს არის ადამიანის განცდისა და ქცევის შესახებ შეხედულებების სისტემები. პიროვნების თეორია კი არის შეხედულებათა სისტემა ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესახებ.

მაგრამ შეხედულებათა ყველა სისტემა არ არის თეორია. თეორია, ემპირიული მეცნიერებების მნიშვნელობით, უნდა აკმაყოფილებდეს განსხვავებულ თვისობრივ კრიტერიუმებს. ქვევით გრაფებში წარმოდგენილია მეცნიერული თეორიის რამდენიმე ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. აკმაყოფილებს გულუბრყვილო პიროვნების თეორია ამ კრიტერიუმების მოთხოვნებს?

ემპირიული მეცნიერული თეორიების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	მნიშვნელობა
ექსპლიციტურობა	თეორიის ცნებები და გამონათქვამები ექსპლიციტურად უნდა იყოს წარმოდგენილი
ემპირიული დასაბუთება	თეორიის ცნებები პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკვირვებად მონაცემებს უნდა ემყარებოდნენ
წინააღმდეგობის არარსებობა	თეორიიდან გამომდინარე გამონათქვამები ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს
შემოწმების შესაძლებლობა	თეორიის ემპირიული შემოწმება შესაძლებელი უნდა იყოს
სისრულე	თეორია უნდა ხსნიდეს შესაბამისი სფეროს ყველა მოვლენას
ეკონომიურობა	თეორიაში ამოსავალი ცნებების რაოდენობა შეზღუდული უნდა იყოს
პროდუქტულობა	თეორიამ ახალი პრობლემები უნდა დასვას და ახალ კვლევებს ბიძგი მისცეს.
გამოყენება	თეორია მისი პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს.

ექსპლიციტურობა. ემპირიული მეცნიერების ცნებების განსაზღვრება ექსპლიციტურად უნდა შეიძლებოდეს, რათა ისინი ერთმნიშვნელოვანი და ერთნაირად გასაგები იყოს ყველა მკვლევარისთვის. მ.შ ექსპლიციტურობა ერთიდაიგივე ცნების ერთნაირი ხმარებისა ცენტრალური წანამძღვარია. გულუბრყვილო პიროვნების ფსიქოლოგიის ცნებები ამორფულნი არიან და იმპლიციტურად არსებობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ცნება სხვადასხვა ადამიანის მიერ შეიძლება მსგავსად, მაგრამ არა იდენტურად

გამოიყენება. როდესაც არაფსიქოლოგს სთხოვენ რომელიმე ასეთი ცნების განსაზღვრებას, მას უჭირს, და ჩვეულებრივ, ვერც ახერხებს მოგვცეს მისი მნიშვნელობის მეტნაკლებად ზუსტი დეფინიცია. (მაგალითად, რა არის პიროვნული ნიშანი? ღოგორ განსაზღვრავდით პიროვნებას?).

ემპირიული დასაბუთება. ემპირიული მეცნიერების ძირითადი ცნებები პირდაპირ ან ირიბად ობიექტურად არსებულ მოვლენებზე დაკვირვების მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს. სხეულის სიმაღლე, მაგალითად, არის ნიშანი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება დაკვირვებასა და გაზომვას. მაგრამ ქცევის დისპოზიციების უშუალო აღქმა და დაკვირვება შეუძლებელია. ეს თეორიული კონსტრუქტებია, რომლებიც ქცევის მიღმა არიან და რომლებმაც ქცევა უნდა ახსნან. კონსტრუქტები ირიბად, გარკვეული წესების საფუძველზე ობიექტურად არსებულ მონაცემებს (ე.წ. კონსტრუქტის ემპირიულ ინდიკატორებს) უკავშირდებიან. ამ კავშირს კონსტრუქტსა და დაკვირვებად მონაცემებს შორის კონსტრუქტის ოპერაციონალიზაცია ეწოდება.

იმისთვის რომ კონსტრუქტზე დასკვნის უფლება გვქინდეს, ინდიკატორების სტაბილურობაში უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი.

არის თუ არა ნაივური პიროვნების თეორიის ნიშნები ემპირიულად დასაბუთებული კონსტრუქტები? ერთი შეხედვით – კი, რადგან პიროვნულ ნიშნებზე დასკვნა ობიექტურად აღქმულ ქცევაზე დაკვირვებას ეყრდნობა. მაგრამ პიროვნების ნაივური თეორიის ძირითადი ნაკლი იმაშია, რომ არ არის დაცული ის მოთხოვნები, რაც აუცილებლად უნდა იყოს შესრულებული ქცევიდან მის უკან მდგომ ნიშანზე დასკვნის გამოსატანად..

იმისათვის, რომ გამოცდის მიმართ შიში, საზოგადოდ, გამოცდის მიმართ შფოთვით, როგორც დისპოზიციით აიხსნას, (სხვა სიტყვებით შფოთვის ემპირიული კონსტრუქტის შესაქმნელად), საჭიროა, რომ ის ნიშნები(ქცევები), რომლებიც შიშის ინდიკატორებს წარმოადგენენ, სტაბილური იყოს და იმის წინასწარმეტყველება შეეძლოს, რომ მომავალშიც გამოცდების პროცესში თავს იჩენენ. ეს და მისი სანდოობა კი სპეციალური ექსპერიმენტული და მათემატიკური პროცედურით დგინდება.

ჯერ ერთი, მოთხოვნები დაკვირვებადი ქცევისა და სიტუაციური კონტექსტის მიმართ არ არის ზუსტი: საკმარისია თუ ითქმება, რომ რაკი გამოცდაზე გამოსაცდელს ხელები გაუცივდა, აკანკალებული ხმით დაიწყო პასუხი და რომელიღაც კითხვაზე საერთოდ ვერაფერი თქვა, ე.ი. მას ემოციური ბლოკირება აქვს და უნდა გამოცდის მიმართ შიშზე, როგორც პიროვნულ ნიშანზე დავასკვნათ.

ეორეც, რამდენად სტაბილურია ეს ნიშები, რამდენად ხშირად ვლინდება ისინი გამოცდის დროს, ვლინდება მხოლოდ გამოცდის თუ სხვა პირობებშიც? რა დრო და რამდენი დაკვირვებაა საჭირო იმისათვის, რომ მათზე დაყრდნობით ნიშანზე ვილაპარაკოთ? რამდენად ხშირად უნდა გამოავლინოს პიროვნებამ ემოციური ბლოკირების ნიშნები, რომ იგი გამოცდის მიმართ ძლიერი შფოთვის, ან საზოგადოდ მშფოთვარე პიროვნებად ჩავთვალოთ?

ამრიგად, ნიშნის ცნება არასაკმარისად არის ემპირიულად დასაბუთებული. განსაკუთრებით ხშირია შეცდომები ნიშნის სტაბილურობის არაზუსტი განსაზღვრების გამო, რასაც ტაფტალოგიაშეც კი მიუყვება. ერთხელ არქმული ქცევიდან ხდება მის ამხსნელ ნიშანზე პირდაპირ მითითება. მაგალითად: რატომ სცემა X-მა \square -ს? იმიტომ რომ X აგრესიულია. რატომ არის X აგრესიული? იმიტომ რომ \square -ს სცემა. სწორი, დასაბუთებული პასუხი იქნებოდა, იმიტომ რომ X-ს ყოველთვის სხვისი ცემისკენ აქვს მიდრეკილება. ეს დასკვნა კი მრავალ შემთხვევაზე დაფუძნებული დაკვირვებებიდანაა გამოყვანილი.

თეორია არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი. ყოველდღიურ ფსიქოლოგიაში ინდივიდუალური თავისებურებების ასახსნელად გამოყენებული პიროვნულ ნიშანთა დიდი რაოდენობა, აგრეთვე, ექსპლიციტურობის დეფიციტი და არასაკმარისი ემპირიული დასაბუთება ხშირად ხდება იმის მიზეზი, რომ ერთსა და იგივე ქცევას სხვადასხვა ნიშანს მიაწერენ ხოლმე. ეს კი იწვევს იმას, რომ ერთი და იგივე ქცევის ახსნა და წინასწარმეტყველება გაუგებრობას იწვევს. მაგალითად, გულუბრყვილო ფსიქოლოგიაში გამოცდაზე ცუდი პასუხი შეიძლება აიხსნას, როგორც ძლიერი შფოთვით გამოცდის მიმართ, ასევე სიზარმაცით გაპირობებული არასაკმარისი ცოდნით. რამდენადაც პერსონალის შერჩევა ისეთი სიტუაციაა, სადაც სიზარმაცე არ ჩანს და უფრო გამოცდის შიში ვლინდება, გულუბრყვილო ფსიქოლოგიის მიხედვით ინტერვიუზე ჩავარდნის მიზეზი შერჩევის სიტუაციაში შიში უფროა, ვიდრე სიზარმაცით გამოწვეული უვიცობა. გარდა ამისა, ხდება ისეც, რომ ყოველდღიური თეორიები ერთსა და იმავე დროს ნებისმიერ მოვლენასაც ხსნიან და მის საწინააღმდეგოსაც მაგალითად, თუ ორი ადამიანი კარგად ეწყობა ერთმანეთს და ერთმანეთს უგებს, ყოველდღიური ფსიქოლოგიური ახსნა იქნება, რომ ეს ორი ადამიანი პიროვნულად ერთმანეთს ჰგავს. მაგრამ არსებობს მეორე გამონათქვამიც, რომ ორი განსხვავებული

პიროვნება ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთს იზიდავს. თეორია თუ ამგვარი რამ ყოველდღიურ ფსიქოლოგიაში დასაშვებია, მეცნიერულში – არა.

შემოწმების სესაძლებლობა. ემპირიული მეცნიერული თეორიის აუცილებელი მოთხოვნაა, ყოველი მისი გამონათქვამის შემოწმების შესაძლებლობა. შხვა სიტყვებით, რომ თეორიის დებულებების ემპირიული დასაბუთება ან უარყოფა შეიძლებოდეს. ამისთვის ეს დებულებები ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული. მაგრამ სწორედ ექსპლიციტურობის დეფიციტისა და არასაკმარისი დასაბუთებულობის გამო ასეთი შემოწმება ყოველდღიურ ფსიქოლოგიაში არ ხდება.

აქ ყოველთვის არის იმის საშიშროება, რომ მოხდება ახსნის მოდიფიკაცია, რადგან გულუბრყვილო თეორიაში ერთი და იგივე მოვლენისთვის რამდენიმე (მათ შორის ურთიერთწინააღმდეგობრივი) ახსნა შეიძლება გამოიძებნოს. მაგალითად:

- შენ არ ამბობდი, რომ შენი მეგობარი თავისი მაღალი ინტელექტის გამო გამოცდას ადვილად ჩააბარებდა? არა და – ჩაიჭრა.
- აბა, აბა. მაგრამ ის ზარმაცია და საკმარისად არ მოამზადა საგანი.
- რომ ამტკიცებს, რომ კარგად იმეცადინა?!
- როგორც ჩანს, დღეს მისთვის ცუდი დღე იყო. ალბათ, ძალიან შფოთავდა.

როგორც ვხედავთ პირველი დისპოზიციური ახსნა მეორით შეიცვალა. როცა ეს ახსნა არ გამოდგა იგი აქტუალურ პროცესებზე იქნა დაყვანილი ყოველგვარი შემდგომი დასაბუთების გარეშე.

- მეორემაგალითი:
- X შემდეგ გამოცდას კარგად ჩააბარებს. რამდენი იზუბრა!
 - რას ამბობ, ის ხომ ჩაიჭრა.
 - ხომ ხედავ, დაზუბვრა არაფერს შევლის, როდესაც გამოცდის ისეთი შიში გაქვს, როგორც X-ს.

ამ შემთხვევაში მოცემულია ერთი ქცევის (გამოცდის ჩაბარების) ახსნის მცდელობა გარკვეული ნიშნით (დაზუბვრა – კარგად სწავლა), მაგრამ როდესაც ქცევა ამ ნიშნით ვეღარ განხორციელდა (ჩაიჭრა), შემოვიდა მეორე ნიშანი - შფოთვა. რამდენად სწორი იყო ან პირველი ან მეორე არგუმენტი, ამის ემპირიულ დასაბუთებას ნაივური თეორია არ იძლევა. ეს კი თეორიის დიდი ნაკლია, რადგან გამონათქვამთა სისტემა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ერთ

მოვლენასაც და მის საწინააღმდეგოს ხსნის, ფაქტობრივად, არაფერს ხსნის და არასწორ წინასწარმეტყველებასაც აკეთებს.

სისრულე. თეორია უნდა ხსნიდეს შესაბამისი სფეროს ყველა მოვლენას. აქ გულუბრყვილო თეორია “ძლიერია”. ნიშანთა იმ უზარმაზარი რაოდენობის გამო, რომელის მის განკარგულებაშია, იგი მათ იყენებს და პიროვნების თითქმის ყველა თავისებურებას ხსნის. ეს კი იმის ხარჯზე ხდება, რომ ეს თეორიები არ ექვემდებარებიან შემოწმებას და წინააღმდეგობრიობას ყურადღებას არ აქცევენ.

ეკონომიურობა. ყოველდღიურ ფსიქოლოგიაში ეკონომიურობა, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა ემპირიული მეცნიერული თეორიისა, ფაქტობრივად, უარყოფილია. ეს თეორიები არაჩვეულებრივად მდიდარია ცნებებით, რადგან ყოველი პიროვნული ნიშანი ფუნდამენტური ნიშანია. ამდენად, ამ თეორიებში იმდენი ძირითადი პიროვნული ნიშანია, რამდენი პიროვნული ნიშნის აღმნიშვნელი სიტყვაც არის ლექსიკონში. ამის გამო გარკვეულ უზუსტობებთან გვაქვს საქმე, რადგან, სხვა თუ არაფერი, სინონიმების გათვალისწინება მაინც უნდა მოხდეს, როდესაც პიროვნულ ნიშნებთან გვაქვს საქმე.

პროდუქტულობა. გულუბრყვილო პიროვნების თეორია მეცნიერული თეორია რომ ყოფილიყო, ე.ი იგი რომ აკმაყოფილებდეს მეცნიერული ემპირიული ფსიქოლოგიის მოთხოვნებს, პიროვნული ნიშნების უზარმაზარ რეზერვუარს და განუსაზღვრელ შესაძლებლობებს გამოიყენებდა გარკვეული ნიშნების ფუნქციების და ამ ნიშანთა დაჯგუფებების ემპირიული კვლევებისათვის. ამ შესაძლებლობებს, როგორც ენაში არსებულ საგანძურს მიმართავენ ხოლმე მეცნიერულ პიროვნების ფსიქოლოგიაში. (კეტელი, ოლპორტი და სხვ.). მაგრამ ამ საკითხს ძალიან ზუსტი მეცნიერული აპარატი სჭირდება და ამიტომ, გულუბრყვილო ფსიქოლოგია, ამ მხრივ, არაპროდუქტიულ თეორიად ითვლება.

პრაქტიკაში გამოყენება

პიროვნების ნაივური თეორიის ყველაზე ძლიერი მხარე სწორედ ადამიანთა ურთიერთობებისა და ქცევების ყოველდღიური პრობლემების სწრაფ და მარტივ ახსნასა და წინასწარმეტყველებაში მდგომარეობს. ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად საჭიროა ხოლმე ადამიანთა შორის ურთიერთობების პროცესში ქცევის

მეტ-ნაკლებად სწორი შეფასება და წინასწარმეტყველება. მაგალითად: „შემიძლია მისი მიტოვება? მე რომ მას ეს მოვთხოვო, დამთანხმდება, პასიურ წინააღმდეგობას გამიწევს თუ აქტიურად შემეწინააღმდეგება? შეძლებს ის ამის გაკეთებას?“ და სხვ. ასეთ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა პიროვნების შესახებ არა მხოლოდ ცოდნა, არამედ მისი გამოყენებაც. რამდენადაც ეს კითხვები სოციალური ურთიერთობის დროს წარმოიშობა, მათზე სწრაფი პასუხია საჭირო. ამ მხრივ ნაივურ ფსიქოლოგიას იდეალური შესაძლებლობები გააჩნია: თითოეულ ინდივიდუალურ თავისებურებას თავისი შესაბამისი პიროვნული ნიშანი გააჩნია. არ გაგიმართლებს ერთი ახსნა ან წინასწარმეტყველება, იქვეა მისი ალტერნატივა.

ამით ნაივური თეორია უქმნის ადამიანს გარკვეულობის და დარწმუნებულობის განცდას: ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, მე შემიძლია შევიცნო ეს წესრიგი და გამოვიყენო. ეს კი აადვილებს გადაწყვეტილების სწრაფ გამოტანას გაუთვალისწინებელ სიტუაციებში. ის, რომ საბოლოოდ სიტუაციაში ორიენტაციის და დარწმუნებულობის განცდა მცდარია, რადგან ახსნა ზედაპირულია და საუკეთესო შემთხვევაში წინასწარმეტყველების გამართლებაც მხოლოდ შემთხვევითობაა, ყოფით ფსიქოლოგიაში მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ხშირად რაღაც ზომიერი რეაქციის მონახვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საუკეთესო გადაწყვეტილების მონახვა. ამიტომაც „მუშაობს“ ნაივური ფსიქოლოგია, მიუხედავად თავისი ბევრი ნაკლისა, ყოველდღიურ ცხოვრებაში საკმაოდ კარგად.

ამრიგად, პიროვნების ნაივური ფსიქოლოგია მეცნიერული ფსიქოლოგიის უმრავლეს (თუ არა ყველა) კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებს. მაგრამ მისი გამოყენების ხარისხი ყოველდღიურ ცხოვრებაში იმდენად მაღალია, რომ მოთხოვნა მასზე ხალხში ძალიან დიდია. პიროვნების ნაივური თეორია კარგი მაგალითია იმისა, რომ შესაძლებელია პრაქტიკაში „მოთხოვნადი“ თეორია მეცნიერული თვალსაზრისით ცუდი თეორია იყოს.

პიროვნების ნაივური თეორია პრაქტიკულია ყოველდღიურ ცხოვრებაში ქცევის ახსნისა და წინასწარმეტყველებისთვის, მაგრამ გამოუსადეგარია, როგორც ფსიქოლოგიური (მეცნიერული) თეორია.

და მაინც, თუმცა პიროვნების ნაივური თეორია გამოუსადეგარია, როგორც მეცნიერული ფსიქოლოგია, მას მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიისთვის სამი მიზეზის გამო:

- პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს არის ფსიქოლოგიური ფაქტი: ჩვენ ყველას თავში გვაქვს ეს თეორია და ყოველთვის ვიყენებთ. მას ვისაც უნდა იმის გაგება, თუ როგორ აღიქვამენ და იყენებენ ადამიანები საკუთარი თავის და ირგვლივ მყოფთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, ნაივურ ფსიქოლოგიაზე უარი არ უნდა თქვან.
- მეორეც, პიროვნების ნაივური ფსიქოლოგია მიუხედავად მისი პრობლემებისა, შეიძლება განვიხილოთ, როგორც შესაძლო ამოსავალი –დასაყრდენი პუნქტი პიროვნების ფსიქოლოგიური თეორიების ჩამოყალიბებისთვის. ყოფითი ფსიქოლოგიის ბევრი პრობლემა შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას, თუ პიროვნულ ნიშანთა ოპერაციონალიზირება მოხდება და მათი ფუნქცია სიტუაციის გადამუშავების აქტუალურ პროცესებში უფრო ნათლად გამოიკვეთება.
- დაბოლოს, ფსიქოლოგები მუდმივ იმის საშიშროების წინაშე დგანან, რომ ყოველდღიური ფსიქოლოგიის ცნებები, იმის გამო, რომ ორივეს საერთო აქვს, მეცნიერულ ცნებებში არ აირიოს. ეს საშიშროება განსაკუთრებით პიროვნების ფსიქოლოგიას ემუქრება, რადგან იგი განსხვავებით ფსიქოლოგიის სხვა პროცესებისგან (მაგ. აღქმა) ყოველდღიური ფსიქოლოგიის წარმოდგენებიდან ბოლომდე არ არის გათავისუფლებული. ერთადერთი, რამაც ყოველდღიური ფსიქოლოგიის ფსიქოლოგიასთან აღრევას ხელი შეიძლება შეუშალოს, არის ის, რომ მოხდეს ორივეს ნათლად და მკაცრად ერთმანეთისგან კონცეპტუალური გამიჯვნა.

პიროვნების ნაივური და მეცნიერული ფსიქოლოგიის ურთიერთშედარება

სფერო	პიროვნების ნაივური თეორია	პიროვნების მეცნიერული თეორია
ცნებები	-ინტუიტიური -“ყოველდღიური”ცნებები	-ექსპლიციტიური- -სუფთა კონვენციური განსაზღვრებები -ოპერაციული
დაკვირვება& ფაქტების აღწერა	-ნაკლებად აინტერესებს ნიშანთა შორის კავშირები	მნიშვნელოვანია ემპირიული მეთოდებით ნიშანთა ურთიერთკავშირის დადგენა
დასკვნები; ახსნა	-ინტუიტიური -შემთხვევითი დაკვირვებები -ცალკეულ შემთხვევებზე დაყრდნობა	-ექსპლიციტიური წესები -სისტემატიზირებული დაკვირვებები -ცალკეული შემთხვევების ჯგუფთან მიმართებაში განხილვა -სტანდარტიზირებული გამოკვლევები ხელოვნური გამოკვლევები -ბევრის რამდენიმე ძირითად კატეგორიაზე რედუქცია -სწრაფვა ობიექტურობისკენ -სწრაფვა გაზომვისკენ (მონაცემების რიცხობრივი სახით წარმოდგენისკენ)
წინასწარმეტყველება	-ინტუიტიური მიმართებებზე დაყრდნობა -ცალკეულ შემთხვევათა ცოდნის აქცენტირება	-უპირატესად ექსპლიციტიური კანონზომიერებები -უპირატესად სისტემატიზირებული ახსნა -ექსპლიციტიური, უპირატესად ექსპერიმენტულად, სისტემატიზირებულად შემოწმებული -ერთდროულად მრავალი დეტერმინანტის გათვალისწინება
ინტერვენცია	-ინტუიტიური მიზნები და მეთოდები	-ექსპლიციტიური მიზნები და მეთოდები -პირობების ურთიერთკავშირის შესახებ სისტემატიზირებულ ცოდნაზე დაყრდნობა

ლიტერატურის, თუ ფსიქოლოგიის საგანია პიროვნება?

გორდონ ოლპორტის მიხედვით

ოლპორტის მიხედვით ამ კითხვის დასმის მიზეზი ისაა, რომ მწერლები თავისი პერსონაჟების მართლაც შესანიშნავ ფსიქოლოგიურ პორტრეტებს გვაძლევენ. ცვეივის სიტყვებით ფლობერი, დოსტოევსკი, ტოლსტოი როგორც ლიტერატურის, ისე ფსიქოლოგიური დაკვირვებისა და აღწერის გიგანტები არიან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიტერატურა ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე, ხოლო პიროვნების მეცნიერული შესწავლა მხოლოდ მე-20 საუკუნიდან დაიწყო და ეს ფაქტი, სახელდობრ, რომ პიროვნება შესაძლებელია მეცნიერული გზით იქნას შესწავლილი, მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად ითვლება. ხოლო რაკი ლიტერატურა საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და მას კაცობრიობის გენიოსები აყალიბებდნენ და ავითარებდნენ, ხოლო ფსიქოლოგიური მეცნიერება კი ახალგაზრდაა, ამიტომ, ოლპორტის აზრით, ურიგო არ იქნება, რომ ზოგი რამ ფსიქოლოგიამ ლიტერატურისგან ისწავლოს.

ლიტერატურა და ფსიქოლოგია, გარკვეული აზრით, კონკურენტები არიან. ლიტერატურა და ფსიქოლოგია პიროვნებას ორი განსხვავებული მეთოდით შეისწავლის - ლიტერატურის მეთოდი ხელოვნების მეთოდია, ხოლო ფსიქოლოგიისა კი მეცნიერული მეთოდი. რომელი მეთოდია უფრო ადექვატური პიროვნების შესასწავლად?

რამდენადაც ეს არის ორი, პრინციპულად განსხვავებული მიდგომა - არც ერთი არ არის მეორეზე უკეთესი. თითოეულს თავისი უპირატესობა გააჩნია და თავისი მომხრე ჰყავს. შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურა ყოფითფსიქოლოგიურ პრინციპებს იყენებს პიროვნების დახასიათებისას. ეს მეთოდი ჯერ კიდევ თეოფრასტემ, არისტოტელეს მოწაფემ, გამოიყენა თავისი "ხასიათების" დაწერისას (ლიტერატურული ქარაქტეროლოგია). <თეოფრასტეს "ხასიათები" პიროვნების ამა თუ იმ ნიშნით (მშიშარა, პატივმოყვარე, ძუნწი, მლიქვნელი და სხვ.) დახასიათების არაჩვეულებრივი სიზუსტით, სიმარტივით და ლაკონურობით გამოირჩევა. არც ერთი ზედმეტი სიტყვა. . . ოლპორტი მათ სონეტს ადარებს პროზაში. ამასთან, ყველა ეს დახასიათება ზედროულია, რადგან ანტიკური დროის ძუნწი თუ მშიშარა იგივეა, რაც ჩვენი თანამედროვე ძუნწი და მშიშარა ადამიანი.> თეოფრასტემ ორი ათასი წლის წინ გამოიყენა

მეთოდი, რომელსაც ფსიქოლოგიურმა მეცნიერებამ მხოლოდ მე - 20 საუკუნეში აღმოაჩინა, კერძოდ, ხასათის ძირითადი ნიშნების გამოვლენის მეთოდი - გარკვეული სიტუაციების შექმნით შესაბამისი ქცევების გამოწვევა და აღწერა.

უნდა ითქვას, რომ პიროვნების, პერსონაჟის ლიტერატურული დახასიათება, (სულ ერთია, იქნება ეს დრამა, სკეტჩი. ბიოგრაფია თუ სხვა), თითქმის ყოველთვის, ემყარება ფსიქოლოგიურ დაშვებას, რომ ყოველ ხასათს გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს და ხასიათის ეს ნიშნები შეიძლება ნაჩვენები იქნას შესაბამისი ცხოვრებისეული ეპიზოდების აღწერის და ამ ეპიზოდებში პერსონაჟის მოქმედების გზით.

ამის შემდეგ ოლპორტი გამოჰყოფს "გაკვეთილებს", თუ რა უნდა ისწავლოს ფსიქოლოგიამ ლიტერატურისგან.

1.პირველ რიგში, ამბობს იგი, ეს არის, პიროვნების სტაბილური, მყარი ნიშნების არსებობის შესახებ თვალსაზრისი, ანუ პიროვნული ნიშნის პრობლემა, რომელიც თავის სასარგებლოდ მწერლებმა უფრო ადრე გამოიყენეს, ვიდრე ფსიქოლოგმა მეცნიერებმა. მაგრამ, ამ მეთოდის გამოყენება, ანუ გარკვეულ სიტუაციაში შესაბამის პასუხზე დაკვირვება და აღწერა, ოლპორტის აზრით, მწერლებზე უფრო დიდი სიზუსტით და სანდოობის მაღალი ხარისხით ფსიქოლოგებს შეუძლიათ. თუ ფსიქოლოგები გამოიყენებენ თავისი ლაბორატორიული და კონტროლირებადი დაკვირვების შესაძლებლობებს, ისინი შეძლებენ მწერლებზე უფრო ზუსტად დაადგინონ ყოველი კონკრეტული ინდივიდისთვის ექვივალენტურ სიტუაციათა ნიმუშები და მათზე ერთი მნიშვნელობის მქონე პასუხთა რაოდენობა. (ოლპორტის აღნიშნული შრომა 30-იან წლებშია დაწერილი. დღეისთვის ეს "გაკვეთილი" კარგად შეითვისა ფსიქოლოგიამ და პიროვნების კვლევის ერთ-ერთ ძირითად მეთოდად იქცა. დ.ფ.).

2.მეორე "გაკვეთილი", რომელიც უნდა გაითავისოს ფსიქოლოგიამ, ოლპორტის აზრით, არის თვისობრივი, შინაარსობრივი ხასიათის: " არავის არასოდეს არ მოუთხოვია ჰამლეტის, ანა კარენინას, დონ-კიხოტის ავტორებისთვის დაესაბუთებინათ ამ პიროვნებათა ხასიათების უტყუარობა. ისინი თვითონ, აღწერის სიღიადით ამტკიცებენ თავის უტყუარობას. ისინი თავისით იწვევენ ნდობას. ყოველი მათი ნიშანი თითქოს აუცილებლობით არის ამა თუ იმ პიროვნებასთან დაკავშირებული. ქცევის ეს შინაგანი ლოგიკა განისაზღვრება, როგორც **თვითკონფრონტაცია**: ქცევის ერთი ელემენტი მეორეს ამაგრებს და მთელი, როგორც თანმიმდევრულად შეკრული ერთიანობა

მოიაზრება. თვითკონფრონტაცია არის მხოლოდ მეთოდი კანონიერი ძალის მინიჭებისა, რომელსაც მწერლები იყენებენ (გამონაკლისს, ალბათ, ბიოგრაფები წარმოადგენენ, რომელთაც გარეშე საბუთი სჭირდებათ თავისი მსჯელობის დასამტკიცებლად). თვითკონფრონტაციის მეთოდის გამოყენებას ფსიქოლოგები მხოლოდ ახლა იწყებენ. ეს ძალიან რთული მეთოდია მეცნიერებისათვის. იგი მოითხოვს ბაზისური, მოტივაციური საფუძვლის, ძირების მონახვას და ფაქტების ამ კუთხით გაანალიზებას. შესაძლოა, ეს მთლიანობა, პიროვნული ერთიანობა ვერც მოინახოს. ხშირია კონფლიქტები პიროვნების შიგნით, ადგილი აქვს პიროვნების განვითარებასაც, ზოგჯერ პიროვნების გაორებასაც. ყველა მწერალიც ვერ ახერხებს შეკრული, ერთიანი ლოგიკის მქონე პერსონაჟის გამოძერწვას. ზოგჯერ ზედმეტად გამარტივება ხდება, ზედმეტად ურთიერთშეთანხმებულია პიროვნების ქცევები და პირიქით. მაგრამ კონფრონტაციის მეთოდის გარეშე ლიტერატურას გაუჭირდება არსებობა. მწერლის ნიჭზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შესძლებს ის შეკრას ერთ მთლიანობად განსხვავებული პიროვნული ნიშნები და დაარწმუნოს მკითხველი თავისი პერსონაჟის ქცევის ლოგიკაში. ცნობილი ინგლისელი მწერალი ჩესტერტონი ერთგან ენამწარედ შენიშნავს თეკერეის (ჩესტერტონზე არანაკლებად ცნობილ ინგლისელ მწერალზე) ერთ-ერთ პერსონაჟ ქალზე - "ის სვამდა, მაგრამ თეკერეიმ არ იცოდა ამის შესახებ". ეს შენიშვნა გამოხატავს ჩესტერტონის მოთხოვნას, რომ ყოველ ხასიათს შინაგანი ლოგიკა, შინაგანი თანმიმდევრობა უნდა ჰქონდეს. ყველა, ვინც ხასიათს აღწერს, უნდა სცადოს ჩასწვდეს მოცემულ მომენტში პიროვნების ქცევის ღრმა მოტივაციურ ნიშნებს. მაგრამ თუ ლიტერატურა ცდება ხშირად იმის გამო, რომ ზედმეტად დიდ ყურადღებას უთმობს პიროვნების ერთიანობას, ფსიქოლოგია დიდხანს ინტერესს არ იჩენდა ამ პრობლემისადმი და სტატისტიკით იყო გატაცებული მხოლოდ. თანაც ისთი ნიშნების ურთიერთკორელაციით, რომელიც პიროვნების არსს, მის ერთიან მთლიანობით ხასიათს არაფერს აძლევს. მიკროსკოპით და მათემატიკით გატაცებას ამბობს ოლპორტი, მკვლევარი მიჰყავს იქამდე, რომ იგი გაურბის სირთულეებს და ეძებს ქცევისა და აზროვნების სტანდარტულ ფორმებს. ბევრი ფსიქოლოგი, ოლპორტის აზრით, უარყოფს რეგისტრაციის ისეთ ფაქიზ მეთოდს, რომელიც სპეციალურად არის მოწოდებული ფაქტების სწორი დაჯგუფებისა და ურთიერთშედარებისთვის. ეს არის ადამიანის გონება.

3. დაბოლოს მესამე, რაც უნდა გადმოიღოს ფსიქოლოგიამ ლიტერატურისგან არის ის, რომ ყურადღება გაამახვილოს ინდივიდუალობაზე,

კონკრეტულ პიროვნებაზე და არა ზოგადად პიროვნებაზე, აბსტრაქტულ პიროვნებაზე. პიროვნება ყოველთვის უნიკალურია. მაგრამ მაშინ რა ვუყოთ იმ ძირითად განსხვავებას, რომელიც არსებობს ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის? მეცნიერებას ყოველთვის საქმე აქვს ზოგადთან, ხოლო ხელოვნებას კერძოსთან, ერთეულთან. მაგრამ თუ ეს დაყოფა სწორია, რა ვუყოთ მაშინ პიროვნებას? პიროვნებას, ოლპორტის აზრით, აქვს როგორც ზოგადფსიქოლოგიური, ისე დიფერენციალურფსიქოლოგიური ასპექტები. დიფერენციალური ფსიქოლოგიას კონკრეტულ პიროვნებასთან აქვს საქმე. პიროვნების ნებისმიერი პრობლემა შეიძლება გადაწყდეს როგორც ზოგადფსიქოლოგიურ, ისე დიფერენციალურფსიქოლოგიურ პლანში. თვით ოლპორტი, მიუხედავად ასდეთი განცხადებებისა, პიროვნების ზოგადფსიქოლოგიურ თეორიას ავითარებს. მისი ნიშნის თეორია ზოგადფსიქოლოგიური თეორიაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი პიროვნებას, როგორც აბსტრაქციას უყურებს. ყოველი პიროვნება ამ პიროვნულ ნიშანთა უნიკალურ სისტემას ქმნის თავისი სტრუქტურით, მოტივაციით ენერგეტიკით და სხვ. პროფესიონალი მეცნიერი ფსიქოლოგის ცხოვრებაში, პრაქტიკაში გასვლა მხოლოდ პიროვნების შესახებ ზოგადი ცოდნით გამაგრებული კონკრეტული პიროვნების თავისებურებების, მისი ინდივიდუალობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

ლიტერატურის, როგორც პიროვნების შესწავლის მეთოდის უპირატესობების ჩვენების შემდეგ ოლპორტი გვიჩვენებს, თუ მეცნიერული სოზუსტის თვალსაზრისით, რამდენად სუსტია იგი და რა უპირატესობა აქვს ფსიქოლოგიას მასთან შედარებით. ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, მკაცრია და ამით იგი ლიტერატურული აღწერებისთვის დამახასიათებელი სუბიექტური დოგმატიზმის კომპენსაციას ახდენს. ზოგჯერ ლიტერატურა ფაქტების თვითკონფრონტაციაზე საკმაოდ ადვილად მიდის. ოლპორტს მაგალითისთვის მოჰყავს ერთი და იგივე ცნობილი პიროვნების შესახებ სხვადასხვა ბიოგრაფიების შემთხვევები. ამ პიროვნების ცხოვრების თითოეული ვერსია, თავისებურად დამარწმუნებელია, მაგრამ ერთ ბიოგრაფიაში მოცემული მოვლენების და ახსნების მხოლოდ ძალიან პატარა პროცენტი გვხვდება სხვა ბიოგრაფიებში.

კარგი მწერლებისათვის არ არის აუცილებელი შეთანხმებულობის ისეთი მაღალი ხარისხი დაკვირვებებსა და ახსნებს შორის, როგორც ფსიქოლოგიისთვის.

ბიოგრაფები თავისუფლები არიან თავისი შეხედულებისამებრ და ამდენად, შეუძლიათ განსხვავებულად ახსნან და გაარჩიონ ცხოვრებისეული მოვლენები, თანაც ისე, რომ ლიტერატურული მეთოდის დისკრედიტაცია არ მოახდინონ. მაშინ როდესაც ასეთი რამ ფსიქოლოგიისთვის დაუშვებელია, ექსპერტები თუ ვერ მოახერხებდნენ ურთიერთშეთანხმებას, "ფსიქოლოგიას მასხრად აიგდებდნენ ამისთვის."

ლიტერატურის მეტაფორები, ხშირად, გროტესკული და მცდარია. მაგრამ ამისთვის მათ ნაკლებად აკრიტიკებენ. ლიტერატურაში, მაგალითად, შეიძლება შეგვხვდეს აზრი, რომრომელიღაც პერსონაჟის მორჩილი ხასათი აიხსნება იმით, რომ "მის ძარღვებში ლაქის სისხლი ჩქეფს", ხოლო მეორის სიფიცხე კი იმით, - რომ მას "გახურებული თავი აქვს", ხოლო მესამის ინტელექტუალობა მისი მაღალი შუბლით აიხსნას. ფსიქოლოგი ნაფლეთებად იქნებოდა გაგლეჯილი, - წერს ოლპორტი, თავისი თავისთვის უფლება რომ მიეცა მიზეზისა და შედეგის შესახებ ასეთი ფანტასტიკური გამონათქვამები რომ გაეკეთებინაო.

შემდეგ: მწერალს უფლება აქვს, უფრო მეტიც, ერთგვარი წახალისებაც კი ხდება ამის, რომ გაართოს მკითხველი. მას შეუძლია საკუთარი ხატებით გადმოსცეს სათქმელი, საკუთარი დამოკიდებულებები გამოხატოს. მისი წარმატება იზომება მკითხველის რეაქციით, რომელთაც ხშირად მხოლოდ ის სჭირდებათ, რომ თავისი თავი იცნოს პერსონაჟში ან თავის პრობლემებს თავი აარიდოს. ფსიქოლოგს კი არასოდეს არ აქვს უფლება მკითხველი გაართოს. მისი წარმატება გაცილებით უფრო მკაცრი კრიტერიუმებით იზომება, ვიდრე მკითხველის აღტაცებაა.

მასალის სეგროვებისას მწერალი ცხოვრებაზე თავისი შემთხვევითი დაკვირვებებიდან ამოდის, თავისი ნებით გადააგდებს ხოლმე მისთვის არასასიამოვნო მონაცემებს. ფსიქოლოგმა კი უნდა იხელმძღვანელოს ყველა ფაქტის გათვალისწინების მოთხოვნით. ფსიქოლოგისგან ვლიან, მას მოეთხოვება, რომ მისი ფაქტები კონტროლირებადი და შემოწმებადი იყოს. მისი ყოველი დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. მისი ტერმინოლოგია სტანდარტიზებულია და მას თითქმის ჩამორთმეული აქვს მეტაფორების გამოყენების უფლება. ყველა ეს სეზღუდვა ხელს უწყობს სანდოობის ხარისხის ამაღლებას, შემოწმების შესაძლებლობას და ამცირებს სუბიექტურობას.

ოლპორტი ეთანხმება იმ აზრს, რომ ფსიქოლოგები, რომლებიც პიროვნებას შეისწავლიან, ცდილობენ, არსებითად, იგივე თქვან, რასაც მწერლობა ყოველთვის ამბობდა, და ამას ისინი კიდევ ამბობენ, ოღონდ,

აუცილებლობის გამო ნაკლებად მხატვრულად. იმის შესახებ კი, რაშიც ფსიქოლოგებმა წინ წაიწიეს, თუმცა შეიძლება არც ისე ძალიან, ისინი ცდილობენ ილაპარაკონ უფრო დიდი სიზუსტით და კაცობრიობის პროგრესის თვალსაზრისით - უფრო მეტი სარგებლობის მოტანით

თავის ნარკვევს ოლპორტი შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: “თუ პედაგოგიკის ინტერესებიდან გამომდინარე, თქვენ ჩემგან მოვლით მნიშვნელოვან რჩევას, ეს რჩევა შემდეგია: თუ თქვენ ხართ სტუდენტი – ფსიქოლოგი, იკითხეთ ძალიან ბევრი რომანები, ხასიათთა დრამები და იკითხეთ ბიოგრაფიები (მემუარები). თუ თქვენ სტუდენტი არ ხართ, იკითხეთეს ნაწარმოებები, მაგრამ ფსიქოლოგების ნაშრომებითაც დაინტერესდით!”

პიროვნების ფსიქოლოგიის სამი დილემა

დილემა 1.

ნომოთეტური VS იდიოგრაფიული

ფსიქოლოგიის ამოცანაა, და, კერძოდ, პიროვნების ფსიქოლოგიისაც, პიროვნების აღწერა და ახსნა. ამ მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება ათეულობით თეორია, რომლებიც, ბუნებრივია, ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ ყველა მათგანისთვის ის არის საერთო, რომ პიროვნების აუცილებელ თვისებად განიხილავენ მის განუმეორებლობას, ანუ უნიკალობას და სტაბილურობას. სწორედ პიროვნების უნიკალობის გამო თავიდანვე დაისვა საკითხი, პიროვნება ნომოთეტურ მეცნიერებათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ თუ - იდიოგრაფიულს. განვიხილოთ ამ კატეგორიების არსი. ეს საკითხი ერთ-ერთმა პირველმა მე-19 საუკუნის ბოლოს (1994) ფილოსოფოსმა ვინდელბანდმა დააყენა, რომელსაც უნდოდა მეცნიერებები ერთმანეთისგან არა საგნით განესხვავებინა, როგორც მანამდე ხდებოდა, არამედ - მეთოდოლოგიის საფუძველზე. **ნომოთეტური მიდგომა** ბუნებისმეტყველური მეცნიერების პოზიციას გამოხატავს და მოითხოვს მოვლენის ზოგად **კანონზომიერებათა** დადგენას. **ნომოს** ნიშნავს კანონს. ნომოთეტური მიდგომის საწინააღმდეგოდ **იდიოგრაფიული პოზიცია** მოითხოვს არა ზოგადი კანონზომიერებების დადგენას, არამედ კონკრეტული, ერთეული ადამიანის განუმეორებლობის შესწავლას. (იდიო ცალკეულს ნიშნავს). ეს არის კულტურის შესახებ ისტორიულ მეცნიერებათა მეთოდი, რომლის არსიც მდგომარეობს ინდივიდუალური თავისებურებების აღწერაში ღირებულებებთან მიკუთვნების საფუძველზე.

ღირებულების შემოტანა ხელს უწყობს კულტურული ფენომენების ბუნებისმეტყველური მოვლენებისგან გარჩევას. თუ ბუნებისმეტყველება ადგენს და აზოგადებს კანონებს, ისტორია ინდივიდუალიზაციას აკეთებს, მოვლენათა უთვალავი სიმრავლიდან გამოჰყოფს **ისტორიულ მოვლენას**, **ისტორიულ ინდივიდუმს**.

ვინდელბანდს თავისი მოსაზრების დამადასტურებელ მაგალითად ფსიქოლოგია მოჰყავდა, და ამბობდა, რომ ფსიქოლოგიის საგანი სულია, მაგრამ მეთოდები ბუნებისმეტყველური, ფსიქოლოგია ფსიქიკურ მოვლენათა ზოგად კანონზომიერებებს ადგენს და ამდენად ნომოტეტიკური მეცნიერებააო. ეს მოსაზრება არ გაიზიარა შტერნმა, დიფერენციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებელმა, რასაც ვინდელბანდიც დაეთანხმა. როგორც ცნობილია, დიფერენციალური ფსიქოლოგიის ამოცანაა განსხვავების შესწავლა, რაც ცალკეული პიროვნების და ცალკეული ფსიქიკური გამოვლენის შესწავლას უკავშირდება. ამდენად, ერთი შეხედვით, დიფერენციალური ფსიქოლოგია (პიროვნების ფსიქოლოგია) იდიოგრაფიული მეცნიერებების მოთხოვნას უფრო აკმაყოფილებდა, ვიდრე ნომოტეტიკურისას. შტერნმა თავისი მოძღვრებით შესძლო დაესაბუთებინა, რომ დიფერენციალური (პიროვნების) ფსიქოლოგიის მიმართ, საზოგადოდ, საკითხის დასმა, ნომოტეტიკური მეცნიერებაა იგი თუ იდიოგრაფიული, არ შეიძლება. პიროვნების ფსიქოლოგია, ერთდროულად ნომოტეტიკურიც არის და იდიოგრაფიულიც. მათი დაპირისპირება არ არის მართებული. ცალკეული, კონკრეტული პიროვნების შეცნობა მხოლოდ ზოგადი კანონზომიერებების შეცნობით სრული სახით ვერ მოხერხდება. კერძო, ერთეულ მოვლენებშიც (პიროვნებაში) არსებობს გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რომლებმაც არსებითი გავლენა შეიძლება მოახდინონ ამ პიროვნების ფორმირებაზე: “ მე რომ შემთხვევით X-ს არ შევხვედროდი . . .” ან “მე რომ შემთხვევით ეს წიგნი არ ჩამეარდნოდა ხელში. . .” . უნდა გვახსოვდეს, რომ კონკრეტულ პიროვნებაში არსებობს როგორც ზოგადი, ისე იდიოგრაფიული კანონზომიერებები. ამიტომ ორივეს გათვალისწინებაა საჭირო. თუმცა საკითხსაც გააჩნია: ერთ შემთხვევაში შეიძლება ერთის წინ წამოწევა უფრო იყოს საჭირო, მეორე შემთხვევაში კი – მეორის. (ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მიმართება (კომპლემენტარობის, იგივე დამატებითობის, იგივე ასიმეტრას პრინციპი) არა მხოლოდ ფსიქოლოგიისთვის, არამედ სხვა მეცნიერებებისთვისაც ჭეშმარიტია. როგორც ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი **კელმან** მიუთითებს, ამ სამყაროში ყველაფერი მარტივი წესებისა და შემთხვევითობების

შედგება.. მარტივი წესები ერთეულის -კერძოს გარკვეულ საზღვრებში მეცნიერულად ახსნის შესაძლებლობას გვაძლევენ, მაგრამ ყოველთვის რჩება შემთხვევითობების საფუძველზე ახსნის საჭიროება, რომელთა წინასწარმეტყველება შეუძლებელია, მხოლოდ post factum ხდება მათი გათვალისწინება

დილემა № 2

პიროვნების შინაგანი სტრუქტურა VS სიტუაცია

რამდენად მყარი და შინაგანად შეთანხმებულია (კონსისტენტურია) პიროვნება? იცვლება თუ არა იგი სიტუაციიდან სიტუაციამდე? მაგალითად, ერთი და იგივე პიროვნებად რჩება იგი მეგობრებთან და მშობლებთან ან ლექტორებთან ურთიერთობისას? ან იგივე პიროვნებაა წვეულებაზე და აუდიტორიაში? პრობლემა პიროვნების სხვადასხვა სიტუაციაში შინაგანი შეთანხმებულობის შესახებ წარმოადგენს დილემას – “პიროვნება თუ სიტუაცია”, ანუ პიროვნება განსაზღვრავს ქცევის თავისებურებას თუ სიტუაცია? მაშინ, როდესაც თეორეტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა სიტუაციაში სიმყარეს და თანმიმდევრობას ავლენს, მეცნიერთა მეორე ნაწილი თვლის, რომ პიროვნება იცვლება სიტუაციის მიხედვით და, ფაქტობრივად, სხვადასხვა სიტუაციაში ისე იქცევა, თითქოს სხვადასხვა ადამიანი იყოს. მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა, რომ ადამიანები ამ მხრივ ინტერინდივიდუალურად განსხვავდებიან, ზოგის ქცევას უფრო მეტი სიმყარე და შეთანხმებულობა გააჩნია, ზოგის ქცევა კი უფრო ცვალებადია, მაინც დგება საკითხი: ზოგადად, ადამიანი თავის ქცევაში სიტუაციიდან სიტუაციამდე უფრო მყარი და თანმიმდევარი თუ ცვალებადი ბუნებისაა?

როგორ ხსნის ფსიქოლოგია პიროვნების ქცევის შეთანხმებულობისა და ცვალებადობის საკითხს?

თანამედროვე ფსიქოლოგიაში პიროვნების ცნების განსაზღვრებისას ვამბობთ, რომ “პიროვნება არის **შედარებით** სტაბილური, მყარი, კონსისტენტური და დროში გამძლე (თანმიმდევარი)”. სიტყვას “შედარებით” ხაზი ესმება, რადგან იგი მიუთითებს, რომ პიროვნების შესახებ უკიდურესი შეხედულებების გვერდით, რომლებიც ცნობენ პიროვნულ ნიშანთა აუცილებელ სტაბილობას, არსებობს პიროვნების ცნების დინამიური ინტერპრეტაციებიც, რომლებიც არა თუ გამორიცხავენ, არამედ ხაზს უსვამენ პიროვნების განვითარებას, მის პროცესუალურ და ცვალებად ხასიათს.

პირველი თვალსაზრისის (რომ სტაბილობა და კონსისტენტობა არის პიროვნების ინდივიდუალობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმი) მიმდევრები ასაბუთებენ, რომ პიროვნება თავის ძირითად არსს დაკარგავს, თუ ჩვენი ქცევა მხოლოდ სიტუაციურ ცვლილებებზე ან დროის ცვლილებებზე იქნება დამოკიდებული. რა არგუმენტები გააჩნიათ ამ თვალსაზრისის დამცველებს?

მათ ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად მოჰყავთ ზიმბარდოს დღეისთვის საყოველთაოდ ცნობილი ექსპერიმენტის შედეგები, რომლებიც სტენფორდის უნივერსიტეტის ერთ-ერთ სარდაფში (ფიქტიურ) ციხეში ჩატარდა.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 21 სტუდენტმა, რომლებიც 75 მოხალისე სტუდენტიდან შეირჩა. მოხალისეები გამოეხნაურნენ გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას და თანხმობა განაცხადეს ორკვირიან ექსპერიმენტში მონაწილეობაზე, რომელიც დღეში 15 დოლარის ფასად ციხეში ყოფნას ითვალისწინებდა. სამოცდათხუთმეტივე მოხალისისგან, ხანგრძლივი და ინტენსიური დაკვირვების, გამოკითხვისა და ტესტირების შედეგად, შეირჩა 21 კანონმორჩილი, ემოციურად სტაბილური, ფიზიკურად ჯანმრთელი და საშუალო, ნორმალური სტუდენტი. მონეტის ალაღბედზე აგდებით მოხალისეთა ნაწილს პატიმრის, ნაწილს კი ზედამხედველის როლი დაეკისრა. “ზედამხედველები” გააფრთხილეს, რომ მათ მოვალეობაში შედიოდა არაჩვეულებრივი წესრიგის დაცვა, რითაც ციხის ნორმალურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობას იღებდნენ.” Xოლო “პატიმრებს” კი აფრთხილებდნენ გაეთვალისწინებინათ, რომ მათზე მუდმივი კონტროლი იქნებოდა და მათი მოქალაქეობრივი უფლებების ნაწილი დაირღვეოდა. პატიმრები ექსპერიმენტის მიმდინარეობის პერიოდში ციხეში იმყოფებოდნენ, ხოლო ზედამხედველები კი, სტანდარტულად, 8 საათს მუშაობდნენ.

ექსპერიმენტის შედეგები, ის თუ როგორ გაითავისეს სტუდენტებმა როლები, გამოგნებელი და თვით ექსპერიმენტის ინიციატორებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. ზედამხედველები, ეს, ჩვეულებრივ, მშვიდობიანი, კარგი ბიჭები აგრესიულად, ზოგჯერ საღისტურადაც კი იქცეოდნენ. ისინი პატიმრებს თხოვდნენ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ წესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ელემენტარულ პრივილეგიაზეც უარს ეუბნებოდნენ. თუ თავიდან ართმევდნენ კითხვის ან ერთმანეთთან საუბრის უფლებას, შემდეგ, პატიმრების მხრიდან მცირე პროტესტის შემთხვევაშიც კი, ჭამის ძილის, დაბანის

უფლებასაც არ აძლევდნენ. სასჯელის ახალ ფორმებს იგონებდნენ, რომ პატიმრებს თავი დამცირებულად ეგრძნოთ.

ხუთმა “პატიმარმა” ვეღარ გაძლო ციხეში და ორ დღეში დატოვა ციხე. დანარჩენებსაც, მანამდე ფსიქოლოგიურად სტაბილურ სტუდენტებს პათოლოგიური ქცევის ნიშნები გამოუვლინდათ – ზოგი ბედს შეეგუა, პასიური და უმწეო გახდა, ზოგს აზროვნების დეზორგანიზაცია და დეპრესია დაეწყო; ზოგი ისტერიკაში ჩავარდა. მოკლედ, ქცევის პათოლოგიური სიმპტომების გამო ექსპერიმენტის ინიციატორები იძულებული იყვნენ ექსპერიმენტი ექვს დღეში შეეწყვიტათ. (დღეს ყველა თანხმდება იმაში, რომ ეთიკური თვალსაზრისითაც ეს ექსპერიმენტი გაუმართლებელი იყო. დღეს მოქმედებს ფსიქოლოგიურ კვლევების სპეციალური ეთიკის კოდექსი, რომელიც ყველა მკვლევარმა უნდა დაიცვას.).

როგორც ვხედავთ, სიტუაციურმა ზეწოლამ ექსპერიმენტის მონაწილეებს ჩაადენინა ისეთი ქცევები, რომლებიც მათი ქცევების ჩვეულ რეპერტუარში არ შედიოდა. ზიმბარდოს ექსპერიმენტის შედეგები არ შეესაბამება ე.წ. პიროვნების “შიგნით” არსებულ ნიშნებზე ცენტრირებულ თეორიას (ამ თეორიას ოდნავ მოგვიანებით შევისწავლით), რადგან აგრესიულობა სტუდენტების მიერ მრავალრიცხოვანი ტესტებით დადგენილ ნიშანთა ჩამონათვალში არ ფიგურირებდა. სადისტური და აგრესიული ქცევა სიტუაციური ზეწოლის შედეგად განახორციელეს სტუდენტებმა, რომლებიც თავისთავად, არ მიეკუთვნებოდნენ სადისტურ ტიპს; სხვა სიტყვებით, მათი პიროვნული ნიშნები არ იძლეოდა მათი სადისტური ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობას. ამრიგად, ზიმბარდოს მიხედვით, პიროვნება, მისი პიროვნული ნიშნები კი არ განსაზღვრავენ ქცევას, არამედ სიტუაცია ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.

“მაგრამ თუ ყურადღებით გავაანალიზებთ ზიმბარდოს ექსპერიმენტების შედეგებს, ვნახავთ, რომ თვით “ზედამხედველებს” შორისაც იყვნენ ისეთები, რომლებიც “ბოროტად” არ იყვნებდნენ თავის უფლებებს. უფრო ზუსტად, ზედამხედველების მხოლოდ მესამედმა გამოავლინა შოკისმომგვრელი ქცევა, ორი მესამედი კი მკაცრად ექცეოდა პატიმრებს, მაგრამ ნორმალურად და ზოგჯერ მეგობრულადაც კი” (Luchins, 2003). ეს მონაცემები ზიმბარდოს კრიტიკოსებს საპირისპირო პოზიციის არგუმენტებადაც კი მიაჩნიათ. ერის ფრომი, მაგალითად წერს, რომ “ამ მონაცემებმა დაამტკიცა, რომ შესაბამისი სიტუაციით ადამიანების გადაქცევა სადისტებად არც ისე ადვილია”(Fromm, 1985).

დილემა №3

გენეტიკა VS გარემო

საკითხი, პიროვნების ნიშნები და უნარები სოციალურად დეტერმინირებულია თუ მათზე გავლენას ახდენს ჩვენი გენები, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პიროვნების ფსიქოლოგიაში. რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი? იმის ასახსნელად, თუ რა არის პიროვნების შესაძლო დეტერმინანტები, არსებობს თეორიათა ორი ძირითადი ტიპი – სოციალური და ბიოლოგიური თეორიები. სოციალური თეორიები ხაზს უსვამენ გარემოს მნიშვნელობას პიროვნულ განვითარებაში. ამ თეორიების თანახმად, მოზრდილი ადამიანის პიროვნების ძირითადი დეტერმინანტია გარემო, რომელშიც მისმა ბავშვობამ გაიარა. ეს თეორიები ამოდიან იმ შეხედულებიდან, რომ ყველა ახალდაბადებული ბავშვი ერთმანეთს ჰგავს თავისი ბიოლოგიური აგებულებითა და პიროვნული ზრდის შესაძლებლობებით. გარემო (სოციალური პროცესების ჩათვლით) ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია მოზრდილი ადამიანის პიროვნების შენარჩუნების თვალსაზრისითაც. ამ პოზიციის უკიდურეს გამოხატულებას წარმოადგენს დებულება, რომლის თანახმად, პიროვნება – ესაა “რაც ინდივიდის შიგნით არსებული”, რომელიც განისაზღვრება ირგვლივ მყოფთა შეხედულებებით და აღქმებით. ამ მიმართულების თეორეტიკოსებისათვის პიროვნების შესწავლაში ყველაზე საინტერესოა იმ სოციალური პროცესის შესწავლა, რომლის მეშვეობით პიროვნული ნიშნები და უნარები მიეწერება სხვებს. რის საფუძველზე შეიძლება მივიჩნიო, რომ ჯონი არაფრით გამორჩეული, საშუალო ადამიანია? რამ შეიძლება შემაცვლევინოს ჩემი ეს აზრი?

მეორე მხრივ, ბიოლოგიური თეორიების თანახმად, ბავშვები ერთნაირები არ არიან თუნდაც თავიანთი გენეტიკური სტრუქტურით. ამ თეორიული მიმართულების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ გენეტიკური ფაქტორებისა და ბიოლოგიური მექანიზმების მნიშვნელობას ქცევის განსაზღვრაში, უფრო ზუსტად კი – ქცევის ზოგიერთი ტიპისთვის წინაპირობის შექმნაში. მათი აზრით, პიროვნება და ინტელექტი – ქცევითი შედეგია ბიოლოგიური სტრუქტურების ფუნქციონირებისა, რომლებიც მართლა არსებობს ინდივიდის “შიგნით”. თუ ეს ასეა, ჩნდება კანონზომიერი შეკითხვა: ქცევის ეს თავისებურებები შესაძლებელია დამოკიდებული იყოს ინდივიდების გენოტიპზე?

სამწუხაროდ, პიროვნების ფსიქოლოგიის ამ ორი თეორიული სკოლის წარმომადგენლები ნაკლებად ურთიერთობენ ერთმანეთთან და ძალზე მცირეა კვლევები, რომლებშიც განხილულია ბიოლოგიური/ გენეტიკური ფაქტორებისა და სოციალური პროცესების გავლენა ქცევაზე. თუ აღმოჩნდება, რომ ნიშანი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება გენეტიკური ფაქტორებით, მაშინ სავარაუდოა, რომ მოცემული მახასიათებელი ინდივიდის “შიგნითაა” და სოციოლოგიური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესები ვერ შეძლებენ სრულად ახსნან ინდივიდუალური განსხვავებები.

არც ერთი ბიოლოგიურად ორიენტირებული თეორეტიკოსი არ მიდის ისე შორს, რომ ამტკიცოს, თითქოს გარემო საერთოდ არაა მნიშვნელოვანი ქცევის განსაზღვრისათვის – ბოლოს და ბოლოს ეს ერთადერთია, რისი შეცვლაც შეგვიძლია. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ ასაკობრივ ჯგუფში გარემოს გავლენის ხარისხი ზოგიერთი ნიშნის დეტერმინაციაში შეადგენს გენეტიკური ფაქტორების გავლენის საერთო მაჩვენებლის მხოლოდ 25%, ცხადი ხდება, რომ გარემოს ფაქტორების თუნდაც ძალზე ძლიერი მანიპულაციები (სპეციალური სასკოლო პროგრამები, გაუმჯობესებული ოჯახური გარემო, ფსიქოთერაპიის კურსები) რეალურად არც თუ ეფექტური აღმოჩნდება ინდივიდუალური ნიშნების გამოვლენა-განვითარების თვალსაზრისით. თუმცა, სხვა მახასიათებლები (რომლებსაც ნაკლები ან საერთოდ არ აქვთ გენეტიკური კომპონენტი) შესაძლებელია ძლიერ შეიცვალოს გარემოს ჩარევების გზით.

მრავალი ადამიანი, ალბათ, ფიქრობს, რომ თუ პიროვნებაზე გენეტიკური ფაქტორები ახდენენ გავლენას, ოჯახის ყველა წევრი ძალზე მსგავსნი იქნებიან. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. მიჩნეულია, რომ ინტელექტი მრავალი გენის გავლენას განიცდის, რომელთაგან ნებისმიერი შემთხვევითად გადაეცემა ერთი ან მეორე მშობლისგან. მაშინაც კი, როცა ამა თუ იმ ნიშანს გენეტიკური საფუძველი აქვს, სავსებით შესაძლებელია, რომ ოჯახის წევრებს შორის დიდი განსხვავება იყოს. ზოგიერთ ბავშვს შესაძლებელია ბედმა “გაუღიმოს” და მათმა ინტელექტმა და სოციაბელობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწიოს მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ამ მხრივ დიდად არ გამოირჩევიან. (Colin Cooper, Individual Differences)

გარემოს დეტერმინანტები

გარემოს დეტერმინანტებს მიეკუთვნება გავლენები, რომლებიც ჩვენს ურთიერთმსგავსებას განაპირობებს, აგრეთვე გავლენები, რომლებიც უნიკალურებს გვხდის.

კულტურა. პიროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემო დეტერმინანტს წარმოადგენს ადამიანის გამოცდილება, რომელიც უკავშირდება მის მიკუთვნებულობას გარკვეული კულტურისადმი. ყოველ კულტურას აქვს ქცევის, რიტუალებისა თუ რწმენების საკუთარი ინსტიტუციონალიზირებული და სანქცირებული პატერნები, რომელთა გადაცემა სწავლების გზით ხდება. ეს ნიშნავს, რომ მოცემული კულტურის წარმომადგენელთა უმრავლესობას გარკვეული საერთო პიროვნული მახასიათებლები ექნება. ამიტომ, ჩვენ ხშირად ვერც კი ვაცნობიერებთ ამ გავლენის არსებობას, სანამ არ შევალთ კონტაქტში სხვა კულტურის მატარებლებთან, რომლებიც სხვანაირად აღიქვამენ სამყაროს და, შესაძლოა, უპირისპირდებიან (გამოწვევას) კიდევაც ჩვენს კულტურაში მიღებულ შეხედულებებს. ზუსტად ამიტომ, კულტურის გავლენას ჩვენ ვიღებთ, როგორც თავისთავად არსებულ ფაქტს, ამ გავლენით გამსჭვალულია ჩვენი არსებობის ყველა მხარე – ის, თუ როგორ განვსაზღვრავთ ჩვენს მოთხოვნილებებს და მათი დაკმაყოფილების გზებს, სხვადასხვა ემოციების ჩვენეული განცდა და ის, თუ როგორ გამოვხატავთ მათ; ჩვენი დამოკიდებულებები სხვა ადამიანებისა და საკუთარი თავის მიმართ; ჩვენი წარმოდგენები სასაცილოსა და სამწუხარო მოვლენათა შესახებ; ჩვენი დამოკიდებულა სიცოცხლისა და სიკვდილის მიმართ, აგრეთვე ის, თუ რა არის, ჩვენი აზრით, ჯანსაღი და ავადმყოფური (Kitayama & Markus, 1994; Markus & Kitayama, 1991; Triandis, 1989).

სოციალური კლასი. თუმცა, ქცევის გარკვეული პატერნები იქმნება იმ გავლენათა წყალობით, რომლებსაც განიცდიან მოცემული კულტურის ყველა წარმომადგენლები, არსებობს სხვა პატერნებიც, რომლებიც ყალიბდება გარკვეული სოციალური კლასისადმი მიკუთვნებულობის გამო. ინდივიდის პიროვნებაში ცოტა რამ შეგვიძლია გავიგოთ სოციალური კლასის მოშველიების გარეშე, რომელსაც ის ეკუთვნის. ეკუთვნის თუ არა ის მაღალ ან დაბალ კლასს, მუშათა კლასს თუ კვალიფიცირებული სპეციალისტების კლასს – ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. კლასობრივი ფაქტორი განსაზღვრავს ინდივიდის სტატუსს, იმ როლებს, რომლებსაც ასრულებს საზოგადოებაში, ვალდებულებებს, რომლებსაც იღებს, და პრივილეგიებს, რომლებითაც სარგებლობს. ეს ფაქტორი გავლენას ახდენს იმაზე, როგორ აღიქვამს ინდივიდი საკუთარ თავს და სხვა სოციალური კლასების წარმომადგენლებს, აგრეთვე იმაზე, როგორ შოულობს და ხარჯავს ფულს. კულტურული ფაქტორების მსგავსად, კლასობრივი ფაქტორები ზემოქმედებს იმაზე, როგორ განსაზღვრავს ადამიანი სიტუაციას და როგორ რეაგირებს მასზე.

ოჯახი. ადამიანთა ქცევის მსგავსების გარდა, რომელიც განპირობებულია ისეთი გარემო ფაქტორებით, როგორიცაა ერთი კულტურისადმი და ერთი კლასისადმი მიკუთვნებულობა, გარემო ფაქტორები აგრეთვე განსაზღვრავენ მოცემული კლასისა ან კულტურის შიგნით პიროვნული ფუნქციონირების დიდ მრავალფეროვნებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემო ფაქტორია ოჯახის გავლენა. მშობლები შესაძლოა იყვნენ მოსიყვარულენი და თბილები ან მტრულები და უარყოფლები; ჰიპერმზრუნველები და აბეზარები ან შვილის

მოთხოვნები (თავისუფლებისა და ავტონომიის) ანგარიშის გამწვენი. მშობელთა ქცევის ნებისმიერი პატერნი გავლენას ახდენს შვილის პიროვნების განვითარებაზე. მშობლები ზემოქმედებენ შვილის ქცევაზე სამი ძირითადი გზით:

1. საკუთარი ქცევით ისინი ქმნიან სიტუაციებს, რომლებიც ბავშვთა გარკვეულ ქცევას აყალიბებს (მაგ., ფრუსტრაცია იწვევს აგრესიას).
2. ისინი გამოდიან როლურ მოდელებად იდენტიფიკაციისთვის;
3. ისინი შერჩევითად ახდენენ გარკვეული ქცევის წახალისებას, განმტკიცებას.

ბოლო დროს მკვლევრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საკითხით, რა განაპირობებს ასეთ მნიშვნელოვან განსხვავებას ბავშვებს შორის, რომლებიც ერთი და იმავე ოჯახიდან არიან? ამის პასუხად შეიძლება მივიჩნიოთ განსხვავებები ბავშვების კონსტიტუციაში და აგრეთვე განსხვავებული გამოცდილება, რომელსაც იღებს ბავშვი როგორც თავის ოჯახში, ისე მის ფარგლებს გარეთ (Dunn & Plomin, 1990; Plomin et al., 1990; Plomin & Daniels, 1987). რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სიბლინგების განსხვავებული გამოცდილება (რაც, ფაქტიურად, მათ განსხვავებულ გარემოს ქმნის) პიროვნების განვითარებისთვის შესაძლოა აღმოჩნდეს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე გამოცდილება, რომლებიც მათთვის, როგორც ოჯახის წევრებისათვის, საერთოა.

თანატოლები. თუ საერთო ოჯახური გარემო არც ისე მნიშვნელოვანია, როგორც ამას ფიქრობდნენ, მაშინ რა არის მნიშვნელოვანი? შესაძლოა, ყოველი ბავშვის უნიკალური ოჯახური გამოცდილება? ახლახანს შემოთავაზებულ იქნა სხვა ალტერნატივა. ამ თვალსაზრისის მიხედვით, სწორედ თანატოლთა გარემო არის ის ფაქტორი, რომლითაც შეიძლება აიხსნას გარემოს გავლენა პიროვნების განვითარებაზე. “სწორედ ბავშვებისა და მოზარდების ჯგუფებში ყოფნის და არა ოჯახში ყოფნის გამოცდილება გვაძლევს იმის ახსნას, როგორ ზემოქმედებს გარემო პიროვნების განვითარებაზე. შეკითხვაზე: “რატომ განსხვავდებიან ასე ძალიან ერთი და იმავე ოჯახის ბავშვები? (Plomin & Daniels, 1987) – შეიძლება ვუპასუხოთ, რომ მათ განსხვავებული გამოცდილება აქვთ მიღებული ოჯახის გარეთ, ხოლო ოჯახში მიღებული გამოცდილება მათ უფრო ვერ ამსგავსებს” (Harris, 1995, p. 481).

აქ მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ ბავშვები ბევრ რამეს შინ, ოჯახში სწავლობენ, მაგრამ ეს გავლენები ვლინდება ოჯახურ გარემოში და თანატოლთა მძლავრი გავლენის ფონზე მნიშვნელოვნად ფერმკრძალდება. მაშასადამე, თანატოლთა ჯგუფი ინდივიდის სოციალიზაციის ფაქტორად გვევლინება, რომელიც ქცევის ახალი წესების ათვისებას კარნახობს და აძლევს გამოცდილებას, რომელიც ხანგრძლივ და მდგრად გავლენას ახდენს პიროვნების განვითარებაზე. ამ თვალსაზრისით, მშობლებთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია განვითარების ადრეულ სტადიებზე, მაგრამ შემდგომ, პიროვნების განვითარებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანატოლთა ჯგუფის როლი, და სწორედ მათი გავლენაა უფრო მყარი და მტკიცე (პერვინი & ჯონი, პიროვნების ფსიქოლოგია).

შესაძლოა, ბავშვობის გამოცდილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს პიროვნების ზრდა-განვითარებისთვის, როგორც ამას ვარაუდობდნენ ფროიდი, როჯერსი და კელი (აგრეთვე ისეთი თეორეტიკოსები, როგორიცაა ბანდურა და სკინერი). ფროიდი ამტკიცებდა, რომ ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარების თავისებურებები (ფრუსტრაციები განვითარების კონკრეტულ სტადიაზე) განაპირობებს კონკრეტული პიროვნული ნიშნების გამოვლენას მოზარდილობაში, როგორც შეიძლება იყოს დაცვის მექანიზმების სპეციფიკური პატერნი¹, ოიდიპოსის კონფლიქტის გამოხატულების ხარისხი, მშობლებთან იდენტიფიკაციის ხარისხი; გარდა ამისა,

¹ ამ სიტყვას (pattern) აქვს რამდენიმე მნიშვნელობა. ერთ-ერთი ახლოსაა ხასიათის ან წესის (ქცევის, ცხოვრების და ა.შ.) მნიშვნელობასთან. მაგრამ ამ სიტყვის მთავარი მნიშვნელობაა – ნახატი, მოხატულობა განმეორებადი ელემენტებით. სწორედ ამ მნიშვნელობის გამო გამოიყენება ტერმინი პატერნი, რომელიც გულისხმობს განმეორებადობას და კანონზომიერებებს, რომლებიც ადამიანის ფსიქიკისთვის და ქცევისთვისაა დამახასიათებელი.

ეს თავისებურებები ხელს უწყობს გარკვეული გამოცდილების შექმნას ბავშვობის პერიოდში. მაშინ პიროვნული ნიშნები, რომლებსაც მოზრდილობისას კითხვარების (მაგ., აიზენკის კითხვარით) საფუძველზე გამოვყოფთ, შესაძლებელია უბრალოდ ასახავენ ბავშვის განსხვავებული მეთოდებით აღზრდის შედეგებს, რომლებიც შემდეგ მოზრდილობის ასაკში ვლინდება. პრობლემა აქ იმაში მდგომარეობს, რომ რთულია ან საერთოდ შეუძლებელია ობიექტურად შეაფასო აღნიშნული ცნებები და, შესაბამისად, ამ თეორიის შეფასებაც ასევე რთული ან შეუძლებელია. მცდლობას, შეეფასებინათ მოზრდილთა ძირითადი ფსიქოსექსუალური პიროვნული ტიპები ანალური ინტერესების კითხვარის (Ai3) მსგავსი მეთოდებით, მცირე წარმატება მოჰყვა, ხოლო მცდელობა, დაეკავშირებინათ მოზრდილთა პიროვნული ტიპები კრიტიკულ მოვლენებთან ბავშვის ფსიქოსექსუალური განვითარების პროცესში, წარუმატებლობით დასრულდა. შესაძლოა (თუმცა, არა აუცილებლად), ეს გამოწვეული იყო კონკრეტული ბავშვის მიერ ამა თუ იმ ეტაპების გადალახვის თავისებურებათა შესახებ (როგორც მოაშორეს დედის ძუძუს, როგორც მიაჩვიეს ტუალეტს და ა.შ.) სანდო, მკაფიო მონაცემთა შეგროვების სირთულით. როჯერსისთვის პიროვნების დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ (იდეალური მე-ხატის ჩათვლით და ა.შ.) – თვითაქტუალიზაციის, შინაგანი შეთანხმებულობისა და კონგრუენტობის ხარისხი – გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. თუ ბავშვი იზრდება გარემოში, რომელშიც მშობლების მხრიდან უპირობო სიყვარულს გრძნობს (როდესაც ცუდ საქციელს მოსდევს ფრაზა: “მე არ მომწონს ის, რაც შენ ახლა ჩაიღინე” და არა: “მე შენ არ მიყვარხარ”), მაშინ ბავშვი საკუთარ თავს განიხილავს სხვებისთვის საყვარელ არსებად და გაიზრდება კონგრუენტული და თვითაქტუალიზებული. ამიტომ, მართებულია მცდელობა, დადგინდეს, ექვემდებარება თუ არა წამყვანი პიროვნული ნიშნები მშობელთა ატიტუდების ზემოქმედებას.

არსებული ემპირიული მონაცემების უდიდესი ნაწილი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამგვარი ზემოქმედება მართლაც შესაძლებელია. კუპერსმიტმა (Coopersmith, 1967) აღმოაჩინა, რომ ბავშვების თვითშეფასება დამოკიდებულია მშობლების მიერ ბავშვების უპირობო მიღებასა და სიყვარულზე, ისეთ კონტროლზე, რომლის დროსაც უპირატესად გამოიყენება შექება, ვიდრე გაკიცხვა; მკაფიო მითითებაზე იმის შესახებ, რომელი ქცევაა მისაღები და რომელი – არა. ამგვარად, მართლაც აშკარა ხდება, რომ მშობლების ქცევა გავლენას ახდენს შვილების თვითშეფასებაზე, და რადგან გამოვლინდა თვითშეფასების კორელაცია ექსტრავერსიასა და ნეიროტიზმთან (Kline, 1993), სრულიად შესაძლებელია, რომ ეს ორი პიროვნული ფაქტორი აგრეთვე ექვემდებარება ამგვარი სოციალური პროცესების ზემოქმედებას.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ არგუმენტებს გარკვეული ხარვეზი აქვს. წარმოიდგინეთ, რომ თვითშეფასებას აქვს არსებითი გენეტიკური კომპონენტი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ მაღალი თვითშეფასების მქონე მშობლების შვილებსაც მოზრდილობისას აგრეთვე ჰქონდეთ მაღალი თვითშეფასება იმიტომ, რომ ეს თვისება გენეტიკურად გადაეცემათ, და არა იმის გამო, რომ მაღალი თვითშეფასების მქონე მშობლები მათთან ურთიერთობის გარკვეულ სტრატეგიას ირჩევენ. მეორე მხრივ, თუ ოჯახური გარემო ყველაფერს განსაზღვრავს (როგორც ამას კუპერსმიტი მიუთითებს მიღებულ მონაცემთა ინტერპრეტაციისას), მაშინ სოციალური ახსნა სავსებით მისაღებია. სამწუხაროდ, არსებობს ფართო კრიტიკა, რომელიც გამოთქმულია ფაქტურად ყველა იმ კვლევის მიმართ, რომლებშიც ნაცადია პიროვნების (ან უნარების) განვითარებაში მშობელთა ქცევის წვლილის შეფასება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ კვლევებში გათვალისწინებულ იქნას შესაძლებლობა, რომ ზოგიერთი სხვა ცვლადი, მაგ., გენები, გავლენას ახდენენ როგორც მშობელთა, ისე შვილების შესაძლო ქცევაზე და პიროვნებაზე.

ამ მოკლე მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რამდენად რთული კვლევითი ამოცანაა პიროვნებაზე სოციალური გავლენების განსაზღვრა. ამის მიზეზები შემდეგია:

- ძალზე რთულია ზუსტი რაოდენობრივი ინფორმაციის შეგროვება ბავშვების მიერ განცდილი სოციალური ზემოქმედების ტიპების შესახებ;
- კავშირი, რომელიც აღმოჩენილია მშობელთა ქცევის გარკვეულ ფორმებსა და მათი შვილების ზოგიერთ პიროვნულ მახასიათებლებს შორის, თავისთავად არ გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ მშობელთა ქცევა შვილების პიროვნულ მახასიათებელთა ჩამოყალიბების მიზეზია. შესაძლებელია, ბავშვის ზოგიერთი გენეტიკურად გადაცემული პიროვნული ნიშანი იწვევს მშობელთა გარკვეული ტიპის ქცევის აღმოცენებას; მაგრამ სწორედ გენები და არა მშობელთა ქცევის ვარიანტები განაპირობებს შვილებში მსგავსი ნიშნების გაჩენას.
- სოციალური გავლენების რაოდენობრივი შეფასება ძალზე რთული პროცესია. სავარაუდოდ, პიროვნებაზე ყველაზე ძლიერი ზემოქმედების მქონეა ის გავლენები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იჩენს თავს, მაგ., მშობელთა და ოჯახის სხვა წევრთა გავლენა, განსაკუთრებით, მცირეწლოვან ბავშვებზე. საბედნიეროდ, გენეტიკური ანალიზის მეთოდები საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ “ოჯახის უპირატესი თავისებურებების” გავლენის ხარისხი პიროვნებაზე ამ გავლენის დეტალური შეფასების საჭიროების გარეშე. თუ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ მშობლები, როგორც წესი, დაახლოებით ერთნაირად ზრდიან თავიანთ შვილებს (დაშვება, რომელიც, კვლევების თანახმად, გარკვეულწილად მართებულია), მაშინ “ოჯახის უპირატესი თავისებურებები” მსგავს გავლენას უნდა ახდენდეს ყველა ბავშვზე, ანუ შვილების აღზრდის მეთოდები დაახლოებით თანაბრად უნდა მოქმედებდეს ყველა ბავშვზე. ამგვარად, ბავშვების პიროვნების შედარებით ერთ ოჯახში და ოჯახებს შორის (პირდაპირი გენეტიკური გავლენების კორექციის შემდგომ), შესაძლებელია გავარკვიოთ, ახენს თუ არა ოჯახური გარემო გავლენას შვილებზე ბავშვობაში და შემდგომ. თუ ეს გავლენა ძლიერი არ არის, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ბავშვები იზრდებიან მშობლების მიერ გამოყენებული მეთოდებისგან დამოუკიდებლად და არა – მათი წყალობით. მაგრამ, სოციალური ცვლადების გავლენის რაოდენობრივი შეფასება სხვაგვარადაცაა შესაძლებელი: თუ შევეცდებით განვსაზღვროთ ხარისხი, რომლითაც შესაძლებელია პიროვნების ინდივიდუალური განსხვავებების ახსნა ბიოლოგიური ცვლადების საფუძველზე, და დავეთანხმებით იმას, რომ დანარჩენი ნაწილი სხვადასხვა ტიპის სოციალური ფაქტორებითაა განპირობებული.

პიროვნების ბიოლოგიური საფუძვლები

ბიოლოგიური მიდგომის თანახმად, ადამიანთა ნერვული სისტემები ერთნაირი არ არის, ნერვული სისტემის აგებულებისა და ფუნქციების მხრივ შესაძლებელია არსებობდეს ინდივიდუალური განსხვავებები და ეს საშუალებას გვაძლევს აეხსნათ ინდივიდუალური ნიშნების აღმოცენება. ეს ნიშნავს, რომ ქცევის ნებისმიერი ვარიანტები, რომლებიც ერთობლივად ვარირებს (და ფაქტორული ანალიზის მეშვეობით იდენტიფიცირებულია როგორც ნიშნები), ყოველთვის ისეთია, როგორიც არის, რადგან ყველა მათგანი განიცდის ტვინის სტრუქტურის (სტრუქტურების) გავლენას. ამ მიდგომის ხელსაყრელი მხარეა ის, რომ მისი მოსაზრებების ემპირიული შემოწმება უფრო ადვილია, ვიდრე სოციალური თეორიებისა. თანამედროვე ფსიქოფიზიოლოგიური მეთოდების მეშვეობით (როგორცაა პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსი) გაცილებით უფრო მარტივია შევამოწმოთ, არის თუ არა ნამდვილად დაკავშირებული პიროვნული განსხვავებები ინდივიდუალურ განსხვავებებთან ნერვული სისტემის სტრუქტურასა და ფუნქციებში, ვიდრე გავანალიზოთ სოციალური ურთიერთქმედებები, რომლებსაც წლების წინ ჰქონდა ადგილი. (Colin Cooper, Individual Differences)

გენეტიკური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პიროვნების დეტერმინაციაში, განსაკუთრებით – უნიკალურ ინდივიდუალად ჩვენს ჩამოყალიბებაში. თუმცა ისტორიულად ისე მოხდა, რომ ფსიქოლოგები ხაზს უსვამდნენ გენეტიკური და გარემოს დეტერმინანტების მნიშვნელობას პიროვნების, როგორც მთელის, ფუნქციონირებაში, თანამედროვე მკვლევარნი აღიარებენ, რომ ამ ფაქტორთა მნიშვნელობა შესაძლებელია განსხვავებული იყოს პიროვნების სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით. გენეტიკური ფაქტორები, როგორც წესი, ისეთი მახასიათებლებისათვისაა უფრო მნიშვნელოვანი, როგორცაა ინტელექტი და ტემპერამენტი, და ნაკლებ მნიშვნელოვანია ღირებულებათა, შეხედულებებისა და იდეალების ფორმირებისთვის.

ერთ-ერთ ნაშრომში მოყვანილია ტემპერამენტის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების მაგალითი, რომელიც ეხება აქტივობისა და სიმორცხვის დონეს (Kagan, 1994). ზოგიერთი ბავშვი უფრო აქტიური და თამამია, ვიდრე სხვები. ეს თავისებურებები შესაძლოა შენარჩუნდეს წლების განმავლობაში: ზოგიერთი ადამიანი სულ მოძრაობასა და მოქმედებაშია, ხოლო ზოგიერთი, ჩვეულებრივ, მორიდებული და ფრთხილია. ის ფაქტი, რომ აღნიშნული თავისებურებანი ადრე იჩენს თავს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნარჩუნდება და, როგორც ჩანს, შედარებით დამოუკიდებელია აღზრდისგან, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისინი გენეტიკურად განპირობებულ, ანუ მემკვიდრეობით გადაცემულ მახასიათებლებს მიეკუთვნება. მშობლები თავდაპირველად, სანამ მათ ერთი შვილი ჰყავთ, გარემოს გავლენას აღიარებენ, მაგრამ სხვა ბავშვების გაჩენის შემდეგ – როცა დაინახავენ, რა უზარმაზარი განსხვავება იჩენს თავს მათ შორის ბუკვალურად დაბადებიდან პირველივე წუთებში, ისინი მემკვიდრეობითობის თავგამოდებული მომხრენი ხდებიან.

გენეტიკურ დეტერმინანტებს ხაზს უსვამენ აგრეთვე პიროვნების ის მკველევარნი, რომლებიც ჩვენი ევოლუციური მემკვიდრეობითობით არიან დაინტერესებული (Buss, 1991, 1995). მათი მონაცემების თანახმად, ადამიანის ქცევის მრავალი პატერნის სათავეები ჩვენს ევოლუციურ წარსულშია და დაკავშირებულია გენებთან, რომლებიც საერთოა ადამიანებისთვის და სხვა სახეობათა წარმომადგენლებისათვის. თუმცა უფრო სწორად ჩვენ მიდრეკილნი ვართ, ვიფიქროთ, რომ გენები განაპირობებენ ჩვენს განსხვავებულობას სხვებისგან, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რამდენად საერთოა გენეტიკური კონსტიტუცია ყველა ჩვენგანისთვის და რამდენად გვეერთიანებს ის ბიოლოგიური სახეობების სხვა წარმომადგენლებთან. ასე, მაგ., თუ ავიღებთ ყველაზე საწყის მახასიათებლებს, ცოცხალი არსებების უმრავლესობას აქვს ორი თვალი და ორი ყური, ერთი ცხვირი და ა.შ. მაგრამ, გარდა ამისა, ფსიქოლოგი-ევოლუციონისტები მიიჩნევენ აგრეთვე, რომ ჩვენ ყველას ერთმანეთთან გვეერთიანებს სოციალური ურთიერთობების პატერნები. მაგ., ქალებისა და მამაკაცთათვის სასურველად მიიჩნეული მახასიათებლები, მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული დონის ჩართულობა ბავშვების აღზრდის საქმეში, ალტრუიზმი და ჩვენ მიერ განცდილი ძირითადი ემოციები – ყველაფერი ეს, როგორც ვარაუდობენ, გენებში ჩადებული ევოლუციური მემკვიდრეობითობის გამოვლინებაა. ფსიქოლოგები, რომლებიც ბაზისურ ემოციებს (მაგ., განრისხებას, სევდას, სიხარულს, ზიზღს, შიშს) შეისწავლიან, მიიჩნევენ, რომ აღნიშნული ემოციები თანდაყოლილია და შესაბამისი ინფორმაცია მათ შესახებ კოდირებულია გენებში (Ekman, 1992, 1993; Izard, 1991). ამგვარად, ბავშვები ისევე, როგორც მოზრდილები, და შიმპანზე ისევე, როგორც ადამიანები, განიცდიან მსგავს ემოციებს იმიტომ, რომ მათ საერთო ევოლუციური მემკვიდრეობითობა და საერთო გენეტიკური სრუქტურა აქვთ. ეს არ ნიშნავს, რომ გამოცდილება არ ახდენს გავლენას იმაზე, რომელი ემოციები გვხვდება ყველაზე სწორად მოცემულ ინდივიდთან, ან იმაზე, როდის, რა პირობებში განიცდება გარკვეული ემოციები და როგორ გამოიხატება ისინი. ცხადია, გამოცდილება ახდენს გავლენას, მაგრამ განვითარება თანდაყოლილი გენეტიკური სტრუქტურის შესაბამისად მიმდინარეობს.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ გენების როლი გამოიხატება იმაში, რომ ისინი უზრუნველყოფენ ყველა ჩვენგანის ადამიანთა მოდგმისადმი მიკუთვნებულობას და ამავე დროს ჩვენს შორის ინდივიდუალური განსხვავებების არსებობას.

გენეტიკური და გარემო დეტერმინანტების ურთიერთმიმართება

როგორც უკვე აღინიშნა, ფსიქოლოგები ტრადიციულად კამათობენ, რომელია უფრო მნიშვნელოვანი – გარემო თუ მემკვიდრეობითობა. ამავე დროს, ალბათ, ყველა ფსიქოლოგი დაეთანხმება იმ აზრს, რომ გენეტიკური და გარემოს მახასიათებლები ურთიერთქმედებენ, ანუ შეუძლებელია საუბარი რაიმე სახის მემკვიდრეობითობაზე გარემოს გარეშე, ისევე, როგორც რაიმე სახის გარემოზე მემკვიდრეობითობის გარეშე. ამგვარად, ფსიქოლოგების ჭეშმარიტი ამოცანა მდგომარეობს განვითარების პროცესის ინტერპრეტირება, როგორც გენეტიკური და გარემო ფაქტორების მუდმივი ურთიერთქმედების შედეგისა. მაგ., განვიხილოთ რეაქციის დიაპაზონის ცნება (Gottesman, 1963). ამ ცნების არსი შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ: მემკვიდრეობითობა აფიქსირებს შესაძლო ვარიანტების გარკვეულ ნაკრებს, ხოლო გარემო საბოლოოდ ირჩევს ერთ-ერთ კონკრეტულ ვარიანტს. ანუ მემკვიდრეობითობას შეუძლია გარკვეული დიაპაზონის დადგენა, რომლის ფარგლებში მოცემული თვისების განვითარება განისაზღვრება გარემოს პირობებით. მაგ., მემკვიდრეობითობამ შეიძლება შემოსაზღვროს ინდივიდის მუსიკალური და სპორტული უნარების ფარგლები, მაგრამ გარემო განსაზღვრავს, ამ უნარების განვითარების კონკრეტულ ფორმასა და ხარისხს.

თუმცა დიაპაზონის კონცეფცია მთლიანობაში სასარგებლოა, ის ვერ აღწერს / ასახავს ბუნებისა და არზრდის მუდმივი ურთიერთქმედების აქტიურ პროცესს. ჩვილი, როგორც კი გაჩნდება, არა მხოლოდ გარემოს განცდის სხვადასხვა ზემოქმედებას, არამედ თავადაც იწვევს გარემოს მხრიდან განსხვავებულ რეაქციებს თანდაყოლილი კონსტიტუციური თავისებურებების შესაბამისად. მაგ., ჰიპერაქტიური ბავშვი მშობლების მხრიდან იწვევს სრულიად განსხვავებულ რეაქციას, ვიდრე წყნარი ბავშვი; ლამაზი ბავშვი – განსხვავებულ რეაქციას, ვიდრე არც ისე ლამაზი; გოგონა – არა იმგვარ რეაქციას, როგორსაც ბიჭი და ა.შ. შემდგომში ადამიანი თავისთვის გარემოს არჩევსას შეეცდება ნაწილობრივ გაითვალისწინოს თავისი კონსტიტუციური თავისებურებანი და ნაწილობრივ – სხვადასხვა გარემოში მიღებული სიამოვნებისა და ტკივილის გამოცდილება. ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებთან, არამედ მემკვიდრეობითობასა და გარემოს მუდმივ ურთიერთქმედებასთან.

მაშასადამე, პიროვნება დეტერმინირებულია უამრავი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით, გენეტიკური, კულტურული, კლასობრივი და ოჯახური გავლენების ჩათვლით. მემკვიდრეობითობა აწესებს მახასიათებელთა განვითარების დიაპაზონს; ამ დიაპაზონის ფარგლებში მახასიათებლები დეტერმინირებულია გარემოს პირობებით. მემკვიდრეობითობა ჩვენ გადმოგვცემს უნარებს, რომლებსაც კულტურა წაახალისებს ან არა. მრავალი გენეტიკური და გარემო ფაქტორების ურთიერთქმედების არსებობის დანახვა პიროვნების ყველა მნიშვნელოვან ასპექტშია შესაძლებელი. (პერვინ და ჯონი)

“ბუნება – აღზრდის” მიმართების კვლევის მეთოდები

გენეტიკური კვლევების საფუძველზე გაირკვა, რომ გენეტიკური და გარემოს ფაქტორების შედარებითი მნიშვნელობა შესაძლებელია იცვლებოდეს ასაკის მიხედვით. პედერსენისა და ლისტენშტეინის (Pedersen, Lichtenstein, 1997) თანახმად, ეს შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას:

1. ცნობილია, რომ ზოგიერთი გენი (მაგ. ჰორმონების გამომუშავების მაკონტროლებელი გენები, რომლებიც, შესაბამისად, განსაზღვრავენ სქესობრივ მომწიფებას) ქცევაზე მხოლოდ გარკვეულ პერიოდში მოქმედებს. ამრიგად, თუ გენების გარკვეული ჯგუფი შესაძლებელია

პოტენციურად ახდენდეს გავლენას ინდივიდის პიროვნებაზე და ინტელექტზე, სრულიად არაა აუცილებელი, რომ ისინი ყველა ასაკში იყოს აქტიური. ანუ გენების გავლენა ინტელექტსა და პიროვნებაზე შესაძლოა ვარირებდეს მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა გენი არ არის ყოველთვის აქტიური;

2. შესაძლებელია, გენეტიკურ გავლენას პიროვნებასა და უნარებზე მნიშვნელობა ჰქონდეს სიცოცხლის ადრეულ ეტაპებზე. შესაძლოა, წლებთან ერთად გამოცდილების დაგროვებამ და სხვადასხვა ცხოვრებისეულმა მოვლენამ, გენეტიკურმა თავისებურებებთან შედარებით, მეტი გავლენა მოახდინოს ჩვენზე და განსაზღვროს ჩვენი შეხედულებები და მოქმედებები. ამის წყალობით, ინტელექტსა და პიროვნებაზე გენეტიკური გავლენები შესაძლებელია ასაკის მატებასთან ერთად შემცირდეს.

3. ზემოთ ნათქვამს შესაძლებელია დაუპირისპიროთ შემდეგი პოზიცია: შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ გარემო განაპირობებს ადრეულ ასაკში გამოვლენილი ნებისმიერი გენეტიკურად დეტერმინირებული თავისებურებების გაძლიერებას პიროვნების სტრუქტურასა და ქცევაში. მაგ., ბავშვს, რომელიც გამოირჩევა ინტელექტის მაღალი დონით, შესაძლებელია ხელი შეუწყოს მრავალი სხვადასხვა საგნის შესწავლაში, მისი უნარების მაქსიმალურად განვითარებაში ლექციებისა და სხვა დონისძიებების მეშვეობით.

კვლევებიდან გაირკვა, რომ ჩვენი გენეტიკური თავისებურებები განაგრძობენ ზემოქმედებას ჩვენს პიროვნებაზე და ინტელექტზე საშუალო ასაკში და მის ფარგლებს გარეთაც. რაც შეეხება საერთო ინტელექტუალურ განვითარებას, აღმოჩნდა, რომ გენეტიკური ფაქტორების გავლენა სინამდვილეში გაცილებით უფრო ძლიერად არის გამოხატული საშუალო ასაკში, ვიდრე ბავშვობასა და მოზარდობის ხანაში. ეს დასკვნა განსაკუთრებული ხაზგასმის ღირსია: გენეტიკური პროგრამა ჩვენი ქცევაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვობასა და მოზარდობის ასაკში, არამედ აგრეთვე მთელი ცხოვრების განმავლობაში

რაოდენობრივი გენეტიკის მეთოდები

განვიხილოთ, რა ახდენს ოჯახში ბავშვის პიროვნებასა და უნარებზე გავლენას. გენეტიკოსები განასხვავებენ გარემოს ორ ტიპს: გაზიარებული გარემო (ზოგჯერ მას უწოდებენ საერთო გარემოს და აღნიშნავენ ასო "C"-თი სიტყვიდან common), ანუ ესაა ცხოვრების პირობები და ოჯახის სპეციფიკა, რომლებიც საერთოა ოჯახის ყველა წევრისთვის. ის მოიცავს ნებისმიერ გავლენას, რომელიც ერთმანეთს ამსგავსებს ოჯახის წევრებს; ესაა მშობელთა შემოსავალი, მშობლების დამოკიდებულება განათლებისა და დისციპლინისადმი; კვება და სხვა ფაქტორები, რომლებიც შესაძლებელია ერთი და იმავე მიმართულებით მოქმედებდეს ოჯახის ყველა წევრის განვითარებაზე.

მაგრამ არსებობს სხვა გავლენები, რომლებიც ყველა ბავშვს ოჯახში არ ეხება. მეგობრული კავშირები (მაგ., თანაკლასელებთან), რომლებიც ოჯახის სხვა წევრებზე არ ვრცელდება; კარგი (ან ცუდი) ურთიერთობები კონკრეტულ მასწავლებელთან, ავადმყოფობის შედეგები, სიცელქე, სწავლის უნარის დაქვეითება და ნებისმიერი სხვა გამოცდილება, რომელიც ოჯახის სხვა წევრების მიერ არაა გაზიარებული, ქმნის ინდივიდების უნიკალურ გარემოს (რომელსაც ასო E-თი აღნიშნავენ).

გაზიარებული გარემო შედგება გავლენებისგან, რომლებიც ოჯახის წევრთა მსგავსების მატებას უწყობს ხელს, ხოლო უნიკალური (ანუ ინდივიდუალური) გარემო მოიცავს გარემოს გავლენებს, რომლებიც ოჯახის წევრთა შორის განსხვავების ზრდას განაპირობებს. ამ ორი ტიპის გარემო ფაქტორების გარდა ზოგიერთ ნიშანზე დამატებითი გავლენის მოხდენა შეუძლია ოჯახის გენებს შორის მსგავსებას (პირობითად ვუწოდოთ ამ გავლენებს "A").

ინდივიდებს შორის განსხვავებები გარკვეული ტესტის მიხედვით შესაძლებელია სრულად აღიწეროს ვარიაციულობის ამ სამი წყაროს (საერთო გარემო, ინდივიდუალური გარემო და

გენეტიკური მსგავსება) მეშვეობით, რომელთაგან ყოველი შეიძლება იყოს გამოხატული რიცხვით 0-დან 1-მდე. ამრიგად, შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$\text{საერთო ვარიატულობა} - 1 = A + B + E.$$

გენეტიკური ანალიზის მთავარი მიზანია A, B და E-ს მნიშვნელობის დადგენა ზემოთ მოცემულ განტოლებაში. ეს გულისხმობს გენეტიკური ფაქტორების, საერთო და ინდივიდუალური გარემოთა წვლილის განსაზღვრას გარკვეული ქცევის დეტერმინაციაში.

ინტუიტურადაც ცხადია, რომ ერთადერთი ფაქტორი, რომელიც აიძულებს გენეტიკური კავშირების არმქონე ბავშვების “ოჯახს” (ანუ ნაშვილები ან აღსაზრდელად აყვანილი) გვჩვენოს ერთი და იგივე ქულები ტესტში, უნდა იყოს საერთო გარემო. ერთადერთი ფაქტორი, რომელიც ერთ და იმავე ოჯახში აღზრდილ იდენტურ ტყუპებს აიძულებს განსხვავებული შეფასებები ჰქონდეს ტესტში, ინდივიდუალური გარემოს გავლენა უნდა იყოს (რადგან მათი გენეტიკური თავისებურებები და საერთო ოჯახური გარემო ერთნაირია). ერთადერთი ფაქტორი, რომელიც აიძულებს იდენტურ ტყუპებს, რომლებიც დაბადების პირველივე წუთიდან სხვადასხვა ოჯახში იზრდებიან, ჰქონდეთ ნიშანთა მსგავსი დონე, მათი გენეტიკური მსგავსება უნდა იყოს (რადგან მათი საერთო და ინდივიდუალური გარემო აბსოლუტურად სხვადასხვაა).

საინტერესოა, რა მიმართებაა ამ ფაქტორებს შორის ინტელექტზე გავლენის თვალსაზრისით სხვადასხვა ასაკში. ამ მიმართულებით მრავალი კვლევაა ჩატარებული. მათი ძირითადი შედეგია ამგვარია: ინტერვალში 3-დან 36 თვემდე გენეტიკური ფაქტორები ხსნის ხსნის კოგნიტური უნარების ვარიატულობის მეოთხედს ან მესამედს. უფრო გვიანდელ ასაკში მემკვიდრეობითობის როლი კიდევ უფრო იზრდება: 0,4-დან ერთი წლის ასაკში 0,57-მდე ოთხი წლისას და 0,7-მდე – შვიდი წლისას. კვლევაში, რომელიც ასევე ჩატარებული იყო მონოზიგოტ და დიზიგოტ ტყუპებზე, რომელთა ასაკი 6-12 წელი იყო, გაირკვა, რომ მათი ზოგადი კოგნიტური უნარების მემკვიდრეობითობა 0,5 -ის ტოლია, ანუ ხსნის ტესტებში მიღებულ შეფასებებს შორის განსხვავების 50%-ს, დანარჩენ 42%-ს ხსნის საერთო ოჯახური გარემო, ინდივიდუალურ გარემოს ძალზე მცირე გავლენა აქვს. ანუ შესაძლებელია ითქვას, რომ ოჯახის თავისებურებებსა და გენებს დაახლოებით თანაბარი გავლენა აქვს ბავშვების გონებრივ განვითარებაზე.

მოგვიანებით საერთო ოჯახური გარემოს გავლენა ქრება. როდესაც იგივე კვლევა მოზარდებთან ჩატარდა, აღმოჩნდა, რომ გენეტიკური ფაქტორების როლი ძირითადად იგივე დარჩა, ხოლო საერთო გარემოს გავლენა – სრულიად უმნიშვნელო გახდა (LaBuda et al., 1987). ეს საკმაოდ დასაფიქრებელი ფაქტია – აღმოჩნდა, რომ ამ ასაკში ოჯახური პირობები, ხელშეწყობა ან უთანხმოებანი არავითარ როლს არ ასრულებს: მათი გონებრივი უნარები, როგორც ჩანს, თანაბრად და მოკიდებული გენეტიკურ თავისებურებებზე და უნიკალურ ინდივიდუალურ გარემოზე.

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას: სწავლების ყველაზე საშინელ პირობებსაც კი არ ძალუძთ ბავშვების IQ-ს “დაწევა”; ოჯახის გზრეთ გავლენებს გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოზარდების IQ-ზე, ვიდრე ოჯახისას, თუმცა ოჯახის გავლენა ძალზე მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს უფრო მცირე ასაკის ბავშვებისთვის; გენეტიკური გავლენა არ მცირდება ასაკთან ერთად. IQ-ს ვარიატულობის 50% შეიძლება ინდივიდების გენეტიკური თავისებურებებით აიხსნას, და ეს ეხება მოზრდილებს, ისევე როგორც ბავშვებს.

შესაბამისად, მიღებული მონაცემები სრულიად გარკვევით მეტყველებს იმაზე, რომ თეორიებს, რომლებიც ცდილობენ “ახსნან” ინტელექტი მხოლოდ სოციალური პროცესების ტერმინებში, საუკეთესო შემთხვევაში შეუძლიათ ახსნან IQ-ს ვარიატულობის მხოლოდ 50%.

პიროვნების გენეტიკა

ეს პრობლემა გაცილებით უფრო ნაკლებად ხდება დისკუსიის საგანი, ვიდრე უნარების გენეტიკური საფუძვლები. როგორც ჩანს, საზოგადოებას ნაკლებად ადევნებს, ექნება თუ არა ინდივიდს ექსტრემალურად გამოხატული პიროვნული ტიპი. ძირითადი პიროვნული ნიშნების გენეტიკური განპირობებულობის ხარისხი რამდენიმე კვლევაში იქნა შესწავლილი გამოიყენებოდა იგივე მეთოდები, რაც უნარების კვლევისას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას რომ ინდივიდის პოზიცია კონკრეტული პიროვნული ნიშნის სკალაზე განისაზღვრება მრავალი გენის ადიტური (დამატებითი) ეფექტებით. მაგ., ჯონ ლოელინი (Loehlin, 1992) იყენებდა ტყუპებისა და ნაწილები ბავშვების კვლევათა მონაცემებს იმისათვის, რომ განესაზღვრა რამდენად (რა ხარისხით) არის კოსტა და მაკრეის “დიდი ხუთეულის” თითოეული პიროვნული ფაქტორი დამოკიდებული გენეტიკურ ფაქტორებზე. ამ ფაქტორების მემკვიდრეობითობის მნიშვნელობა ვარირებს 0,3-დან 0,5-მდე. ზაკერმანმა (Zuckerman, 1991) გარკვეულად შეაჯამა ადრე გამოქვეყნებული ნაშრომების შედეგები და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ:


- მემკვიდრეობითობის მაჩვენებლები მნიშვნელოვანი სიდიდისაა;
- გენეტიკური ფაქტორების გავლენა არ ქრება მოზრდილ ასაკში
- გაზიარებული (ოჯახური) გარემო მართლაც უმნიშვნელო როლს ასრულებს პიროვნების დეტერმინაციაში ნებისმიერ ასაკში, ხოლო უნიკალური (ინდივიდუალური) გარემო – პიროვნულ ნიშნებზე გავლენის გაცილებით უფრო მძლავრი წყაროა.

სხვადასხვა მკვლევართა მიერ მონოზიგოტ და დიზიგოტ ტყუპებთან შესწავლილ იქნა პიროვნული ნიშნები, რომლებიც შესაძლებელია სამ ჯგუფად გაგავრთიანოთ: ექსტრავერსია – სოციაბელობა”, “ნეიროტიციზმი – ემოციონალურობა”, “ფსიქოტიციზმი – იმპულსურობა – მძაფრი შედეგების სოციალურად არაადაპტური ძიება. ჩატარებული კვლევების შედეგების შედარების საფუძველზე გაირკვა, რომ აღნიშნულ სამ ძირითად პიროვნულ ნიშანს ახლავს ძლიერი გენეტიკური კომპონენტი. მაგ., ექსტრავერსიის მემკვიდრეობითობა 0,54-0,66 აღწევს, მაშინ როდესაც საერთო ოჯახური გარემოს წვლილი ნულის ტოლია.

მიღებული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პიროვნება განისაზღვრება (დეტერმინირებულია) გენეტიკური ფაქტორებისა და ბავშვების ინდივიდუალური გარემოს თავისებურებებით. ეს უკანასკნელი გულისხმობს გარკვეული მასწავლებლების გავლენას ბავშვზე, “განსაკუთრებულ” ურთიერობებს ბავშვსა და ოჯახის რომელიმე წევრს შორის, მეგობრების გავლენას. მაგრამ ეს დასკვნა გარკვეულწილად უნდა დაკონკრეტდეს. ზოგიერთი პიროვნული ნიშნები (ან ქცევის სახეები), როგორც დადგინდა, საერთო გარემოს გავლენას განიცდის. მაგ., სტივენსონის (Stevenson, 1997) მიერ ჩატარებული ტყუპების კვლევაში შეისწავლებოდა პროსოციალური ქცევის (ემპათიის, მხარდამჭერი ქცევის, ალტრუიზმის), ასოციალური ქცევის (აგრესიის, დესტრუქტული ქცევის) და სოციაბელობის გენეტიკური დეტერმინირებულობის ხარისხი. გაირკვა, რომ ასოციალურ ქცევას საკმაოდ მცირე გენეტიკური შემადგენელი აქვს: 0,24 წინააღმდეგ პროსოციალური ქცევისა და სოციაბელობის 0,54 და 0,67-სა შესაბამისად. ეს იყო ქცევის ერთადერთი სახე, რომლისთვის გაზიარებული გარემოს გავლენა არსებითი აღმოჩნდა (0,54 წინააღმდეგ 0,02-ს ან 0,0-სა). ამგვარად, ნათელია, რომ ქცევის ზოგიერთი სახე შესაძლოა ოჯახის გავლენას განიცდიდეს, თუმცა, ისიც ცხადია, რომ ძირითადი პიროვნული ნიშნები ამ გზით არ ყალიბდება. კვლევებიდან აგრეთვე გაირკვა, რომ ასაკთან ერთად გენეტიკური გავლენა უფრო მნიშვნელოვანი ხდება. (Colin Cooper, Individual Differences)

თვითობა.¹ მე-კონცეფცია. თვითშეფასება

პირველად უილიამ ჯემსმა განასხვავა ერთმანეთისგან „თვითობის“-ს (Self, Selbst) ორი ასპექტი. საკუთარი პიროვნება შეიძლება განვიხილოთ, ერთის მხრივ, როგორც 1. სუბიექტი (მე, I, მაგ. მე ვიცანი იგი), და მეორეს მხრივ, 2. როგორც ობიექტი (□ე, მაგ. მან მიცნო მე). ჯემსის მიხედვით, მე-სუბიექტი არის აქტიური, მოქმედი, ცნობიერი, საკუთარი ქცევის წარმართავი (სელფ ას ნეჩერ). სწორედ ამ ცნობიერი მე-ს ერთ-ერთი მახასათებელი არის ჩვენი პიროვნული მუდმივობის განცდა. ხოლო მე- ობიექტი არის (□ე. □ცჰ) მე-ს შესამეცნებელი ობიექტი („Self as known“). როგორც ვხედავთ, თვითობა თავის თავში ერთდროულად აერთიანებს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს.



თვითობის ბუნებით ფსიქოლოგიური მეცნიერების ისტორიაში ბევრი ავტორი იყო და არის დაინტერესებული. მოგვყავს ორი განსაზღვრება:

ფ. ლერში (შრეთა თეორია): პიროვნების სტრუქტურაში გამოიყოფა სასიცოცხლო, ენდოთიმური და ცნობიერი დონეები. თვითობა ენდოთიმური და პიროვნული დონეების გადაკვეთაზე თავსდება. თვითობის არსებობისთვის საჭიროა ენდოთიმური დონის სწრაფვების და განცდების ინტეგრაცია პიროვნების დონის აზროვნებით და ნებით ფუნქციებთან. თუ ადამიანი მხოლოდ ენდოთიმური დონის სწრაფვებით ცხოვრობს, მას

არ გააჩნია პიროვნული თვითობა, ასევე არ გვექნება პიროვნული თვითობა (**das personale Selbst**) თუ ადამიანი მხოლოდ აზროვნების აბსტრაქტული წესებით და ნების ბრძანებით ცხოვრობს. მხოლოდ იქ, სადაც ორივე ფენა გახსნილია ერთმანეთის მიმართ და ინტეგრაციულად ურთიერთზემოქმედებს, ხდება პიროვნული თვითობის რეალიზაცია.

კ. იუნგი: თვითობა (Selbst) გულისხმობს არა მარტო ცნობიერ, არამედ არაცნობიერ ფსიქიკურ არსებობასაც. თვითობა არის მთელი პიროვნების ცენტრი, ისევე, როგორც ეგო (მე) არის გონის, ცნობიერის ცენტრი. თვითობა. . . არის იმ საბედისწერო კომბინაციის სრულყოფილი გამოსატყულება, რასაც ინდივიდუალობას ვუწოდებთ.

მე-კონცეფცია

¹ სიტყვა “თვითობა” ქართულ ფსიქოლოგიურ ლექსიკონში შედარებით გვიან შემოვიდა. ზოგიერთი ავტორი მას “მე-ს” მნიშვნელობის პარალელურად იყენებს. ზოგიერთის აზრით, თვითობის ცნება უფრო ფართოა, “მე“-ს შინაარსი კი უფრო ვიწროა და მის აქტიურ, ცნობიერ და ნებით ასპექტებს გამოკვეთს. თვითობაში კი როგორც ცნობიერი ისე არაცნობიერი მდგომარეობა მოიაზრება. საინტერესოა, რომ ეს ორი ცნება თავიდანვე არსებობდა ანგლოსაქსურ და კონტინენტურ ფსიქოლოგიაში –Ich და Selbst; I და Self. რუსულ ფსიქოლოგიაშიც ახალი ტერმინი „Я“-ს გვერდით შემოიტანეს ამ ორი მნიშვნელობის დასაზუსტებლად და გამოსადიფერენცირებლად. მე-ს გამოყენებისას ძნელი გასარჩევია ვიწრო თუ ფართო მნიშვნელობა იგულისმება მასში.

მე კონცეფცია არის ხანგრძლივ მესხიერებაში შენახული ცოდნა საკუთარი თავის შესახებ. იგი მოიცავს ცოდნას საკუთარი გარეგნობის, საკუთარი ქცევის მიზნების, მოტივების, ფორმების და მათი განხორციელების შედეგების (წარმატება- წარუმატებლობის) შესახებ. იგი მოიცავს აგრეთვე ცოდნას სოციალური ურთიერთობების (მეგობრების, ოჯახის, კოლეგების და ა.შ.), გარკვეული კატეგორიისადმი მიკუთვნებულობის, შინაგანი პროცესების, გრძნობების და განწყობების შესახებ. ზოგიერთი ავტორი მე- კონცეფციის აღწერით ნაწილს უწოდებს **მე-ს ხატს**, ხოლო ნაწილს, რომელიც საკუთარ თავთან, ან საკუთარ თვისებებთან დამოკიდებულებას გამოხატავს – თვითშეფასებას. მე კონცეფცია განსაზღვრავს არა მარტო იმას, თუ რას წარმოადგენს ინდივიდი, არამედ იმასაც, თუ რას ფიქრობს ის საკუთარ თავზე.

მე-კონცეფციაში მოცემულია **დეკლარაციული ცოდნა** საკუთარი პიროვნების როგორც ინდივიდუალური თუ მხოლოდ მისი ინდივიდუალობის განმსაზღვრელი ნიშნების (საკუთარი სახელი, დაბადების წელი და ადგილი, პიროვნული ნიშნები ფსიქიკური პროცესები და განცდები), ასევე უნივერსალური ნიშნების შესახებაც, რომელიც მსგავსია ერთი და იგივე კულტურის ყველა წარმომადგენლისთვის (მაგალითად, ადამიანობა, მოქალაქეობა და სხვ). მაგრამ თვითკონცეფციაში **პროცედურული ცოდნაც** არის მოცემული ქცევის განხორციელების წესების შესახებ **თუ-მაშინ** პრინციპის საფუძველზე. ე.ი. ჩვენ არა მხოლოდ დეკლარაციული ცოდნა გვაქვს მომავალი შესაძლო ქცევის შესახებ, არამედ ვიცით კიდევ როგორ მოვიქცეთ. მაგალითად, მე-კონცეფციაში **ინტროვერტს** შეიძლება ასეთი მოქმედების წესი ჰქონდეს დაფიქსირებული, რომელიც მის ქცევას განსაზღვრავს:

თუ ხალხმრავალ საზოგადოებაში ვარ დაპატიუებული, მაგრამ ჩემი მიზანი მარტო ყოფნაა

მაშინ სარწმუნო საბაბს მოვიფიქრებ უარის სათქმელად.

მე კონცეფცია ერთგვარი სქემის როლს ასრულებს და გავლენას ახდენს თვითობასთან, საკუთარ პიროვნებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადამუშავებაზე. როგორც ყოველი სქემა მე კონცეფცია შედარებით სტაბილურია, მაგრამ არა უცვლელი.

თვითშეფასება.

თვითშეფასება საკუთარი პიროვნების, საკუთარი მე-კონცეფციის სუბიექტური შეფასებაა. იგი არის პიროვნების მიერ თავისი თავის, საკუთარი

შესაძლებლობების, თვისებების და სხვა ადამიანთა შორის ადგილის შეფასება.

ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ ჩვენი თავის გასაგებად ორგვარი მოტივივაცია გვაქვს – გვინდა გავიგოთ, შევიცნოთ ჩვენი თავი და არც გვინდა. ჩვენ გვინდა ჩვენი ნამდვილი სახის დანახვა, და ამავე დროს, ხშირად გვეშინია, რა დაგვხვდება, რას დავინახავთ. ისინიც კი ვინც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, აკეთებენ ამას, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ ძალიან ღრმა ფენებს მიაღწევდნენ, რადგან სიტყვები არ ყოფნით მის აღსაწერად.

ერთ-ერთი მიზეზი, რაც იწვევს ამ მერყეობას, არის განსხვავება იმაში, როგორ აღვიქვამთ ჩვენს თავს და როგორ აღვიქვამთ სხვას. ჩვენს სოციალურ გარემოში ჩვენ სხვას აღვიქვამთ, იმის მიხედვით, თუ როგორ გვეძლევიან ისინი ჩვენ. ხშირად ჩვენ „ვმკითხაობთ“, იმის შესახებ, თუ რა დევს ამ სოციალური პორტრეტის მიღმა. უმრავლესობა ადამიანებისა ცდილობს უკეთესად მოაჩვენოს სხვას თავი.

ჩვენი საკუთარი თავის შეცნობისას კი ცოდნა ნაკლებად არის გაფილტრული, ეს არის ნედლი მასალა ჩვენს შესახებ. ამრიგად, ჩვენ გამუდმებით ვხედავთ სხვების გაფილტრულ სახეს და ვადარებთ ჩვენ ნედლ, გაუფილტრავ, შეუნიღბავ სურვილებს და ცუდ აზრებს. თუ რელიგიურ მეტაფორას გამოვიყენებთ, ჩვენ ბევრი ჩვენი ცოდვის შესახებ ვიცით, მაგრამ სხვას ამას არ ვუმხელთ, მხოლოდ ძალიან ახლობელს შეიძლება გავუმხილოთ. ამრიგად, ჩვეულებრივ, გვიკვირს, რატომ არის ჩვენი ცხოვრება ერთგვარად გამრუდებული, განსხვავებული იმისგან, როგორიც უნდა იყოს. ეს აზრი მოდის არასწორი აღქმიდან, იგია, რომელიც იწვევს შიშს ჩაიხედოთ ჩვენს საკუთარ თავში.

ცნობილი ეგზისტენციალისტი როლო მეი ამბობს, რომ ჩვენ ერთდროულად კარგებიც ვართ და ცუდებიც. თუ მოვინდომებთ და ჩავუღრმავდებით ჩვენ თავს, ჩვენს აზრებს, გრძნობებს, სურვილებს, ქცევას და იმპულსებს კარგად დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ ჩვენში არა მხოლოდ აშკარა მომხვეჭელობას, ქვენა ზრახვებს, მეწვრილმანეობას, რომელიც ადრე დაფარული იყო, არამედ, ჩვენთვის მოულოდნელად, შემოქმედებით უნარს, სიაძლიერეს, სიყვარულის და თანაგრძნობის უნარს.

თუ ჩვენ გამოვიმუშავებთ ტოლერანტობის უნარს, თუ უფრო ტოლერანტული ვიქნებით, დადებითად განვეწყობით საკუთარი თავის მიმართ, მაშინ შევძლებთ

გავაკონტროლოთ საკუთარ თავში ჩახედვის შიში და გავნთავისუფლდეთ მისი აღქმით გამოწვეული ამ შინაგანი შფოთვისგან.

მე კონცეფცია სამი კომპონენტისგან შედგება – კოგნიტური, აფექტური და ნებითი კომპონენტებისგან. ფაქტობრივად, ეს თვითობის დისპოზიციებია, რომელზე დაყრდნობითაც წარმოებს თვითშეფასება.

განასხვავებენ *ხანმოკლე* (მომენტალურ) და *ხანგრძლივ* თვითშეფასებას. (მათი მიმართება მთელისა და ნაწილის ანალოგიურია). ეს განსხვავება მსგავსია *მდგომარეობის* და *ნიშნის* თვითშეფასებას შორის განსხვავებისა. მეორე მეტი სტაბილურობით ხასიათდება, პირველი კი სიტუაციის გარკვეული ასპექტების საფუძველზე სწრაფად იცვლება.

გარდა ამისა, ფრენკი და მაროლა გამოპყოფენ *შინაგან* და *გარეგან* თვითშეფასებას. შინაგანი თვითშეფასება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს აკონტროლოს საკუთარი გარემო, განახორციელოს საკუთარი სურვილები და იცხოვროს საკუთარი მრწამსის მიხედვით. გარეგანი თვითშეფასება კი განისაზღვრება იმით, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს ადამიანს სხვების შეფასების მიმართ, რამდენად იმსახურებს იგი სხვათა მოწონებას და ყურადღებას.

თვითშეფასებისთვის ინფორმაცია შემდეგი კოგნიტური დისპოზიციების მეშვეობით ხდება მისაწვდომი: თვითაღქმა, თვითმოგონება, თვითყურადღება, სოციალური ასახვა, სოციალური შედარება. დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

თვითაღქმა საკუთარი სხეულის, ფიზიოლოგიური პროცესების და ქცევის შესახებ ინფორმაციის წყაროა, რომლის სიზუსტეზეცაა დამოკიდებული თვითშეფასება და თვითკონცეფციაც. თვითაღქმა არ არის პასიური პროცესი. მასზე, როგორც ჩვეულებრივ აღქმაზე წინასწარი ჰიპოთეზები და მოლოდინები მოქმედებს. ჰიპოთეზა თვითშეფასების შემთხვევაში თვითკონცეფციიდან, მისი მასკემატიზირებელი ეფექტიდან მომდინარეობს. ანუ აღქმა მიმდინარეობს გარედან შემოსულ ინფორმაციასა და მოლოდინს შორის შედარების ფონზე: ჩვენ მიდრეკილნი ვართ იმისკენ, რომ მუდმივად განვამტკიცოთ ჩვენი საკუთარი ხატი, რადგან ჩვენ საკუთარ თავს აღვიქვამთ უკვე არსებული თვითხატის (მე კონცეფციის) მიხედვით. ეს თვითობის კონსისტენტობას ემსახურება. თუმცა, რა თქმა უნდა, ილუზიებიც არ არის გამორიცხებული, რადგან გვაქვს ტენდენცია, რომ საკუთარი თავი ისე დავინახოთ, როგორც გვგონია, რომ ვართ. ამ

ტენდენციას სოციალურ ფსიქოლოგიაში ეწოდება საკუთარი კონსისტენტობის დამახინჯება (self-consistency bias).

თვითმოგონება (თვითგახსენება) მე კონცეფციისთვის რელევანტური ინფორმაციის წყაროა. იგი გულისხმობს წარსულში საკუთარი პიროვნების ქცევებისა და განცდების გახსენებას. წარსული განცდებისა და ქცევების მოგონება შეესაბამება აქტუალურ თვითხატს. ეს ამაღლებს იდენტურობის გრძნობას, ესაა მე-ს უწყვეტობის განცდა, მეს იგივეობა წარსულსა და აწმყოში. ისევე როგორც თვითაღქმა, თვითმოგონებაც მოლოდინებისა და სქემების გავლენას განიცდის. ამიტომ წარსული გამოცდილება (შთაბეჭდილებები) შეიძლება აწმყოს მოთხოვნების გავლენით აწმყოში თვითობისთვის უფრო ხელსაყრელი სახით წარმოდგეს. ეს საკითხი მესხიერების ფსიქოლოგიაში ავტობიოგრაფიული მესხიერების სფეროს უკავშირდება. (იხ. აგრეთვე უზნაძე, ზოგ. ფსიქოლოგია).

თვითყურადღება – ყურადღების მიმართვა საკუთარი თავისაკენ, საკუთარი პიროვნებისაკენ (მე ხდება ყურადღების ობიექტი). ეს თვითშეფასების პირობაა.

სოციალური ასახვა სოციალური ურთიერთქმედებების საფუძველზე მე-ს შესახებ ინფორმაციის მოპოვებაა. ეს არის სხვათა აზრი კონკრეტული პიროვნების შესახებ. ადამიანს აქვს ტენდენცია საკუთარი თავი დაინახოს “სხვის თვალებში”, ანუ ისე, როგორც მიაჩნია, რომ ხედავენ და აფასებენ მას სხვები. სოციალურ ასახვაზეც ვრცელდება მე-კონცეფციის მასქემატიზირებელი ეფექტი, ინფორმაციის დამახინჯების ტენდენცია თვითობის კონსისტენტობის გაზრდისთვის. (სხვადასხვა “სარკეებში” ადამიანი ხედავს ერთსა და იგივე ხატს, ანუ გულისხმობს, რომ სხვებიც ისევე ხედავენ, როგორც თვითონ აღიქვამს საკუთარ თავს).

სოციალური შედარება – ინდივიდი საკუთარ თავს აფასებს მხოლოდ გარკვეულ რეპრეზენტულ ჯგუფთან მიმართებაში და არა ობიექტური კრიტერიუმებით.

თვითაღქმა, თვითყურადღება, თვითმოგონება, სოციალური აღქმა და სოციალური შედარება ინფორმაციის გადამუშავების პროცესებია, მიმართული მე-ზე, როგორც ობიექტზე, რომელთა საფუძველზეც გროვდება მასალა თვითშეფასებისთვის. ისინი თვითობის კოგნიტური დისპოზიციებია .

თვითშეფასება პიროვნების რამდენიმე დონეს მოიცავს. ონტოგენეტურად ყველაზე დაბალი ფორმა

I. საკუთარი სხეულის შეფასება, ანუ სხეულებრივი თვითგრძნობაა. ეს თვითგრძნობა შეიძლება იყოს სხეულის დიფუზური მდგომარეობის, ან მისი (სხეულის) რომელიმე კონკრეტული უბნის ამსახველი. თვითგრძნობა მრავალფეროვანი გამოხატულებების ფორმით ვლინდება. ეს შეიძლება იყოს სასიამოვნო (მაგალითად სითბოს) ან უსიამოვნო(სიცივე, სისველე), ყინვა ან აუტანელი სიცხე, შიმშილი-წყურვილი, დაღლილობა, მოდუნებულობა, გამოწვეული ძილის მოთხოვნილებით და სვექსტი, როგორც სხეულებრივი(ფიზიკური) ძალის მოწოლა და ფიზიკური სისუტის განცდა, როგორც სხეულებრივი დაძაბვა და სხეულებრივი თავისუფლება-მოშვებულობა, მოუსვენრობა და სიმშვიდე-მოსვენებულობა. ტკივილმაც, რომელიც დაავადებით არის გამოწვეული შეიძლება იმოქმედოს სხეულის თვითგრძნობაზე. ეს განვითარების თვალსაზრისით თვითგრძნობის ადრეული ფორმები იმით ხასიათდებიან, რომ მათში ჩვენი სხეულებრივი-ფიზიკური მდგომარეობა ცნობიერებაში ამოდის, როგორც ჩვენი შინაგანი მდგომარეობა. ეს არის ჩვენი სულიერი-სხეულებრივი ერთიანობის ფორმები, ფსიქოსომატური განწყობილებები.

ანთროპოლოგიური თვალსაზრისით თუ შევხედავთ, მათში განცდა კარგად ავლენს სიცოცხლის პირველადობას, იმას, რაც ადამიანს საერთო აქვს ცხოველთან. აქ სხეულებრივი (ფიზიკური) და სულიერი ცხოვრება ჯერ არ არის ერთმანეთისგან ონტიურად ურთიერთგამოყოფილი და ერთმანეთზეა გადაბმული. მას ეფუძნება მისგან არსებითად განსხვავებული მაღალი სულიერი და გონითი ცხოვრება. სწორედ ამ სხეულებრივი თვითგრძნობით ვგებულობთ ჩვენ ონტიურ კავშირს სულისას სხეულთან და ჩვენი არსებობის კავშირს ორგანულ ბუნებასთან. სხეულებრივ თვითგრძნობაში განცდისეულად აისახება ნივთიერებათა ცვლის, საჭმლის მომწელებელი სისტემის, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და შინაგანი სეკრეციის და სხვა პროცესები, რომლებიც ასე მიზანშეწონილად არის ჩადებული ორგანიზმში, რომელიც თავის თავზე ზრუნავს და თავის ცხოვრებას გარემოსთან კომუნიკაციაში აგებს.

ამ დონეზეც სხვადასხვა საფეხურები არსებობს, მაგრამ თუ გამოვიყენებთ მედიცინაში გავრცელებულ ცნებას ვიტალური პიროვნების შესახებ, რომელსაც ზემოთჩამოთვლილი პროცესების გარდა ავტონომიური ნერვული სისტემის პროცესებიც მიეკუთვნება, შეიძლება ვთქვათ, რომ ვიტალური პიროვნება გარკვეულწილად მაინც, სხეულის ამ სტაციონარულ მდგომარეობებში, მის განცდებში ასახავს თავის თვითობას.

ამ სხეულებრივ თვითგრძნობას, ფსიქოსომატურ განწყობილებებს ქარაქტეროლოგიური მნიშვნელობაც აქვს. მართლაც არც ისე უმნიშვნელოა ის გარემოება, თუ რომელი ფსიქოსომატური მდგომარეობაა ისახება ამ ვიტალურ პიროვნებაში: – არის ის მუდმივად დადებითი თუ ხალისიანი, სხეულის ფიზიკური მდგომარეობის თვალსაზრისით კარგად თუ ცუდად(უსიამოვნოდ) გრძნობს თავს (მაგალითად ქრონიკული შეკრულობის თუ კუჭის ფუნქციის დაქვეითების, საკვების გადაუმუშავებლობის გამო) და საერთოდ, რამდენად არის მისი ცხოვრება ამ სხეულებრივ თვითგრძნობაზე დამოკიდებული. არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებისეული განცდები სწორედაც რომ ამ სხეულებრივ განცდებზე დაიყვანება. ეს ეხება როგორც იმათ, ვინც ცხოვრების არსს ფიზიკურ სიამოვნებაში ხედავს, ასევე იმათ, ვინც ავადმყოფობა აიძულებს ამ თვითგრძნობას მიაქციოს ყურადღება. ორივე შემთხვევაში თვით პიროვნების ხასიათი და მისი ქცევა შესაბამისი იქნება. გოეთე წერს ჰერდერის შესახებ, რომ ჰერდერის მწარე იუმორი, წინააღმდეგობრიობა მის ავადმყოფობას უკავშირდება. ხშირად ჩვენ ანგარიშს არ ვუწევთ და არ ვითვალისწინებთ ავადმყოფობის მდგომარეობით გამოწვეულ მორალურ ზემოქმედებას ადამიანის ხასიათზე და არასწორად ვმსჯელობთ მის შესახებ, რადგან ყველას ჯანმრთელად ვთვლით და მოვითხოვთ მათგან შესაბამის განცდებსა და ქცევას.

პიროვნების თვითშეფასების შემდეგი დონე სულიერი ცხოვრების დონეს შეესაბამება. ეს არის ე.წ.

II. განწყობილებები, რომლებსაც თვითგრძნობისაგან უკვე განსხვავებული ელფერი აქვთ. ისინი სხეულზე ნაკლებად დამოკიდებულნი არიან. სხეულებრივ თვითგრძნობაში სული და სხეული ონტიურად გაუთიშავია ერთმანეთისგან. განწყობილებებში კი უკვე ორგანულობა, სხეულის განცდა უკან იხევს და ადგილს უთმობს განცდებს, სადაც სულიერია წამყვანი, ამდენად, განწყობილებები სხეულებრივი თვითგრძნობის შემდეგი საფეხურია. **ეს განწყობილებებია: შინაგანი სინათლე და მხიარულება, ერთის მხრივ, და მოწყენილობა, გულდამძიმებულობა და უუმურობა, მეორეს მხრივ.**

პიროვნების თვითშეფასების შემდეგი (პროდუქტი) მესამე დონეზე არის საკუთარი სიძლიერის – **III. საკუთარ თავში, საკუთარ სიძლიერეში დარწმუნებულობის თვითგრძნობა.**

ამ მხრივ განასხვავებენ (ფილიპ ლერშის მიხედვით) თავის თავში, თავის სიძლიერეში ძლიერ დარწმუნებულებს (**სთენიკურ ადამიანებს**) და თავის ძალებში დაურწმუნებელ (**ასთენიკურ**) ადამიანებს. ეს უკანასკნელი მომავალს შიშით უყურებს, თავის თავის იმედი არ აქვს. მას ეშინია მომავლის. ეს არის გადაუწყვეტელი, შეკავებული პიროვნება, რომლის ამ თვისებებმა უკიდურეს ზღვარს შეუძლიათ მიაღწიონ. მას არ შეუძლია საკუთარი მიზნის დასახვა, რადგან თავის ცნობიერების ძალასა და შესაძლებლობებში არ არის დარწმუნებული, რომ მიზნის შესატყვის მოთხოვნებს შეასრულებს. ის მზად არის სხვა ინსტანციებიდან წამოსული მოთხოვნები შეასრულოს. საკუთარი ინიციატივის გამოჩენას ურჩევნია დაემორჩილოს და ბრმად ენდობა კიდევ ავტორიტეტებს და მათ ბრძანებებს.

საწინააღმდეგო თვისებებს ავლენს სთენიკური თვითგრძნობის, თავის თავში და ძალებში დარწმუნებული პიროვნება. იგი ინიციატივიანია, გაწონასწორებული, იცის რა უნდა, და ისახავს კიდევ მიზნებს და ასრულებს კიდევ მათ. იგი არის თავისი თავის და თავისი საქმის ბატონ-პატრონი, და კი არ გაურბის წინააღმდეგობებს, არამედ წინააღმდეგობების დაძლევაში უკეთ გრძნობს თავს.

შეიძლება ითქვას, რომ თვითშეფასების ამ ფორმაში (დონეზე) მე-კონცეფციის თვითკონტროლის² ასპექტია წინ წამოწეული.

ზოგიერთი ავტორი საკუთარ ძალებში რწმენას თუ დაურწმუნებლობას მიაწერს ვიტალურ ძალებს, ტურგორს, რომელიც პირველებს მეორეებზე მეტი აქვთ ბუნებით მომადლებული .

თვითშეფასების ცალკე ფორმად გამოიყოფა **თვითღირებულების გრძნობა (თვითპატივისცემა)**. თვითშეფასებაში, როგორც ვნახეთ, აფექტური მომენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. თვითშეფასების შედეგი თვითღირებულების განცდაში (self-esteem) და თვითკმაყოფილებაში VS თავისი თავით უკმაყოფილებაში ვლინდება. თვითღირებულების განცდას ზოგჯერ თვითპატივისცემასაც უწოდებენ.

² თვითკონტროლის ერთ-ერთი პირველი განმარტების მიხედვით (ჯ. სელი, 1902, ინგლისი) თვითკონტროლის ქვეშ იგულისხმება პირველადი, უფრო დაბალი ლტოლვების დათრგუნვა და შეკავება, მათი დაქვემდებარება უფრო მაღალი და ღირსეული მიზნებისადმი. თანამედროვე განმარტებით: თვითკონტროლი არის თვითობის ფუნქცია, რომელიც **სხვადასხვა დონეზე ვლინდება** და ყველა ფსიქიკურ პროცესსა და მდგომარეობაში მონაწილეობს. მისი საშუალებით ხდება საზოგადოებაში მიღებული ნორმების ინტერიორიზაცია, კერძოდ, იმპულსების, აგრესიის შეკავება, დაუყოვნებლივი დაკმაყოფილების გადადება. თვითკონტროლი გადამოწმების, ეტალონთან შედარების ფუნქციას ასრულებს. ხოლო ემოციაში თვითკონტროლი მის შეჩერებასა და დათრგუნვაში ვლინდება.

თვითპატივისცემის აფექტურობა განსაკუთრებით გამოკვეთეს ნეოფროიდებმა ადლერმა, ჰორნიმ, სელიგანმა, აგრეთვე ეპსტეინმა(1973). თვითპატივისცემის კუპერსმიტისეული (1963) განმარტება:

თვითპატივისცემით აღინიშნება საკუთარი თავის შეფასება, რომელიც გამოხატავს მოწონება-არმოწონების ატუტუდს და მიუთითებს იმ ხარისხზე, რომელიც გამოხატავს ადამიანის რწმენას, რომ არის უნარიანი, მნიშვნელოვანი, წარმატებული და ღირსეული.

კულმა გამოჰყო თვითპატივისცემასთან დაკავშირებული გრძნობები:

დადებითი- სიამაყე, დარწმუნებულობა, იმედი. . . .

უარყოფითი- სირცხვილი, დანაშაული. . . .

თვითღირებულების გრძნობას ზოგიერთი ავტორი განიხილავს, როგორც ერთგანზომილებიან კონსტრუქტს. ზოგიერთი ავტორი აზენდორფი და ვან აკენი) კი გამოჰყოფს თვითშეფასების განსხვავებულ ობიექტებს – **ფიზიკურს, ინტელექტუალურს, ემოციურს, სოციალურს** და თითოეული ამ სფეროს მიხედვით თვითშეფასებას. ამავე დროს, ზოგადი თვითშეფასება არ არის არც ამ

ობიექტების საფუძველზე თვითშეფასებათა ჯამი და არც მათი ინტეგრირად დადგენილი საშუალო. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა პიროვნებისთვის ზემოთ ჩამოთვლილი ცალკეული სფეროების სპეციფიკურ თვითშეფასებას შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს.

გრობის მიხედვით ზოგადი თვითშეფასებით მიღებული თვითკმაყოფილების დონე ცხოვრებით კმაყოფილების ინდიკატორადაც გამოდგება.

თვითპატივისცემაზე მოქმედი ფაქტორები.

პრეტენზიის დონე. წარმატება -წარუმატებლობა

პრეტენზიის დონე არის პიროვნების თვითშეფასების სასურველი დონე. იგი პიროვნების მიერ დასახული მიზნების სირთულეზეა დამოკიდებული. ჩვენი კმაყოფილება საკუთარი თავით და ცხოვრებით განისაზღვრება იმით, თუ როგორ ვაფასებთ ჩვენს შესაძლებლობებს და დანიშნულებას და იზომება ჩვენი რეალური უნარის დამოკიდებულებით პოტენციურ უნართან. ჯემსი ამ დამოკიდებულებას მარტივი წილადის ფორმით გამოხატავს:

$$\text{თვითპატივისცემა} = \frac{\text{წარმატება}}{\text{პრეტენზიები}}$$

როგორც ვხედავთ, მრიცხველი გამოხატავს რეალურ წარმატებას, ხოლო მნიშვნელი – პრეტენზიას. მრიცხველის გადიდებით ან შემცირებით წილადი იზრდება. ეს ნიშნავს, რომ პრეტენზიებზე უარის თქმა გვაძლევს ისეთივე სასურველ შემსუბუქებას, როგორც მათი განხორციელება რეალობაში.

პრეტენზიის დონის ექსპერიმენტული მეთოდის ითვალისწინებს ადამიანის რეაგირებას წარმატება-წარუმატებლობაზე. როდესაც ადამიანი წარმატების შემთხვევაში აიმაღლებს პრეტენზიას, ხოლო მარცხის შემთხვევაში დაიქვეითებს მათ, შეიძლება ვილაპარაკოთ პრეტენზიის ადექვატურ დონეზე. მაგრამ ექსპერიმენტები ხშირად საპირისპიროს გვიჩვენებენ: დამარცხებული ადამიანი ისახავს კიდევ უფრო რთულ მიზნებს, ხოლო წარმატებული – პირიქით, იქვეითებს თავის პრეტენზიებს, ცდილობს შეინარჩუნოს მოპოვებული წარმატება.

თვითშეფასებასა და წარმატება – წარუმატებლობის ცნებებს უკავშირდება, ასევე, ჯულიან როტერის მიერ გამოყოფილი მოლოდინების ორი ჯგუფი, ე.წ. გენერალიზებული მოლოდინები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია პიროვნებათა შორის განსხვავებებზე მსჯელობა. როტერის მიერ აღმოჩენილი ე.წ. **ლოკუსის კონტროლი** გამოსატავს იმას, თუ სად ათავსებს პიროვნება თავისი წარმატება-წარუმატებლობის მიზეზს – გარეთ თუ შიგნით. ადამიანები ექსტერნალური ლოკუსით ქცევის შედეგებს მათგან დამოუკიდებელ ძალებსა და ვითარებას მიაწერენ. ინტერნალური ლოკუსის მქონენი კი მოქმედების განმსაზღვრელად საკუთარ თავს მიიჩნევენ და მის შედეგებზე პასუხისმგებლობასაც საკუთარ თავზე იღებენ. გამოკვლევებით დადგინდა, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული ინტერნალები უფრო ადაპტირებული და აქტიურები არიან, ვიდრე გარეშე ხალებსა და ბედს მინდობილი ექსტერნალები. ლოკუსის კონტროლი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად ყალიბდება.

ზიგმუნდ ფროიდის კლასიკური ფსიქოანალიზი³

შესავალი

ფროიდმა წარმოადგინა პიროვნების თეორია, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ დასავლეთის კულტურაზე. მისმა შეხედულებებმა ადამიანის ბუნების შესახებ უდიდესი დარტყმა მიაყენა მისი დროისთვის მიღებულ და შეუცვლელად ჩათვლილ ცნებებს. ამ შეხედულებებმა თავისი პრაქტიკული გამოხატულება ჯანმრთელის და დაავადებულის მოქმედების ქცევის გაგებისთვის შექმნილ ურთულეს მეთოდში ჰპოვა. ფროიდის იდეები და მისი გამოჩენა აფეთქებას ჰგავდა, რომელმაც გააცამტვერა გვიანი ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი შეხედულებები ადამიანის შესახებ. მისმა გამოკვლევებმა ადამიანის ბუნების ბნელი მხარეების შესახებ შესაძლებლობა მისცა ადამიანებს გაეცნობიერებიათ შიშის ბევრი ექსტრემალური მდგომარეობა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა და ის ტრავმატული შედეგები, რაც ამ ომს მოჰყვა ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც ამ ომში იყო ჩაბმული. ვოლჰაიმის სიტყვებით, ძნელია კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში და თვით რელიგიის ისტორიაში იპოვო ადამიანი, რომლის გავლენა იქნებოდა ასეთი უშუალო, ფართო და მნიშვნელოვანი

ფროიდი ფსიქიკის იმ სფეროების შესწავლას შეუდგა, რომელიც იმ ეპოქაში დახურულად ითვლებოდა ფილოსოფიისთვისაც და ზნეობისთვისაც. მისმა შრომებმა ეჭვის ქვეშ დააყენა მთელი რიგი კულტურული, რელიგიური, სოციალური და მეცნიერული აკრძალვები.

ფროიდის მოძღვრება მე-19 საუკუნის ფსიქოლოგიაში გადატრიალება მოახდინა. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდის ჯერ ემპირიული და შემდეგ ექსპერიმენტული ფსიქოლოგია ბუნებისმეტყველური მეთოდით მუშაობდა. საბუ

ნებისმეტყველო მეცნიერებების ბრწყინვალე წარმატებებმა განაპირობა ფსიქოლოგიაში ამ მეთოდის გაბატონება. ამის მიხედვით ეს ფსიქოლოგია სულიერ სინამდვილეს, ბუნებისმეტყველების ანალოგიით, ელემენტებად, შეგრძნებებად და მათ ასლებად – წარმოდგენებად ჰყოფდა. Xოლო რთულ ფსიქიკურ მოვლენებს

ასოციაციური კავშირებით ამ ელემენტებიდან ქმნიდა. ამგვარი მიდგომა შეუძლებელს ხდიდა პიროვნების, როგორც ისეთი მთლიანობის შესწავლას, რომელიც ელემენტებად არ იყოფა. სწორედ ამიტომ ფსიქოლოგიის

ისტორიაში ეს პერიოდი იყო ფსიქოფიზიკური პრობლემების წარმატებით

³ ტერმინი “ფსიქოანალიზი” სამი სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია: 1. პიროვნების თეორია; 2. პიროვნული აშლილობების თერაპიის მეთოდი; 3. ინდივიდის არაცნობიერი აზრებისა და გრძნობების შესწავლის მეთოდი.

კვლევის ხანა, რადგან მათი შესწავლა გარკვეულ დონემდე პიროვნების ცნების შემოტანას არ მოითხოვდა. მაგრამ იმის მთავარ მიზეზად, რომ ეს ფსიქოლოგია “უსუბიექტო ფსიქოლოგია“ იყო, ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ მეცნიერების ამ საფეხურზე ფსიქიკა და ცნობიერება გაიგივებული იყო. არაცნობიერი ფსიქიკური შეუძლებელ, წინააღდეგობის შემცველ ცნებად იყო მიჩნეული. ფროიდი თავის წერილში “მე და იგი” ამბობს, რომ “ფილოსოფიურად განათლებულ ადამიანთა უმრავლესობისთვის ისეთი ფსიქიკურის იდეა, რომელიც, ამავე დროს, არ არის ცნობიერი, იმდენად გაუგებარია, რომ გამოცხადებულია აბსურდულად და შეუსაბამოდ უბრალო ლოგიკის თვალსაზრისით”.

ფროიდის განუხრელი სურვილი გაეფართოებინა თავისი შრომების საზღვრები აიძულებდა მას მუდმივად გარშემორტყმული ყოფილიყო მეგობრების, კრიტიკოსების და მიმდევრების ცვალებად გარემოში. (ცვალებადში იმიტომაც, რომ შემდგომში მისი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსები სწორედ მისი უახლოესი მიმდევრები იყვნენ). ფროიდი მუდმივად ახდენდა თავისი ადრინდელი შრომების რევიზიას და შესწორებები შეჰქონდა მასში.

ფროიდის მოძღვრების მნიშვნელობას თვითონ ფროიდიც მშვენივრად აცნობიერებდა და წერდა, რომ კაცობრიობის თავმოყვარეობისა და თვითპატივისცემის მიმართ სამი დარტყმა იქნა მიყენებული: 1) კოპერნიკის აღმოჩენით, რომ დედამიწა არ არის სამყაროს ცენტრი, 2) დარვინის თეორიით ადამიანის წარმოშობის შესახებ და 3) იმის აღმოჩენით, თუ რამდენად დიდ გავლენას ახდენენ ჩვენზე არაცნობიერი (უცნობი, გაუცნობიერებელი და ზოგჯერ არაკონტოლირებული) ძალები.

ზიგმუნდ ფროიდი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ფროიდი დაიბადა 1856 წლის 6 მაისს ავსტრიაში, მორავიის ქალაქ ფრაიბურგში. (ახლა იგი ჩეხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის). მამამისს, პირველ ცოლთან ორი ვაჟი ჰყავდა, ხოლო მეორე ცოლთან შვიდი შვილი გაუჩნდა, რომელთა შორის ზიგმუნდი უფროსი იყო. ოთხი წლის იყო ფროიდი, როდესაც ფინანსური პრობლემების გამო ოჯახი ვენაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც ფროიდმა თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი გაატარა.

უკვე ბავშვობაში ფროიდი თავისი ნიჭით გამოირჩეოდა. როგორც თვითონაც იხსენებს, ის დედის ნებიერა იყო, დადამისს გამორჩეულად უყვარდა და, როგორც უფროსი, დაძმებს შორის, ოჯახში გარკვეული პრივილეგიებითაც სარგებლობდა: მხოლოდ მას ჰქონდა ცალკე ოთახი და ნავთის ლამპა, რომლის შუქზეც მეცადინეობდა, სხვა დედმამიშვილები კი მხოლოდ სანთლებით კმაყოფილდებოდნენ. გიმნაზიაში ის პირველ მოსწავლედ ითვლებოდა, იქაც პრივილეგიებით სარგებლობდა და ყველა საგანს ადვილად და ბრწინვალედ აბარებდა. ბავშვობაში მას მხედართმთავრობა ან მინისტრობა უნდოდა, მაგრამ რამდენადაც იმ დროის ავსტრიაში ანტისემიტური განწყობილება ძლიერი იყო, მას, როგორც ებრაელს მხოლოდ იურისპრუდენცია ან მედიცინა შეეძლო აერჩია თავის პროფესიად. ამიტომაც 1873 წელს იგი ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შევიდა.

სტუდენტობის პერიოდში მასზე დიდი გავლენა მოახდინა უნივერსიტეტის პროფესორმა, იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილმა ფიზიოლოგმა **ერნსტ ბრიუკემ**.

ფროიდი ბრიუკეს ლაბორატორიაში მუშაობდა, აკეთებდა დამოუკიდებელ გამოკვლევებს ჰისტოლოგიაში და აქვეყნებდა სტატიებს ანატომიასა და ნევროლოგიაში. 26 წლისამ მან სამეცნიერო ხარისხი მიიღო მედიცინაში და ერთი წელი გააგრძელა მუშაობა ბრიუკეს ხელმძღვანელობით. მას ლაბორატორიაში თანამდებობის მიღება სურდა, მაგრამ ბრიუკეს იმ დროისთვის ამ თანამდებობისთვის ორი ასისტენტი ჰყავდა, რომლებმაც დაასწრეს ფროიდს. ფროიდი, როდესაც აანალიზებს თავისი ცხოვრების ამ პერიოდს, აკეთებს დასკვნას, რომ ბრიუკემ იცოდა რა ფროიდის მძიმე ფინანსური მდგომარეობა, ფაქტიურად ურჩია თეორიული მუშაობის ნაცვლად პრაქტიკისთვის მოეკიდებინა ხელი. გარდა ამისა, ფროიდი

შეყვარებული იყო და ხვდებოდა, რომ ოჯახის შექმნისთვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო აუცილებელი.

ფროიდმა უხალისოდ მოჰკიდა ხელი კერძო პრაქტიკას; პირველხარისხოვნად მისთვის მაინც სამეცნიერო კვლევების და დაკვირვების მიმართ ინტერესი რჩებოდა. თავიდან ის ქირურგად მუშაობდა, შემდეგ ზოგად მედიცინაში გადაინაცვლა და თერაპევტი გახდა ვენის მთავარ ჰოსპიტალში და ფსიქიატრიის იმ მიმართულებამ გაიტაცა, რომელიც ფსიქიკური სიმპტომებსა და სომატურ დაავადებებს შორის დამოკიდებულებას და ურთიერთკავშირს ეხებოდა. 1885 წელს მან მიიღო ვენის უნივერსიტეტის პროფესორის პრესტიჟული თანამდებობა.

1884-87 წლებში ფროიდმა ჩაატარა თავისი მეცნიერული გამოკვლევები კოკაინთან დაკავშირებით. თავიდან ის გაოცებული იყო კოკაინის თვისებებით:

“მე ჩემს თავზე გამოვცადე კოკაინის ზემოქმედება, რომელიც თრგუნავს შიმშილს, ძილს, დაღლილობას და ერთიანად აძლიერებს ინტელექტუალურ უნარებს”-წერდა ფროიდი. იგი მიუთითებდა კოკაინის შესაძლო თერაპიულ გამოყენებაზე როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური დარღვევების დროს. შემდგომში მან კოკაინის ნარკოტიკული თვისებების შესწავლა დაიწყო და შეწყვიტა გამოკვლევები ამ მიმართულებით.

1886 წელს ფროიდმა ბრიუკეს ხელშეწყობით მიიღო გრანტი და პარიზში გაემგზავრა ცნობილი ფრანგი ფსიქიატრის **ჟან მარტენ შარკოს** ხელმძღვანელობით სამუშაოდ. შარკოსთან ფროიდი დაეუფლა ჰიპნოზის მეთოდებს და ეხმარებოდა მას ლექციებზე, როგორც თარჯიმანი. შარკოს მოსწონდა ფროიდი, აფხვებდა, როგორც კარგ მეცნიერს და ნება დართო ვენაში დაბრუნების შემდეგ გადაეთარგმნა მისი (შარკოს) სტატიები გერმანულ ენაზე.

საფრანგეთში მუშაობამ ფროიდს გაუძლიერა ინტერესი ჰიპნოზის, როგორც თერაპიული საშუალების გამოყენების მიმართ. მან საინტერესო თანამშრომლობა დაიწყო ცნობილ ექიმთან **იოზეფ ბრეიერთან** და მასთან ერთად მუშაობდა ისტერიის დინამიკის საკითხებზე. ამ გამოკვლევათა დასკვნები ფროიდმა ასე ჩამოაყალიბა: “ ისტერიულ პაციენტთა სიმპტომები დამოკიდებულია მათ ცხოვრებაში მომხდარ უძლიერეს უარყოფით, მაგრამ დავიწყებულ განცდებთან (ტრავმა). თერაპია მდგომარეობდა იმაში, რომ ჰიპნოზის გავლენით პაციენტებს გაეხსენებიათ და ხელახლა განეცადათ ეს უსიამოვნო მოვლენა. (კატარსისი). რამდენიმე ხნის შემდეგ ფროიდი მიხვდა, რომ ჰიპნოზი არ იყო ისეთი ეფექტური საშუალება, რისი იმედიც ჰქონდა, რადგან ჰიპნოზი ხშირად ვერ უზრუნველყოფდა მოგონებას და საბოლოოდ უარი თქვა მის გამოყენებაზე. მის ნაცვლად იგი

თავისუფალი ასოციაციების მეთოდს იყენებდა – თხოვდა თავის პაციენტებს გამოეთქვათ თავისუფლად ყველა აზრი, რაც თავში მოუვიდოდათ განურჩევლად იმისა, თუ როგორ უკავშირდებოდნენ ეს აზრები მათი დაავადების სიმპტომებს.

1896 წელს ფროიდმა ამ მეთოდს ფსიქონალიზი უწოდა. ფროიდის ინტერესი და აზრები არაცნობიერის მიმართ, ფართოდ ილუსტრირებული მისი პაციენტების მიერ აღწერილი სიზმრებით 1900 წელს გამოქვეყნდა სათაურით “სიზმრების ასხნა”. თავისი იდეები ფროიდმა შემდგომ განავითარა ახალ ნაშრომში “ ყოველდღიური ცხოვრების ფსიქოპათოლოგია”, სადაც ნახვენებია, რომ ჩვენ ხშირად ჩვენდაუნებურად ვამუღავნებთ ჩვენს დაფარულ და უკვე არაცნობიერში გადასულ სურვილებს.

თანდათანობით ფროიდის იდეები გაიზიარეს და მის მიმდევრებად იქცნენ ისეთი ცნობილი ექიმები, როგორც იყვნენ **ალფრედ ადლერი, შანდორ ფერენცი, კარლ გუსტავ იუნგი, ოტო რანკი** და სხვები. ამ ჯგუფმა დააარსა საზოგადოება, იწერებოდა სტატიები, გამოდიოდა ჟურნალი და ფსიქონალიზური მოძრაობა სულ უფრო ფართოდ ვრცელდებოდა. მალე ფსიქონალიზური ჯგუფები ათამდე ქვეყანაში შეიქმნა.

1909 წელს ფროიდი ლექციების წასაკითხად მიიწვიეს ამერიკაში, მასაჩუსეტის შტატში ქ. ვუსტერის კლარკის უნივერსიტეტში. მისი შრომები გადაითარგმნა ინგლისურ ენაზე.

ფროიდმა დარჩენილი ცხოვრება მოანდომა ფსიქონალიზის განვითარებას, გავრცელებას და ასხნას.. იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა კონტროლი ფსიქონალიზურ მოძრაობაზე თავისი რიგებიდან იმ წევრების განდევნით, ვინც მის თვალსაზრისს არ ეთანხმებოდა და მოითხოვდა მისი პოზიციის მიმართ არაჩვეულებრივ ერთგულებას. იუნგი, ადლერი და რანკი მას შემდეგ, რაც თეორიულ საკითხებში უთანხმოება მოუვიდათ ფროიდთან, განუდგნენ მას და თავისი ორიგინალური მიმართულებები დაარსეს.

ფროიდის პირადი ცხოვრება არ იყო ადვილი .1919 წლისთვის მან მთელი ფულადი დანაზოგი დაკარგა პირველი მსოფლიო ომის გამო. 1920 წელს 26 წლის ასაკში გარდაეცვალა ქალიშვილი. ძალიან მძიმე განცდები ჰქონდა თავისი ორი ვაჟიშვილის გამო, რომლებიც I მსოფლიო ომში იღებდნენ მონაწილეობას. ამ ისტორიული კონტექსტის ფონზე განავითარა ფროიდმა თავისი თეორია “სიკვდილის ინსტინქტი” – სიკვდილის მოთხოვნილება, რომელიც სიცოცხლის (გადარცხნის) ინსტინქტს უპირისპირდება.

1933 წელს ფაშისტებმა, რომლებსაც აღიზიანებდათ ფროიდი და მისი შემოქმედება, მისი წიგნები ბერლინში დაწვეს. ამაზე ფროიდი წერდა „რამხელა პროგრესს მივალწიეთ: შუა საუკუნეებში ისინი მე დამწვავენ კოცონზე, დღეს კი მხოლოდ ჩემს წიგნებს წვავენ“.

ფროიდი უაღრესად პროდუქტული მკვლევარი იყო. მისი შრომები 24 ტომშია განთავსებული. ეს არის ნარკვევები, რომელიც ეხება კლინიკური პრაქტიკის ურთულეს ასპექტებს, ლექციების ციკლი, რომელშიც მთელი თეორიაა წარმოდგენილი, სპეციალიზირებული მონოგრაფიები რელიგიურ და კულტუროლოგიურ საკითხებზე. ზოგიერთ საკითხში ფროიდი კატეგორიული და უკომპრომისო იყო, ზოგიერთში კი ღია იყო კრიტიკის მიმართ და მზად იყო გადაეხედა თავისი პოზიციისთვის. მას ეშინოდა ფსიქონალიზური თეორიის დამახინჯების და არასწორი გაგების.

მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა ფროიდი აგრძელებდა კერძო პრაქტიკას, ადგენდა თავისი შრომების კატალოგს და პასუხობდა წერილებს, (მათ შორის უცნობებსაც), რომლებიც განუსაზღვრელი რაოდენობით მისდიოდა და რომლებშიც ადამიანები რჩევას და დახმარებას სთხოვდნენ.

ფროიდის სიცოცხლის ბოლო წლებში მისი ცხოვრება განსაკუთრებით გართულდა. 1923 წლიდან ის ავად იყო – ჰქონდა კიბო პირის და ყბის არეში. მას განუწყვეტელი ტკივილები ჰქონდა და 33 ოპერაცია გადაიტანა. 1938 წელს, როდესაც ავსტრიაში გერმანელები შეიჭრნენ, ფროიდი ლონდონში გადავიდა და იქ გარდაიცვალა.

ფროიდის პიროვნების თეორია

ფროიდის თეორიის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა ჰქონდა ფილოსოფოსებიდან

ნიცშეს და შოპენჰაუერს. ნიცშე თვლიდა, რომ ზნეობრივი ღირებულებები ინტერნალიზებული აგრესიის შედეგიაო, რასაც ფროიდიც ეთანხმებოდა. ფროიდის იდეები ნაწილობრივ შოპენჰაუერის იდეებსაც უახლოვდება, სახელდობრ, ნებისყოფაზე, ადამიანის ქცევაში სექსუალობის დიდ მნიშვნელობაზე, ემოციის გონების მიმართ უპირატესობაზე და განდევნაზე, ანუ იმის არმიღებაზე, რაც უსიამოვნოა პიროვნებისთვის.

ფროიდის თეორიას **ბიოლოგისტურ თეორიას** უწოდებენ მისი რწმენის გამო იმის შესახებ, რომ ცნობიერების ძირები ბიოლოგიაშია. ამ შემთხვევაში იგრძნობა მისი მასწავლებლის, ნევროლოგ ბრიუკეს გავლენა, რომელიც წერდა “არ არსებობს ორგანიზმში ფიზიკური და ქიმიური ძალების გარდა სხვა ძალები. იმ შემთხვევებისთვის, რომლებიც არ აიხსნება ამ ძალებით, ან უნდა ფიზიკურ-ქიმიური მეთოდის საშუალებით ვიპოვოთ მათი მოქმედების თავისებური ფორმა, ან უნდა დავუშვათ მატერიისთვის დამახასიათებელი ახალი ძალების არსებობა, რომელთა მოქმედებაც მიზიდვის და განზიდვის ძალებზე დაიყვანება.“

ფსიქიკის ტოპოგრაფიული მოდელი

ფროიდის მიხედვით ფსიქიკა, ფსიქიკური ორგანიზაცია სამი კომპონენტისგან შედგება. ფროიდი იყენებდა პიროვნების ორგანიზაციის **ტოპოგრაფიულ მოდელს**. ამ მოდელის თანახმად ფსიქიკურ ცხოვრებაში შეიძლება სამი დონე გამოვყოთ – ეს არის

ცნობიერი/

წინაცნობიერი


არაცნობიერი

ცნობიერი ფსიქიკის ის ნაწილია, რომელიც ფროიდადღე ყველაზე მეტად აინტერესებდა მკვლევარებს. ცნობიერი შედგება იმ შეგრძნებებისა და განცდებისაგან, რომელსაც ჩვენ ვაცნობიერებთ დროის მოცემულ მომენტში. ფროიდი ამტკიცებდა, რომ ფსიქიკური ცხოვრების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (აზრები, აღქმა, გრძნობა, მესხიერება) ცნობიერდება. თუმცა ფროიდს ცნობიერების მოქმედების მექანიზმებიც აინტერესებდა, მაგრამ მისი კვლევის ძირითადი ობიექტი

მაინც იყო ფსიქიკის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი სფეროები, რომელსაც მან წინაცნობიერი და არაცნობიერი უწოდა.

წინაცნობიერი ფსიქიკის ის ნაწილია, რომელიც ადვილად შეიძლება იქცეს ცნობიერად. ეს არის ის, რასაც ჩვეულებრივ მეხსიერებას ვუწოდებთ. სწორედ წინაცნობიერში ანუ მეხსიერებაში ინახება ის უამრავი შინაარსი და შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენს გამოცდილებაშია. ფაქტობრივად ისიც არაცნობიერ მდგომარეობაშია, რადგან ყოველ მოცემულ მომენტში მხოლოდ რამდენიმე შთაბეჭდილება შეიძლება იქცეს ცნობიერების საგნად. მაგრამ ფროიდის არაცნობიერისგან (განდევნილი არაცნობიერისგან) განსხვავებით ეს შინაარსები ჩვენ ნებისმიერ მომენტში შეიძლება ამოვიტანოთ ცნობიერებაში –გავისვენოთ.

ნახატი№1



არაცნობიერი. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ აზრები და გრძნობები, რომელიც ცნობიერებაში ჩნდება, არავითარ კავშირში არ არის იმ გრძნობებთან და აზრებთან, რომლებიც მათ წინ უძღოდა. ფროიდმა ივარაუდა ეს ურთიერთკავშირი, ოღონდ არაცნობიერ დონეზე. „ჩვენ ფსიქიკურ პროცესს არაცნობიერს ვუწოდებთ და მისი არსებობა იძულებული ვართ ვადიაროთ, მაგრამ არაფერი ვიცით მის შესახებ“-წერდა ფროიდი 1933 წელს. არაცნობიერში განთავსებულია არა მხოლოდ ინსტინქტები, რომელნიც ცნობიერებისთვის ყოველთვის მიუწვდომელია, არამედ ისეთი მასალაც, რომელიც განსხვავებულია, ცენზურას ექვემდებარება და განდევნილია ცნობიერებიდან. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბავშვობის დავიწყებული ტრავმები, მშობლების მიმართ ფარული მტრული გრძნობები, ჩახშობილი სექსუალური სურვილები, რომლებსაც ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ. ფროიდის მიხედვით არაცნობიერის მასალა განაპირობებს ჩვენს ყოველდღიურ ფუნქციონირებას. ეს მასალა, ეს შინაარსები არ არის დაკარგული და არ არის დავიწყებული, მაგრამ მისი მოგონება არასოდეს არ ხდება. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც მოქმედებენ ცნობიერებაზე. არაცნობიერში განთავსებული შინაარსები ქრონოლოგიურად არ არიან განლაგებულნი. ამიტომაც შინაარსები, რომლებიც ათეულ წელს ითვლიან, როდესაც ამოდიან ცნობიერებაში არ კარგავენ თავის ძალას და ისეთივე ემოციური სიძლიერის არიან, როგორც სულ პირველად.

წონასწორობის (ჰომეოსტაზის) პრინციპი

ფროიდის მიხედვით, ადამიანი ენერგეტიკული სისტემაა, რომელიც წონასწორობისკენ მიისწრაფვის. როდესაც მიღში წყლის წნევა იზრდება მილი შეიძლება გასკდეს, თუ წნევა არ შევამცირებთ. ფროიდის მიხედვით, ამის მსგავსად, როდესაც ორგანიზმში ენერგია იზრდება, მაგრამ ვერ პოულობს რეალიზაციის გზას, იქმნება დაძაბულობა, უსიამოვნების განცდა, რომელიც მოიხსნება, თუ ადამიანი მოახდენს დაძაბულობის რედუქციას. ენერგიის ბლოკირება მაშინ ხდება, როდესაც ორგანიზმი რაღაც დანაკლისს განიცდის, ჩნდება მოთხოვნილება (მაგ. შიმშილის), ირღვევა წონასწორობა და ორგანიზმი ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად შეავსოს დანაკლისი, უსიამოვნო მდგომარეობა სასიამოვნოთი შეცვალოს და აღადგინოს წონასწორობა. . უსიამოვნო განცდები ჩნდება მაშინაც, როდესაც არაცნობიერში არსებულ ისეთ სურვილებს უნდათ ცნობიერებაში ამოსვლა, -რომლებიც ცნობიერებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ (მაგ.ვინმესთვის ზიანის მიყენება). ორგანიზმი ცდილობს – მიისწრაფვის ეს უსიამოვნო განცდა თავიდან აიცილოს და

სასიამოვნო მდგომარეობა შეიქმნას. ამისთვის კი საჭიროა ასეთი აზრები არაცნობიერში განდევნოს, რათა მათ ქცევაზე უშუალო გავლენა არ მოახდინონ.

ინსტინქტი, ლიბიდო და ლტოლვა

ინსტინქტი არის თანდაყოლილი დისპოზიცია გარკვეული ქცევის მიმართ და მას აქვს ენერჯია. ინსტინქტური ენერჯია **ლტოლვების** (Triebe, drive) სახით ვლინდება. ლტოლვა მნიშვნელოვანი ცნებაა, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში ობიექტები, რომელთაც შეუძლიათ ინსტინქტის დაკმაყოფილება ზოგჯერ ბლოკირებულია ფიზიკური და სოციალური ბარიერებით. რაც უფრო დიდია გადასალახი ბარიერი, მით უფრო ძლიერია ლტოლვის ძალა. ლტოლვები აიძულებენ ადამიანს იმოქმედონ გარკვეული მიზნის მიმართულებით ცნობიერების ჩარევის გარეშე. ასეთი ლტოლვები მთელი ქცევის ძირითად მოტივს წარმოადგენენ.

ფსიქონალიზური თეორია ადამიანის ინსტინქტებს ორ ჯგუფად ჰყოფს – პირველს საქმე აქვს ე.წ. ფიზიკურ მოთხოვნილებებთან, რომელშიც შედის სუნთქვა, შიმშილი, წყურვილი, გამოყოფის ფუნქციები. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შედარებით მარტივია და შესაბამის ობიექტებს, ჩვეულებრივ. უშუალოდ, პირდაპირ შეუძლიათ მათი დაკმაყოფილება. თუმცა თვით ისეთმა ინსტინქტმაც კი, როგორც შიმშილია, უჩვეულო პირობებში შეიძლება არანორმალურ ძალას მიაღწიოს. მაგალითად, მე-19 სუკუნეში სიერას მთებზე გადასული ადამიანთა თოვლში მოყოლილ ჯგუფში კანიბალიზმის შემთხვევებიც კი იყო – დაირღვა სოციალური კავშირები.

ინსტინქტების მეორე ჯგუფი სექსუალურ ძალებთან არის დაკავშირებული. ლიბიდო სექსუალური ინსტინქტის თეორიაა. ამ კონტექსტში Iგი ნებისმიერი სიამოვნების გამომწვევი ქმედება ან აზრია, რომელიც ეროტიულ აქტივობასაც მოიცავს. ფსიქიკური ენერჯია არის ყოველი მენტალური აქტივობის საფუძვლად მდებარე ენერჯია (აზროვნებისთვის, აღქმისთვის, წარმოსახვისთვის, დახსოვებისთვის, პრობლემის გადაწყვეტისთვის. . .).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფროიდისთვის ფსიქიკური ენერჯიის სისტემა დახშული სისტემაა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი პიროვნება შეიძლება ყოველ მოცემულ მომენტში, როგორც ლიბიდოს ფიქსირებული რაოდენობის მატარებელი და ყველა მისი სექსუალური და მენტალური აქტივობის მიზეზი და წყარო განვიხილოთ.

ფსიქიკური ენერჯიის შეზღუდული რაოდენობის გაგებას მოსევს ის, რომ როდესაც ლიბიდო გამოიყენება ერთი მიზნით, სიმულტანურად (იმავედროულად) მისი მეორე მიზნით გამოიყენება ფერხდება. ფროიდის სიტყვებით, მაგ. როდესაც ახალგაზრდა

კაცი გამუდმებით თავის საცოლეზე ფიქრობს, სხვა საქმეს ნაკლები წარმატებით გააკეთებს.

ამრიგად, ფროიდისთვის ადამიანის ძირითადი მოტივაცია სექსუალური ბუნებისაა – ადამიანი ჰედონისტია. როგორც შემდგომ ვნახავთ, საზოგადოება ქმნის წინაღობებს ამ გზაზე. ფროიდის თეორიაში შესწავლილია ის ფორმები და საშუალებები, რომლითაც ადამიანს მიმართებაში მოჰყავს თავისი სექსუალური მოთხოვნილებები საზოგადოებასთან, რომელიც თავის მხრივ, ამ მოთხოვნილებათა უშუალო დაკმაყოფილებას ყოველთვის წინ აღუდგება ხოლმე. ამიტომ ყოველი პიროვნება „არის ნაწილობრივი კომპრომისი მის სექსუალურ ინსტინქტებსა და საზოგადოების აკრძალვებს შორის“.

ღტოლვები (Triebe) აიძულებენ ადამიანს იმოქმედონ გარკვეული მიზნის მიმართულ ცნობიერების ჩარევის გარეშე. ასეთი ღტოლვები მთელი ქცევის ძირითად მოტივს წარმოადგენენ.

ღტოლვების ფიზიკურ ასპექტებს ფროიდი მოთხოვნილებას უწოდებდა, ხოლო ფსიქოლოგიურ ასპექტებს კი – სურვილებს.

ღტოლვა ოთხ ელემენტს მოიცავს:

- წყარო** – ეს არის ადგილი, სადაც აღმოცენდება ღტოლვა (სხეული)
- მიზანი** - რომელმაც უნდა რეაქცია გაუკეთოს, ანუ შეამციროს მოთხოვნილება დონემდე, რომ მოქმედება საჭირო აღარ იყოს. ეს იწვევს მისი აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.
- სტიმული** – ენერჯის რაოდენობა, ძალა, რომელიც გამოიყენება ღტოლვების დასაკმაყოფილებლად.
- ღტოლვის ობიექტი** – ნებისმიერი საგანი ან მოქმედება, რომელსაც შეუძლია სურვილის დაკმაყოფილება.

მოზრდილი ადამიანისთვის შიმშილის მოთხოვნილების შემთხვევაში შესაფერისი ობიექტი სეიძლება იყოს მაგ. სამზარეულოს კარადა; ჩვილისთვის კი - დედა, რომელიც დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას.

ფროიდის მიხედვით ღტოლვების ორი ძირითად სახე არსებობს: **სექსუალური (ეროტიული, ანუ სიამოვნების მომტანი) ღიბიდო** და მეორე **აგრესიული, დესტრუქციული-ტანატოსი**. შემდგომში იგი მათ უფრო მასშტაბურად ახასიათებდა და პირველს როგორც **სიცოცხლის ხელშემწყობ**, ხოლო მეორეს **დამანგრეველ, სიკვდილისკენ მამოძრავებელ ძალას** ახასიათებდა. ადამიანის აზრები და ქცევები ორივე მათგანს გულისხმობს. ეს ორი

ძალა ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობრივია. ადამიანის აზრების და ქცევების დიდი უმრავლესობა ამ ძირითადი ინსტინქტების მიერ არის გამოწვეული, მაგრამ თითოეული მათგანი მოქმედებს არა დამოუკიდებლად, არამედ ერთმანეთთან კომბინაციაში.

სექსუალური ლტოლვები ძალიან მოქნილია, გასაკვირია ის სიადვილე, რომლითაც მას შეუძლია ცვალოს თავისი ობიექტი, შეცვალოს სიამოვნების ერთი სახე მეორით ან დროებით შეაჩეროს მათი მოქმედება.

კატექსისი – მისი საშუალებით ლიბიდოზური ენერგია მიეჯჭვება რაღაც იდეას, ნივთს ან ადამიანს. კატექსისის მდგომარეობაში ლიბიდო აღარ არის ისეთი მობილური (მოქნილი), როგორც ადრე და აღარ შეუძლია ახალ ობიექტებზე გადასვლა. ამის მიზეზი არის ფსიქიკის ის უბანი, რომელიც იზიდავს და აკავებს მას თავისთან. მაგ. ახლობლის სიკვდილით გამოწვეული განცდები უკარგავს ადამიანს ინტერესს ყოფითი ყოველდღიური პრობლემებისადმი. ანუ ლიბიდოს დიდი ნაწილი ამ განცდებშია ჩადებული – კატექსირებული. ფსიქონალიტურ თეორიაში გამოკვეთილია, რომ ლიბიდო არასწორად არის ჩადებული რაღაც მოვლენაში. Xოლო ამ ენერგიის გამოთავისუფლება და სხვა მიმართულებით გადართვა უკვე შესაძლებელს ხდის სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სექსუალური სურვილები შეიძლება სხვადასხვა გზით დაკმაყოფილდეს, ანუ მისი ობიექტი შეიძლება ბევრი რამ იყოს (არა მხოლოდ სექს. აქტიობა), მაგ. ჭამა, ფიზიკური ვარჯიშები, შესაბამისი ლიტერატურის კითხვა და სხვ. ლტოლვები ეს არის არხები, რომლებშიც ენერგია გაივლის, მაგრამ ეს ენერგია თავის სპეციფიკურ კანონებს ექვემდებარება.

ფსიქონალიტური თეორიის მიზანია გაიგოს თუ რას “მიება”, რას დაუკავშირდა არასასურველი გზით ლიბიდო. როდესაც ეს ენერგია გამოთავისუფლდება და სხვა მიმართულებით გადაიტანება, შესაძლებელი ხდება ამ ენერგიით სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება

პიროვნების სტრუქტურა

ფროიდი ხედავდა, რომ მის პაციენტებს უამრავი სულიერი კონფლიქტები და კომპრომისები ჰქონდათ. ხედავდა, რომ ერთი სახის ლტოლვა მეორეს ეწინააღმდეგებოდა, საზოგადოებრივი აკრძალვები ბიოლოგიურ სწრაფვებს ეწინააღმდეგებოდა და მათი დაძლევის მეთოდებიც ხშირად ურთიერთ საწინააღმდეგო იყო. ამ ქაოსის მოწესრიგება მან პიროვნების სტრუქტურის თავისებურ წარმოდგენაში ნახა. ფროიდი პიროვნების სტრუქტურის სამ კომპონენტს გამოჰყოფს. ესაა იგი (I), მე (II) და ზე-მე (III) (III)

ფროიდი შემთხვევათა ანალიზს, კლინიკურ მეთოდს იყენებდა და ხედავდა, რომ მის პაციენტებს უამრავი სულიერი კონფლიქტები და კომპრომისები ჰქონდათ. ხედავდა, რომ ერთი სახის ლტოლვა მეორეს ეწინააღმდეგებოდა, საზოგადოებრივი აკრძალვები ბიოლოგიურ სწრაფვებს ეწინააღმდეგებოდა და მათი დაძლევის მეთოდებიც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. ამ ქაოსის მოწესრიგება მან პიროვნების სტრუქტურის თავისებურ წარმოდგენაში ნახა. ფროიდი პიროვნების სტრუქტურის სამ კომპონენტს გამოჰყოფს. ესაა იგი (I), მე (II) და ზე-მე (III).

I ანუ იგი პიროვნების ყველა გამოვლინებათა ამოსავალს წარმოადგენს. იგი ბიოლოგიურია თავისი ბუნებით და ენერჯის წყაროა პიროვნების სტრუქტურის ყველა ინსტანციისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ინსტანციები სწორედ იდისგან ამოიზარდნენ და განვითარდნენ, თვითონ იგი (I) პრიმიტიული და არაორგანიზებულია. იგი არავითარ ლოგიკას არ ემორჩილება. ცხოვრების გამოცდილების შედეგად არ იცვლება, რადგან კონტაქტში არ არის გარე სამყაროსთან. ლტოლვები აღმოცენებისას მოითხოვენ დაკმაყოფილებას. ამ დაკმაყოფილების შედეგად ხდება დაძაბულობის განტვირთვა. როცა განტვირთვას მართავს მართოდ იგი, დაკმაყოფილების გადადება შეუძლებელია. იდს არ შეუძლია აიტანოს ენერჯის ზრდა და ისწრაფვის დაუყოვნებლივი დაკმაყოფილებისაკენ მისი ამოცანაა დაძაბულობის მოხსნა- შემცირება, სიამოვნების გაზრდა და დისკომფორტის მდგომარეობის მინიმუმამდე შემცირება. იგი (I) ცდილობს ყოველივე ამას მიაღწიოს რეფლექტორული მოქმედებებით (ავტომატური რეაქციებით, მაგალითად, ცხვირის დაცემინება ან თვალის ხამხამი) და აგრეთვე ფსიქიკური პროცესების ე.წ. პირველადი პროცესების მეშვეობით. ფროიდის მიხედვით პირველადი პროცესები მოზრდილებთან სუფთა სახით მხოლოდ ეგოს და სუპერეგოს რედუქციის შემთხვევაში ვლინდება, ანუ, როდესაც მათი მოქმედება დასუსტებულია (მაგალითად სიზმრებში). **I სიამოვნების პრინციპით მოქმედებს**

“I -ს არავითარი კავშირი არ აქვს დროსთან, დროის მიმდინარეობასთან. . მას წარმოდგენაც არ აქვს ღირებულებებზე, სიკეთეზე და ბოროტებაზე, ზნეობაზე”(ფროიდი)

I ჰგავს ბრმა ხელმწიფეს, რომელსაც განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, მაგრამ მის მრჩეველებს, ძირითადად ეგოს ანუ მე-ს მხოლოდ იმის მითითება შეუძლიათ, თუ სად იქნას ეს ძალაუფლება გამოყენებული

იღის შინაარსი თითქმის მთლიანად არაცნობიერია. იგი მოიცავს პრიმიტიულ აზრებს, რომლებიც არასდროს არ ცნობიერდება და აზრებს, რომლებსაც ცნობიერება უკუაგდებს იმ მოტივით, რომ ისინი მისთვის მიუღებელია. ფროიდის მიხედვით ამ უარყოფილ თუ განდევნილ განცდებს მაინც აქვთ დიდი ძალა იმოქმედონ ადამიანის ქცევაზე ცნობიერების ყოველგვარი კონტროლის და ჩარევის გარეშე.

□□□- “მე” პიროვნების ფსიქიკური სტრუქტურის მეორე კომპონენტია, რომელსაც კავშირი აქვს გარე სამყაროსთან – რეალობასთან. □□□ გამოყოფა I□□ს, ვითარდება მისგან და შეიძლება ითქვას, სესხულობს ენერგიას იღისგან. იდიდან მისი განვითარება უკავშირდება ბავშვის განვითარების იმ პერიოდს, როდესაც ბავშვი იწყებს თავისი თავის გარემოდან გამოყოფას, ხდება თვითცნობიერების განვითარება, ინდივიდუალობის გაცნობიერება და სწავლობს იღის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. □□□-ს ამოცანაა პიროვნების ცხოველმყოფელობის და ჯანმრთელი ფსიქიკის და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ის აკონტროლებს ნებისმიერ მოქმედებებს, მართავს უსაფრთხოების პასუხისმგებელ მოქმედებებს. ეგოს გაცნობიერებული აქვს გარე სამყაროს მოვლენები, მიმართებაში მოჰყავს ისინი წარსულთან, შემდეგ გარკვეული მოქმედებებით ან თავს არიდებს ამა თუ იმ მოვლენას ან ეგუება ან კიდევ ცვლის გარემოს, რათა უფრო კომფორტული და უსაფრთხო გახადოს. ეგო არა მხოლოდ გარე სამყაროსთან ურთიერთობას აკონტროლებს, არამედ შინაგანთანაც. ეგო ცდილობს შეინარჩუნოს კონტროლი “ინსტინქტურ მოთხოვნილებებზე და თვითონ წყვეტს ახლავე უნდა დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილებები თუ უნდა გადაიდოს ეს სიამოვნება უფრო ხელსაყრელი დროისთვის თუ მთლიანად უნდა დაითრგუნოს. მისი მოქმედება გარეგანი და შინაგანი გამლიზიანებლებით შექმნილი დაძაბულობის დონეთა რეგულაციაში მდგომარეობს. დაძაბულობის ზრდა განიცდება როგორც დისკომფორტის მდგომარეობა, შემცირება კი – სიამოვნების მდგომარეობა. ფროიდის მიხედვით □□□ გონების და საღი აზრის წარმომადგენელია, ხოლო I□□ კი - დაუოკებელი ვნების. ამრიგად □□□ იმთავითვე I□□-ის შექმნილია იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილოს სტრესი. მაგრამ იმისთვის რომ ეს განახორციელოს, □□□-მ უნდა ისე აკონტროლოს და მართოს Id -დან წამოსული ლტოლვები, რომ ინდივიდმა რეალობის გრძნობა არ დაკარგოს და რეალისტური გზა აირჩიოს. როდესაც ირაციონალური, ინსტინქტური ლტოლვები

მძლავრდებიან, ისინი უნდა გამოვლინდნენ და დაითრგუნონ ეგოს მიერ. თუ ლტოლვა ვერ ითრგუნება, ეგომ უნდა შეიმუშავოს მეთოდი ამ სურვილების დაკმაყოფილების რეალისტური შესაძლებლობებისა. ინტელექტის გამოყენება ეგოს ძალასა და უნარზეა დამოკიდებული. ეგო **მეორად პროცესებს** იყენებს. ეს არის ეგოდან წამოსული, ეგოთი მოტივირებული ან სუპერეგოთი ნაკარნახები აზრები, გრძნობები და ქცევები. თუ პირველადი პროცესები არაცნობიერი სისტემისთვისაა დამახასიათებელი, მეორადი პროცესები – ცნობიერისთვის. ერთმანეთს სიამოვნების და რეალობის პრინციპი უპირისპირდება.

შოპენჰაუერი ადამიანის საზოგადოებაში ეფექტური და ადეკვატური მოქმედებისთვის საჭიროა, რომ მას ჰქონდეს ამ საზოგადოებისთვის მისაღები ღირებულებებისა და ეთიკური ნორმების სისტემა. ამას იგი სოციალიზაციის პროცესში იძენს, რაც ფროიდის თეორიაში სუპერეგოს ფორმირების სედეგად ხდება. სუპერეგო იდი-დან და ეგო-დან აღმოცენდება. სუპერეგო ჩნდება მას შემდეგ, რაც ეგი იდ-ს გამოეყოფა. სუპერეგო პიროვნების აზრებისა და ქცევების ცენზორის როლში გამოდის. ე სარის მორალური ნორმების, ქცევის სტანდარტებისა და ისეთი წარმონაქმნების სათავეს, სადაც პიროვნებისთვის აკტძალვის ფორმების შემუშავება ხდება. სუპერეგო ქმნის, ავითარებს და განამტკიცებს პიროვნების მორალურ ნორმებს. “ბავშვის სუპერეგო მშობელთა სუპერეგოს ემყარება. მისი შინაარსი იგივეა – იგი ემსახურება ტრადიციებისა და ღირებულებების მყარი სისტემის შენარჩუნებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.” ფროიდის აზრით, ადამიანის ორგანიზმი არ იბადება სუპერეგოთი. ბავშვები იძენენ მას მშობლებთან, მასწავლებლებთან და სხვა “მაფორმირებელ” ფიგურებთან ურთიერთობის სედეგად. წარმოადგენს რა პიროვნების მორალურ-ეთიკურ ძალას, სუპერეგო ბავშვის მშობლებზე ხანგრძლივი დამოკიდებულებების შედეგია. ფორმალურად ის მაშინ ჩნდება, როდესაც ბავშვი “სწორისა” და არასწორის” გარჩევას იწყებს. იგებს რა არის კარგი და ცუდი; ზნეობრივი და არაზნეობრივი. სუპერეგო მშობლებისა და საზოგადოების ღირებულებების შინაგანი რეპრეზენტატორია.

ფროიდი გამოჰყოფს სუპერეგოს ორ ქვესისტემას – **სინდისს და იდეალების ფორმირებას- ეგო-იდეალს**. ეგო-იდეალი არის თვითობის (Self) იდეალური ხატი. ე სარის ნორმა ან სტანდარტი, რომელსაც ეგო იყენებს საკუთარი ქცევის შესაფასებლად და რომელსაც უნდა ესწრაფოდეს. ფროიდის მიხედვით, ყველა ჩვენგანს გააჩნია პიროვნების ტიპის შინაგანი ხატი, რომელიც ჩვენს ბავშვობაში, ჩვენი განვითარების პროცესში ჩვენში ჩანერგილ სტანდარტს უნდა ეყრდნობოდეს. ფროიდის აზრით, ეგო- იდეალი ოიდიპოსის ფაზის წარმატებით გადალახვის შემდეგ


ყალიბდება. ამ ფაზის წარმატებით გადალახვის შემდეგ მოზარდი (ბიჭი) ეგო-იდეალს ან იმ პიროვნების მენტალურ ხატს ჩამოიყალიბებს, რომელიც, მისი აზრით, თავისი მამის სტანდარტს ეფუძნება. გოგონების ეგოს შესახებ ფროიდი ნაკლებ კატეგორიულია და თვლის, რომ გოგონებს უფრო სუსტი სუპერ-ეგო და სუსტი ეგო-იდეალი უყალიბდებათ.

სინდისის სახით სუპერეგო ასრულებს ცნობიერების, ისევე როგორც არაცნობიერი პროცესების შეზღუდვების, აკრძალვებისა და აგრეთვე დადნაშაულების ფუნქციას. ქცევის სედეგის (სარგებლიანობის) მიუხედავად, სუპერეგო აკონტროლებს ეთანხმება თუ არა ინდივიდის მოქმედება საზოგადოების მორალურ ნორმებსა და ღირებულებებს. თუ პიროვნების ქცევა არ შეესაბამება სუპერეგოს მოთხოვნებს, ჩნდება დანაშაულის გრძნობა.

სუპერეგოს უკავშირდება სირცხვილის გრძნობაც. სირცხვილი არის დამცირების, უპატივცემულობის, გააკიცხვის მტკივნეული განცდა, გამოწვეული დამიანისთვის შეუფერებელი საქციელით. ფროიდის მიხედვით, სუპერეგოს გარეშე ადამიანები ვერასოდეს იგრძნობდნენ სირცხვილს, რადგან ვერასოდეს მიხვდებოდნენ, რომ მორალური და სოციალური სტანდარტი დაარღვიეს.

ფსიქიკური მოქმედების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ შეინარჩუნოს დინამიური წონასწორობის ის დონე, რომელიც დაძაბულობის შემცირების ხარჯზე ზრდის სიამოვნებას. I□-დან წამოსული ენერგია პრიმიტიული, ინსტინქტური ბუნებისაა. □□□, რომელიც I□-დან ვითარდება, რეალისტურად აფასებს I□-დან წამოსულ იმპულსებს. გარდა ამისა, იგი შეამავლის როლს თამაშობს I□-ს, □□□-სა და გარე სამყაროს რეალობიდან წამოსულ მოთხოვნებს შორის. სუპერეგო, რომელიც ეგოდან ვითარდება, ზნეობრივი მუხრუჭის როლს ასრულებს ეგოს პრაქტიკული მოქმედების მიმართ. იგი ეგოს მთელ რიგ პირობას უყენებს, რომლებიც განსაზღვრავენ და ზღუდავენ მის მოქნილობას.

ეგო, როგორც პიროვნების მედიატორი



შფოთვა (შიში) და დაცვის მექანიზმები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიაში ნებისმიერი პროცესი შეიძლება აღწერილ იქნას ენერჯიის დახარჯვის (გამოთავისუფლების) ან იმ ძალის ტერმინებში, რომელიც აკავებს ამ ენერჯიის გამოსვლას და ხარჯვას, ანუ ეწინააღმდეგება ინსტინქტის დაკმაყოფილებას. ამ ენერჯიის შეკავებაც ძალას მოითხოვს. ეს ურთიერთქმედება და ბრძოლა ინსტინქტის დაკმაყოფილებასა და მის შეკავებას შორის არის ამ თეორიის დინამიკური ასპექტი, რომლის ქვაკუთხედსაც შფოთვის (შიში, „ენზაიტი“, anxiety) ცნება წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როდესაც იღს, სუპერეგოს და გარემოს მოთხოვნებს შორის გართულებული ურთიერთმიმართებების გამო ეგოს უკვე აღარ შეუძლია სათანადო კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება. ამ დროს ფსიქიკურ ინსტანციებს შორის ჩნდება წონასწორობის დარღვევის სხვადასხვა ფორმები, რომლებიც შიშის შფოთვის, განცდას იწვევენ.

შფოთვა ფსიქოანალიტური თეორიის თანახმად არის მტკივნეული ემოციური განცდა, რომელიც ამცნობს პიროვნებას საფრთხის შესახებ; სხვა სიტყვებით, შფოთვა მე-სთვის საფრთხის სიგნალია, რომელიც ამ საფრთხის ასაცილებელი ქცევისკენ უბიძგებს მას. თუ თავის ადრეულ შრომებში ფროიდი შფოთვის მიზეზს სექსუალური იმპულსების (ლიბიდოს) დაუკმაყოფილებლობაში ხედავდა, მოგვიანებით იგი შფოთვას განიხილავდა, როგორც მტკივნეულ ემოციას, რომელის იმ საფრთხის მიმნიშნებელია, რომელიც პიროვნების მე-ს ემუქრება. ამ შემთხვევაში შფოთვა მე-ს ფუნქციაა, რომელიც აფრთხილებს მე-ს, რომ საჭიროა მოქმედება ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ფსიქოანალიტურ თეორიაში შფოთვის მიზეზი არის ის ტრავმული განცდები, რომელიც ადამიანმა ოდესღაც განიცადა და რომელმაც მას ვნება და ზიანი მიაყენა. შფოთვა არის იგივე ტრავმული განცდის განმეორება, ოღონდ შერბილებული, მსუბუქი ფორმით. მაგალითად, ბავშვი შეიძლება სერიოზულად დაისაჯოს გარკვეული სექსუალური ან აგრესიული მოქმედების გამო. მოგვიანებით, უკვე მოზრდილობაში მას შეიძლება გაუჩნდეს შიში იმის გამო, რომ მოუნდეს იგივე სექსუალური ან აგრესიული ქცევა. ამასთან, მას შეიძლება ახსოვდეს, მაგრამ შეიძლება არც ახსოვდეს ის სასჯელი, რომელიც ამას მოჰყვა. მას შფოთვა უჩნდება იმის გამო, რომ, ერთის მხრივ, მიისწრაფის შეასრულოს ეს ქცევა, მაგრამ მეორეს მხრივ, შედეგის ეშინია. ფსიქოანალიზის ტერმინებში

შფოთვა აღმოცენდება იდის ინსტინქტების ზეწოლასა და სუპერ-ეგოდან მომდინარე დასჯის საფრთხეს შორის კონფლიქტიდან. ანუ შეიძლება ითქვას, რომ იდი ამბობს “მე ეს მინდა”, სუპერეგო ამბობს “ეს საშინელებაა, არ შეიძლება”, მე კი ამბობს – “მე მეშინია”.

კონფლიქტი ფროიდის თეორიის დინამიური ასპექტის ცენტრალური ცნებაა. კონფლიქტი საწინააღმდეგო ძალთა შორის ჩნდება. ამ კონფლიქტის მოგვარება მე-ს საქმეა. მე-მ უნდა დააკმაყოფილოს იდის, სუპერეგოს და რეალობის მოთხოვნები. ამიტომაც ის პერმანენტულად და მრავალმხრივ კონფლიქტურ სიტუაციაში იმყოფება და, ბუნებრივია, შფოთვას განიცდის.

გამოყოფენ შფოთვის სამ სახეს:

ობიექტური (რეალური) შფოთვა უკავშირდება ობიექტურ ან წარმოსახვით საფრთხეს, რომელიც გარე სამყაროში არსებულმა ობიექტმა შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, გარეული ცხოველების შიში, სამხედრო ბრძოლის შიში, ინფექციური დაავადებების შიში და სხვ. მათი დაძლევა მოითხოვს ცნობიერ, რეალობის პრინციპზე დაფუძნებულ მოქმედებებს.

ნევროტული შფოთვა. სიამოვნების პრინციპით მოქმედ სექსუალური და აგრესიული იმპულსების დათრგუნვა მე-ს მიერ შეიძლება გახდეს ნევროტული შფოთვის მიზეზი. იდიდან წამოსული ლტოლვების სიძლიერე აშინებს მე-ს. შიში ჩნდება იმ შედეგების გამო, რაც ლტოლვების დაკმაყოფილებას შეიძლება მოყვებოდეს. ეს არის ნევროტული შიში. ლტოლვა არაცნობიერშია, მაგრამ აქტიური რჩება და გავლენას ახდენს განცდებსა და ქცევაზე.

მორალური შფოთვა. თუ ეგო დაუშვებს იდის სურვილებს, საქმე გვექნება მორალურ შფოთვასთან, რომელსაც სინდისის ქენჯნა და დანაშაულის განცდა სდევს თან.

განურჩევლად იმისა, თუ რომელი წყაროდან მომდინარეობს შიში, ირღვევა ფსიქიკური წონასწორობა, რომელიც მე-ს მიერ უნდა იქნას აღდგენილი. ამისთვის საჭიროა შიშის გამომწვევი იმპულსებიგან თავის დაცვა. მე-ეგო უძლური არ არის იდიდან და სუპერეგოდან წამოსული კონფლიქტების მიმართ. მას დამცავი მექანიზმები გააჩნია. ამიტომაც, სიგნალზე “შიში” დაცვის მექანიზმი, იწყებს ამოქმედებას, რომელმაც უნდა შეამციროს ან მოხსნას მუქარა.

ფროიდმა და მისმა მიმდევრებმა აღწერეს რამდენიმე, ძირითადად არაცნობიერად მოქმედი დაცვის მექანიზმები, რომლებიც შიშის რედუქციას ახდენენ:

პიროვნების სტრუქტურულ ნაწილებს შორის შესაძლო კონფლიქტები

კონფლიქტი	მაგალითი
იდი- ეგო	არჩევანი დაუყონებლივ, მაგრამ მცირე სიამოვნებასა (ჯილდო) და დიდ ჯილდოს შორის, რომელიც მოცდას, მოთმინებას მოითხოვს.
იდი-სუპერეგო	გადაწყვეტილების მიღება: გადაგიხადეს ზედმეტი, რაც გეკუთვნოდა. დაუბრუნო ხურდა თუ არა?
გო-სუპერეგო	უნდა აირჩიო: თქვა ტყუილი, უვნებელი ტყუილი, თუ დარჩე, უდაოდ, ღირებულები, მაგრამ არარეალური სტანდარტების ერთგული (ყოველთვის თქვა სიმართლე)
იდი და ეგო-სუპერეგო	უნდა გადაწყვიტო – გადაუხადო სამაგიერო მოწინააღმდეგეს თუ “მიუშვირო მეორე ლოყა”

დაცვის მექანიზმები

დაცვის მექანიზმი	განსახილველი	მაგალითი
განდევნა (რეპრესია)	ეს მექანიზმი იცავს ეგოს იდიდან წამოსული იმ იმპულსებიდან, რომელიც მის ფსიქოლოგიურ სტაბილობას ემუქრება. როდესაც ჩვენ ღტოლვებს თუ სურვილებს (ცნობიერად) ვერაფერს ვუხერხებთ, დაცვის ამ თვითრეგულაციური მექანიზმის საშუალებით ისინი განიდევნებიან არაცნობიერში. განდევნასაც მუდმივი ენერგია სჭირდება, რათა გააჩეროს განდევნილი შინაარსები არაცნობიერში. განდევნილმა აზრებმა და იმპულსებმა შეიძლება თავი იჩინოს სიმპტომების სახით – ე.წ. “განდევნილის დაბრუნება“-წაცდენები განდევნა ყოველთვის არაცნობიერი პროცესია	1. მოზრდილ ადამიანს აღარ ახსოვს როგორ სცემეს ბავშვობისას ან რომ იგი ტრაგიკული ავტოკატასტროფის მოწმე იყო. 2 წაცდენის მაგალითი: სხდომის თავმჯდომარე, რომელსაც უნდა გაეხსნა სხდომა, წამოდგა და თქვა “სხდომას დახურულად ვაცხადებ” (ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა “გახსნილად” ვაცხადებ). იხეზი (არაცნობიერი): ეჩქარებოდა სახლში წასვლა, სადაც წვეულება ჰქონდა და სტუმრები ელოდნენ (ფროიდი)
უარყოფა	განდევნისგან განსხვავებით ტრავმის გამომწვევი მოვლენა გაცნობიერებულია, მაგრამ ისეა ინტერპრეტირებული, რომ ტრავმატული ასპექტები უარყოფილია	კაცს, რომელიც ცოლმა მიატოვა, ამ დაშორებას განიხილავდა, როგორც დროებით მოვლენას და დარწმუნე ბული იყო, რომ ცოლი მას ისევ დაუბრუნდებოდა
რაციონალიზაცია	მიუღებელი აზრების ან მოქმედებების განხორციელების შემდეგ ხდება ეგოს მიერ ამ ქცევის ერთგვარი გამართლება-ახსნის მოგონება-შეთხზვა, რათა შეიმსუბუქოს შფოთვა.	მაგ. ბავშვის მიმართ ძალადობა შეიძლება მშობელმა ახსნას იმით, რომ ბავშვს “აჩვევს მომავალი ცხოვრების სირთულეებს”.

რეაქცია	ამ დროს იდი-დან წამოსული იმპულსების გადატანა მე-ს მიერ ხდება გარესამყაროზე, უპირატესად სხვა პიროვნებებზე	“მე კი არ ვარ ბოროტი და აგრესიული, არამედ ჩემი კოლეგები არიან ასეთები. („ისინი მიწვევენ, მაიძულე ბენ ვიყო ბოროტი და აგრესიული”)
რეაქციის ფორმირება	პიროვნება თავს იცავს მიუღებ სურვილების გამოაშკარავებისგან საწინააღმდეგოს მტკიცებით	კაცი, რომელიც სინამდვილეში პორნოგრაფიით არის გატაცებული და პორნოსურათების დიდი კოლექცია აქვს, საწინააღმდეგოს ამტკიცებს: ყვლას ვაჩვენებ და ვუმტკიცებ ხოლმე, როგორი ცუდია პორნოგრაფიო
სუბლიმაცია	აგრესიული და სექსუალური ლტოლვების სოციალურად სასურველ და ღირებულ ქმედებებად გადაქცევა. სექსუალური ენერჯის სხვა არხებში გადართვა	კაცობრიობის კულტურა სუბლიმაციის შედეგია. იგი არის კრეატიულობის და საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველი.
ჩანაცვლება	ჩანაცვლება არის მიუღებელი იმპულსის და სახიფათო ობიექტის შედარებით უფრო მისაღები და ნაკლებად სახიფათო ობიექტით შეცვლა	სამსახურში შეფის შენიშვნით გაბრაზებული ქმარი შეფს ვერაფერს უბედავს და სახლში მოსვლისას შეფის ჯავრს ცოლთან და შვილებთან ჩხუბში იყრის.

ფროიდის თეორიის შეფასება

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ ფსიქოლოგიურ თეორიას არ ღირსებია ისეთი ყურადღება და პოპულარობა, ერთის მხრივ, და, მეორეს მხრივ, არ დაუმსახურებია ისეთი მკაცრი კრიტიკა, როგორც ფროიდის თეორიას ხვდა წილად. ფროიდის შეხედულებები (თვით ფროიდიც) ყოველი მხრიდან და ნებისმიერი საბაბით ხდებოდა თავდასხმების, დაცინვის, შეურაცხყოფის და ცილისწამების ობიექტი. მეცნიერების ისტორიას მსგავსი რამ კიდევ ერთი პიროვნების, ჩარლზ დარვინის შემთხვევაში ახსოვს, როდესაც მან თავისი ევოლუციური თეორიით შოკში ჩააგდო ინგლისის ვიქტორიანული საზოგადოება. ფროიდის ძირითად “დანაშაული” მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ბავშვებში სექსუალური და დამანგრეველი ლტოლვების არსებობას აღიარებდა, ადამიანს ინცესტურ და გარყვნილ სურვილებს მიაწერდა და მის ქცევას სექსუალური მოტივაციით ხსნიდა. ადამიანისადმი ფროიდის მიდგომით აღშფოთებული “წესიერი” ხალხი მას თავაშვებულ და გარყვნილ ადამიანს უწოდებდა.

დღეს ფროიდი, სავსებით სამართლიანად გენიოსად არის აღიარებული. მას ფასდაუდებელი დამსახურება აქვს მთელი ფსიქოლოგიური მეცნიერების წინაშე. ჩვენ შესავალშიც აღვნიშნეთ, რომ ფროიდმა სუბიექტი, პიროვნება შემოიყვანა ფსიქოლოგიაში, ფროიდადღე ფსიქოლოგია უსუბიექტო ფსიქოლოგია

იყო. მან არაცნობიერი ფსიქიკურის არსებობა დაუშვა და არაცნობიერი მოტივაციის ფაქტები “დაგვიდო”. მისი თეორია მოწოდებულია პიროვნება მთელი თავისი სირთულით და გამოვლენის (ქცევის) უზარმაზარი დიაპაზონით მოიცვას და ახსნას. ფროიდის თეორიის დამსახურებაა სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ფენომენების აღმოჩენა, იქნება ეს ენზაიტი, დაცვის მექანიზმები, პიროვნების ინსტანციები თუ მრავალი სხვა.

მაგრამ, როგორც ნებისმიერ თეორიას, ფროიდის თეორიასაც აქვს ნაკლოვანებები, რომლებსაც მრავალრიცხოვანი კრიტიკოსები აღნიშნავენ. გამოვეყოფთ რამდენიმეს. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს შენიშვნები ეხება ფსიქონალიზს, როგორც პიროვნების თეორიას და არა ფსიქონალიზს, როგორც მეთოდს.

1. ფროიდი თავისი ჰიპოთეზების დამტკიცებისას (ვერიფიკაციისას) არ ეყრდნობოდა საკმარის ემპირიულ პროცედურებს. იგი თავის დაკვირვებებს არაკონტროლირებულ პირობებში ატარებდა. თვითონ ფროიდიც აღნიშნავდა, რომ მისი და მისი პაციენტის საუბრები ჩაწერილი იყო არა სენსის დროს, არამედ რამდენიმე საათის შემდეგ. კრიტიკოსების აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩანაწერები არ იყო ზუსტი და რომ დამახინჯებებს ჰქონიდა ადგილი. ფროიდის სიტყვები, რომ მნიშვნელოვანი გვამახსოვრდება, ხოლო ტრივიალური გვავიწყდება, არასოდეს ყოფილა დასაბუთებული და ნაკლებ სავარაუდოა.

2. ფროიდს საყვედურობენ იმასაც, რომ ის ენდობოდა პაციენტს და არ გადაამოწმებდა ხოლმე პაციენტის მიერ მოწოდებული ცნობებს მის ნათესავეებთან, მშობლებთან ან მეგობრებთან. ფროიდის აზრით კი, ადამიანის ქცევის ასახსნელად აუცილებელია არაცნობიერის ღრმა გაგება, რაც მხოლოდ თავისუფალი ასოციაციების და სიზმრების ანალიზით მიიღწევა.

3. კრიტიკოსების აზრით, ფროიდის დასკვნები რომლებიც არასრულ და შეიძლება, არაზუსტ ჩანაწერებს ეყრდნობოდა, გამომდინარეობდა მსჯელობებიდან, რომლებიც იშვიათად თუ იყო ფართო და გაშლილი. ფაქტობრივად, ეს იყო მისი აზროვნების შედეგი და არა მონაცემთა ანალიზი. მკითხველი, უბრალოდ, უნდა ენდოს და დაიჯეროს ფროიდის დედუქციური და ინდუქციური ოპერაციების ვალიდობა. ამიტომაცაა, ამბობენ ისინი, რომ ფროიდის არც ერთი გამოკვლევის ზუსტი გამეორება არ შეიძლება. ანუ არ გვაქვს იმის ელემენტარული რწმენა, რომ იგივეს ვაკეთებთ, რასაც - ფროიდი. ამით აიხსნება, ალბთ, ის ფაქტი, რომ სხვა მკვლევრები სხვადასხვა

დასკვნებამდე მივიდნენ და რომ, ერთი და იგივე ფენომენის რამდენიმე ინტერპრეტაცია არსებობს. ჰანს აიზენკი, ფსიქოანალიზის მუდმივი და თავგამოდებული კრიტიკოსი წერს: “ჩვენ ისეთივე წარმატებით შეგვიძლია თერაპიულ ტახტზე ყოფნისას შევამოწმოთ ფროიდის ჰიპოთეზები, როგორც ვაშლის ხის ქვეშ წამოწოლილები შევძლებთ ნიუტონის და აინშტაინის ჰიპოთეზებს შორის წინააღმდეგობის გადაჭრას. “

4. ფროიდი ერიდებოდა მონაცემთა კვანტიფიკაციას (რაოდენობრივ დამუშავებას), რის გამოც შეუძლებელია მისი დაკვირვებების სტატისტიკური სანდოობისა და მნიშვნელობის დადგენა. მაგალითად, რამდენ შემთხვევაში იქნა დადგენილი კავშირი პარანოიასა და ჰომოსექსუალობას შორის; ან ისტერიასა და მოზრდილთან ორალურ სტადიაზე ფიქსაციას შორის; რა განზომილებებისა და კრიტერიუმების საფუძველზე მიეკუთვნება შემთხვევა ამა თუ იმ კლინიკურ კატეგორიას? ადარებდა ან ამოწმებდა თუ არა თავის ინტერპრეტაციებს სხვა, გამოცდილი ანალიტიკოსის ინტერპრეტაციებს, რათა დაედგინა თავისი დასკვნების სანდოობა?

5. ფროიდის ზოგიერთ კრიტიკოსს იმაშიც შეაქვს ეჭვი, თუ რამდენად აკმაყოფილებს ფროიდის თეორია მეცნიერული თეორიის მოთხოვნებს: იყო თუ არა პაციენტის თავისუფალი ასოციაციები ნამდვილად თავისუფალი, თუ ის ამბობდა იმას, რაც ფროიდს უნდოდა გაეგონა. ფროიდის უნივერსალობის პრეტენზიის მქონე პიროვნების თეორია არატიპიურ პაციენტთა ძალიან მცირე ჯგუფის მონაცემთა საფუძველზე ხომ არ შექმნა? ეს კითხვები თეორიის ვალიდობის მიმართ დაისმის.

6. ფროიდს აკრიტიკებდნენ მისი ენერგეტიკული მოდელის გამოც. როგორც აღრეც აღვნიშნეთ, ენერგეტიკული სისტემის იდეა ფროიდთან იყო გამოძახილი იმდროინდელ ბუნებისმეტყველებაში გაბატონებული შეხედულებებისა. ახლა ეს მოდელი უკვე მოძველებულია და გამოკვლევები მის არაადექვატურობაზე მიითითებენ. ადამიანი ყოველთვის არ მიისწრაფის დაძაბულობის შემცირებისკენ. ზოგჯერ სტიმულაცია და დაძაბვა ძალიანაც სასურველია ხოლმე. ამავე დროს, პიროვნების ფსიქოლოგიაში შემორჩენილია ინტერესი ფიზიოლოგიურ ლტოლვებზე დაფუძნებულ მოტივაციის მთლიანობითი მოდელის მიმართ. მაგრამ როგორც პერვინი აღნიშნავს, ენერგეტიკული მოდელი უფრო მეტაფორაა პიროვნების ფუნქციონირებისთვის და არა ამხსნელი პრინციპი.

7. თეორია „ცუდია“ იმის გამო, რომ ბევრ მის პოსტულატს არ აქვს ემპირიული გამოსავალი. მაგალითად, რა ემპირიული გამოსავალი შეიძლება ჰქონდეს სიკვდილისკენ სწრაფვას? ეს უბრალოდ „მეტაფიზიკურ უკუნეთში ჩაძირვის სურვილია“, რომელსაც არაფერი საერთო აქვს მეცნიერებასთან. Xოლო თუ სუიციდის ან უბედური შემთხვევებს დავასახელებთ ემპირიულ ფენომენებად, ეს „პოსტფაქტუმ“ ახსნა იქნება და ასეთ ახსნას არავითარი ღირებულება არ აქვს. ეს იგივეა, დოდის დამთავრების შემდეგ დავდოთ ფსონი ცხენზეო,— ამბობენ კრიტიკოსები.. ფსიქონალიზი არ იძლევა მოცემულ სიტუაციაში ქცევის წინასწარმეტყველების შესაძლებლობას

8. გაუგებარია, როგორ შეიძლება რაოდენობრივი განსხვავებების განსაზღვრა: რამდენად ინტენსიური უნდა იყოს განცდა, რომ ტრავმატული აღმოჩნდეს. ან რამდენად სუსტი უნდა იყოს ეგო, რომ იგი ინსტინქტურმა იმპულსებმა გადაფაროს

9. კრიტიკოსებს ხშირად აღიზიანებთ ის არგუმენტები, რითაც ფსიქონალიტიკოსები იცავენ თავის თეორიას. ისინი თვითონ კრიტიკოსებს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათი (კრიტიკოსების) დაცვის მექანიზმები არ აძლევთ უფლებას აღიარონ და მიიღონ ისეთი ფაქტორების მოქმედება, როგორცაა, მაგალითად, ბავშვის სექსუალობა.

ფროიდისთვის ბევრი ზემოთმოყვანილი შენიშვნა ცნობილი იყო. ის აცნობიერებდა იმას, რომ სამეცნიერო მუშაობის დაწყებით ეტაპებზე, როდესაც ხდება ფენომენების აღწერა, მთელი რიგი უზუსტობების დაშვება გარდაუვალია. გარდა ამისა, იცოდა იმ სირთულეების შესახებ, რაც ფსიქონალიზური იდეების ქცევის წინასწარმეტყველებისთვის გამოყენებას მოყვებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ ანალიტიკოსი უსაფრთხოდ გრძნობსდ თავს, როდესაც ქცევას შედეგიდან უკან, მისი გამომწვევი მიზეზებისკენ მიყვება და აანალიზებს. მაგრამ თუ საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს, მოვლენათა თანმიმდევრობა ისეთი აშკარა აღარ არის. ამიტომაცაა, რომ ფსიქონალიტიკოსს უკეთ გამოსდის ახსნა, ვიდრე წინასწარმეტყველება.

ბუნებრივად ისმის კითხვა: მიუხედავად ბევრი და მნიშვნელოვანი კრიტიკული შენიშვნისა, ფსიქონალიზი რატომ არ მიეცა დავიწყებას და რითი უნდა აიხსნას მისი ასეთი მაღალი სტატუსი თანამედროვე სამყაროში?

პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ პიროვნების ემპირიული თეორიები საკმაოდ სუსტია და მეცნიერული თვალსაზრისით საკმარისად გამართულნი არ არიან. ფსიქოლოგიას ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი იმისთვის, რომ ზუსტ მეცნიერებად იწოდებოდეს. ამდენად, ფსიქოლოგს შეუძლია აირჩიოს თეორია სულ სხვა მიზნიდან და თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვიდრე, თეორია, რომელიც ფორმალური ადეკვატურობისა და ფაქტობრივი მონაცემების მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ფსიქოანალიზი კი იზიდავს მას აზროვნების სიახლითა და გაბედულებით, ადამიანის შესახებ შეხედულებათა სიღრმით და სიფართოვით. შეიძლება ფროიდი მეცნიერების მკაცრ და ზუსტ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, მაგრამ იგი იყო დიდი მოთმინებით აღჭურვილი, ნატიფი, ჩაღრმავებული დამკვირვებელი და შეუპოვარი, დისციპლინირებული, გაბედული და ორიგინალური მოაზროვნე. მისი თეორიის ყველა ღირსებაზე მაღლა დგას ერთი რამ – მას სურს გაუგოს ჩვეულებრივ, სიცოცხლით სავსე ადამიანებს, რომლებიც ნაწილობრივ რეალურ სამყაროში, ნაწილობრივ წარმოსახულში არსებობენ. ისინი შინაგანი კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით არიან მოცულნი, მაგრამ გონიერი აზრები და მოქმედებებიც ხელეწიფებთ. მათ დაუოკებელი სწრაფვები და ამოუცნობი ძალები ამოძრავებთ, ხან ნათლად, ხან ბუნდოვნად აზროვნებენ; ხან ფრუსტრირებულები, ხან კი კმაყოფილები არიან, ხან იმედით აღსავსენი, ხან იმდგაცრუებულნი, ხან ეგოისტურები, ხან ალტრუისტები. ერთი სიტყვით, ფროიდს „თვალეში უნდა ჩახედოს ამ ადამიანებს“. ამას კი ბევრისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ფსიქოლოგებმა მოახერხეს ზოგიერთი ფროიდისეული დებულების ექსპერიმენტული შემოწმება და დადასტურება. მაგალითად, ვაინბერგერის ექსპერიმენტი განდევნაზე - დაცვის მექანიზმზე (გაიხსენეთ ლექცია).

კარლ როჯერსის ჰუმანისტური თეორია.

შესავალი

“თქვენ პირველ პაემანზე მიდიხართ და, ბუნებრივია – დელავთ. დელა გეუბნებათ: “იყავი ისეთი, როგორიც ხარ”. თქვენ კი გინდათ თქვენს მეგობარზე შთაბეჭდილება მოახდინოთ და მოეწონოთ. სწორედ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო სურვილებში – იყოთ ისეთი, როგორიც ხართ და თავიც მოაწონოთ, დევს როჯერსის პიროვნების თეორიის გასაღები. მისი მიდგომა კლინიკურია, იდიოგრაფიული, ამავე დროს ფენომენოლოგიური, რადგან ინდივიდის ფენომენოლოგიურ სამყაროზე ახდენს კონცენტრაციას, იმაზე, თუ როგორ აღიქვამს და განიცდის ადამიანი თავის მე-სა და გარე სამყაროს. როჯერსის თეორია ჰუმანისტური მოძრაობის ნაწილია, სადაც პირველ პლანზე წამოწეულია ადამიანის ზრდის პოტენციალის რეალიზაცია.” (პერვინი)

როჯერსი **ჰუმანისტური თეორიის** წარმომადგენელია. განსხვავებით ფსიქოანალიზისგან, რომელიც ადამიანის მიმართ პესიმიზმითა და უიმედობით ხასიათდება, ჰუმანისტური თეორია ოპტიმისტურია, იგი ადამიანის, მისი მამოძრავებელი ძალებისადმი პოზიტიურად და იმედით არის განწყობილი. სჯერა, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია ჯანმრთელი და შემოქმედებითი ზრდის პოტენციალი. თუ ფსიქოანალიზისთვის განვითარება თვით პიროვნებაზე არ არის დამოკიდებული და მას “ბნელი” არაცნობიერი ძალები მართავენ, როჯერსის ჰუმანისტურ თეორიაში მაშინაც კი, თუ ადამიანში ჩადებული განვითარების პოტენციალის რეალიზაცია ვერ მოხდა, (რაც მშობლების არასწორი აღზრდისა და სხვა მავნე ზეწოლების შედეგია), ეს შეფერხება შეიძლება დაიძლიოს, რადგან ადამიანს შეუძლია თვითონ აიღოს პასუხისმგებლობა თავის თავზე. როჯერსის ერთ-ერთი მთავარი თეზაა: ადამიანი თვითრეალიზაციის მიმართულებით მოძრაობს და იცვლება.

ამავე დროს, როჯერსი თავისი თეორიით **ფენომენოლოგიური** თეორიის წარმომადგენელიცაა. როჯერსის თვალსაზრისზე გავლენა მოახდინა ფენომენოლოგიამ, ფილოსოფიის დარგმა, რომელიც ეფუძნება უშუალო გამოცდილებას და აღქმას ინტერპრეტაციების გარეშე. როჯერსი ფენომენოლოგიას, როგორც ადამიანის შესახებ მეცნიერების საფუძველს განიხილავდა. მისი აზრით, ფსიქოლოგიური გამოკვლევები უნდა წარმოადგენდეს მიზანდასახულ, კარგად ორგანიზებულ ქმედებას, მიმართულს

შინაგანი, სუბიექტური გამოცდილების გაგებაზე. მისი აზრით, სწორედ თერაპიის გზით მიღებული კლინიკური მასალაა ფენომენოლოგიური მონაცემების უმდიდრესი წყარო. როჯერსის მიდგომა იდიოგრაფიული ხასიათისაა და არ ნომოთეტური, რომელიც (ნომოთეტური) პიროვნებას განზომილებების, ნიშნების თუ სხვა ზოგადი საზომებით უდგება. როჯერსი ადამიანის გაგების თავის მცდელობებს ყოველთვის კლინიკური დაკვირვებებით იწყებდა, ხოლო შემდეგ ამ დაკვირვებებს ჰიპოთეზების ფორმულირებისთვის იყენებდა. ჰიპოთეზების შემოწმებას კი უფრო მკაცრი მეთოდებით ახდენდა. თერაპიას ის როგორც ინდივიდის სუბიექტურ “გამოფხიზლებას”(„შენჯღრევას“) განიხილავდა, ხოლო კვლევას კი – როგორც ობიექტურ მოქმედებას, რომელიც გარკვეულ წესებს ემორჩილება.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

რომ როჯერსის პიროვნული, ცხოვრებისეული გამოცდილება სიმპტომატურად აირეკლა მის მეცნიერულ მოღვაწეობაში და შესაბამისი მიმართულებით წარმართა მისი მეცნიერული მსოფლმხედველობა.

როჯერსი დაიბადა 1902 წელს ამერიკაში, ილინოისის შტატის დაბა ოუკ პარკში პროტესტანტი მღვდლის ოჯახში, სადაც იზრდებოდა მკაცრ რელიგიურ და ზნეობრივ ატმოსფეროში. მშობლები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვების აღზრდას და თავიდანვე შეაჩვიეს შრომას. თვითონ როჯერსი თვლის, რომ უკვე ბავშვობაში ოჯახური გარემოს გავლენით მას ორი საკითხისადმი ჩამოუყალიბდა განწყობა და ინტერესი - ეს იყო მორალური და ეთიკური საკითხები (რაც რელიგიის გავლენა იყო), ხოლო მეორე – ინტერესი ბუნებისმეტყველების (საბუნებისმეტყველო მეთოდების) მიმართ. ამ უკანასკნელის მიზეზს როჯერსი იმით ხსნის, რომ ბავშვობაში ეხმარებოდა მამას მისი იდეის განხორციელებაში აეშენებინა ფერმა მეცნიერულ მიღწევებზე დაყრდნობით, რის გამოც მან სოფლის მეურნეობის საკითხებზე სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა დაიწყო. თუ თვალს გავადევნებთ ფროიდის შემდგომ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ვნახავთ, რომ იგი ცოდნასაც, პარალელურად, ამ ორი მიმართულებით იძენს: თავიდან მან ვისკონსის უნივერსიტეტში სასოფლო სამეურნეო სპეციალობა აირჩია და ორი წელი ამ ფაკულტეტზე ისწავლა, შემდეგ კი სასულიერო მოღვაწეობის დაწყება სცადა – ჩააბარა ლიბერალურ-თეოლოგიურ სემინარიაში. მაგრამ აზიაში (ჩინეთში) 1922 წელს მოგზაურობის

დროს სხვადსხვა ეროვნების ხალხთან და სხვადსხვა რელიგიური დოქტრინების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ ეჭვი შეეპარა კონკრეტული რელიგიური დოქტრინების სისწორეში, რამაც შეასუსტა მისი ფუნდამენტალისტური რელიგიური შეხედულებები. ამიტომ მან მიატოვა სემინარია და დაიწყო მუშაობა როჩესტერში კლინიკურ ფსიქოლოგად ბავშვთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში.

როჯერსმა 1931 წელს დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტის პედაგოგიური კოლეჯი ფსიქოლოგიის განხრით და მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. სწავლის პერიოდში, ის “გაიჟდინთა”, ერთის მხრივ ფროიდის დინამიკური თეორიის იდეებით და, მეორეს მხრივ, მკაცრი, ობიექტური, მეცნიერული, სტატისტიკური შეხედულებებით ფსიქოლოგიაზე, რომელიც დახვდა მას კოლეჯში. როჯერსმა პირველი ფსიქოთერაპიული გამოცდილება სწორედ ბავშვთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრში მიიღო და რამდენიმე წლის თავზე გამოაქვეყნა წიგნი “პრობლემური ბავშვის კლინიკური მოვლა”. ამის შემდეგ იგი ოჰაიოს უნივერსიტეტის პროფესორია, განაგრძობს მუშაობას ფსიქოთერაპიაში და მაგნტოფირზე იწერს ფსიქოთერაპიული სეანსების მიმდინარეობას. ამ მონაცემებმა და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ბიძგი მისცა როჯერსს გაენაღიზებინა თერაპევტიკა და კლიენტის ურთიერთობა, რაც მის წიგნში “კონსულტაცია და ფსიქოთერაპია (1942) აისახა კიდევ. 1945 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში როჯერსმა დააარსა საკუთარი ფსიქოთერაპევტული ცენტრი, რომლის დირექტორიც იყო 1957 წლამდე.

1951 წელს გამოვიდა როჯერსის წიგნი “კლიენტზე ცენტრირებული თერაპია”, სადაც პირველად იყო წარმოდგენილი თერაპიასთან ერთად მისი პიროვნების თეორია. წიგნში მოყვანილია გამოკვლევები, რომლებიც მის დებულებებს ასაბუთებენ: მკურნალობის პროცესში როჯერსი მთავარ ფიგურად თვლიდა პაციენტს, და არა ფსიქოთერაპევტს. ეს სიახლე იყო ფსიქოთერაპიაში, რადგან მანამდე ითვლებოდა, რომ ფსიქოთერაპევტმა ყველაფერი იცის, ხოლო პაციენტმა კი – არაფერი. როჯერსი პაციენტისადმი ნდობას სულ უფრო და უფრო გამოკვეთდა და ეს მიდგომა დეტალურად აღწერა თავის წიგნში “ადამიანის ჩამოყალიბება”(1961). როჯერსის წიგნში “ადამიანის ჩამოყალიბება” არის თავი – “ეს მეა”, სადაც როჯერსს მოცემული აქვს ადამიანებთან 25 წლიანი ფსიქოთერაპიული ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბებული რამდენიმე პრინციპი:

1. “მე აღმოვაჩინე, რომ ადამიანებთან ურთიერთობა საბოლოო ანგარიშით ვერ ხერხდება, თუ მე ისეთ ადამიანად ვაჩვენებ სხვას თავს, როგორც სინამდვილეში არ ვარ.
2. მე აღმოვაჩინე, თუ რაოდენ დიდი ღირებულებაა – უფლება მისცე თავს, გაუგო სხვა ადამიანს.
3. გამოცდილება – ჩემთვის უმაღლესი ავტორიტეტია. . . სწორედ გამოცდილებას უნდა მივუბრუნდე ხოლმე ყოველთვის, რათა ჭეშმარიტებას მივუახლოვდე; ჩვეულებრივ, ასე ხდება ჩემი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში.
4. შეიძლება სწორედ ის, რაც ჩვენში ყველაზე მეტად პირადი და უნიკალურია, ყველაზე მეტად მოქმედებს ადამიანებზე, (თუ შესაძლებლობა მოგვეცა მათთვის ამის გაზიარების).
5. პირადად ჩემი გამოცდილება მარწმუნებს იმაში, რომ ადამიანი, საბოლოო ანგარიშით მიისწრაფის დადებითი მიმართულებით განვითარებისაკენ.
6. ცხოვრება თავის საუკეთესო გამოვლინებებში – ეს არის მიმდინარე, მუდმივად ცვალებადი პროცესი, რომელშიც არაფერია გაქვავებული, დაფიქსირებული.”

როჯერსი პიროვნების თეორიასთან (აკადემიურ ფსიქოლოგიაში) პრაქტიკიდან-ფსიქოთერაპიიდან მოვიდა და ეს ორი მიმართულება თავის მოღვაწეობით ორგანულად და ლოგიკურად დაუკავშირა ერთმანეთს. “თეორია-ეს არის საქმიანობა, სადაც მე შემიძლია თავს სუბიექტურობის უფლება მივცე, ხოლო კვლევა არის სფერო, სადაც მე განზე უნდა გავდგე და ვეცადო ობიექტურად შევხედო ამ მდიდარ სუბიექტურ გამოცდილებას და გამოვიყენო მეცნიერების ელემენტური და მკაცრი მეთოდები, რათა დავადგინო, ხომ არ ვცდები?” –წერდა როჯერსი.

პიროვნების სტრუქტურა

ფენომენოლოგიური ველი

როჯერსის მიხედვით პიროვნება განცდებში მოცემულ მთელი გამოცდილების ლოკუსს წარმოადგენს. ამ განცდათა მთელი ერთიანობა ქმნის **ფენომენოლოგიურ ველს**. იგი მოიცავს ყველაფერს, რაც პოტენციურად მისაწვდომია ცნობიერებისთვის და რაც ორგანიზმში ყოველ მოცემულ მომენტში მიმდინარეობს. ”ფენომენალური ველი არის ორიენტაციის ინდივიდუალური სისტემა, რომლის შესახებაც მხოლოდ მისმა განმცდელმა

პიროვნებამ იცის”. “ემპათიური დასკვნის გარეშე მას ვერასოდეს გაიგებს სხვა, ანუ ზუსტი, სრული სახით მისი გაგება სხვის მიერ შეუძლებელია.“ ის თუ როგორ იქცევა ადამიანი, დამოკიდებულია მის ფენომენალურ ველზე (სუბიექტურ რეალობაზე) და არა გარემოს რეალობაზე. ამრიგად, ფენომენალური ველი არის თითოეული ადამიანის მიერ დანახული, “სუბიექტურ პრიზმაში გადატეხილი”, სიმბოლიზირებული რეალური სამყარო. მიტომაც, ყოველი ადამიანის ფენომენალური ველი უნიკალურია.

ფენომენალური ველი არ არის ცნობიერების ველის იდენტური. ცნობიერება ანუ ცოდნა არის ჩვენი განცდების ნაწილის სიმბოლიზაცია. ამდენად, ფენომენოლოგიურ ველს ყოველ მოცემულ მომენტში ქმნიან ცნობიერი (სიმბოლიზირებული) და არაცნობიერი (არასიმბოლიზირებული) განცდები. ამასთან, ორგანიზმს არასიმბოლოზირებულ გამოცდილებაზეც შეუძლია რეაგირება.

არის შემთხვევები, როდესაც განცდების არასწორი სიმბოლოზაცია ხდება. მაშინ ადამიანი არასწორად იქცევა. მაგრამ ადამიანს შეუძლია შეამოწმოს სამყაროს მიმართ თავისი სიმბოლიზირებული განცდები. რეალობასთან ეს გადამოწმება უმტკიცებს მას სამყაროს შესახებ სანდო ცოდნას, რაც მას რეალისტური ქცევის საფუძველს უქმნის. ზოგიერთი პერცეფციების გადამოწმება კი შეუძლებელი ხდება, ან არაადექვატურად მოწმდება, ეს კი არარეალისტურ ქცევას განსაზღვრავს და შეიძლება ზიანიც მოუტანოს ადამიანს.

მაგრამ აქ ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი კითხვა: როგორ არჩევს ადამიანი რეალობის მის მიერ ასახულ სუბიექტურ ხატს სწორად ასახულისგან? რის საფუძველზე ხდება ფაქტის საკუთარ სუბიექტური სამყაროს ფიქციისგან განსხვავება? ეს არის ფენომენოლოგიის პარადოქსი, რომლის გადაწყვეტაც როჯერსმა მოახერხა:

ის, რომ ადამიანი ფიქრობს ან განიცდის, სინამდვილეში მისთვის რეალობა არ არის. ეს მხოლოდ მისი სამუშაო ჰიპოთეზაა რეალობის შესახებ, რომელიც შეიძლება არც იყოს სწორი. ადამიანი თავს იკავებს მანამ, სანამ არ გადაამოწმებს ამ ჰიპოთეზას. გადამოწმება კი ხდება იმ ინფორმაციის, რომელსაც ჰიპოთეზა ეყრდნობა, სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასთან შედარებით და მიმართებაში მოყვანით. (გაიხსენეთ ლექციიდან სამარილის მაგალითი). აგრამ ასეთი რამ ისვიათად ხდებულებრივ, ადამიანი თავის განცდებს(აზრებს, პერცეფციებს) როგორც რეალობის ჭეშმარიტ რეპრეზენტაციებს ღებულობს და არ უყურებს, როგორც ჰიპოთეზებს. ამის

სედევი კი არის მცდარი შეხედულებები როგორც საკუთარი თავის, ისე გარე სამყაროს შესახებ.

მე (Self)-ის (მე-კონცეფციის) ცნება.

როჯერსის თეორიის ცენტრალური სტრუქტურული ცნებაა **მე-ს (Self)** ცნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინდივიდი აღიქვამს გარემოსა და საკუთარ შინაგან გამოცდილებას და გარკვეულ მნიშვნელობებს ანიჭებს მათ. სწორედ ამ წარმოდგენებისა და მნიშვნელობების ზოგადი სისტემა ქმნის ფენომენოლოგიურ ველს. ფენომენოლოგიური ველის ის ნაწილი, რომელსაც ინდივიდი უწოდებს “მე“-ს, “თვითონ”, “ჩემი” ქმნის მე-ს (Self) – მე-კონცეფციას. **მისთვის მე-კონცეფცია და სეფუ (მე) სინონიმებია.**

როჯერსი წინააღმდეგია **Self-ის I** და **□ე-დ** დაშლის (გაიხსენეთ ჯემსი), და თვლის, რომ **1. მე** ჩვენში არსებული პატარა ჯუჯა კი არ არის, რომელიც ჩვენს ქცევას აკონტროლებს. ასეთი ინსტანცია პიროვნებაში არ არსებობს. **მე** (როჯერსთან მე-კონცეფცია) არის აღქმათა ორგანიზებული კრებადობა და **2. მე** ექვემდებარება გაცნობიერებას. თუმცა ინდივიდს გაუცნობიერებელი გამოცდილებაც გააჩნია, მე-კონცეფცია, ძირითადად გაცნობიერებულია. როჯერსის აზრით, მე-ს ასეთი განსაზღვრება აუცილებელია პიროვნების შესწავლისა და გამოკვლევისთვის. მე-ში არაცნობიერი მასალის ჩადება ობიექტური მეთოდებით მის შესწავლას შეუძლებელს გახდიდაო –წერს იგი.

მე, როგორც პროცესი.

მე-კონცეფცია ერთიანი, სტრუქტურირებული, ორგანიზებული და თანმიმდევარი გეშტალტია, რომელიც სიტუაციაზე დამოკიდებულებით **მუდმივი ფორმირების და ცვლილების პროცესში იმყოფება.** გეშტალტის მსგავსად მისი ერთი ნაწილის შეცვლამ შეიძლება მთელი პატერნის შეცვლა გამოიწვიოს. „იგი აიგება მე-ს აღქმის მახასიათებლებიდან, მე-ს გარემოსთან და სხვა ადამიანებთან პერცეპტული მიმართებებიდან და აგრეთვე, იმ ღირებებულებებიდან, რომლებიც ამ აღქმებთან არის დაკავშირებული.“ (როჯერსი). თუმცა მე-კონცეფცია მუდმივად იცვლება, იგი სტრუქტურირებულობას, ორგანიზებულობას და მთლიანობას მაინც მუდამ ინარჩუნებს.

ამრიგად, განსხვავებით ბევრი თეორეტიკოსისგან, რომლებიც მე-ს როგორც პიროვნების უცვლელ, სტაბილურ ნაწილს განიხილავენ, როჯერსისთვის მე, მე-კონცეფცია პროცესია, მუდმივად ცვალებადი და არამდგრადი სისტემაა. აქედან გამომდინარეობს სწორედ როჯერსის ძირითადი თეზა, რომ ადამიანებს ზრდის

და განვითარების ჩვეულებრივი უნარი კი არ აქვთ, არამედ ეს მათი არსებითი, ბუნებრივი და განმსაზღვრელი ტენდენციაა. რომ მე-კონცეფცია არის ადამიანის მიერ საკუთარი წარსულის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, აწმყოს მოვლენებსა და მომავლის იმედებზე დაფუძნებული საკუთარი თავის შეცნობა.

იდეალური მე.

იდეალური მე არის არის მე-კონცეფცია, რომელიც ინდივიდს ყველაზე მეტად უნდა რომ ჰქონდეს. ინდივიდში არსებული კონცეპტუალური წარმოდგენაა, რომელსაც უნდა რომ შეესაბამებოდეს. როჯერსის იდეალური მე ჰგავს ფროიდის ეგო-იდეალს. იდეალური მე-ც, მე- კონცეფციიას მსგავსად, მუდმივად ცვალებადი სტრუქტურაა. თუ ადამიანის რეალური მე მნიშვნელოვნად განსხვავდება მე-იდეალისგან, იგი დისკომფორტს, დაუკმაყოფილებლობას განიცდის და შეიძლება ნევროზიც განუვითარდეს. ფსიქიკური ჯანმრთელობის ერთ-ერთი ნიშანია საკუთარი თავის ადექვატური აღქმის უნარი და კომფორტულად თავისი თავის განცდა. იდეალური-მე არის იდეალური მოდელი, რომლისკენაც ინდივიდი მიისწრაფის. ხოლო თუ იდეალური მე-სა და ადამიანის რეალურ ქცევასა და მისი ღირებულებებით სისტემას შორის ძალიან დიდი განსხვავება აღმოჩნდა, ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მის პიროვნულ ზრდასა და განვითარებას.

პიროვნების დინამიკა

როჯერსის მიხედვით ადამიანს ერთადერთი მოტივი, ერთადერთი ძირითადი ტენდენცია ამოძრავებს – “მოახდინოს საკუთარი თავის აქტუალიზაცია, თვითდამკვიდრება და გაძლიერება.”

აქტუალიზაციის ტენდენცია გააჩნია ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს. ეს არის ზრდის, განვითარების, დამოუკიდებლობის, თვითგამოხატვის, ყველა თავისი შესაძლებლობების ამოქმედების **უნივერსალური, იმპერატიული ტენდენცია**. როგორც მცენარის თესლშია მოცემული მომავალში შესაბამის დეკორატიულ, მსხომიარე ხედ თუ ბალახად გახდომის ორგანული პოტენცია, ასევე ადამიანი მიისწრაფის მთლიანობისკენ, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისკენ. მცენარეშიც კი ისეთი შეჭიდულობა და ნდობაა სიცოცხლის მიმართ, რომ უკიდურესად მტრულ გარემოშიც კი აქვს უნარი არა მხოლოდ გადარჩეს, არამედ შეეგუოს, განვითარდეს და თავისი იგივეობა შეინარჩუნოს. მაგრამ ადამიანს ცხოველისგან განსხვავებით არ შეუძლია თვითაქტუალიზაცია, თუ ერთმანეთისგან ვერ არჩევს ქცევის განხორციელების პროგრესულ და

რეგრესულ გზებს. ალტერნატივების წინაშე მდგომ ადამიანს უნდა ჰქონდეს ცოდნა, ხოლო როცა ადამიანმა იცის, ის ირჩევს ზრდას და არა რეგრესს. თუმცა როჯერსი იმასაც უშვებს, რომ ზოგჯერ მოთხოვნილებას სწორ ქცევამდე მიყვებართ მაშინაც კი თუ მათი გაცნობიერება (ადექვატური სიმბოლიზაცია) არ ხდება.

ადამიანის შემთხვევაში აქ ორ მომენტს უნდა მივაქციოთ ყურადღება და გამოვეყოთ: ერთის მხრივ, ეს არის ერთი ძირითადი მოტივაციური ძალა – **სწრაფვა აქტუალიზაციისკენ**, ხოლო მეორეს მხრივ, ცხოვრების ძირითადი მიზანი – **გახდეთ თვითაქტუალიზირებული**, მთლიანი (სრულყოფილი) პიროვნება. **თვითაქტუალიზაციის მოტივი** აქტუალიზაციის ტენდენციის შემადგენელია, ოღონდ – ცნობიერი ნაწილია.

აქტუალიზაციის ტენდენცია არის პიროვნების მოტივაციის ძირითადი წყარო. მიუხედავად იმისა, რომ ის სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს, ის თავის ძირითად არსს ინარჩუნებს.

ყოველი პიროვნების კრავს აქტუალიზაციის ტენდენცია წარმოადგენს, მაგრამ მიუხედავად მისი უნივერსალიზაციისა, თითოეულ პიროვნებაში ის უნიკალური ფორმით ვლინდება.

აქტუალიზაციის ტენდენცია პიროვნების კონსტანტური, უცვლელი, მიდმიემოქმედი ძალაა, რომელიც დაბადებიდან დაყვება ადამიანს და სიკვდილამდე გასდევს.

აქტუალიზაციის ტენდენციას ყოველი პიროვნება ერთადერთი მიმართულებით - მთლიანობისა და სრულყოფილებით მიჰყავს.

მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ცნობიერების არსებობა აძლიერებს აქტუალიზაციის ტენდენციას. გადაწყვეტილების გამოტანის და ქცევის არჩევის შესაძლებლობა განასხვავებს მას სხვა ცოცხალი არსებებისგან.

ფსიქოანალიზისგან განსხვავებით, სადაც დაძაბულობის რედუქციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, აქტუალიზაციის ტენდენცია დაძაბულობის განტვირთვას არ ემსახურება. ეს არის ძალა, რომელიც ხელს უწყობს აქტუალიზაციისკენ დადებით სწრაფვას.

აქტუალიზაციის ტენდენციეს აგრონომიისკენ მიჰყავს ადამიანი და არიდებს საზოგადოებრივ, ნორმატულ და კულტურულ გავლენებს. აქედან გამომდინარე აქტუალიზაციის ტენდენცია განსაზღვრავს პიროვნების ქცევის და ზრდების დამოუკიდებლობას.

აქტუალიზაციის ტენდენცია პიროვნებას დადებითი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოქმედებებისკენ არის მიმართული.

როჯერსი VS ფროიდი

თუ ფროიდისთვის პიროვნების ყველაზე მეტად არსებითი კომპონენტები ფიქსირებული და სტაბილურია, როჯერსი ცვლილებაზე აკეთებს აქცენტს და მხოლოდ რამდენიმე სტრუქტურულ ცნებას იყენებს.

თუ ფროიდი პიროვნებას, როგორც ენერგეტიკულ სისტემას განიხილავს და მისი დინამიკური თეორია მოწოდებულია იმისთვის, რომ ახსნას თუ როგორ ხდება ენერჯის განტვირთვა, ტრანსფორმაცია ან შეკავება, **როჯერსისთვის** პიროვნებაში მთავარი მამოძრავებელი ძალა თვითაქტუალიზაციაა

თუ ფროიდი ხაზს უსვამს ლტოლვათა როლს, **როჯერსისთვის** მოტივაციის ცნება მამოძრავებელი ლტოლვების გაგებით, საერთოდ არ არსებობს. მათ ადგილს თვითაქტუალიზაციის ტენდენცია იჭერს: “ ორგანიზმს აქვს ერთადერთი ძირითადი ტენდენცია და ერთადერთი სწრაფვა - მოახდინოს საკუთარი თავის აქტუალიზაცია, შენარჩუნება და გაფართოება”.

ორგანიზმი მისწრაფის არა სიამოვნების მიღებისა და ტკივილის –უსიამოვნების აცილებისკენ, არამედ საკუთარი მე-კონცეფციის შენარჩუნებისკენ. ინდივიდი ისეთ ღირებულებათა სისტემას ქმნის, რომლის ცენტრშიც მე-ს ღირებულება დგას. ინდივიდი ისე მოქმედებს, რომ მისი ქცევა მის მე-კონცეფციას შეესაბამებოდეს.

კონგრუენტულობა – არაკონგრუენტულობა

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ როჯერსი ძალიან იყო დაინტერესებული მის მიერ შემოტანილი ცნებების ოპერაციონალიზაციით, მან ვერ შექმნა თვითაქტუალიზაციის გასაზომი ინსტრუმენტი. მოგვიანებით ამ ამოცანის შესრულება სხვა ავტორებმა სცადეს. სამაგიეროდ მისი თეორიის განვითარებისა და ექსპერიმენტისთვის უფრო არსებითი აღმოჩნდა როჯერსის მიერ შემოტანილი კონგრუენტულობის ცნება.

როჯერსი არ ჰყოფს ადამიანებს ადაპტირებულებად ან არაადაპტირებულებად, ავადმყოფებად და ჯანმრთელებად, ნორმალურებად და არანორმალურებად. (ამიტომაც პაციენტის ცნების ნაცვლად კლიენტის ცნებას ხმარობს). მისთვის მნიშვნელობა აქვს, რამდენად აქვს ადამიანს უნარი თავისი რეალური სიტუაციის აღქმისა. ამიტომაც მას შემოაქვს “შესაბამისობის” (კონგრუენტობის) ცნება, რომელიც აღნიშნავს ზუსტ შესატყვისობას გამოცდილებასა, კომუნიკაციასა და გაცნობიერებას შორის.

კონგრუენტულობის მაღალი დონე ნიშნავს, რომ კომუნიკაცია (ის, რასაც ადამიანი მეორეს ატყობინებს), გამოცდილება (ის რაც ხდება) და გაცნობიერება (ის, რასაც ადამიანი ამჩნევს –სიმბოლოზაციას ახდენს) მეტ-ნაკლებად ერთმანეთის ადექვატურნი არიან. როდესაც ადამიანს კონგრუენტულობის მაღალი დონე გააჩნია, ეს იმას ნიშნავს, რომ თვით ამ ადამიანის და მასზე უცხო დამკვირვებლის აზრები ერთმანეთს ემთხვევა.

მაგალითად, არაკონგრუენტულობა ვლინდება, როდესაც ადამიანი გაჯავრებული გამოიყურება (მუშტებს კუმშავს, ყვირის, ჩხუბობს), მაგრამ

ამტკიცებს, რომ არ არის გაჯავრებული. ან ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ შესანიშნავად ატარებს დროს, მაგრამ სინამდვილეში მოწყენილია, მარტობას ან უხერხულობას განიცდის. მ.შ. არაკონგრუენტულობა არის ადამიანის უუნარობა ზუსტად აღიქვას რეალობა, უუნარობა ან სურვილის არქონა თავისი გრძნობების სხვისთვის გამჟღავნების ან ორივე ერთად.

განსასხვავებენ ა/ მე-კონცეფციის შინაგან კონგრუენტულობას და ბ/ მე-სა და სუბიექტურ გამოცდილებას შორის კონგრუენტულობას. როჯერსის მიხედვით, ორგანიზმი მოქმედებს, რათა შეინარჩუნოს შეთანხმებულობა (უკონფლიქტო მდგომარეობა) ა/მე –კონცეფციაში მე-ს შესახებ სხვადასხვა ხატებს შორის, ერთის მხრივ, და ბ/კონგრუენტულობა მე-კონცეფციასა და გამოცდილებას შორის, მეორეს მხრივ. “უფრო ხშირად ორგანიზმი მოქმედების სწორედ იმ საშუალებებს ითვისებს, რომლებიც მე-კონცეფციას ეთანხმება”.

შინაგანი შეთანხმებულობის ცნება ლიკმა შემოიტანა, რომლის მიხედვითაც ადამიანი მიისწრაფის არა სიამოვნების მიღებისაკენ და ტკივილის აცილებისკენ, არამედ საკუთარი მე-კონცეფციის შენარჩუნებისკენ. ინდივიდი ღირებულებათა ისეთ სისტემას ქმნის, რომლის ცენტშიც მე-ს ღირებულება დგას. ინდივიდი ისე უკეთებს ორგანიზაციას თავის ფუნქციებს და ღირებულებებს, რომ მისი მე-ს სისტემის შენარჩუნება მოხდეს და ისე მოქმედებს, რომ მისი ქცევა მის მე-კონცეფციას შეესაბამებოდეს (ეს ქცევა მეტი არაფრითაც რომ არ ჯილდოვდებოდეს). მაგალითად, თუ თქვენ თავს მაინცდამაინც დიდად ნასწავლ ადამიანად არ თვლით, ჩვეულებრივ იქცევით კიდევაც ამ თქვენი თვითაღქმის შესაბამისად, და არ აკეთებთ ისეთ საქმეებს, რაც განსწავლული ადამიანისთვის არის ჩვეულებრივი.

შინაგანი შეთანხმებულობის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, როჯერსი გამოყოფს მე-სა და სუბიექტურ გამოცდილებას შორის კონგრუენტულობის მნიშვნელობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ცდილობს შეუთანხმოს (დაამთხვიოს) ერთმანეთს რას გრძნობს, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, როგორ ხედავს თავის თავს. მაგალითად, თუ კეთილგანწყობილ ადამიანად თვლის თავის თავს და ამავე დროს ადამიანების მიმართ ასეთივე დამოკიდებულებას გრძნობს თავის თავში, ეს მის კონგრუენტულობაზე მიუთითებს. მაგრამ ინდივიდი არაკონგრუენტულ მდგომარეობაშია, თუ განსვლა-შეუსაბამობა არსებობს მის მე-სა და აქტუალურ სუბიექტურ გამოცდილებას შორის. მაგალითად, თვლის თავს კეთილ და შემწყნარებელ ადამიანად და განიცდის ვიღაცის მიმართ სიძულვილს.

და კიდევ ერთი სახის კონგრუენტულობასთან გვაქვს საქმე როჯერსისი თეორიაში, ეს არის შეაბამისობა მე-სა და იდეალურ მე-ს შორის. ამ შესაბამისობის გაზომვის მეთოდის შესახებ იხ. ქვევით.

არაკონგრუენტულობა და დაცვის პროცესები.

რას აკეთებს ადამიანი, როდესაც ის არაკონგრუენტულ მდგომარეობას განიცდის, ანუ როდესაც განსვლაა მის მე-სა (მე-კონცეფციასა) და აქტუალურ სუბიექტურ გამოცდილებას შორის, რათა შეინარჩუნოს შეთანხმებულობა – კონგრუენტულობა? მაგალითად, თუ თქვენ თქვენ თავს თვლით ადამიანად, რომელსაც არ შეუძლია სიძულვილი, და უცებ, რაღაც სიტუაციაში იგრძნობთ სიძულვილს ვიღაცის მიმართ, თქვენ არაკონგრუენტულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. ეს მდგომარეობა განიცდება, როგორც შინაგანი დაძაბულობა, შინაგანი დისკომფორტი. თუ არაკონგრუენტულ მდგომარეობაში ხართ, მაგრამ ამას ვერ აცნობიერებთ, შეიძლება გაჩნდეს შფოთვა. ამ შფოთვის მიზეზი სწორედ განსვლა იქნება თქვენს სუბიექტურ გამოცდილებასა და თქვენს მე-ს შორის. ამრიგად, ადამიანს, რომელიც თავისი მე-კონცეფციის მიხედვით არასოდეს განიცდის სიძულვილს, ყოველთვის ექნება შფოთვის განცდა, როდესაც კი იგრძნობს ვინმეს მიმართ სიძულვილს.

უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ ვიცით ჩვენი სუბიექტური მდგომარეობის შესახებ და ვაცნობიერებთ მას. მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ამ გამოცდილების რაღაც ნაწილი კონფლიქტში შედის მე-კონცეფციასთან და ჩნდება მისი ცნობიერებაში ამოსვლის მუქარა.. სუბცესსიის (ქვეცნობიერი აღქმის) პროცესის საფუძველზე ჩვენ მანამდე ვიგრძნობთ ამ მუქარას, სანამ ის ცნობიერებას მიაღწევდეს და არ ვუშვებთ მას ცნობიერებაში. სწორედ ეს რეაქციის იმ გამოცდილების გაცნობიერების მუქარაზე, რომელიც მეს-თან კონფლიქტს შეიცავს, არის **დაცვის რეაქცია**. მრიგად, ჩვენ ვიყენებთ დაცვის რეაქციას და ვცდილობთ არ დავუშვათ სუბიექტური გამოცდილების იმ ელემენტების გაცნობიერება, რომლებიც აღიქმება, როგორც მე-კონცეფციისადმი არაკონგრუენტულნი.

გამოყოფენ ორი სახის დაცვით რეაქციას: **1. გამოცდილების უარყოფა**
2. სუბიექტური გამოცდილების მნიშვნელობის დამახინჯება.

უარყოფა ემსახურება იმას, რომ ინდივიდი მუქარისგან და არ დაუშვას მისი ცნობიერებაში გამოვლენა.

დამახინჯების შემთხვევაში კონფლიქტის ცნობიერებაში დაშვება ხდება, მაგრამ ისეთი ფორმით, რომელსაც მე-კონცეფცია ეთანხმება. მაგალითად, თუ მე

კონცეფციაში ინდივიდი თავს მიაწერს რომ არის ცუდი სტუდენტი, ეს ნიშანი მის მე-კონცეფციასთან კონგრუენტული რომ გახდეს – მახინჯდება და სტუდენტმა შეიძლება თქვას, რომ „პროფესორმა“ ან “უბრალოდ გამიმართლა“. ლოგორც ვხედავთ, მთავარია, შინაგანი შეთანხმებულობა იყოს მიღწეული. ის, რაც სხვა შემთხვევაში შეიძლება დადებითი გამოცდილება ყოფილიყო, ახლა შფოთვის და დაცვის მექანიზმის ამოქმედების სტიმული ხდება. სხვა სიტყვებით, სიტუაციის გასაღები სწორედ სუბიექტურ გამოცდილებასა და მე-კონცეფციას შორის მიმართება ხდება.

უპირობო დადებითი შეფასება.

თუმცა ადამიანს აქვს თანდაყოლილი ტენდენცია აქტუალიზაციისა და თვითაქტუალიზაციისა, ის მაინ სოციალურ გარემოში ცხოვრობს და საკმაო გავლენას განიცდის გარემოსა და განსაკუთრებით სოციალური გარემოცვის მხრიდან. როჯერს ადამიანის ცხოვრება განვითარების პერიოდებად – ეტაპებად ფროიდის მსგავსად არ დაუყვია. აგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, თუ როგორ და რატომ უწყობენ ხელს, განსაკუთრებით ბავშვობაში, სხვათა შეფასებები ორგანიზმისა და მე-ს განცდებს შორის განსვლას.

თუ ეს შეფასებები, ძირითადად, დადებითია, რასაც როჯერსი **“უპირობო დადებით დამოკიდებულებას”** უწოდებს, მაშინ ორგანიზმსა და მე-ს შორის არაკონგრუენტულობას ადგილი არ აქვს. (ბავშვმა უნდა იგრძნოს, შეიძლება ითქვას, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ის ‘უპირობოდ’ უყვართ და არა იმიტომ, რომ მაგალითად, კარგად მოიქცა, ან ზრდილობიანი იყო, და მასწავლებელმა შეაქო ან უფროსს ადგილი დაუთმო).

მაგრამ რამდენადაც ბავშვის ქცევის შეფასება მშობლების თუ სხვა ადამიანთა მხრიდან არა მხოლოდ დადებითი, არამედ უარყოფითიცაა, ბავშვი იწყებს გარჩევას კარგ მოქმედებებსა და გრძნობებს(უწონებენ) და ცუდ მოქმედებებსა და გრძნობებს შორის (არ უწონებენ). რასწორ განცდებს აქვთ ტენდენცია მე-კონცეფციიდან განდევნისა, მაშინაც კი თუ ორგანიზმის თვალსაზრისით ისინი ვალიდურია. მის სედეგად მე-კონცეფციაში ორგანიზმული (რეალური) განცდები აღარ შედის. ბავშვი ცდილობს გახდეს ისეთი, როგორსაც მისგან მოითხოვენ, და არა ისეთი, როგორიც არის. როჯერსის სიტყვებით: “ბავშვი აფასებს გამოცდილებას დადებითად ან უარყოფითად მხოლოდ და მხოლოდ ამ მიმდებლობის პირობების მიხედვით და არა იმიტომ, რომ გამოცდილება აძლიერებს ან არ აძლიერებს ორგანიზმს”.

მაგალითად: პატარა ბიჭს აქვს თავის შესახებ, როგორც კარგი ბავშვის შესახებ წარმოდგენა, რომელიც უკვართ მის მშობლებს. მაგრამ ამავე დროს, მას უყვარს თავისი დის წვალება, რისთვისაც მას სჯიან. დასჯის შედეგად მას უხდება გადახედოს თავის მე-ს შესახებ წარმოდგენებს და შეცვალოს შემდეგნაირად: ა) მე ცუდი ბიჭი ვარ, ბ) ჩემს მშობლებს მე არ ვუყვარვარ, გ) მე არ მომწონს ჩემი დის წვალება. თითოეული ეს დამოკიდებულება სეიძლება შეიცავდეს სინამდვილის დამახინჯებას. დაეუშვათ, ის ღებულობს შეფასებას – “მე არ მომწონს ჩემი დის წვალება“, მაგრამ ამით ის თავის რეალურ გრძნობებს უარყოფს. უარყოფა გრძნობების გაქრობას არ ნიშნავს. ისინი სხვადასხვა გზით მის ქცევაზე იმოქმედებენ, თუმცა- არაცნობიერად. ჩნდება კონფლიქტი გაშინაგნებულ (ინტროეცირებულ) , მაგრამ მცდარ ცნობიერ ღირებუ ღებასა და „ჭეშმარიტ“ არაცნობიერს შორის. რაც უფრო მეტი ასეთი „ჭეშმარიტი“ ღირებუ ღებებს ჩანაცვლება ხდება სხვებისგან გადმოღებული ღირებუ ღებებით, რომლებიც როგორც საკუთარი განიცდება, მე ნგრევას იწყებს. ასეთ ადამიანს ექნება დაძაბუ ღობის და დისკომფორტის განცდა.

გორდონ ოლპორტის პიროვნული ნიშნის თეორია

გასული საუკუნის 30-იანი წლებში, როდესაც ფსიქოლოგები ბიჰევიორიზმის ობიექტისტური და მკაცრი კვანტიფიკაციის (რაოდენობრივი ანალიზის) პოზიციასა და არაცნობიერი მოტივაციის აღიარებას შორის აკეთებდნენ არჩევანს, გორდონ ოლპორტი თავის საკუთარ, ორიგინალურ გზას მიუყვებოდა და ცალკეული პიროვნების, მისი ინდივიდუალობის თვისობრივი შესწავლის აუცილებლობას ამტკიცებდა და ხაზს უსვამდა ცნობიერ მოტივაციას.

ოლპორტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოხდინეს ვილიამ შტერნმა, უილიამ ჯემსმა და უილიამ მაკდაუგოლმა. მისი ფსიქოლოგია ამერიკული და ევროპული ფსიქოლოგიური გამოცდილების ნაზავია. **შტერნის** გავლენით ის სკეპტიკურად განეწყო ფსიქოლოგიაში ბუნებისმეტყველური მეთოდების გამოყენებისადმი, მაგრამ შეისისხლხორცა ინტერესი ინდივიდის უნიკალობისადმი და აღიარა პიროვნებისა და ქცევის კონგრუენტულობა. **ჯემსის** შრომებმა ასახვა ჰპოვა მის ჰუმანისტურ ორიენტაციისა და მე-ს მიმართ ინტერესის ჩამოყალიბებაში. წერის ბრწყინვალე სტილითაც იგი ჯემსს ჰგავს. **მაკ-დაუგალის** ფსიქოლოგიასთან კი მას აახლოებს მოტივაციური ცვლადების მიმართ განსაკუთრებული ინტერესი, გენეტიკური და კონსტიტუციური ფაქტორების მნიშვნელოვანი როლის აღიარება და ეგო-ს წარმოდგენების გამოყენება.

ოლპორტი არ იყო ნომოტეტიკური მიდგომის წინააღმდეგი, (როგორც ზოგჯერ ფიქრობენ ხოლმე), მაგრამ, ამავე დროს, იდეოგრაფიული ხასიათის კვლევებს აუცილებლობაზე მიუთითებდა. (ამ უკანასკნელს ის მორფოგენეტიკურ კვლევებს უწოდებდა) და თვითონაც ცდილობდა ყოველი კონკრეტული ადამიანის დაწვრილებით გამოკვლევას. თუ ნომოტეტიკური მეთოდები მონაცემებს ადამიანთა ჯგუფის (ბევრი ადამიანის) გამოკვლევით იღებენ, მორფოგენეტიკური მეთოდები ცალკეული ადამიანის მონაცემების შესწავლაზეა მიმართული. მორფოგენეტიკურმა მეთოდებმა შეიძლება დიდი ინფორმაცია გამოავლინონ ერთი ადამიანის შესახებ, რომელიც შემდეგ შეიძლება სხვა ადამიანებზეც იქნას გადატანილი და განზოგადებული. ნომოტეტიკური მეთოდები კი იღებენ ინფორმაციას ბევრი ადამიანის შესახებ, მაგრამ მას მხოლოდ გარკვეული (არა დიდი) მნიშვნელობა ჰქონდეს ცალკეული ინდივიდისთვის.

ოლპორტი პარტიკულარიზმის წინააღმდეგი იყო (ანუ თეორიებისა, რომლებიც მხოლოდ ერთადერთ მიდგომას ცნობდნენ) და აფრთხილებდა

მეცნიერებს, რომ □ არ დაევიწყათ ის, რასაც უარყოფდნენ□. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთი თეორია, ოლპორტის აზრით, არ შეიძლება იყოს ამომწურავი, და რომ ვერც ერთი ცალკე აღებული თეორია ვერ დაიტევს და ვერ შეიძლება სრულად ადამიანის ბუნების ასხნას. ოლპორტი აღიარებდა ფროიდის, კეტელის, სკინერის დამსახურებას, მაგრამ თვლიდა, რომ მათ თეორიებსაც არ შეუძლიათ ასხნან მზარდი და მუდმივად ცვალებადი ადამიანის ქცევა. მასლოუს და როჯერსის აქტუალიზაციის და განვითარების თეორიამ, თვით ოლპორტის თეორიამაც თავისი, ახლებური ხედვა დაუმატეს იმ საძირკველს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ფსიქონაალიზმა და სწავლის თეორიამ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის ამომწურავი. სწორედ ამიტომაც ოლპორტი პარტიკულარიზმთან შედარებით უპირატესობას ეკლექტიზმს ანიჭებდა, რადგან ეს უკანასკნელი ნაკლებად ითხოვს შეზღუდვებს და იმედს უფრო უნიკალური და მთლიანი პიროვნების გაგებაზე ამყარებს.

პიროვნების ცნება

ოლპორტის თეორიის ცენტრალური ცნება პიროვნებაა. ეს არის ინსტანცია, რომელიც ორგანიზებას უკეთებს მთელ სამყაროს. ოლპორტის მიხედვით პიროვნების ყველაზე ზოგადი განსაზღვრებაა □ პიროვნება ობიექტური რეალობა□. გრეთვე: □პიროვნება არის რაღაც□ და აკეთებს □რაღაცას□ (რაღაცაში იგულისხმება რეალური რამ. დ.ფ.). პიროვნება არის ის, რაც არსებობს კონკრეტული ქცევების მიღმა თვით ინდივიდში□

იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობს პიროვნების ცნების დაზუსტებას. თავის პირველ ფუნდამენტურ წიგნში: □პიროვნება: ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია□ (1937) მან განიხილა პერსონის (პერსონა) ცნების ეტიმოლოგია, დაუკავშირა ძველბერძნულ, ეტრუსკულ, ლათინურ ძირებს; შემდეგ განიხილა სხვადასხვა სფეროსა თუ სხვადასხვა მეცნიერებაში გამოყენებული პიროვნების 49 განსაზღვრება, რომელიც 7 კლასად დააჯგუფა (ეტიმოლოგიური, თეოლოგიური, იურიდიული, სოციოლოგიური, ფილოსოფიური,) ერთმანეთთან მიმართებაში მოიყვანა, შეაჯერა და ჩამოაყალიბა პიროვნების ამომწურავი ფსიქოლოგიური განსაზღვრება:

პიროვნება არის ინდივიდის შიგნით ფსიქოფიზიკური სისტემების დინამიური ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს მის უნიკალურ შეგუებას გარემოსთან. შემდგომში ოლპორტმა განსაზღვრების ბოლო ფრაზა შეცვალა

სიტყვებით : *□განსაზღვრავს მის თავისებურ ქცევასა და აზროვნებას .* ამით ოლპორტმა ხაზი გაუსვა და გამოკვეთა თავისი შეხედულება, რომ ადამიანები უბრალოდ კი არ ეგუებიან გარემოს, არამედ გააზრებულად ურთიერთქმედებენ მასთან.

განსაზღვრების სიტყვებში *□დინამიური ორგანიზაცია* იგულისხმება პიროვნების სხვადასხვა ნაწილის ინტეგრაცია და ურთიერთკავშირი. მართალია, პიროვნების ორგანიზაცია გარკვეული შაბლონის მიხედვით ხდება, მაგრამ ეს სტრუქტურა მუდმივ ცვლილებას ექვემდებარება. სწორედ ამიტომ იყენებს სიტყვა დინამიურს ოლპორტი. პიროვნება არ არის სტატიკური სტრუქტურა, იგი მუდმივ მზარდი და ცვალებადი ხასიათისაა.

სიტყვები *ფსიქოფიზიკური სისტემები* გამოკვეთენ პიროვნების როგორც ფსიქიკური (გონიერი) ისე ფიზიკური (სხეული) ასპექტების მნიშვნელობას.

უნიკალურობა კი მიუთითებს იმაზე, რომ პიროვნება პროცესიც არის და პროდუქტიც; არსიც და ცვლილებაც; სტრუქტურაც და ზრდა-განვითარებაც.

ამრიგად, ოლპორტისთვის პიროვნება დამკვირვებლის მიერ შექმნილი კონსტრუქტი არ არის. არ არის ის არც ნიღაბი და არც მხოლოდ სხვა ადამიანის გამოჩენაზე დამოკიდებული ადამიანი. პიროვნება რეალურად არსებობს, რომელსაც თანმხლები ნერვული და ფიზიოლოგიური პირობები გააჩნია.

პიროვნებას და ხასიათს ხშირად, როგორც სინონიმებს ხმარობენ. ოლპორტისთვის ხასიათი შეფასებითი კატეგორიაა. Xასიათის აღწერისას ხშირად გამოიყენება სიტყვები *□კარგი, ცუდი□*. ამიტომ ხასიათი უფრო ეთიკური ცნებაა და *□სჯობს ხასიათი განვსაზღვროთ, როგორც შეფასებული პიროვნება, ხოლო პიროვნება კი □ხასიათო შეფასების გარეშე□-წერს ოლპორტი.*

ტემპერამენტსაც და პიროვნებასაც ხშირად ერთი მნიშვნელობით ხმარობენ, რაც ასევე არ არის სწორი. ტემპერამენტი დაკავშირებულია ისეთ დისპოზიციებთან, რომლებიც ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ დეტერმინანტებს უკავშირდება, და შესაბამისად განვითარების პროცესში შედარებით ნაკლებად იცვლება. ამ შემთხვევაში მემკვიდრეობა უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე პიროვნების სხვა ასპექტები.

პიროვნული ნიშანი

პიროვნული ნიშანი, ოლპორტის მიხედვით, არის ისეთი ნეიროფსიქოლოგიური სტრუქტურა რომელსაც ძალუძს გარდაქმნას მრავალი სტიმული ფუნქციონალურ ექვივალენტად; და აგრეთვე, გამოიწვიოს და

განსაზღვროს ექვივალენტური ქცევის (შედარებით სტაბილური) ფორმები და სტილი

სხვა სიტყვებით კი - ნიშანი ეს არის პიროვნების წინასწარი განწყობა-მზაობა იმისათვის, რომ განახორციელოს მსგავსი ქცევა სხვადასხვა სიტუაციაში. ეს ნიშნები ყალიბდებიან და ვითარდებიან სიტუაციებს შორის მსგავსებების აღმოჩენის საფუძველზე. მაგ. თუ ჩვენ მრავალ სიტუაციას ერთსა და იმავე მნიშვნელობას მივანიჭებთ, მაშინ, შესაბამისად, მსგავსი რეაქციაც გვექნება ყველა მოცემული სიტუაციის მიმართ. ამავე დროს შესაძლებელია რომ ნიშანი თავადაც ქმნიდეს და იწვევდეს სიტუაციას, სადაც მას სრულფასოვანი გამოძვლავნების საშუალება მიეცემა.

პიროვნული ნიშანი ქცევის როგორც მახასიათებელია. პიროვნული ნიშანი ხასიათის თავისებურებას გამოხატავს ან უნარებს და შესაძლებლობებს აღნიშნავს. პიროვნული ნიშნებია- უხეში, კეთილი, მფლანგველი ან ასეთი თუ ისეთი ინტელექტის მქონე. ყველა შემთხვევაში ნიშანი მოიცავს ინფორმაციას მოსალოდნელი ქცევის შესახებ.

ოლპორტისთვის ნიშანი პიროვნების ბაზისური ერთეულია. ნიშნები რეალურად არსებობენ და მათი ადგილი ნერვულ სისტემაშია. ისინი განზოგადებულ პიროვნულ დისპოზიციებს წარმოადგენენ, რომლებიც ხსნიან პიროვნების კონსისტენტობას დროსა და სიტუაციაში (რამდენად მყარი და შინაგანად შეთანხმებულია პიროვნება სიტუაციიდან სიტუაციამდე და დროში). ნიშნებს სამი ძირითადი თვისება გააჩნიათ- სიხშირე, ინტენსიობა და სიტუაციის დიაპაზონი. მაგალითად, ძალიან დამჯერი ადამიანი ამ თვისებას სიტუაციათა ფართო დიაპაზონში ავლენს.

ჯერ კიდევ 1936 წელს ოლპორტმა ოდბენტთან ერთად „ვებსტერის ახალი საერთაშორისო ლექსიკონიდან“ ამოწერა პიროვნებისა და პიროვნების თავისებურებების აღმნიშვნელი 4 000 სიტყვა. ამათგან ნაწილი წარმო –ადგენს პიროვნულ ნიშნებს (trait)- სტაბილურ მახასიათებლებს, როგორცაა მაგალითად, კომუნიკაბელური, მორცხვი, გამბედავი, ინტროვერტირებული. და სხვ. სიტყვათა მეორე ჯგუფი აღნიშნავს ე.წ. მდგომარეობებს, რომლებიც პიროვნების დროებით მახასიათებლებს წარმოადგენენ, სწრაფად მიმდინარეობენ და გარე მიზეზებით არიან გამოწვეულნი. მაგალითად, გაჯავრებული, კმაყოფილი. მესამე ჯგუფი შეფასებითი მახასიათებელია, მაგალითად, უსიამოვნო, მშვენიერი. ყველა დანარჩენი კი ფიზიკურ ნიშნებს მიეკუთვნებოდა, მაგ. მაღალი, მსუქანი.

ოლპორტი პიროვნული ნიშნების ორ დიდ ჯგუფს გამოჰყოფს -**ზოგად ნიშნებს** და **ინდივიდუალურს ნიშნებს**.

ზოგადი ნიშანი ეწოდება ისეთ ნიშნებს, რომლებიც ადამიანთა ერთმანეთთან შედარების შესაძლებლობას იძლევა. ზოგადი ნიშნები შეიძლება მოცემული კულტურის მრავალ ადამიანს ახასიათებდეს, რაც აიხსნება იმით რომ ამ კულტურის ადამიანები განიცდიან მსგავს ევოლუციურ და სოციალურ ზეგავლენას. ჩვენ შეგვიძლია ინდივიდები ამ საერთო ნიშნის არსებობისა და მათი გამოვლენის ხარისხითაც კი შევაფასოთ. როგორც აღმოჩნდა, მთელ რიგ ზოგად ნიშანს საზოგადოებაში გამოვლენის ნორმალური განაწილება ახასიათებს. ოლპორტმა გამოიყენა ტესტები და გააანალიზა დომინანტობა-დაქვემდებარებაზე ჩატარებული ცდების შედეგები. მან მიიღო ნორმალური განაწილების მრუდი. "ზარის" შუაში მოთავსდნენ ც.პ-ები, რომლებსაც ჰქონდათ საშუალო, ტიპური მაჩვენებლები. ნაპირებისკენ-ის ც.პ-ები, რომელთა შედეგებიც უკიდურეს ნიშნებულზე განთავსდა. ამრიგად, ოლპორტის მიხედვით, დომინანტობა-დაქვემდებარებულობა ზოგადი ნიშანია და კვლევის შედეგები ამ ნიშნის საზოგადოებაში ნორმალურად განაწილებაზე მიუთითებენ.

ინდივიდუალური ნიშნების საფუძველზე კი ცალკეული ადამიანის შესწავლა ხდება. დასაწყისში მოყვანილ პიროვნული ნიშნის განსაზღვრებას ოლპორტმა მოგვიანებით დაუმატა სიტყვები "ყოველი ინდივიდისთვის სპეციფიკური", რითაც წარმოადგინა **ინდივიდუალური ნიშნის** სრული განსაზღვრება: *პიროვნული ნიშანი, ოლპორტის მიხედვით, არის ისეთი, ყოველი ინდივიდისთვის სპეციფიკური ნეიროფსიქოლოგიური სტრუქტურა რომელსაც ძალუძს გარდაქმნას მრავალი სტიმული ფუნქციონალურ ექვივალენტად; და აგრეთვე, გამოიწვიოს და განსაზღვროს ექვივალენტური ქცევის (შედარებით სტაბილური) ფორმები და სტილი.* ინდივიდუალური ნიშანი გულისხმობს ისეთ მახასიათებლებს, რომლის მიხედვითაც ადამიანების ერთმანეთთან შედარება ძნელია. იგი უნიკალურია ინდივიდისათვის და ზუსტად ასახავს მის პიროვნულ სტრუქტურას. იმისათვის რომ ადეკვატურად აღვწეროთ პიროვნება, საჭიროა სწორედ მის ინდივიდუალურ ნიშნებს შევეხოთ და ამისათვის კი ავტორი გეთავაზობს გამოვიყენოთ ისეთი წყაროები, როგორიცაა: შემთხვევათა ანალიზი, კლინიკური მეთოდი, დაკვირვებები, დღიურები, წერილები და სხვა.

ოლპორტი ინდივიდუალურ ნიშნებს ინდივიდუალურ დისპოზიციებს უწოდებს და გამოყოფს მათ სამ სახეს:

1) **კარდინალური დისპოზიცია**- არის მოტივაციის თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი და, ამავე დროს, იშვიათი პიროვნული ნიშანი. კარდინალური ნიშნის არშემჩნევა შეუძლებელია. ეს არის პიროვნების დომინანტური მახასიათებელი, რომელიც მთელ მის ცხოვრებას განსაზღვრავს. ადამიანთა უმრავლესობას კარდინალური დისპოზიცია არ გააჩნია. ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილია, რომლებიც სწორედ თავისი ამ ნიშნით არიან ცნობილნი. კარდინალური დისპოზიციების საილუსტრაციოდ ოლპორტს მოჰყავს იმ ისტორიული პიროვნებებისა და ლიტერატურული პერსონაჟების მაგალითები, რომელთაც იმდენად გამოკვეთილი დისპოზიციები ჰქონდათ, რომ მათი სახელები საზოგადო სახელებად იქცა. სიტყვები “დონკიხოტური”, “სადისტური”, “ნარცისული” დონჟუანი”, “კვაჭი კვაჭანტირაძე” და სხვა სწორედ ასეთი კარდინალური დისპოზიციების მაგალითებს წარმოადგენენ. მაგრამ რამდენადაც კარდინალური დისპოზიციები ინდივიდუალურია და არავისში არ მეორდება – მხოლოდ დონკიხოტი იცვოდა დონკიხოტურად, მხოლოდ ნარცისი იყო ასეთი, ამიტომ, ეს მათი კარდინალური თვისებაა. Xოლო თუ ამ სახელწოდებას გამოვიყენებთ სხვა ადამიანის დასახასიათებლად, ის უკვე **ზოგად ნიშნად** იქცევა.

2) **ცენტრალური დისპოზიციები**. ეს არის ნიშნები, რომლებიც შეიძლება ჩამოთვალოს ადამიანმა მეორე, მისთვის საკმაოდ კარგად ნაცნობი პიროვნების დასახასიათებლად. რამდენი ცენტრალური დისპოზიცია შეიძლება ჰქონდეს საშუალოდ ადამიანს? ოლპორტმა ჩაატარა თავისი სტუდენტების გამოკითხვა: სთხოვა, ჩამოეთვალათ თავისი კარგი ნაცნობის ის არსებითი თვისებები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მეტად ახასიათებდა და გამოავლენდა მის პიროვნებას. ასეთი ნიშანი, **საშუალოდ, 7,2** იყო.

3) **მეორადი დისპოზიციები** პიროვნების ის მახასიათებლებია, რომლებიც შედარებით ზედაპირულია და ნაკლებად გამოსადეგია პიროვნების დასახასიათებლად. ამ კატეგორიაში შეიძლება მოხვდეს სპეციფიკური ატიტუდები და სხვა სიტუაციურად განპირობებული მახასიათებლები. მაგალითად გარკვეული სახის მუსიკისთვის, ან ჩაცმის სტილისთვის უპირატესობის მიცემა (ამოჩემება). ყველა ადამიანს აქვს ბევრი მეორადი დისპოზიცია, რომელიც, თავისთავად, არ არის მნიშვნელოვანი ნიშანი ამ პიროვნების დასახასიათებლად, მაგრამ, რომელიც მეტ-ნაკლებად რეგულარულად ვლინდება და ადამიანის ქცევის ბევრ სპეციფიკურ მომენტს განსაზღვრავს.

მოტივაციური და სტილისტური დისპოზიციები. ყველა პიროვნული ნიშანი დინამიურია იმ აზრით, რომ მოტივაციური ძალა გააჩნიათ და ქცევის გამოწვევა შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ნიშანი უფრო მეტი დინამიური ძალით ხასიათდება ვიდრე მეორე. ასეთ ნიშნებს ოლპორტი **მოტივაციურ დისპოზიციებს** უწოდებს. ეს დისპოზიციები ამგვარ ძალას ძირითადი მოთხოვნილებებიდან და ლტოლვებიდან იღებენ. ოლპორტი დინამიური თვალსაზრისით უფრო სუსტ დისპოზიციებს **სტილისტურ დისპოზიციებს** უწოდებს. სტილისტური დისპოზიციები ქცევას **მართავენ**, ხოლო მოტივაციური დისპოზიციები კი ქცევას **იწვევენ**. ტანსაცმლის ტარების მოტივი თბილად ყოფნის მოთხოვნილებაა, ხოლო ჩაცმის მანერა კი განსხვავებულ ადამიანებს განსხვავებული აქვთ და მათ სტილისტური პერსონალური დისპოზიციები განსაზღვრავენ. ასევე – ზრდილობა სტილისტური დისპოზიციანია, ხოლო ჭამა- მოტივაციური. თუმცა ის, თუ როგორ ჭამს ადამიანი (ჭამის სტილი) ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მშვიდია ეს ადამიანი, თუმცა სტილისტური დისპოზიციების გავლენასაც ვერ გამოვრიცხავთ. ჩვეულებრივ, ზრდილობიანმა ადამიანმა, თუ ის ძალიან მშვიდია, შეიძლება “დაივიწყოს კარგი მანერები”, როდესაც მარტო იმყოფება. მაგრამ თუ მასში ეს სტილისტური დისპოზიცია ძალიან ძლიერია, შეიძლება ჭამის ეტიკეტი და ზრდილობა, ძალიან მშვიდრიც რომ იყოს, მარტო ყოფნის დროსაც დაიცვას.

ყველა სახის დისპოზიცია, მათ შორის სტილისტურიც და მოტივაციურიც პიროვნების ცენტრში არსებობს და განიცდება როგორც საკუთარი მე-ს ნაწილი. ოლპორტის აზრით, ეს ისაა, რაზეც ადამიანს შეუძლია თქვას, რომ “ეს მე ვარ” ან “ეს ჩემია მხოლოდ, ჩემი საკუთარი”. იმ მახასიათებლებს, რომლებსაც ადამიანი უწოდებს “ჩემი” ოლპორტი მიაკუთვნებს **პროპრიუმის** ცნებით აღნიშნულ პიროვნების მნიშვნელოვან ინსტანციას.

პროპრიუმი.

ამ ცნების ლათინურიდან პირდაპირი თარგმანი არის “საკუთარი”. პროპრიუმის ცნება ოლპორტის შემოტანილია პიროვნების ფსიქოლოგიაში და, შეიძლება ითქვას, რომ, გარკვეული აზრით, ეგოს და თვითობის სინონიმს წარმოადგენს. თავის პირველ ფუნდამენტურ ნაშრომში(1937წ) ოლპორტი ეგოს და თვითობის ცნებებს საერთოდ არ შეხებია. მომდევნო წლების რამდენიმე შრომაში კი უკვე საფუძვლიანად გააანალიზა ეგოს და თვითობის ცნებები და

მათ ფუნქციებს პიროვნების საკუთარი (პროპრიუმული) ფუნქციები უწოდებ. პროპრიუმში, პიროვნების ამ ცენტრში მოთავსებულია პიროვნების ის მახასიათებლები და ქცევის ტიპები, რომლებსაც ჩვენ ჩვენთვის მნიშვნელოვნად, ახლობლად და ცენტრალურად მივიჩნევთ.

ახლად დაბადებული ბავშვი, ოლპორტის აზრით, ჯერ არ არის პიროვნება და მას არც პროპრიუმი გააჩნია. ახლადდაბადებული მხოლოდ პოტენციური პიროვნებაა, რომელიც მხოლოდ გენეტიკური მონაცემების საფუძველზე არსებობს. პიროვნებად განცდა თანდათანობით ვითარდება და ყალიბდება, გაივლის რა სხვადასხვა, ზოგჯერ ერთმანეთის გადამფარავ სტადიას. ოლპორტს პროპრიუმში შეჰყავს პიროვნების ის ასპექტები, რომლებიც თვითიდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ

პროპრიუმის ასპექტებია:

1. საკუთარი სხეულის შეგრძნება
2. თვითიდენტიფიკაცია
3. თვითპატივისცემა
4. პიროვნების გავრცობა-გაფართოვება
5. მისი ხატი
6. რაციონალური პიროვნება
7. საკუთარი მისწრაფებები

საკუთარი სხეულის შეგრძნება.

პიროვნების ცენტრალური ასპექტებიდან ყველაზე ადრე საკუთარი სხეულის შეგრძნება ჩნდება და შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენი სხეული გვაწვდის მასალას საკუთარი თვითშეგნებისთვის. პატარა ბავშვმა არ იცის, ჯერ ვერ აცნობიერებს, რომ ტკივილი, სიამოვნება მისი შეგრძნებებია, მაგრამ ისინი ქმნიან საჭირო საფუძველს იმისათვის, რომ ბავშვის თვითცნობიერება ჩამოყალიბდეს. სხეულის შეგრძნება, რომელიც თანდათან ვითარდება, მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩება ჩვენი თვითცნობიერების დასაყრდენად. ხელი რომ გამეჭრა, მე ვიცი, რომ ეს სისხლი და ტკივილი ჩემია, არავის სხვას არ ეკუთვნის და ჩემი სხეულის შეგრძნებაა

თვითიდენტიფიკაცია.

პროპრიუმის განვითარების თვალსაზრისით მეორე ადრეული ასპექტი არის მე-ს მუდმივი თვითიდენტიფიკაციის განცდა. გაგება იმისა, თუ ვინ ვარ მე, მოიცავს ჩემს აზრებს, გრძნობებს, მეხსიერებაში მათ გახსენებას და ყოველივე ამის , როგორც ჩ ე მ შ ი არსებულის განცდასა და აღქმას. ყველა კონკრეტული შემთხვევიდან ჩანს, რომ პატარა, ახალდაბადებულ ბავშვს საკუთარი თავი, როგორც □თვითობა□, ჯერ არა აქვს გაცნობიერებული. ის საკუთარ სხეულს ისე ექცევა, როგორც თავისთვის უცხო საგანს: ფეხის თითებს სათამაშოებად მიიჩნევს, შეუძლია სახე ისე დაიკაწროს, რომ სისხლიც გამოიღინოს. მას არა აქვს არც სხეულებრივი, არც სოციალური, არც მატერიალური თვითობა. საზღვარი □მესა□ და □არა მეს□ შორის ჯერ კიდევ არაა გავლებული. სანამ ბავშვი ცხადად არ წარმოიდგენს საკუთარ თავს დამოუკიდებელ პიროვნებად, მანამ ის ვერ შეძლებს გარემომცველ სამყაროსთან თავისი მიმართების წვდომას. ამ მომენტამდე მას აკლია საკუთარი პიროვნულობის განვითარების სუბიექტური ცენტრი, რომელსაც ის მხოლოდ 3-4 წლისთვის აღწევს.. ადრეულ ასაკში თვითიდენტიფიკაციის გრძნობა ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული, თუმცა სამი წლისთვის უკვე ჩნდება სიტყვები მე და და ჩემი.

თვითპატივისცემა

პროპრიუმის შემდეგი ასპექტი თვითპატივისცემა, ან თვითამაღლება-თვითგანდიდებაა. Iგი შეიძლება როგორც დადებითი ისე უარყოფითი კუთხით გამოვლინდეს. პროპრიუმის ეს ასპექტი უღევს საფუძვლად ერთის მხრივ სიამაყის, ალტრუიზმის, ხოლო მეორეს მხრივ, ეგოიზმის, ნარციზმის გამოვლინებას.

პიროვნების გავრცობა-გაფართოვება

ოთხიდან შვიდ წლამდე ბავშვები უკიდურესად ეგოცენტრულები არიან. □მთელი სამყარო მათ გარშემო ტრიალებს□. ამ პერიოდში იწყება მე-ს მოცულობის გაფართოვება. ბავშვის მე-ს და ჩემია-ს ცნება ფართოვდება სხვადასხვა პიროვნებების (პირველ რიგში ოჯახის წევრებით, სახლით, სატამაშოებით) შეყვანით. ეს ტენდენცია მოზრდილობაშიც გადადის (ჩემი სამშობლო, ჩემი აზრები, ჩემი თეორია. . .).

მე-ს ხატი

მე-ს ხატი საკუთარი შესაძლებლობების, სტატუსის და მოცემულ მომენტში საკუთარი როლის აღქმის საფუძველზე ყალიბდება. ბავშვობის ასაკში მე-ს ხატი, ძირითადად, წარმოადგენს შეხედულებებს თავისი პიროვნების, როგორც კარგის ან ცუდის შესახებ (ამ ტერმინების ფროიდისტული მე-იდეალისა და სვინდისის გაგებით).

რაციონალური პიროვნება

ექვსიდან თორმეტ წლამდე თვითიდენტიფიკაცია, თვითპატივისცემა და მე-ს ხატი გარემოსა და სოციალური ურთიერთობების (თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან) გავლენით იცვლება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია პიროვნების ჩამოყალიბების გზაზე, რამდენადაც ბავშვი მხოლოდ ოჯახზე არ არის დამოკიდებული. **რაციონალური პიროვნების** ასპექტი გულისხმობს რაციონალური მსჯელობის, ახსნისა და დადასტურების, ასევე, ცხოვრებისეული პრობლემების დასახვისა და გადაწყვეტის უნარს. რაციონალური პიროვნება პასუხისმგებელია აბსტრაქტულ და რეფლექსიურ (თავისი თავის გაცნობიერებაზე მიმართულ) აზროვნებაზე და ხელს უწყობს გარემო პირობებთან ადაპტაციას.

საკუთარი მისწრაფებები

გარდამავალ ასაკში ჩნდება პროპრიუმის მეშვიდე და ბოლო ასპექტი, კერძოდ, საკუთარი მისწრაფებები. პიროვნების განვითარების ამ საფეხურზე ადამიანი უკვე უნიკალური ინდივიდია, რომელსაც საკუთარი თავის შესახებ ნათელი წარმოდგენა და ჩამოყალიბებული პროპრიუმი აქვს, რომელიც ექვსივე ასპექტს მოიცავს. **საკუთარი მისწრაფებები** განაპირობებს მოქმედებებისა და აზროვნების გარკვეულ მოწესრიგებულობას და შესაძლებლობას აძლევს ადამიანს დასახოს მიზნები, შექმნას დაძაბულობა ნაცვლად მისი განმუხტვისა.

საკუთარი მისწრაფებები ადამიანის მიერ განიცდება, როგორც მისთვის ახლობელი, □სწორედ მისი საკუთარი□ მისწრაფებები. მასში შედის როგორც წარსულის მოგონებები, ასევე მომავლის შესახებ რეალისტური გეგმებისა და მიზნების სახით ჩამოყალიბებული აზრები. კარიერის თუ ცხოვრების მეგზურის პოვნის ამოცანა წარმატებით შეიძლება გადაწყდეს საკუთარი მისწრაფებების საფუძველზე, თუმცა ბევრი ადამიანი სამსახურს და თავის მეორე ნახევარს პოულობს ყოველგვარი სპეციალური მიზნის გარეშე. თუ ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას მიყვება დინებას, მის მისწრაფებებს

ოპორტუნისტულს უწოდებენ, რადგან ეს არ არის პროპრიუმის ნაწილი და პიროვნების მხოლოდ პერიფერიაზე არსებობს.

პიროვნება და პროპრიუმი, ოლპორტის აზრით არ არის სინონიმები, რადგან პიროვნების ცნება მოიცავს ისეთ ჩვევებს, ემოციებს, თვისებებს, საყოველთაოდ მიღებულ ჩვეულებებს, ოპორტუნისტულ მისწრაფებებსა და შემთხვევით ფაქტორებს, რომლების არ არიან ცენტრალური ადამიანისთვის და არ განიცდებიან, როგორც საკუთარი. ზოგიერთი ჩვევა, მაგალითად ბეჭვდა ან მანქანის ტარება, თავიდან შეიძლება მიეკუთვნებოდეს პროპრიუმს, მაგრამ შემდეგ კარგავს თავის ცენტრალურ მნიშვნელობას და ოპორტუნისტული ხდება. მეორეს მხრივ, ზოგიერთი ჩვევა კი, მაგალითად, დედა ენაზე ლაპარაკი, ჩვეულებრივ, საკუთრად არ განიცდება, მაგრამ იმ შემტხვევაში, თუ ადამიანს აუკრძალავენ ამ ენაზე ლაპარაკს, იგი პროპრიუმის ნაწილად იქცევა.

ამრიგად, ქცევის ცენტრალური მახასიათებლებისა და ტიპების გარდა ოლპორტი გამოჰყოფს ქცევის ე.წ. არა საკუთარ (არაპროპრიუმულ) ტიპებს. ესენია: 1) ქცევები, გამოწვეული ძირითადი მოთხოვნილებებით ან მიმართული ძირითადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, რაც, ჩვეულებრივ, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ხორციელდება. 2) საყოველთაოდ მიღებული ჩვეულებები, მაგალითად მისაღმება შეხვედრისას, ტანსაცმლის ტარება ან მარჯვენამხრივი მოძრაობა. 3) ჩვევები, რგორიცაა სიგარეტის მოწევა ან კბილების გამოხეხვა, რომლებიც ავტომატურად სრულდება და მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს იმაში, რომ ადამიანმა თავი პიროვნებად იგრძნოს.

ოლპორტი მოტივაციის შესახებ

როგორც ვნახეთ, პიროვნული ნიშანი ოლპორტის თეორიის ცენტრალური ცნებაა. ისიც აღვნიშნეთ, რომ პიროვნულ ნიშანს ოლპორტის მიხედვით დინამიური, მოტივაციური ძალა აქვს. მოტივაციის საკითხს, სხვა პიროვნების თეორეტიკოსების მსგავსად, ისიც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და თვლის, რომ მოტივაციის ბუნების გარკვევა პიროვნების ნებისმიერი თეორიის საფუძველს წარმოადგენს.

ოლპორტი მოტივაციის ორგვარ (ორმაგ) სისტემაზე მიუთითებს. მისი აზრით, ადამიანებს, ერთსა და იმავე დროს, ამოდრავებთ როგორც გარემოსთან შეგუების მოთხოვნილება, ასევე ზრდის და თვითაქტუალიზაციის, თვით რეალიზაციის მოთხოვნილება. რამდენადაც ყოველ ადამიანში ეს ორი მოთხოვნილება ერთმანეთის გვერდით არსებობს და მოქმედებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანები არა მხოლოდ რეაქტიულები, არამედ პროაქტიულებიც არიან.

რამდენადაც ოლპორტმა პროპრიუმის ცნებაში შეიტანა საკუთარი მისწრაფებების ასპექტი, მისი მოტივაციის თეორიაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ განსხვავებას საკუთარ მისწრაფებებსა და პერიფერიულ (ოპორტუნისტულ) მისწრაფებებს (მოტივებს) შორის. პერიფერიული მოტივები ჰომეოსტაზის პრინციპს ემორჩილებიან და ამცირებენ დაძაბულობას. საკუთარი მისწრაფებები კი თვითონ ქმნიან დაძაბულობასა და დისბალანსს, წინააღმდეგობას უწევენ წონასწორობას, რაც ადამიანის მიერ ახალ-ახალი და რთული მიზნების გაჩენაში, ახალი ინიციატივების დასახვაში, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში და სხვ. იწენს თავს. ოლპორტი მიუთითებს კრიტიკულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე, როდესაც მაღალი მოტივაცია დაბალს უპირისპირდება. ასეთ დროს, განსაკუთრებით დრამატულ სიტუაციაში ადამიანს ურჩევნია დაიღუპოს, ვიდრე საკუთარ მე-ს უდაღატოს. ოლპორტის ეს შეხედულებები ძალიან ჰგავს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის შეხედულებებს, რის გამოც, ოლპორტს ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელსაც კი უწოდებენ.

თუ ფროიდი პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში წარსულ გამოცდილებას გადამწყვეტ როლს ანიჭებს, ოლპორტის აზრით, პიროვნებისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა მომავალს გააჩნია. ცნობილია მისი გამოთქმა: □მითხარი, როგორ წარმოგიდგენია შენი მომავალი და გეტყვი ვინ ხარ შენ□.

აქედან გამომდინარე, ოლპორტი ისეთ კოგნიტურ პროცესებს, როგორც არის მიზანი, გეგმა, განზრახვა მოტივაციურ ფუნქციასა და როლს ანიჭებდა და თვლიდა, რომ სწორედ ისინი შეადგენენ მე-ს საკუთარ დინამიკურ ძალებს.

ფროიდი კი ამ ფენომენებს ყურადღების გარეშე ტოვებდა და თვლიდა, რომ ინდივიდის მოტივაციას უცვლელი ინსტინქტური მისწრაფებები შეადგენენ.

ოლპორტს არ აკმაყოფილებდა მოტივაციის არსებული თეორიები. მისი სიტყვებით: □ნებისმიერი თეორია, რომელიც პიროვნებას განიხილავს, როგორც რაღაც ფიქსირებულს, სტაბილურს, უცვლელს □ მცდარია□.

ოლპორტმა გამოჰო ოთხი მოთხოვნა, რომელსაც, მისი აზრით, უნდა აკმაყოფილებდეს მოტივაციის ადეკვატური თეორია:

- 1) მოტივაციის ადეკვატური თეორია უნდა აღიარებს მოტივთა აწმყოში არსებობას. სხვა სიტყვებით, უნდა რაც გვამოძრაავებს, მოქმედებს ახლა და ამჟამად. წარსული მოტივები ვერაფერს ხსნიან, თუ ამჟამად არ მოქმედებენ. წარსულს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. პიროვნების ისტორიას მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ის ამჟამად არსებულ მოტივაციაზე მოქმედებს.
- 2) მოტივაციის თეორია პლურალისტური უნდა იყოს უსხვადასხვა ტიპის მოტივებს უნდა მოიცავდეს. ამის გამო აკრიტიკებდა ოლპორტი ფროიდის თეორიას, აკრიტიკებდა აგრეთვე ადლერის თეორიას, რომელიც თვლიდა, რომ არსებობს მხოლოდ წარმატებისკენ სწრაფვის მოტივი. იგი წინააღმდეგი იყო ყველა იმ თეორიის, რომლებიც ერთადერთ მოტივად თვითაქტუალიზაციას მიიჩნევენ. მისი აზრით არ არსებობს ერთადერთი მამოძრაებელი ძალა: მოზრდილი ადამიანების მოტივები განსხვავდება ბავშვის მოტივებისგან, ნევროტულ პიროვნებათა მოტივაცია ჯანმრთელი ადამიანის მოტივაციისგან. ამასთან, ზოგიერთი მოტივი ცნობიერია, ზოგი-არაცნობიერი; ზოგი მოტივი წარმავალია, ზოგი შედარებით მუდმივი; ზოგიერთი ამცირებს დაძაბულობას, ზოგიერთი იწვევს მას და ა.შ. მოტივები იმდენად მრავალფეროვანი და განსხვავებულები არიან, რომ ძნელია საერთო მნიშვნელის პოვნა-წერდა ოლპორტი.
- 3) მოტივაციურ თეორიას უნდა შეეძლოს დინამიური ძალა მიანიჭოს აზროვნების პროცესებს, ანუ დაგეგმვასა და განზრახვას. ოლპორტი ამტკიცებდა, რომ ადამიანთა უმრავლესობა დაკავებულია მომავალში თავისი ცხოვრებით, ისინი მომავალზე არიან აწყობილი. ბევრი მოტივაციური თეორია კი მათ უკან, წარსულში აბრუნებს. და როდესაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ სპონტანურად ვართ აქტიურები, ბევრი ფსიქოლოგი გვეუბნება, რომ ჩვენ მხოლოდ რეაქტიულები ვართ. მიუხედავად იმისა, რომ განზრახვა ჩვენს ნებისმიერ სიტუაციაში ერთვება, მას, მის დინამიურ ძალას განსაკუთრებული მნიშვნელობა შორეული მოტივაციებისთვის აქვს. მაგალითად, გოგონა უარს ამბობს კინოში წასვლაზე და უპირატესობას ანატომიის სწავლას აძლევს. ამ უპირატესობის მიცემა შეესატყვისება გოგონას მიზანს უმაღლესი

ქულებით დაამთავროს კოლეჯი, რათა შევიდეს სამედიცინო უნივერსიტეტში და აისრულოს მიზანი □ გახდეს ექიმი.

- 4) □ადექვატური პიროვნების თეორიისთვის კონკრეტული მოტივის უნიკალურობა დასაშვებია□. კონკრეტული უნიკალური მოტივი განსხვავდება განზოგადებული, წინასწარ თეორიულ ვარაუდებზე დაფუძნებული მოტივებისგან. მაგალითისთვის განვიხილოთ კონკრეტული პიროვნება, რომელსაც უნდა ისწავლოს კეგლის თამაში. მას კონკრეტული მოტივი გააჩნია და წარმატების მიღწევის სურვილიც უნიკალურია მისთვის. მოტივაციის თეორიის ზოგიერთი წარმომადგენელი ამ პიროვნების ქცევას განიხილავდა, როგორც აგრესიული ტენდენციის გამოვლინებას; მეორე □ სექსუალური ლტოლვის დათრგუნვად, მესამე - სწავლის შედეგად შეძენილ მოთხოვნილებად. ოლპორტი კი იტყოდა, რომ ამ ადამიანს უნდა ისწავლოს თამაში, იმიტომ, რომ უნდა აისწავლოს თამაში. სწორედ ეს არის უნიკალური, კონკრეტული და ფუნქციონალურად ავტონომიური მოტივი.

ფუნქციონალური ავტონომია

ოლპორტის თეორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფუნქციონალური ავტონომიის კონცეფციას. ფუნქციონალური ავტონომიის ცნებით ოლპორტს უნდოდა ეჩვენებინა, რომ მოტივივაცია არ არის უცვლელი, რომ ერთი გარკვეული მოტივი შეიძლება მეორეში გადაიზარდოს, რომელიც (ეს უკანასკნელი) ისტორიული თვალსაზრისით თავდაპირველი მოტივის გაგრძელებაა, ოღონდ ფუნქციაშეცვლილი. გარდა ამისა, ოლპორტმა უჩვენა, რომ მხოლოდ ერთი მოტივაციური პრინციპით (მაგ. მხოლოდ ჰედონისტური, ან მხოლოდ დაძაბულობის, ან თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებით) ქცევის ასხნა არ არის სწორი და რომ პლურალიზმის პრინციპი უნდა იქნას დაცული. ფუნქციონალური ავტონომიის ცნებით ოლპორტი ქცევის კიდევ ერთ შესაძლო ასხნას გვაწვდის.

ფუნქციონალური ავტონომია არის მოტივაციის ნებისმიერი შექმნილი სისტემა, რომელშიც ჩართული დაძაბულობაც განსხვავდება იმ დაძაბულობისგან, რომლისგან იგი თავდაპირველად (წარსულში) წარმოიქმნა.

ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოტივს შეუძლია თავისი თავდაპირველი ფუნქცია შეიცვალოს. ასე მაგალითად: ადამიანმა, რომელსაც რაღაც პერიოდში გაუჭირდა, გადაწყვიტა სახლის წინ პატარა ნაკვეთზე ბოსტანი გაეშენებინა, რათა ბოსტნეულის ყიდვაზე ფული არ დაეხარჯა. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი იძულებული იყო ყოველდღიურად ემუშავა ბაღში- დაეთოხნა, დაეზარა, ჩითილები გამოეყვანა, მოერწყა მცენარეები. . . რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა და ოჯახის სარჩენად უკვე აღარ იყო იმის საჭიროება, რომ თავის ბაღში ემუშავა, ის მაინც განაგრძობდა სიამოვნებით თავის ბაღში ფუსფუსს. ამრიგად, მოქმედება, რომელიც იწყება იმისთვის, რომ ლუკმა-პური იშოვოს, შემდეგ თვითონ ხდება სიამოვნების მომტანი და ღირებული. სხვა სიტყვებით, ის, რაც ადრე საშუალება იყო მიზნის მისაღწევად, თვითონ გახდა მიზანი. ის, რაც ადრე იყო გარეგანი(ექსტრინსიული - ექტრინსიცი) და ინსტრუმენტული, შემდგომში ხდება შინაგანი (ინტრინსიული-ინტრინსიცი).

ოლპორტი გამოჰყოფს ფუნქციონალური ავტონომიის ორ ფორმას □
პერსევერატულს და პროპრიუმულს.

პერსვეერატული ფუნქციონალური ავტონომია აქვთ როგორც ადამიანებს, ისე ცხოველებს და იგი მარტივ ნევროლოგიურ პრინციპებს ემყარება. პერსვეერაცია ნიშნავს ერთი და იგივე მოქმედების გამეორებას (ან გაგრძელებას დროში). ფუნქციონალური ავტონომიის მარტივი მაგალითი ცხოველებთან შეიძლება იყოს ვირთხა, რომელმაც ისწავლა ლაბირინთში გზა საჭმლის მოსაპოვებლად, მაგრამ დანაყრების შემდეგაც განაგრძობს სირბილს ლაბირინთში. რატომ განაგრძობს იგი სირბილს ლაბირინთში? ოლპორტი იტყოდა: იმიტომ, რომ ეხალისებაო.

ადამიანების შემთხვევაში ფუნქციონალური ავტონომიის პერსვეერაციულ ფორმებს ოლპორტი მიაკუთვნებს ე.წ. □მაგნე ჩვევებსაც□, მაგ მოწევას, ალკოჰოლის მოხმარებას, ზედმეტ ჭამას, მაშინ, როდესაც ამის არავითარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილება არ არსებობს. ალკოჰოლიკი განაგრძობს სმას, თუმცა მისი ამჟამინდელი მოტივაცია მისი თავდაპირველი მოტივისგან ფუნქციონალურად დამოუკიდებელია.

პროპრიუმული ფუნქციონალური ავტონომია მხოლოდ ადამიანს გააჩნია. პროპრიუმულ დონეზე წარმოდგენილია პროფესიული ინტერესები, პიროვნების ღირებულებები, ცხოვრების სტილი, ჰობი. . . ეს მოტივები პიროვნების პროპრიუმის კუთვნილებაა და ამდენად წარმოადგენს პიროვნების გამაერთიანებელი მოტივების სისტემას. ეს არის პიროვნების მთავარი მოტივაციური სისტემა, რომელიც მისი ქცევის ინდივიდუალურ თავისებურებასა და მოწიფულობას გამოხატავს. □მისი შექმნა იმას ნიშნავს, რომ მე-ს საკუთარი მოტივაციური აღჭურვილობა გაუჩნდა. სწორედ მე არის ის ინსტანცია, რომელიც მოტივების ავტონომიზაციის ამ დონის ფორმირებას განსაზღვრავს□.

ბევრია შემთხვევა, როდესაც ადამიანი, მაგალითად, მოეწყო, თავიდან მისთვის უინტერესო და მოსაწყენ სამუშაოზე იმიტომ, ვთქვათ, ოჯახის სარჩენად ფული სჭირდებოდა. რამდენიმე წლის მუშობის შემდეგ მას უყვარდება ეს სამუშაო და იმდენად საინტერესოდ ეჩვენება, რომ დასვენების დღეებშიც შეუძლია იაროს სამსახურში და სიამოვნებით აკეთოს ეს საქმე.

ისევე როგორც პროპრიუმი არის პიროვნების მხოლოდ ნაწილი, ასევე ფუნქციონალური ავტონომია ადამიანის ქცევის ყველა მოტივს ვერ ხსნის. ოლპორტი გამოჰყოფს შემდეგ პროცესებს, რომლებიც არ შედის ფუნქციონალურ ავტონომიათა რიცხვში. ესენია:

1. ბიოლოგიურ მოთხოვნილებები- ჭამა, ძილი;
2. მოტივები, რომლებიც ბაზისურ მოთხოვნილებებთან არის დაკავშირებული.

3. რეფლექტორული მოქმედებები □ სუნთქვა, თვალის ხამხამი
4. თანდაყოლილი თვისებები □ სხეულის აგებულება, ინტელექტუალური უნარები, ტემპერამენტი
5. ჩვევები მათი ფორმირების პროცესში

ოლპორტი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ადამიანის ნორმალური ქცევა ფუნქციონალურად ავტონომიურია, ცნობიერი პროცესებით არის გაპირობებული და გააჩნია საკუთარი მამოძრავებელი ენერჯია. ჯანმრთელ ადამიანებთან ცნობიერება აკონტროლებს ქცევას, არაცნობიერი პროცესების როლი კი ადამიანის ქცევაში არც ისე დიდია.

პიროვნული ნიშნის თეორიები

არსებობს თეორიები, (ფროიდის, როჯერსის, ოლპორტის და სხვ.), რომელთა მიზანია პიროვნების ბუნებასა და პიროვნებაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და ახსნა, რისთვისაც ისინი ინდივიდების დეტალურ ანალიზს მიმართავენ. ამ თეორიებში ძირითადი აქცენტი პიროვნების სტრუქტურაზეა გაკეთებული. გავიხსენოთ ფროიდის პიროვნების ტოპოლოგიური სტრუქტურა და მისი თეორიული ანალიზი; ან როჯერსი, რომელიც ადამიანს, როგორც ერთიანობას-მთლიან ინდივიდუმს განიხილავს, ინდივიდს, რომელიც იზრდება, ვითარდება და საბოლოოდ **თავის თავს იღებს ისეთად, როგორიც არის.** და ბოლოს, პიროვნების სტრუქტურის მეცნიერული აღწერისა და ახსნის კლასიკოსია გორდონ ოლპორტი, რომელიც დღემდე პიროვნების ფსიქოლოგიის უდიდეს თეორეტიკოსად და მკვლევარად რჩება.

მაგრამ ყველა ამ ტიპის (ამ ორიენტაციის მქონე) თეორიისთვის საერთოა პიროვნების **გაზომვის** პრობლემა. პიროვნების ფსიქოლოგიისთვის ხომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თეორიული მსჯელობები და ჰიპოთეზები (როგორი ლოგიკურიც, და ამავე დროს, აუცილებელიც არ უნდა იყოს ისინი), არამედ იმის შესწავლაც, თუ როგორ გაიზომოს პიროვნების ინდივიდუალობა, რით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან. რატომ არიის ერთი ადამიანი წარმატებული, მეორე კი – არა; რატომ აღიქვამს ეს ადამიანი ამ მოვლენას ასე, ხოლო მეორე – განსხვავებულად; რატომ ექვემდებარება სტრესს ერთი ადამიანი უფრო ადვილად და ხშირად, ვიდრე მეორე? პიროვნების ფსიქოლოგიას უნდა გააჩნდეს ვალიდური, სანდო მეთოდები, რომლებიც ამ განსხვავებათა გამოვლენის შესაძლებლობას მოგვცემდა. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება ის ძირითადიპარამეტრები, რომლითაც ადამიანების განსხვავდებიან ერთმანეთისგან. სწორედ ამ განზომილებების დადგენის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ისეთი ტესტების შექმნა, რომელიც თითოეულ პიროვნებას ამ პარამეტრების მიხედვით მიუჩენს ადგილს სისტემაში, რაც, თავის მხრივ, გააადვილებს ერთი პიროვნების მეორესთან შედარებას და მათ შორის განსხვავებისა თუ მსგავსების დადგენას. .

თეორიების ამ კატეგორიას **პიროვნული ნიშნის** თეორიები წარმოადგენენ, პიროვნული ნიშნის ცნება მეცნიერულად პირველად დიდმა გერმანელმა ფსიქოლოგმა შტერნმა განსაზღვრა. ოლპორტმა შტერნის იდეა შემდგომ განავითარა და “პიროვნების ფსიქოლოგია ლეგიტიმურ ინტელექტუალურ

დისციპლინად ჩამოაყალიბა”. სწორედ ოლპორტმა გამოკვეთა პიროვნული ნიშნის სახეები და მისი მახასიათებლები. მიუთითა, რომ პიროვნული ნიშანი არის დისპოზიცია, მზაობა და ადამიანის ქცევის ერთ-ერთი უმიშვნელოვანესი მიზეზი; რომ იგი თავისი სიმყარის და სტაბილობის გამო ქცევის მეტ-ნაკლები წინასწარმეტყველების შესაძლებლობას იძლევა. პიროვნული ნიშანი ქცევის სამ მახასიათებელში ვლინდება: ეს არის ქცევის სიხშირე, სიტუაციის ხასიათი და ინტენსიობა. მაგალითად, პიროვნული ნიშანი “სიჯიუტე” შეიძლება მივაწეროთ ადამიანს, თუ ამ სიჯიუტეს იგი ხშირად ავლენს, ავლენს სხვადასხვა სიტუაციაში და ავლენს მაღალი ინტენსიობით. ოლპორტს პიროვნული ნიშნები, განსაკუთრებით, როგორც პიროვნების უნიკალობის, მისი ინდივიდუალობის განმსაზღვრელი რამ აინტერესებდა.. მართალია, მან გამოჰყო ზოგადი და ინდივიდუალური პიროვნული ნიშნები, მაგრამ პიროვნების კვლევისთვის უპირატესობას უნიკალურ პიროვნულ დისპოზიციებს ანიჭებდა. შემდგომი დროის პიროვნული ნიშნის თეორიებში კი უპირატესი ყურადღება ძირითად ნიშნებზეა ფოკუსირებული, ხდება დისპოზიციური პარამეტრების გამოვლენა და შესწავლა და მათ საფუძველზე ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავებების დადგენა. ამ თეორიებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა კეტელის და აიზენკის თეორიები აგრეთვე ე.წ. პიროვნების ხუთფაქტორიანი თეორია (big five).

პიროვნული ნიშნის თეორიისთვის ამოსავალი არის ის, რომ ადამიანის ქცევის თავისებურებები გარკვეული სტაბილობით ხასიათდება. კერძოდ, რომ გარკვეულ საზღვრებში ქცევა თვით პიროვნული მახასიათებლებით არის გაპირობებული და რომ სიტუაცია არ არის ამ ქცევის ერთპიროვნული განმსაზღვრელი. ეს ჩვენი ყოველდღიური გამოცდილებითაც მტკიცდება: ხშირად ჩვენ ადამიანთა ქცევას ზედსართავების გამოყენებით ვახასიათებთ (მორცხვი, ამაყი, მშიშარა), რითაც ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ამ ადამიანთა პირადი თვისებები უფრო მეტად არის პასუხისმგებელი ამ ქცევაზე, ვიდრე კონკრეტული სიტუაცია. (სიტუაციის როლსა და მნიშვნელობას ჩვენ შემდგომში განვიხილავთ).

პიროვნული ნიშნის თეორიების მიზანია:

- დაადგინოს ის ძირითადი განზომილებები, რომელთა მიხედვითაც ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან
- დაასაბუთოს, რომ ამ განზომილებათა ნაწილის სტაბილურობა სხვადასხვა სიტუაციაში
- გამოავლინოს რატომ და როგორ ჩნდება ინდივიდუალური განსხვავებები: მაგალითად, განსხვავების მიზეზი გენეტიკაშია თუ ბავშვობაში გადატანილი ტრავმის (ფსიქონალიზი), მშობლებისთვის მიბადვის (ბანდურა) თუ ნერვული სისტემის თავისებურებების შედეგია.

განვიხილოთ კეტელის, აიზენკისა და ხუთფაქტორიანი თეორიები

რაიმონდ კეტელის პიროვნების თეორია

შეუძლებელია გადააფასო რაიმონდ კეტელის სამოცდაათწლიანი მეცნიერული მოღვაწეობის მნიშვნელობა და მისი თეორიის როლი პიროვნების ფსიქოლოგიის განვითარებასა და, საერთოდ, ფსიქოლოგიის ისტორიაში. თუმცა კეტელი თვლის, რომ “ბევრი თეთრი ლაქაა დარჩენილი და მათი შევსება მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მზად არიან ფსიქოლოგები ხელი მოჰკიდონ და გადაწყვიტონ ეს ურთულესი პრობლემები”. თვითონ კი ეჭვი არ ეპარება თავისი თეორიის სიმტკიცესა და მიმართულების სისწორეში, რადგან,

მისი სიტყვებით, “ის ემყარება პიროვნების სტრუქტურებისა და პროცესების გაზომვის საფუძველზე მიღებულ შედეგებს”

კეტელის თეორია წმინდა ინდუქციურ მეთოდოლოგიას ეფუძნება, განსხვავებით ოლპორტის დედუქციური და აიზენკის ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდოლოგიისგან. მკვლევარს, რომელიც ეყრდნობა ჰიპოთეტურ-დედუქციურ მეთოდს (მაგ. აიზენკი), წინასწარ, მანამ სანამ მონაცემთა შეგროვებას დაიწყებდეს, უკვე აქვს ჰიპოთეზა ან თეორიის წინასწარი მონახაზი. კეტელის ინდუქციური მეთოდი კი იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარი, რომელსაც არ აქვს წინასწარ არავითარი ჰიპოთეზა, აგროვებს მონაცემთა დიდ რაოდენობას, იყენებს ამ მასალის მიმართ ფაქტორულ ანალიზს, შემდეგ ამ დამუშავების შედეგების საფუძველზე აგებს ჰიპოთეზებს და მხოლოდ მერე იწყებს მათ შემოწმებას.

ფაქტორული ანალიზი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კეტელის თეორიის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ფაქტორულმა ანალიზმა შეასრულა, რომლის ძირითადი პრინციპები მისმა მასწავლებელმა სპირმენმა ჯერ კიდევ 1905 წელს ჩამოაყალიბა. ფაქტორული ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ცვლადების დიდი რაოდენობა დაყვანილ იქნას ფუნდამენტური სიდიდეების უფრო მცირე რაოდენობაზე. პიროვნების ფსიქოლოგიაში ამ ფუნდამენტურ სიდიდეებს **პიროვნული ნიშნები** წარმოადგენენ. ანუ ეს არის ფაქტორები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ცვლადებს აერთიანებენ. მაგალითად, დაუშვათ, ჩვენ დავადგინეთ მაღალი დადებითი ინტერკორელაცია ალგებრის, გეომეტრიის, ტრიგონომეტრიისა და არითმეტიკის მონაცემებს შორის. ამით ჩვენ გამოვავლინეთ სიდიდეების ჯგუფი, რომელსაც შეიძლება □ ფაქტორი – მათემატიკური უნარი ვუწოდოთ. ასევე შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე სხვა ფაქტორი, ანუ პიროვნული ნიშანი. ბუნებრივია, ფაქტორების რაოდენობა ნაკლები იქნება, ვიდრე თავდაპირველი მონაცემები.

დამუშავების შემდეგი ნაბიჯი იქნება თითოეული სიდიდის ფაქტორული წონის განსაზღვრა, სხვა სიტყვებით, სიდიდეების ფაქტორთან კორელაციის განსაზღვრა. მაგალითად, თუ ალგებრის, გეომეტრიის, ტრიგონომეტრიის და არითმეტიკის ცოდნის შეფასებებს უფრო მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ □ და არა სხვა რომელიმე ფაქტორის ჩამოყალიბებაში, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ სიდიდეებს □ ტიპის დიდი ფაქტორული წონა აქვთ. ფაქტორული წონა სხვადასხვა ფაქტორების სისუფთავის ინდიკატორს წარმოადგენს.

ფაქტორული ანალიზით გამოყოფილი პიროვნული ნიშნები შეიძლება იყოს **უნიპოლარული** ან **ბიპოლარული**. უნიპოლარული ნიშნები იცვლება ნულიდან გარკვეული დადებითი მნიშვნელობების დიაპაზონში. ბიპოლარული ნიშნებს კი ერთი პოლუსიდან მეორე პოლუსამდე ცვლილების დიაპაზონი აქვთ, ნული კი საშუალო მნიშვნელობაზე მიუთითებს. ბიპოლარული ნიშნებია მაგალითად, ინტროვერსია-ექსტრავერსია, ლიბერალიზმი-კონსერვატიზმი, დომინანტობა-დაქვემდებარებულობა და სხვ.

პიროვნული ნიშანი

კეტელის მიხედვით „პიროვნული ნიშანი არის ის, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ ადამიანის ქცევა მოცემულ სიტუაციაში“. როგორ შეიძლება ზუსტი წინასწარმეტყველების მიღწევა? კეტელის მიხედვით – ძირითადი ნიშნების (source traits) აღწერითა და გაზომვით. სწორედ ეს ნიშნები განსაზღვრავენ ქცევას. ძირითადი ნიშნები განსხვავდება ზედაპირული ნიშნებისგან. კეტელის მიხედვით, ეს უკანასკნელნი პიროვნების სტრუქტურაში არც თუ ისეთი მნიშვნელოვანნი არიან. ისინი უფრო ამოსავალი პუნქტის როლს

თამაშობენ. კვლევა მათი აღწერით იწყება და ისინი ძირითადი ნიშნების ინდიკატორებს წარმოადგენენ.

1936 წელს ოლპორტმა და ოდბენტმა ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონიდან ამოიწერეს 18 ათასი პიროვნული ნიშნის აღმნიშვნელი სიტყვა, შედეგ მოახდინეს მათი გადარჩევა-გაცხრილვა და ეს რაოდენობა 4500-დღე დაიყვანეს. ამ სიტყვების უდიდესი ნაწილი ზედაპირულ ნიშნებს წარმოადგენდა. კეტელმა ეს სიტყვები პიროვნული ნიშნების ფაქტორული ანალიზის ამოსავალ წერტილად გამოიყენა. ამ 4500 სიტყვაში შემავალი ნიშნებიდან ბევრი დაკავშირებულია ერთმანეთთან და ხშირად ერთად, ჯგუფ-ჯგუფად გვხვდება. კეტელის მიხედვით, თუ რამდენიმე ზედაპირული ნიშანი აშკარად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ უკან უნდა იდგეს რომელიღაც ძირითადი ნიშანი, რომელიც მათ ურთიერთკავშირს განსაზღვრავს.


კეტელი პიროვნული ნიშნების რამდენიმე კლასიფიკაციას იყენებს:

1. ძირითადი (ღრმა) და ზედაპირული ნიშნები

2. ზოგადი ნიშნები (ბევრ ადამიანს ახასიათებს) უნიკალური (კონკრეტულ ადამიანს ახასიათებს)

3. ტემპერამენტის ნიშნები მოტივაციური (დინამიკური) ნიშნები უნარები

ძირითადი (ღრმა) ნიშანი კეტელმა უწოდა ფაქტორს, რომელიც გამოხატავს ზედაპირულ ნიშნებს შორის მაღალ კორელაციას. ძირითადი ფაქტორები (ნიშნები) უფრო ცოტაა, ვიდრე ზედაპირული, მაგრამ მათზე დაყრდნობით უკეთ ხდება ქცევის წინასწარმეტყველება. მაგ. №1 სურათზე გამოხატული ზედაპირული ნიშნები: კონტაქტურობა, იუმორის გრძნობა და ალტრუიზმი ერთიანდება ერთ ჯგუფში, რადგან მათ შორის მაღალი კორელაცია არსებობს. რა „აიძულებს“ ამ სამ ნიშანს ერთად ვლინდებოდეს ხოლმე? რაკი რამდენიმე ზედაპირული ნიშანი ყოველთვის ერთად ჩნდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ უკან რაღაც საერთო ნიშანი არსებობს. ამ შემთხვევაში ეს ნიშანი „კეთილგანწყობაა.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც კეთილგანწყობით ხასიათდება, უმრავლეს შემთხვევაში არის კონტაქტური, ალტრუისტი და აქვს იუმორის გრძნობა.



ნახ.№ 2. სამი ზედაპირული ნიშანი ერთიანდება ერთ ძირითად კეთილგანწყობის ნიშანში

კეტელი ძირითადი პიროვნული ნიშნების დასადგენად და მონაცემებს იყენებდა. მონაცემები რეალურ, ცსოვრებისეულ სიტუაციებს უკავშირდება. მონაცემები ეყრდნობა თვითანგარიშს და პიროვნების კითხვარებზე პასუხებს, ხოლო მონაცემები კი მოიცავენ პატარ-პატარა ობიექტურ სიტუაციებს, რომელთა შესრულების დროს უნდა გამოვლინდეს პიროვნების ესა თუ ის თვისება, თუმცა თვით ამ ტესტში მონაწილე სუბიექტი ვერ უნდა ხედებოდეს პირდაპირ კავშირს რეაქციასა და გასაზომ პიროვნულ ნიშანს შორის. კეტელის მიხედვით, იმისათვის, რომ მულტივარიანტული, ფაქტორულ-ანალიზური მიდგომა ბოლომდე ჩაწვდეს პიროვნების ბაზისურ სტრუქტურას, მაშინ ერთი და იგივე პიროვნული ნიშნები, ანუ ფაქტორები უნდა ეყრდნობოდეს სამივე სახის მონაცემებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი, ლოგიკური და აუცილებელი მოთხოვნაა. (□□□□□□).

თავდაპირველად კეტელმა მონაცემები დაამუშავა ფაქტორული ანალიზით და ტემპერამენტის 35 პირველადი ნიშნები დაადგინა, (ე.წ. პირველი რიგის ნიშნები), რომელთაგან 23 ნიშანი ნორმალური ადამიანისთვის არის დამახასიათებელი, ხოლო 12 - პათოლოგიური გადახრის მქონეთათვის. შემდეგ მას აინტერესებდა, გამოვლინდებოდა თუ არა მსგავსი პიროვნული ნიშნები (ფაქტორები) კითხვარების საშუალებით. ათასობით კითხვები იქნა გამოყენებული და მიწოდებული უზარმაზარი რაოდენობა ჯანმრთელი ცდის პირებისთვის. ფაქტორული ანალიზის შედეგად ეს უზარმაზარი შრომა დასრულდა პიროვნების 16 ფაქტორიანი ტესტის (16) შექმნით. ამ ნიშნებში ყველაზე მეტი ტემპერამენტის ნიშნებია (ემოციონალობის ფაქტორი); ერთი ფაქტორი- გამოხატავს უნარს-იტელექტს და ამ ჩამონათვალში გვხვდება აგრეთვე ატიტუდები (მაგალითად, კონსერვატიზმი). იმისათვის, რომ გამოერიცხა ასოციაციები ყოველდღიურ, ჩვეულებრივ სიტყვებთან, კეტელმა ფაქტორებს უცნაური დასახელება მისცა. (იხ. შემდგომ). როგორც კეტელი აღნიშნავდა, რადგანაც თვითონ პიროვნული ნიშნების კვლევა ყოველგვარი წინასწარი მოლოდინებისა და ჰიპოთეზების გარეშე დაიწყო, უნდოდა, რომ სხვებსაც ეს ნიშნები წინასწარი განწყობის გარეშე აღეჭვათ.

კეტელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მონაცემებს (ობიექტურ ტესტებს). მან დიდი ძალისხმევა ჩადო ობიექტური ტესტების შექმნაში. თუმცა ისეთი შედეგი. როგორსაც ელოდა, ანუ მაღალი ინტერკორელაცია და ტესტებს შორის ვერ მიიღო. მისი პიროვნების 16 ფაქტორიანი კითხვარი ძირითადად და მონაცემების საფუძველზეა შექმნილი.

მართალია, ძირითადი (დრმა) ნიშნები არ ამოწურავენ პიროვნების სტრუქტურას, მაგრამ კარგად წარმოადგენენ პიროვნების ზოგადი სტრუქტურის კეტელისეულ ხედვას. სხვა სიტყვებით, სახეზეა პიროვნების სტრუქტურული ელემენტების კლასიფიკაციის ერთგვარი სქემა-ფსიქოლოგიური ელემენტების მატრიცა.

პიროვნების დინამიური ნიშნები

ტემპერამენტის ფაქტორები განაპირობებენ, თუ როგორ მოქმედებს ადამიანი. (განსაზღვრავენ ქცევის როგორცობას.)

ტემპერამენტის ნიშნების გარდა კეტელმა გამოჰყო აგრეთვე **მოტივაციური, დინამიური** ნიშნები, რომლებიც პიროვნების დინამიკას აყალიბებენ. პიროვნების დინამიკის-მოტივაციის აღსაწერად კეტელი სამ ცნებას გამოჰყოფს:

ატიტუდი
ერგი
სემი

ატიტუდები

ატიტუდი, კეტელის მიხედვით, არის მოქმედების სპეციფიკური სახე, რომელსაც ადამიანი ახორციელებს ან უნდა რომ განახორციელოს კონკრეტულ სიტუაციაში. მაგალითისათვის განვიხილოთ ახალგაზრდა კაცის-ალექსანდრეს შემთხვევა, რომელსაც უნდა იაროს ფრანგული ენის კურსებზე, რომელზეც მისი თანაკლასელი გოგონა ჩაეწერა. მისი ეს განზრახვა ატიტუდს წარმოადგენს. როგორც ყველა ატიტუდი, ისიც მოიცავს

სტიმულს, ანუ სიტუაციას,
ინტერესს (ინტენსიურ სურვილს)
რეაქციას და
ობიექტს.

ჩვენს შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, მართლაც ივლის თუ არა ალექსანდრე ფრანგული ენის კურსებზე თავის თანაკლასელთან ერთად. ატიტუდი ყველა შემთხვევაში მაინც არსებობს და ქცევის მოტივაციას ემსახურება.

თითქმის ყველა ატიტუდში შედის მოტივთა მთელი კომპლექსი, რომელთაგან ყველა შეიძლება არც იყოს ცნობიერი. ალექსანდრეს შემთხვევაში მისი განზრახვა შეიძლება ნაკარნახევი იყოს (1) ფრანგული ენის ცოდნის სურვილით, რაც განუმტკიცებს მას ინტელექტუალის რეპუტაციას. (2) შეიძლება მას აინტერესებდეს შესაძლო სექსუალურ პარტნიორთან ერთად ყოფნა ან (3) შეიძლება, უბრალოდ, მარტო გრძნობს თავს და საინტერესო საზოგადოებაში უნდა ყოფნა.

კეტელი მოტივაციის იერარქიულ სტრუქტურაზე მიუთითებს; ზოგიერთი მოტივი მეორისთვის დამხმარე მოტივს ანუ შუალედურ საფეხურს წარმოადგენს შემდგომი მიზნის მისაღწევად. ასეთ სტრუქტურას “დამხმარე ჯაჭვს” უწოდებენ. დაუშვათ, ყველა მოტივი გაცნობიერებულია (რაც ყოველთვის არ შეესაბამება სინამდვილეს), მაშინ დამხმარე ჯაჭვი შეიძლება აღმოვაჩინოთ თუ თანმიმდევრობით დაეუსვამთ კითხვას ადამიანს „რატომ?“ მის მიერ დასახელებულ თავის ყოველ მიზანზე. მაგალითად; ალექსანდრეს ვეკითხებით:

რატომ გინდა ფრანგული ენის კურსებზე სიარული?
პასუხი: მინდა ჩავაბარო გამოცდა ფრანგულ ენაში.

რატომ?
რომ მივიღო ფრანგული ენის დიპლომი

რატომ? (რად გინდა დიპლომი?)
რომ ვიმოვო სამსახური

რატომ? (რად გინდა სამსახური?)
რომ საჭმლის ფული მქონდეს.

ამ საფეხურზე თავს იჩენს თავდაპირველი ბიოლოგიური სიცოცხლის და შიმშილის მოთხოვნილება და კითხვების დასმაც საჭირო აღარაა.

ერგი

ერგი კეტელის მიხედვით, “არის თანდაყოლილი ფსიქოფიზიკური დისპოზიცია, რომელიც თავის მატარებელს შესაძლებლობას აძლევს ობიექტთა გარკვეული კლასების მიმართ, გამოავლინოს უფრო მაღალი რეაქტიულობა (ყურადღება, ამოცნობა), მათ მიმართ გაუჩნდეს სპეციფიკური ემოციური რეაქცია, დაიწყოს მოქმედება, რომელსაც მიზნამდე მიყვანის მეტი გარანტია აქვს, ვიდრე არა ერგებზე დაფუძნებულ სხვა მოქმედებებს.”

სიტყვა ერგი უკავშირდება ენერჯიას, რომელიც მოდის პირველადი ან ბუნებრივი მოთხოვნილებებიდან, როგორცაა, სექსუალური მოთხოვნილება, შიმშილი, ცნობისმოყვარეობა და სხვ. კეტელმა დინამიური ნიშნების კვლევა პირველადი ძირითადი ლტოლვებისა და ინსტინქტების ბუნებისა და რაოდენობის შესახებ, განსხვავებით სხვა მკვლევარებისგან, (მაგალითად, ფროიდი) ჰიპოთეზების გარეშე დაიწყო. მის ნაცვლად მან გამოიყენა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ობიექტური ტესტი, რომელიც ჩაატარა სხვადასხვა კულტურის ბავშვებსა და მოზრდილებზე, შემდეგ ტესტირების საფუძველზე მიღებული შედეგების ფაქტორული ანალიზით (მათემატიკური და არა ლოგიკური გზით) მივიდა ადამიანის მოტივაციამდე.

კეტელი ხაზს უსვამს, რომ ერგები თანდაყოლილი და არა შექმნილი ნიშნებია

ერგს წარმოადგენს:

საჭმლის ძიება	შიმშილი
სექს. პარტნიორის ძიება	სექსი
ურთიერთობა.	მარტოობა
მშობლის ზრუნვა შვილზე	შეცოდება
გარემოს გამოკვლევა	ცნობისმოყვარეობა
უსაფრთხოებისკენ სწრაფვა	შიში
თვითგანმტკიცება	სიამაყე
აგრესიული მოქმედებები	რისხვა

სემი (სენტემენტი)

გარდა თანდაყოლილი დინამიური ნიშნებისა ყოველ ადამიანს გააჩნია კულტურულ გარემოში შექმნილ ნიშანთა საკმაოდ დიდი რაოდენობა. კეტელის მოტივაციის თეორიის მესამე ელემენტი სემი არის დასწავლილი, შექმნილი დინამიური ნიშანი -. სემი ენერჯიას ერგიდან იღებს და ატიტუდებს ორგანიზებულობას და სტაბილურობას ანიჭებს. როგორც გახსოვთ, ატიტუდი არის კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეული სახით მოქმედება ან მოქმედების სურვილი. ატიტუდის მიზეზს შეიძლება ბოლომდე ჩავეძიოთ და მივიღეთ პირველად, ბუნებრივ მოთხოვნილებამდე - ერგამდე. შუალედური მიზნები, რომლების ატიტუდებს ერგებთან აკავშირებს, არის სემები. ალექსანდრეს

შემთხვევაში, რომელსაც უნდა თავის თანაკლასელ გოგონასთან ერთად ფრანგულზე სიარული, ვნახეთ, რომ აქტიური სურვილი მისი იყო ატიტუდი, ხოლო თავდაპირველი მიზანი – გამოსაკვებად, საარსებოდ ფულის მოპოვება, ანუ ერგი.

შუალედური მიზნების კომპლექსი, რომელიც ატიტუდს ერგთან აკავშირებს სხვადასხვა სახის სემი შეიძლება იყოს. მაგალითად, ოჯახის და სახლის სემი შეიძლება იყოს როგორც სექსის, ისე მარტოობის ერგის გამომხატველი.

დინამიური ბადე

პიროვნების დინამიურ ნიშნებს შორის კავშირი შეიძლება “დინამიური ბადის “ სახით წარმოვიდგინოთ. ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული ერგების, სემებისა და აყიტუდების კომპლექსი, რომელიც პიროვნების მოტივაციურ სტრუქტურას ქმნის. ამ ბადეზე ერგები, პირობითად, მარჯვენა მხარეს არის განლაგებული. ყოველი ერგი გავლენას ახდენს ერთ ან რამდენიმე სემზე (ბადის ცენტრში არსებული დიდი წრეები). გავიხსენოთ, რომ სემი არის ნასწავლი დინამიური ნიშნები, რომელთაც შეუძლიათ ერთი ან რამდენიმე ერგის დაკმაყოფილება. მაგალითად, პროფესიის სემი არის ორი ერგის – შიმშილის და სიხარბის დამხმარე. იგი მათგან იღებს ენერგიას. ბადის მარცხნივ არსებული პატარა წრეები გამოხატავენ ატიტუდებს, ანუ ადამიანის სურვილს-მიდრეკილებას იმოქმედოს გარკვეული მიმართულებით გარკვეულ სიტუაციაში. ალექსანდრეს ატიტუდი თავის მეგობარ გოგონასთან ერთად იაროს ფრანგულის კურსებზე, ენერგიას უშუალოდ იღებს სექსის ერგიდან, გაშუალებული კი პროფესიის, შიმშილის და ასევე თვითგანმტკიცების – სიამაყის ერგისგან. იხ. ნახ.2

მდგომარეობა და როლი.

კეტელი პიროვნებას არ განიხილავს როგორც სტატიკურ მთლიანობას ან სისტემას, რომელიც ყველა სიტუაციაში ერთნაირად მოქმედებს. ის, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში, დამოკიდებულია სიტუაციის შესატყვის პიროვნულ და მოტივაციურ ცვლადებზე. ქცევის ცვალებადობის ასახსნელად კეტელს შემოაქვს დამატებით კიდევ ორი ცნება – მდგომარეობა და როლი. ეს ცნებები ჰგავს ოლპორტის მიერ მითითებულ განსხვავებას მდგომარეობასა და პიროვნულ ნიშანს შორის. მდგომარეობის ცნებას ის იყენებს სპეციფიკური სიტუაციით პროვოცირებული გუნებგანწყობისა და ემოციის ცვლილებების მიმართ. მდგომარეობის მაგალითებია შფოთვა, დეპრესია, დაღლილობა, აგზნებულობა და სხვ. კეტელი ხაზს უსვამს, რომ რამდენადაც პიროვნული ნიშანი ქცევის სტაბილური და განზოგადებული პატერნია, მოცემულ მომენტში ინდივიდის ქცევის ზუსტი აღწერისთვის აუცილებელია როგორც ნიშნების, ისე მდგომარეობების გაზომვა. მხოლოდ პიროვნული ნიშნის საფუძველზე შეუძლებელია გარკვეულ სიტუაციაში ადამიანის ქცევის წინასწარმეტყველება იმის გათვალისწინების გარეშე, დაღლილია იგი, გაჯავრებულია, შეშინებულია თუ სხვ.

პიროვნებაზე მოქმედი მეორე არასტაბილური ფაქტორი როლის ცნებას უკავშირდება. კეტელის მიხედვით, გარკვეული მოქმედებები გარემო ფაქტორებთან არის უფრო დაკავშირებული, ვიდრე პიროვნულ ფაქტორებთან. მაგალითად, ტრადიციებს და მორალურ ნორმებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ პიროვნულ ნიშანზე: „ადამიანი შეიძლება ხმამაღლა ყვიროდეს ფეხბურთის მატჩზე, ნაკლები აზარტით – სადილობისას და ჩუმად იყოს ეკლესიაში.“ გარდა ამისა, როლის ცნება იმაზეც მიუთითებს, რომ ერთი და იგივე ზემოქმედებას ინდივიდი განსხვავებულად აღიქვამს იმის მიხედვით, თუ რა როლი აქვს მას ამ სიტუაციაში. მაგალითად, მასწავლებლის რეაქცია შეიძლება განსხვავდებოდეს მოსწავლის ქცევაზე კლასში, (მასწავლებლის როლში ყოფნისას) იმ რეაქციიდან, რომელსაც იგი მასთან სტუმრად მოსულ იგივე ბავშვის მიმართ იჩენს (უკვე დიასახლისის როლში).

კეტელის მიერ გამოყოფილი პიროვნული ნიშნები ალფავიტის მ მიხედვით არის დალაგებული და, ამავე დროს, მათი სიძლიერის ზრდას შეესაბამება. ასე მაგალითად, □ ფაქტორი ყველაზე მძლავრი ფაქტორია, ანუ ყველაზე ნათლად და ადვილად ხდება მისი იდენტიფიცირება და ქცევის ვარიაციების ყველაზე მეტ რაოდენობას შეესაბამება. ამ ფაქტორის სიძლიერე, რომელიც კეტელის და მისი კოლეგების მიერ არის დადგენილი სხვადასხვა მათემატიკური ოპერაციებით, შეესაბამება კლინიკური პრაქტიკის და ყოველდღიურ დაკვირვებების მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც, ყველაზე აშკარა და კარგად გამოხატული თავისებურება მისი გარემოსადმი გახსნილობა (აფექტოთიმია) – დახშულობა (სიზოთიმია). ასევე ადვილია □ ფაქტორის (ინტელექტის) იდენტიფიცირება რომელიც □ ფაქტორს მოსდევს რიგში. დანარჩენი ფაქტორები, ძირითადად, ტემპერამენტის ფაქტორებია. რამდენადაც ყოველი მომდევნო ფაქტორის სიმკვეთრე კლებულობს და სულ უფრო და უფრო ძნელია მათი იდენტიფიცირება, მწკრივის ბოლოს განლაგებული □-დან □-დე ფაქტორები უკვე პირობით ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებიც “პასუხს აგებენ” ქცევის ძალიან მცირე ვარიაციაზე. ეს ფაქტორები წინა ფაქტორებზე უფრო სუსტია და მათი გამოვლენა ფაქტორული ანალიზით შედარებით უფრო რთულია.

რის საფუძველზე ამტკიცებს კეტელი ამ პიროვნული ნიშნების არსებობას?
ესენია:

1. განსხვავებული წყაროებიდან მიღებული მონაცემების ფაქტორული ანალიზის შედეგები
2. სხვადასხვა კულტურაში მიღებული შედეგების მსგავსება
3. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებზე მიღებული შედეგების მსგავსება
4. პიროვნული ნიშნების, როგორც ქცევის წინასწარმეტყველების საშუალების სარგებლიანობის დადასტურება ბუნებრივ პირობებში
5. ბევრ პიროვნულ ნიშანში მნიშვნელოვანი გენეტიკური გავლენის დადასტურება ხდება.

სურ.№2

შესაბამისობა ორი განსხვავებული წყაროდან (□გარეშე დამკვირვებელი) და კითხვარებიდან მიღებულ მონაცემებს შორის.

ძირითადი ნიშანი- მე-ს სიძლიერე – ემოციონალობა (ნევროტიზმი)
(□და □ მონაცემები)

მე-ს სიძლიერე

ემოციონალობა

მომწიფებული

ფრუსტრირებული

სტაბილური, შეუპოვარი

ცვალებადი ხასიათის

ემოციურად მშვიდი

ემოციურად იმპულსური

რეალისტური დამოკიდებულება

გადაუწყვეტელი

პრობლემებისადმი

ნევროტული დაღლილობის არქონა

უმიზოზო ნევროტული

დაღლილობა

პასუხები კითხვარზე:

გიჭირთ უარის თქმა მაშინაც, როდესაც იცით, რომ ამ მოქმედების

შესრულება შეუძლებელია?

ა) კი

ბ) არა

თავიდან რომ მოგეცეთ ცხოვრების დაწყების საშუალება

ა) ისურვებდით ისევე გეცხოვრათ

ბ) შეცვლიდით

გაქვთ ხოლმე უმიზოზოდ ხასიათი ხშირი ცვლა?

ა) კი

ბ) არა

ხშირად გიგრძენიათ დაღლილობა, თუმცა განსაკუთრებული არაფერი გაგიკეთებიათ?

ა) იშვიათად

ბ) ხშირად

თუ კი მიიღებთ გადაწყვეტილებას, შეგიძლიათ თავი დაანებოთ ამა თუ იმ ჩვევას?

ა) კი

ბ) არა

იტალიკით (დახრილად) დაწერილი პასუხები მიუთითებენ მე-ს სიძლიერეზე




Рисунок 25.3. Схема части динамической решетки личности, иллюстрирующая понятие вспомогательных цепочек и их составляющих: аттитудов, семов и эргов.

აიზენკის თეორია

აიზენკის აზრით, პიროვნების ფსიქოლოგიური თეორიის აუცილებელი პირობა მისი დებულებების ობიექტური დასაბუთების შესაძლებლობა უნდა იყოს. ემპირიული პროცესების აღწერა, მხოლოდ პიროვნული ნიშნების ვერბალურ ჩამოთვლა და მათზე დაყრდნობით მანიპულირება არ არის საკმარისი მეცნიერული თეორიის ჩამოყალიბებისთვის. აიზენკის აზრით, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პიროვნების კვლევის ზოგიერთი მეთოდის გავრცელებული ნაკლი – ცირკულარობა, (მაგ. “საიდან ვასკენით, რომ ჯო აგრესიულია? იმიტომ რომ შეურაცხყოფას აყენებს მავანს. რატომ აყენებს ჯო შეურაცხყოფას? იმიტომ რომ ჯო აგრესიულია”), საჭიროა მივაგნოთ ისეთ კრიტერიუმს, რომლის ობიექტური შემოწმებაც შესაძლებელი იქნება. ამ სირთულის დაძლევის გასაღებს აიზენკმა ბიოლოგიაში მიაგნო. ამ მხრივ მასზე გადაწყვეტი გავლენა პავლოვის შრომებმა მოახდინა. პავლოვს ის პირადად არასდროს შეხვედრია, მაგამისი თეორიით შეიძინა ცოდნა პიროვნების სტრუქტურების ბიოლოგიური საფუძველების შესახებ. ამავდროს, იგი ამტკიცებს, რომ პიროვნების “ფესვები” ერთის მხრივ, ფიზიოლოგიაში, ენდოკრინოლოგიაში და ბიოქიმიაშია, ხოლო მეორეს მხრივ, საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ამიტომაც, აიზენკის აზრით, ფსიქოლოგიური კვლევის მიმართულებად, ამ ორიდან ერთი სფერო კი არ უნდა ამოვირჩიოთ, არამედ პიროვნების როგორც ბიოლოგიური, ისე სოციოისტორიული ასპექტები უნდა შევისწავლოთ.

კეტელის მსგავსად, აიზენკიც მონაცემების დასამუშავებლად ფაქტორული ანალიზის მათემატიკურ აპარატს იყენებდა და მრავალრიცხოვანი ნიშნების რედუქციას ახდენდა. თუმცა კეტელისგან განსხვავებით, მან ნიშანთა სიმრავლე, როგორც შემდგომ ვნახავთ, მხოლოდ სამ ფაქტორზე დაიყვანა. ფაქტორული ანალიზის კვლევის მეთოდად გამოყენებას აიზენკი ინგლესელ პროფესორებს ბერტსა და სპირმენს უმაღლის (რომელთა ლექციების აქტიური მსმენელიც იყო და რომელთა გავლენითაც მან ფსიქომეტრიულ მეთოდებს მიაჩნა უპირატესობა). მართალია, აიზენკი ფაქტორულ ანალიზს იყენებდა, მაგრამ ამავდროს, ამტკიცებდა, რომ მხოლოდ აბსტრაქტული ფსიქომეტრიული ძიებანი არ არის საკმარისი პიროვნების სტრუქტურის მახასიათებელთა გასაზომად; რომ მხოლოდ ფაქტორული გზით მიღებული ნიშნები და ტიპები ზედმეტად სტერილურია და მათ არ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა მივაწეროთ მანამ, სანამ არ დამტკიცდება მათი ბიოლოგიური არსებობა. რაც შეეხება ფსიქოლოგიურ კვალს, აიზენკის თეორიაში აშკარად იგრძნობა იუნგისა და კრენმერის თეორიების გავლენა: აიზენკი თავის თეორიის ჩამოყალიბებისას ფაქტორული ანალიზით მონაცემთა დამუშავებამდე ე.წ. პიპოტეტურ-დედუქციურ მეთოდის იყენებდა. თავდაპირველად ის არსებული პიროვნების თეორიების ანალიზის საფუძველზე თეორიულ მოდელს-სქემას ადგენდა და მხოლოდ ამის შემდეგ აგროვებდა ამ მოდელის ლოგიკურად შესატყვის და დამამტკიცებელ მონაცემებს.

დასაწყისში მან გამოჰყო ორი განზომილება (ინტროვერსია-ექსტრავერსია და ნეიროტიციზმი-ემოციური სტაბილობა), მოგვიანებით კი მესამე განზომილებაც (ფსიქოტიციზმი-ძლიერი სუპერ-ეგო) დაუმატა. პირველ ორ განზომილებას განსაკუთრებით ხანგრძლივი ისტორია აქვს. აიზენკმა მიუთითა, რომ ამ ორი განზომილების შესახებ მსჯელობას ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ

ჰიპოკრატეს და გალენის ნაწერებში ვხვდებით.. შემდგომში, 1798 წელს იმანუილ კანტმა ეს ტიპები ტემპერამენტის შესახებ თავის შრომაში გამოიყენა და თავისებური ინტერპრეტაციით წარმოადგინა, და ბოლოს, მე-20 საუკუნის 20-იან წლებში კარლ იუნგის შრომებში ეს პარამეტრები ისევ გამოჩნდა (იუნგს ეკუთვნის ინტროვერსია-ექსტრავერსიის ტერმინის შემოტანა). მიუხედავად ამ ავტორთა შეხედულებებს შორის სხვაობისა, ძირითადი მსგავსება იმაშია, რომ ყველა მათგანი აღიარებს პიროვნების **ორი დამოუკიდებელი ბაზისური განზომილების** არსებობას. კრემერის გავლენა კი თითოეულ განზომილებაში **პიროვნულ ნიშანთა ცვლასა და მერყეობაში** ვლინდება. (გაიხსენეთ კრემერის თეორიიდან ციკლოთიმიკური და შიზოთიმიკური ტიპის ადამიანებისთვის დამახასიათებელი ნიშანთა სამი ჯგუფი. **ციკლოთიმიკური ხასიათის** ადამიანი არის: 1. გულდია, გულკეთილი, გულწრფელი, აღერსიანი. 2. მხიარული, იუმორის გრძობით, მოძრავი, ცოცხალი, მგზნებარე. 3. ჩუმი, რბილი, მშვიდი, შთბეჭდილებიანი. **ეს ნიშნები ხშირად ცვლიან ერთმანეთს.** მეორეს მხრივ, **შიზოთიმიკები** არიან 1. ზედმეტად მგრძობიარე, ტაქტიანი, დელიკატური, სენტიმენტალური, ესთეტი, ბუნების და წიგნის მეგობარი, მორცხვი. 2. ცივი, გულდასურული, ენერგიული, თანმიმდევარი, სერიოზული, სისტემატური, იუმორს მოკლებული. 3. ინდიფერენტული. პედანტი, ადამიანების მიმართ უგრძობი-გულგრილი, ზოგჯერ კი. სამივე ჯგუფის ნიშანი დამახასიათებელია შიზოთიმიკისთვის, მაგრამ უფრო ხშირად ჭარბობს რომელიმე მათგანი. თუმცა, ასევე გვხვდება შიზოთიმიკები, რომლებთანაც ყველა ეს ნიშანი ერთმანეთშია გადახლართული).

აიზენკის თეორია ტიპოლოგიური თეორიაა, მაგრამ ტიპის ცნება მას თავისებურად ესმის: ტიპი მისთვის კატეგორიაა კი არ არის, რომელიც პიროვნებას ზუსტად “ერგება”, არამედ ფართე განზომილება, კონტინუუმი. იხ. ნახ. №1. აიზენკისთვის ინტროვერტი არის პიროვნება რომელიც ინტროვერსია-ექსტრავერსიის განზომილებაზე უფრო ახლოს ინტროვერსიის პოლუსთანაა. ზოგიერთი ადამიანის ქულები შეიძლება აღმოჩნდეს ამ განზომილების უკიდურეს ბოლო წერტილებზე, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა ინტროვერსიისა და ექსტრავერსიის პოლუსებს შორის, შუაში თავსდება. იგივე ითქმის დანარჩენ ორ განზომილებაზეც.

ინტროვერსია

ექსტრავერსია

8 7 6 5 4 3 2 1 0 1 2 3 4 5 6 7 8

ნახ. № 1. ინტროვერსია-ექსტრავერსიის განზომილება

როგორც უკვე აღვნიშნეთ თავის ადრინდელ შრომებში აიზენკმა მხოლოდ ორი ფაქტორი ინტროვერსია-ექსტრავერსია და ნეიროტიციზმი-ემოციური სტაბილობა გამოჰყო. მოგვიანებით კი მესამე განზომილება ფსიქოტიციზმი – ძლიერი სუპერ-ეგოდაუმატა.. ამასთან, არ გამოორიცხავდა, რომ მომავალში შეიძლება კიდევ რომელიმე სხვა განზომილებაც გამოკვეთილიყო.

პიროვნების ელემენტების იერარქიული მოდელი

აიზენკის კონცეფციის მიხედვით, პიროვნების ელემენტები იერარქიულად არის განლაგებული. მან შექმნა ქცევის ორგანიზაციის ოთხდონიანი იერარქიული სისტემა


პირველი დონე – სპეციფიკური მოქმედებები ან აზრები. ეს არის ქცევის ან აზრების სპეციფიკური მანერა, რომელიც შეიძლება იყოს ან შეიძლება არც იყოს პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებელი. მაგალითად, მოსწავლე, რომელიც თუ ვერ იყვანს დავალებას, იწყებს გეომეტრიული ფიგურების ხატვას რვეულში. ეს ფიგურების სპეციფიკური რეაქციის შედეგია, მაგრამ თუ მთელი მისი რვეული არ არის აჭრელებული ამგვარი ნახატებით, ვერ ვილაპარაკებთ ამ მოქმედებაზე, როგორც ჩვევაზე.

მეორე დონე – ჩვეული მოქმედებები ან ჩვეული აზრები. ეს არის მოქმედებები, რომლებიც გარკვეულ პირობებში მეორდება. თუ სტუდენტი მუდამ და ბეჯითად ცდილობს შეასრულოს და ბოლომდე მიიყვანოს დავალება, ასეთი მოქმედება მას უკვე ჩვევად ექცევა. სპეციფიკური რეაქციებიდან განსხვავებით, ჩვევები

საკმაო რეგულარობითა და თანმიმდევრულობით ხასიათდება. ჩვევები ფაქტორული ანალიზის მეშვეობით სპეციფიკური რეაქციებიდან გამოიყვანება.

მესამე დონე – ნიშნები. აიზენკი ნიშანს განსაზღვრავს, როგორც მნიშვნელოვან, შედარებით პერმანენტულ (მყარ) პიროვნულ მახასიათებელს. ნიშანი რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ჩვევისგან ყალიბდება. მაგალითად, თუ მოსწავლეს აქვს ჩვევა ყოველთვის შეასრულოს დავალება და სხვა სამუშაოებიც ბოლომდე მიიყვანოს, შეიძლება მას სიბეჯითის ნიშანი მივაწეროთ. ნიშნის დონის ქცევითი მახასიათებლები ფაქტორული ანალიზის მეშვეობით ჩვევებიდან მიიღება და ნიშანი განისაზღვრება, როგორც ჩვევათა სხვადასხვა ვარიანტებს შორის მნიშვნელოვანი კორელაციის შედეგი. კეტელის 35 პირველადი ძირითადი ფაქტორი ქცევის ორგანიზაციის სწორედ მესამე დონეს (ნიშნის დონეს) განეკუთვნება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კეტელმა აიზენკთან შედარებით ბევრად მეტი პიროვნული ფაქტორი გამოჰყო.

მეოთხე დონე – ტიპები (სუპერფაქტორები). ტიპი რამდენიმე ერთმანეთთან კორელაციაში მყოფი ნიშნებიდან ყალიბდება. მაგალითად, სიბეჯითე შეიძლება დაკავშირებული იყოს ემოციური ადაპტაციის დაბალ დონესთან, სოციალურ სიმორცხვესთან და სხვა რამდენიმე ნიშანთან, რომლებიც ერთად ქმნიან ინტროვერტირებულ ტიპს. იხ. ნახ. № 2.



ნახ. №2 პიროვნების ელემენტების იერარქიული მოდელი

ფაქტორთა იდენტიფიკაციისთვის აიზენკმა ოთხი კრიტერიუმი გამოჰყო:

1. ფაქტორთა არსებობის ფსიქომეტრული დასაბუთება – ფაქტორი უნდა იყოს სტატისტიკურად სანდო და შემოწმებადი. სხვა მკვლევარებსაც, რომლებიც დამოუკიდებელი ლაბორატორიების წარმომადგენლები არიან, უნდა შეეძლოთ იგივე ფაქტორის მიღება.
2. ფაქტორი მემკვიდრულობით უნდა ხასიათდებოდეს და შეესაბამებოდეს არსებულ გენეტიკურ მოდელს. ეს კრიტერიუმი გამორიცხავს ნასწავლ (შეძენილ) მახასიათებლებს, როგორცაა პოლიტიკური ან რელიგიური რწმენები და სხვ.
3. ფაქტორი თეორიისთვის, მისი არსისთვის რელევანტური და მნიშვნელოვანი უნდა იყოს

4. მათემატიკური გზით მიღებული ფაქტორი უნდა უკავშირდებოდეს (არა აუცილებლად მიზეზშედევობრივად) სოციალურ მოვლენებს, მაგალითად, ნარკოტიკების მოხმარებას, გამორჩეულ სპორტულ მიღწევებს, ფსიქოტურ ქცევებს, დანაშაულს და სხვ.

აიზენკის აზრით, თითოეული ფაქტორისთვის არსებობს უტყუარი ფსიქომეტრული მტკიცებულებები.

1. ეს განსაკუთრებით ეხება პირველ ორ ფაქტორს. რაც შეეხება ფსიქოტიციზმს, იგი მოგვიანებით იქნა გამოყოფილი და ამიტომ ისეთი უტყუარი მტკიცებულებანი, როგორც პირველ ორ ფაქტორს, ჯერ კიდევ არ გააჩნია. ექსტრავერსია და ნევროტიზმი თითქმის ყველა შემდგომ ფაქტორულ-ანალიტიკურ კვლევებში სუპერფაქტორების სახით გამოიყო. მაგალითად, როისმა და პაუელმა აიზენკის \square და \square ფაქტორები კეტელის მეორე რიგის ფაქტორებს შეუდარეს და დაადგინეს რომ აიზენკის \square (ექსტრავერსია-ინტროვერსია) შეესაბამება კეტელის \square (ექსვია/ინვიას), ხოლო \square (ნეიროტიზმი-სტაბილობა) ფაქტორი კი ძალიან ჰგავს კეტელის \square I-ს (შფოთვას). პიროვნების ხუთფაქტორიან თეორიაშიც დიდი ხუთეულიდან ორი - ნეიროტიზმი და ექსტრავერსია აიზენკის \square -ს და \square -ს შეიძლება შევუდაროთ.

2. აიზენკმა დაამტკიცა, რომ სამივე სუპერფაქტორისთვის არსებობს სერიოზული ბიოლოგიური საფუძველი. ამავე დროს, მან განაცხადა, რომ დიდ ხუთეულში შესულ ისეთ ნიშნებს, როგორცაა „სოციალური დამყოლობა“ და „კეთილსინდისიერება“, ბიოლოგიური საფუძველი არ გააჩნიათ.

3. სამივე ტიპი, განსაკუთრებით კი \square და \square თეორიული თვალსაზრისითაც დასაბუთებულია: იუნგი, ფროიდი და სხვა თეორეტიკოსები მიუთითებდნენ, რომ ისეთი ფაქტორები, როგორცაა ინტროვერსია/ექსტრავერსია და შფოთვა/ემოციური სტაბილურობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქცევაზე. გარდა ამისა, ნევროტიზმი და ფსიქოტიზმი არ წარმოადგენენ მხოლოდ პათოლოგიური პიროვნებებისთვის დამახასიათებელ თვისებებს, თუმცა ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს უფრო მაღალი შეფასებები აქვთ ამ ორი ფაქტორის გასაზომ სკალაზე. აიზენკმა სცადა ფსიქოტიზმის ფაქტორის თეორიული დასაბუთება იმ ჰიპოთეზიდან გამომდინარე, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის მახასიათებლები ადამიანთა ძირითად მასაში უწყვეტად არის განაწილებული. ამ თვალსაზრისის მიხედვით, განზომილების კონტინიუმის ერთ ბოლოზე განლაგებულია მხოლოდ ისეთი ჯანმრთელი ნიშნები, როგორცაა ალტრუიზმი, დადებითი სოციალური ადაპტაცია, თანაგრძნობა, ხოლო მეორე ბოლოზე კი – ისეთი თვისებები, როგორცაა, აგრესიულობა, მტრული განწყობა, შიზოფრენიული რეაქციები. ადამიანი თავისი მახასიათებლებით ამ კონტინიუმის ნებისმიერ წერტილზე შეიძლება იმყოფოდეს. და არავინ მიიჩნევს მას ფსიქიკურად დაავადებულად. ამავე დროს, აიზენკმა შეიმუშავა ფსიქიკურ დაავადებათა აღმოცენების **დიათეზისურ-სტრესული მოდელი**, რომლის მიხედვითაც ზოგიერთი ადამიანი უფრო ადვილად ექვემდებარება დაავადებას, რადგანაც გააჩნია გენეტიკური ან შექენილი მიდრეკილება ფსიქიკური დაავადებებისადმი. ეს მიდრეკილება (დიათეზისი) სტრესულ სიტუაციასთან ერთად ხელს უწყობს ფსიქოტური გამოვლინებების აღმოცენებას. აიზენკის ვარაუდით, ის ადამიანები, რომელთა მახასიათებლებიც განზომილების უფრო ჯანმრთელ ნაწილზე არიან

განლაგებულნი, ძლიერი სტრესის პერიოდშიც კი უფრო ნაკლებ დაექვემდებარებიან ფსიქოტურ „ჩავარდნებს“. მეორეს მხრივ, არაჯანმრთელ პოლუსთან ახლოსმდგომ ადამიანში მინიმალური სტრესმაც კი შეიძლება გამოიწვიოს ფსიქოტური რეაქციები. სხვა სიტყვებით, რაც უფრო მაღალია ფსიქოტიციზმის მაჩვენებელი, მით უფრო ნაკლები სიძლიერის სტრესული გამდიზინებელია საკმარისი ფსიქოტური რეაქციების გამოსაწვევად.

4. აიზენკმა არაერთხელ მოახდინა იმის დემონსტრაცია (კვლევის შედეგებით), რომ მისი სამივე ტიპი დაკავშირებულია ისეთ სოციალურ მოვლენებთან, როგორცაა, ნარკოტიკები, დამნაშავეობა, კიბოს და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა პროფილაქტიკა და ხელოვნება.

აიზენკი: „ადამიანის გენეტიკურად განსაზღვრულ მიდრეკილებაზეა დამოკიდებული ადამიანის მოქმედების თავისებურებები გარკვეულ სიტუაციაში“

სამივე სუპერფაქტორი – ექსტრავერსია, ნევროტიზმი და ფსიქოტიციზმი აიზენკის მიხედვით, უპირატესად, გენეტიკურ ფაქტორზეა დამოკიდებული. აიზენკის მტკიცებით, თითოეული ამ სუპერფაქტორის გამოვლინების ვარიაციის სამი მეოთხედი გენეტიკით აიხსნება და მხოლოდ ერთი მეოთხედი – გარემო პირობებით. მან ბევრი მტკიცებულება მოიპოვა პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში ბიოლოგიური კომპონენტის უპირატესი მნიშვნელობის შესახებ:

1. თითქმის იდენტური ფაქტორები იქნა აღმოჩენილი მთელს მსოფლიოში – “უგანდიდან და ნიგერიიდან დაწყებული იაპონიასა და კონტინენტურ ჩინეთამდე, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტური ქვეყნებიდან აღმოსავლეთის ბლოკის ისეთი ქვეყნების ჩათვლით, როგორცაა საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია“ (1990წ.).

2. დადგენდა, რომ ადამიანს აქვს სამივე ამ განზომილების მიმართ დამოკიდებულების ხანგრძლივი დროით შენარჩუნების ტენდენცია.

3. ტყუპების შესწავლამ გამოავლინა, რომ მონოზიგოტურ (ერთი კვერცხუჯრედიდან) ტყუპებს ბევრად უფრო მსგავსი მახასიათებლები აქვთ, ვიდრე ერთი სქესის სხვადასხვა კვერცხუჯრედიდან, მაგრამ ერთად, ერთ პირობებში გაზრდილ ტყუპებს. ყველა ეს მონაცემი, აიზენკის აზრით ამტკიცებს, რომ ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიზეზი გენეტიკური ფაქტორის უპირატესი მოქმედების შედეგია.

პიროვნების ძირითადი განზომილებები

I. ექსტრავერსია-ინტროვერსია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აიზენკის მიხედვით, არსებობს განზომილება ექსტრავერსია-ინტროვერსია, როგორც კონტინიუმი, რომლის ერთ პოლუსზე ინტროვერტია, ხოლო საწინააღმდეგო პოლუსზე – ექსტრავერტი. ისევე გავიმეორებთ, რომ ზოგიერთი ადამიანის ქულები შეიძლება აღმოჩნდეს ამ განზომილების უკიდურეს ბოლო წერტილებზე, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობა

ინტროვერსიისა და ექსტრავერსიის პოლუსებს შორის, შუაში თავსდება. იგივე ითქმის აიზენკის დანარჩენ ორ განზომილებაზეც.

ტიპიურ ექსტრავერტს უყვარს მხიარულება, სოციალურად გახსნილია, ჰყავს ბევრი მეგობარი, რისკიანია, ყველაფერს ახალს ადვილად ამჩნევს, სწრაფად რეაგირებს, ოპტიმისტია, უდარდელია, უშუალოა ემოციების გამოხატვაში, დიდად საიმედო არ არის და მისი მხრიდან შეიძლება ადვილი ჰქონდეს საზოგადოებრივი ნორმების დარღვევას.


ტიპიური ინტროვერტი საწინააღმდეგო თვისებებით ხასიათდება: თავის თავში ჩაღრმავებული პიროვნებაა, არ არის ძალიან მხიარული, არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, გარემო გამდიზიანებლებს თავს არიდებს, ენდობა ძალიან ცოტა ადამიანს და ისიც, ძალიან ახლობელ მეგობრებს, არ უყვარს რისკი, არ არის იმპულსური – სანამ რაიმეს გააკეთებდეს, კარგად დაფიქრდება, აკონტროლებს თავის ემოციებს, პესიმისტურად არის განწყობილი და, უფრო ხშირად, მოწყენილია. სიმედო პიროვნებაა და მისი ქცევა საზოგადოებრივ ნორმებზეა ორიენტირებული.

როგორ ხსნის აიზენკი ინტროვერსიასა და ექსტრავერსიას შორის განსხვავებას? აიზენკის აზრით, ამ განსხვავების მთავარი მიზეზი არის თავის ტვინის ქერქის აგზნებადობის დონე, რომელიც, ძირითადად, მემკვიდრეობითია და არა შექნილი – ნასწავლი. ამ თვალსაზრისს აიზენკის აგზნება-შეკავების ჰიპოთეზა უწოდებს. ამ თვალსაზრისის მიხედვით, ტვინის დეროს მიდამოებში მდებარეობს ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია დიდი ტვინის ქერქში აგზნება-შეკავების დონის განსაზღვრაზე. ეს ცენტრი არის ე.წ. რეტიკულარული ფორმაცია,, რომელიც გამოიმუშავებს აგზნება-შეკავების იმპულსებს. თუ ამ ცენტრიდან წამოვა შეკავებაზე მეტი აგზნების იმპულსები, მაშინ ტვინის ქერქის მგრძნობელობა გამდიზიანებლის მიმართ მატულობს. თუ შეკავების იმპულსები სჭარბობს, მაშინ ტვინის ქერქის აქტივობა მცირდება. მ.შ ტვინის ქერქის აგზნების ხარისხზე დამოკიდებული გამდიზიანებლები სწრაფად და ინტენსიურად, თუ ნელა გადამუშავდება.

რამდენადაც აგზნებადობის ეს დონე **ექსტრავერტებს** უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე ინტროვერტებს, მათი სენსორული ზღურბლი უფრო მაღალია და ამიტომაც, სენსორული სტიმულაციების მიმართ უფრო ნაკლებ მგრძნობიარენი არიან. **ინტროვერტებს კი, პირიქით**, ტვინის ქერქის აგზნებადობის უფრო მაღალი დონე ახასიათებთ, შესაბამისად, სენსორული ზღურბლი უფრო დაბალი აქვთ და სენსორულ სტიმულაციაზე უფრო ძლიერ რეაგირებენ. იმისათვის, რომ სტიმულაციის ოპტიმალურ დონეს მიაღწიონ, ინტროვერტები, რომელთა სენსორული ზღურბლი დაბადებიდანვე დაბალია, არსიამოვნებთ და ავტომატურად თავს არიდებენ ისეთ სიტუაციებს, რომელთაც შეუძლიათ ძლიერი აგზნება გამოიწვიონ. ამიტომაც ცდილობენ არ მიიღონ მონაწილეობა მჩქეფარე სოციალურ მოვლენებში, არ უყვართ რისკიან საქმეებში მონაწილეობის მიღება და სხვ.

ექსტრავერტებისთვის კი, რამდენადაც თავის ტვინის ქერქის დაბალი აგზნებადობა ახასიათებთ, ოპტიმალურია სენსორული სტიმულაციის მაღალი დონე. ამიტომაც, აქტიურად იღებენ ამაგზნებელ საქმიანობაში მონაწილეობას. ექსტრავერტები სიამოვნებას იღებენ მაგალითად დელტაპლანით ფრენის ან პარაშუტით გადმოსტომის დროს, უყვართ მანქანის სწრაფი ტარება და დროსტარება, ქეიფითუ მარისხუნას მოწვევა. გარდა ამისა, სწორედ თავის ტვინის


ქერქის აგზნებადობის დაბალი დონის გამო ექსტრავერტები სულ უფრო და უფრო ნაკლებად რეაგირებენ ერთსა და იგივე სტიმულზე (იქნება ეს საქმიანობა თუ ადამიანებთან დამოკიდებულება), მაშინ როდესაც ინტროვერტებისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი მობეზრება ან ინტერესის დაკარგვა და შეუძლიათ დიდი ხნის მანძილზე აკეთონ ერთი საქმე ან ურთიერთობა ჰქონდეთ ერთ ადამიანთან.



ნახ.№3 =====

ექსტრავერტები და ინტრავერტები ერთმანეთისგან იმითაც განსხვავდებიან, თუ როგორ ახდენენ ისინი ტვინის ფიზიოლოგიურ წანამდღვართა საფუძველზე შიშის გამღიზიანებლების გადაამუშავებას. ანუ რამდენად მგრძობიარეა მათი დასჯის მექანიზმი. ინტროვერტს ექსტრავერტთან შედარებით განსაკუთრებული და მაღალი მგრძობელობა აქვს დასჯის შიშის მიმართ. ინტროვერტი უფრო მეტად ცდილობს მიიღოს ნაკლები შენიშვნა, არ იყოს ფრუსტრირებული და დასჯილი. რამდენადაც ინტროვერტს მაღალი ქერქული აგზნება აქვს, იგი გარემოდან გამღიზიანებლებს უფრო სწრაფად და ინტენსიურად გადაამუშავებს. იგი უფრო სწრაფად სწავლობს და სწრაფად იმუშავებს პირობით რეაქციებს, ვიდრე ექსტრავერტი. აქედან გამომდინარე შიშის მიმართ რეაქციებსაც სწრაფად და მტკიცედ იმუშავებს, განსხვავებით ექსტრავერტისგან. სანამ ექსტრავერტები შიშის გამომწვევი სიტუაციის აღქმას მოასწრებენ, ინტროვერტებს ეს სიტუაცია უკვე აღქმულიც და მათზე რეაქციაც მზად აქვთ. რამდენადაც ინტროვერტს დასჯის ძლიერი შიში აქვს, ის საზოგადოებრივ ნორმებსაც დასჯის შიშით ადვილად იმუშავებს და ნაკლებადაც არღვევს. (მაგალითად, ინტროვერტი უფრო ადვილად და სწრაფად სწავლობს (პირობითი

რეაქცია), რომ შექნიშნის წითელ ფერზე არ უნდა გადავიდეს, ვიდრე ექსტრავერტი).



ნახ. №4 თვალის დახამხამებაზე შემუშავებული პირობითი რეაქცია ინტროვერტებთან და ექსტრავერტებთან

როგორც ვხედავთ, ინტროვერტების სოციალურ გარემოში გამოვლენილი ქცევა – მშვიდი, გაუბედავი, მშიშარა, არარისკიანი, – წინააღმდეგობაში მოდის მის საფუძვლად მდებარე ფიზიოლოგიურ მექანიზმთან. თავის ტვინის ქერქი აგზნებულია, ინტროვერტის ქცევა კი – მშვიდი..

ექსტრავერტებთანაც ასეთივე პარადოქსული მდგომარეობაა. ქცევაში აქტიურები და აგზნებულები, ფიზიოლოგიურ დონეზე შეკავებს მაღალი პოტენციალით ხასიათდებიან.

ინვეროტიზმი – სტაბილობა

ინვეროტიზმი-სტაბილობა არის აიზენკის მიერ გამოყოფილი მეორე ფაქტორი და ემოციონალობას უკავშირდება. ინდივიდებს, რომლებსაც ნეიროტიციზმის სკალაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ, უკიდურესი ემოციონალური რეაქციები აქვთ (ცრემლები, შიში)საშუალო სიძლიერის ცხოვრებისეულ მოვლენებზე, მაშინ როდესაც იგივე სახის მოვლენების მიმართ უფრო მდგრადი (ნეიროტიციზმის სკალაზე უფრო დაბალი ქულების მქონე) ინდივიდები ემოციურად გულგრილნი რჩებიან. ამ უკანასკნელთ ძლიერი ემოციური რეაქცია ადექვატურად – ძლიერ გამღიზიანებელზე აქვთ. არასტაბილური ტიპი გამღიზიანებელზე გადაჭარბებული რეაქტიულობით პასუხობს, სტაბილური კი – სიტუაციის ადექვატურად. მაგალითად, როდესაც მანქანა ძალიან სწრაფად პირდაპირ თქვენზე მოძრაობს და თქვენ იმპულსურად ძალიან სწრაფად გვერდზე გადავებით, ეს ადექვატური ქცევაა. ხოლო როდესაც იგივე მოძრაობას აკეთებთ, როდესაც მანქანის მხრიდან საშიშროება არ გემუქრებათ, მანქანამ შორიდან ჩაგიარათ, ეს უკვე არაადექვატური ემოციონალური რეაქციაა.

ნეიროტიზმის მაღალი მაჩვენებლების მქონე ადამიანს ხშირად ეცვლება გუნება-განწყობა. იგი გადაუწყვეტელი, გაუბედავი, ნერვიულია; ადვილად გამოდის მწყობრიდან, მშფოთავი, მოუსვენარია. მისი ემოციების გამოწვევა ადვილდ ხდება და გარეთაც ინტენსიურად ვლინდება. ფსიქიკური დატვირთვის შემთხვევაში თავს ხშირად შეუძლოდ გრძნობს, აწუხებს თავის ან ბეჭის ტკივილი, ღელვა, შფოთვა.

ემოციურად სტაბილური პიროვნება არის მშვიდი, თავშეკავებული, მაღალი თვითცნობიერებით, სანდო, არ არის დარდით დამძიმებული, მისი ავტონომიური ნერვული სისტემა გაწონასწორებულად მოქმედებს.


აიზენკის მიხედვით, ნეიროტიციზმის სკალაზე მაღალი ქულა სულაც არ ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ნევროზთან, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით. თუმცა აიზენკის დიათეზისურ-სტრესული მოდელის თანახმად, ნეიროტიციზმის სკალაზე მაღალი ქულების მქონე ადამიანებთან უფრო მეტია ალბათობა სტრესულ სიტუაციაში ნევროზით დაავადებისა, ვიდრე ნეიროტიციზმის დაბალი ქულების მქონე ინდივიდებთან .

აიზენკის მიხედვით, ნეიროტიციზმი-ემოციური სტაბილობის ფაქტორიც, ისევე როგორც ინტრავერსია-ექსტრავერსია, მემკვიდრეობითია. აიზენკი მთელი რიგი გამოკვლევების საფუძველზე ასაბუთებს ისეთი ნევროტული ნიშნების გენეტიკურ წარმომავლობას, როგორცაა შფოთვა, ისტერია და სხვ. გარდა ამისა, მან დაადგინა, რომ ანტისოციალური თუ ასოციალური ქცევის ვარიანტების, მოზარდთა დამნაშავეობის, ბავშვთა ასაკში ქცევითი დარღვევების, ალკოჰოლიზმისა თუ ჰომოსექსუალიზმის მიხედვით ერთი კვერცხუჯრედის ტყუპები გაცილებით ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ვიდრე განსხვავებული კვერცხუჯრედების ტყუპები.

ნეიროტიზმის ფაქტორის ბიოლოგიურ საფუძველად აიზენკი ტვინის ლიმბურ სისტემას მიიჩნევს. ეს არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სტრუქტურების სისტემა, (რომელიც მოიცავს ჰიპოკამპს, ჰიპოთალამუსს ნუშისებრ სხეულს) და განლაგებულია ტვინის ფუძესთან. აიზენკი მას ვისცერლურ ტვინსაც უწოდებს. დიდი ახნის წინ იყო ცნობილი, რომ ეს სისტემა

ემოციონალური აქტივობის წარმოშობაშია ჩართული. ის გავლენას ახდენს ავტონომიური ნერვული სისტემის სიმპატიკურ ნაწილზე. ეს უკანასკნელი ცნობილია, როგორც „წინააღმდეგობის, ბრძოლის ან გაქცევის მექანიზმი“, რადგან მისი ამოქმედება ამზადებს ორგანიზმს ერთ-ერთი ამ ქცევისთვის. კერძოდ, სიმპატიკური ნერვული სისტემის გააქტიურება იწვევს გულისცემის, სუნთქვის გახშირებას, კუნთებში სისხლის მიწოდებას, აძლიერებს ოფლის გამოყოფას, ხოლო კუჭ-ნაწლავის ტრაქტისთვის და ზოგიერთი ზოგიერთი იმ ორგანოსთვის, რომლებიც არ არიან ჩართული ფიზიკური აქტივობის სასწრაფო უზრუნველყოფაში სისხლის მიწოდების შემცირებას. ყველა ამ გამოვლინებაზე დაკვირვება და ობიექტური გაზომვა შესაძლებელია სპეციალური მეთოდებით.. ამ ფიზიკური სიმპტომების პარალელურად ინდივიდი განიცდის უარყოფით ემოციებს – შიშს, შფოთვას, რისხვას. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რომ ინდივიდებს, რომლებსაც შფოთვის (ნეიროტიციზმის) მაღალი დონე აქვთ, საშუალო სიძლიერის სტრესოგენულ სტიმულებზე უფრო ემოციური ფიზიოლოგიური პასუხები აქვთ, ვიდრე ინდივიდებს, რომელთაც შფოთვის დაბალი დონე აქვთ.

გამოსახულია ექსტრავერსია-ინტროვერსიის დერძი, რომელიც მართ კუთხეს ქმნის ნეიროტიციზმი- სტაბილობის დერძთან. აიზენკის ფაქტორულ-ანალიზური ტექნიკა ტიპების დემოუკიდებლობიდან ამოდის. სხვა სიტყვებით, ამ ორ ფაქტორს შორის კორელაცია ნულის ტოლია. ამიტომაც, ექსტრავერსიისა და ინტროვერსიის ნიშნები სტაბილობა- ნევროტიციზმის ნიშნებთან კომბინაციაში უნდა განვიხილოთ. ნევროტული ქცევა რომელიმე ერთი სინდრომით არ აღიწერება.სხვადასხვა ადამიანს შეიძლება ნეიროტიციზმის სკალაზე ერთნაირად მაღალი მაჩვენებლები ჰქონდეს, მაგრამ, ამასთან ერთად, თითოეული ადამიანი განსხვავებულ ნიშნებს ავლენდეს იმის მიხედვით, ექსტრავერტულ თუ ინტროვერტულ ტიპს მიეკუთვნება იგი. დაუშვათ, და C-სუბიექტებს ერთნაირი მაჩვენებლები აქვთ ნეიროტიციზმის სკალაზე, მაგრამ განსხვავებული პოზიციები უჭირავთ (განსხვავებული ნიშნები აქვთ) ექსტრავერსიის სკალაზე. ნევროტული ინტროვერტია და მისთვის დამახასიათებელია შფოთვა, დეპრესია, ფობიები. არც ინტროვერტი და არც ექსტრავერტია. მისთვის ისტერია (ნევროტული აშლილობა, რომელიც ემოციონალურ არასტაბილობასთან არის დაკავშირებული), შთაგონებადობა და სომატური სიმტომებია დამახასიათებელი. ნევროტული ექსტრავერტია და მისგან უფრო ფსიქოპატური გამოვლინებებია მოსალოდნელი – ქცევის დარღვევები და კრიმინალური გადახრები. განვიხილოთ, აგრეთვე, და სუბიექტები. ხემოთ აღწერილი ნევროტული ინტროვერტია. ასევე ინტროვერტია, მაგრამ არც აშკარად გამოხატული ნევროტიკია და არც აშკარად სტაბილური პიროვნება. კი ემოციონალურად სტაბილური უკიდურესი ინტროვერტია.



ნახ.№5 =====

№5 ნახატზე გამოსახულია პიროვნულ ნიშანთა რამდენიმე კომბინაცია, რომლებშიც თითო ექსტრემალური მნიშვნელობა გვხვდება. მაგრამ, ჩვეულებრივ, ადამიანთა უმრავლესობის მაჩვენებლები დიაგრამის ცენტრთან ახლოს არის განლაგებული. დიაგრამის საზღვრებთან განლაგებული ნიშნები სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება (ისევე როგორც ნორმალური განაწილების მრუდზე საშუალო სიხშირეები ცენტრთან არის თავმოყრილი).

III ფსიქოტიზმი- სუპერეგო (ძლიერი მე)

როგორც აღრეც აღვნიშნეთ, აიზენკმა მესამე ფაქტორი ფსიქოტიზმი-ძლიერი მე მოგვიანებით შეიტანა თავის თეორიაში.ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში თანამედროვე ფსიქიატრიის პიონერებმა მიაქციეს ყურადღება იმას, რომ შიზოფრენიით ან სხვა ფსიქიური დაავადებებით მქონე ადამიანთა ბიოლოგიური ნათესავები ხშირად უცნაური ქცევებითა და აზრებით გამოირჩეოდნენ. დაისვა სახითხი : ხომ არ ვლინდება ფსიქოზის მსუბუქი ფორმები მიდრეკილების სახით ზოგადად პოპულაციაში? აიზენკმა ამ კითხვას დადებითად უპასუხა და შეიმუშავა კითხვარი, რათა დაედგინა ინდივიდუალური განსხვავებები და გამოევლინა მახასიათებლები, რომლებიც ფსიქიური დაავადებების თვისებებთან ასოცირდებოდა. ამ კითხვარით დგინდებოდა, თუ რამდენად უყვარს ადამიანს ცხოველების და ბავშვების წვალება, სხვისი დაცინვა და სხვისთვის გულსატკენი ხუმრობები, აქვს თუ არა უცნაური განცდები და აზრები, მიდრეკილება უჩვეულო და ანტისოციალური ქცევებისადმი და ბევრი სხვა ქცევითი და ემოციური მახასიათებლები. ინდივიდები, რომლებსაც აქვთ მაღალი ქულები ფსიქოტიზმის სკალაზე, ხასიათდება, როგორც ძლიერ იმპულსური, ჩაკეტილი, არაკონფორმული, აგრესიული, არაჰუმანური და უპასუხისმგებლო პიროვნებები. ისინი ყურადღებას არ აქცევენ კანონს, საშიშროებას, სხვების მიმართ გულგრილნი არიან. მათ მოსწონთ და მიდრეკილიც არიან უცნაურობებისკენ და საშინელებისკენაც კი. სოციალური მოვლენების მიმართ მათ დოგმატური დამოკიდებულებები აქვთ და უკიდურეს პოლუსებზე დგანან (მაგალითად პოლიტიკაში უკიდურესი მემარჯვენე ან უკიდურესი მემარცხენე შეხედულებები აქვთ) და პირიქით, ინდივიდები, რომელთაც დაბალი ქულები აქვთ ფსიქოტიზმის სკალაზე ემპთიური, ნორმების დამცველი,კეთილგანწყობილი და კოოპერატიულები არიან. როგორც ამ მიმართულებით შემდგომმა კვლევებმაც უჩვენა, ფსიქოტიზმის მაღალი დონის

მქონე ინდივიდებს წარუმეტებელი ქორწინება, პროფესიით უკმაყოფილება და დაბალი შრომითი მიღწევები აქვთ. მოსწონთ სხვადასხვა სახის მაღალ რისკთან დაკავშირებული მოქმედებები და ძალადობიკენ არიან მიდრეკილნი. კვლევებში ხაზგასმულია აგრეთვე ამ ადამიანთა ანტისოციალური ქცევებისკენ მიდრეკილება. ყოველივე ზემოთქმული კი მკვლევარებს შესაძლებლობას აძლევს ივარაუდონ, რომ ფსიქოტიზმს აქვს როგორც ფსიქოზის, ისე ფსიქოპათიისკენ ტენდენცია.

ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლების მქონე პიროვნება არის აგრესიული, ცივი, ეგოცენტრული, ინდიფერენტული, იმპულსური, ანტისოციალური, არათანამგრძობი, შემოქმედებითი

ფსიქოზისა და ფსიქოპათიისკენ მიდრეკილება უკვე ადრეული ბავშვობის ასაკში შეიძლება გამოვლინდეს. ბავშვებს, რომლებიც აიზენკის ფსიქოტიზმის კითხვარის საბავშვო ვარიანტის მიხედვით მაღალი ქულები აქვთ, დაბალი შეფასებები აქვთ სწავლასა და ქცევაში, ანტისოციალური ქცევებით გამოირჩევიან. მასწავლებლებს გააკეთილის ნორმალურად ჩატარების საშუალებას არ აძლევენ და მათ უკმაყოფილებას იწვევენ.

ექსპერიმენტული კვლევების შედეგად, დადგინდა, რომ ფსიქოტიზმის მაღალი დონის მქონე პიროვნებებს პრობლემები აქვთ ინფორმაციის გადამუშავებაში, რაც იმაში ვლინდება, რომ ირელევანტურ და არარსებით მომენტებს შემეცნებით პროცესებში (აღქმის, პრობლემის გადაჭრის და სხვ) მხედველობაში იღებენ და დიდ ყურადღებას აქცევენ. ეს თვისება ზოგიერთ შიზოფრენიით დაავადებულსაც ახასიათებს. ინფორმაციის გადამუშავების არასწორი პროცესები კი ხელს უშლის სოციალური წესებისა და ნორმების დასწავლას, რაც ფსიქოტიზმის მნიშვნელოვან მახასიათებელში - დაბალ სოციალიზაციაში ვლინდება. ამავე დროს, საინტერესოა, რომ ამ უნარს, ირელევანტური გამღიზიანებლის შემჩნევას და აზროვნების პროცესში ჩართვას დადებითი მხარეც აქვს: ზოგიერთ მაღალი ფსიქოტიზმის მქონე ინდივიდს ეს უნარე ეხმარება მდიდარი და ფლუიდური ასოციაციებისა და მიმართებების დამყარებაში, რაც პრობლემის კრეატიული გადაწყვეტის საფუძველს ქმნის.

ფსიქოტიზმის მაღალი დონე არ ნიშნავს იმას, რომ ამ პიროვნებას ფსიქოზი აქვს. მაგრამ, აიზენკის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ძლიერი სტრესული სიტუაციების გავლენიტ მას შეიძლება ფსიქოტური დარღვევები გამოუვლინდეს. მნიშვნელოვანი სტრესების არარსებობის შემთხვევაში ამ ადამიანებს ჩვეულებრივად, ნორმალურად შეუძლიათ მოქმედება, მაგრამ ძლიერმა სტრესმა გენეტიკურ მგრძობელობასთან ერთად შეიძლება ფსიქოტური ჩავარდნა “გამოიწვიოს”

□ (ფსიქოტიზმი-სუპერ-ეგო) ფაქტორი, ისევე როგორც □ და □ ფაქტორები დამოუკიდებელნი არიან ნახ.№6 წარმოდგენილია სამივე ფაქტორის ღერძი, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მართ კუთხეს ქმნიან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მათ შორის კორელაცია ნულია. ასეთ დამოკიდებულებას ორთოგონალური ეწოდება. რამდენადაც დიაგრამა ქალაქის სიბრტყეზეა, მკითხველმა ის სამგანზომილებიანი სივრცეში უნდა წარმოიდგინოს. წარმოიდგინეთ ოთახის კუთხე, რომელიც იატაკს უერთდება. თითოეული ხაზი დანარჩენების მიმართ მართ კუთხეს ქმნის). ინდივიდები ამ სქემაზე წერტილების სახით არის გამოსახული. მაგალითოდ □ სქემაზე ძლიერი სუპერ ეგო აქვს, საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები აქვს ექსტრავერსიაზე და ნულთან მიახლოებული ნევროტიზმი-სტაბილობის განზომილებაზე. ამრიგად, აიზენკის თეორია შესაძლებლობას იძლევა ნებისმიერი ადამიანი შეფასდეს სამი დამოუკიდებელი ფაქტორის მიხედვით.




ნახ.№6 სამგანზომილებიან სქემაზე წარმოდგენილია აიზენკის თეორიის სამი განზომილება

პიროვნების ხუთფაქტორიანი თეორია

(პიროვნული ნიშნის დიდი ხუთეული)

შესავალი

ოლპორტი, აიზენკი და კეტელი, როგორც ვნახეთ, პიროვნული ნიშნის თეორიის წარმომადგენლები არიან, მაგრამ თითოეულს თავისი ორიგინალური თეორია აქვს და მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთი სგან პიროვნების სტრუქტურის შესახებ თავისი პოზიციით და ამ სტრუქტურის განმსაზღვრელი ბაზისური პიროვნული ნიშნების რაოდენობით. პერვინი და ჯონი თავს ხუთფაქტორიანი თეორიის შესახებ წიგნში “” მკითხველისთვის იუმორნარევი პასაჟით იწყებენ: “წარმოდგინეთ, რომ ოლპორტი, აიზენკი და კეტელი თქვენ გაძლევენ დახასიათებას, რომელიც დოქტორანტურაში წარსადგენად გჭირდებათ. თქვენ მათგან სამ განსხვავებულ დახასიათებასს მიიღებთ: აიზენკი თქვენი პიროვნების აღსაწერად თავის სამ სუპერფაქტორს დაეყრდნობოდა, კეტელი თავის 16-დან 23-დე თავის კონკრეტულ ნიშნებს გამოიყენებდა, ხოლო ოლპორტი შექმნიდა თქვენს დეტალურ იდიოგრაფიულ პორტრეტს, რომელშიც თქვენს უნიკალურ თვისებებს ჩართავდა. უდაოა, რომ ამ სამ დახასიათებაში საერთოც ბევრი აღმოჩნდებოდა, მაგრამ კონსენსუსს, ანუ რამდენიმე ბაზისური ნიშნის საფუძველზე ერთ საერთო დახასიათებას არც ერთი მათგანი არ დათანხმდებოდა.”

პიროვნული ნიშნის თეორეტიკოსებს შორის ასეთი განსხვავება ბუნებრივად ბადებს კითხვას: თუ პიროვნული ნიშანი არის პიროვნების ბაზისური ელემენტი, რატომ ვერ თანხმდებიან ფსიქოლოგები რომელი და რამდენი უნდა ჩაითვალოს ბაზისურ ნიშნად.

ეს მისია – ეპოვათ პიროვნების ბაზისური ნიშნები პიროვნული ნიშნის თეორიების რევიზიის საფუძველზე, აგრეთვე, საზოგადოდ, პიროვნული ნიშნის კვლევის ტრადიციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, და, რა თქმა უნდა, ორიგინალური კვლევების საფუძველზე, ხუთფაქტორიანი თეორიის შემქმნელებმა იტვირთეს.

ხუთფაქტორიანი თეორიის სათავეებთან

ჯერ კიდევ 1949 წელს ფსიქოლოგმა დონალდ ფრისკემ განაცხადა, რომ მის მიერ შეგროვილ მონაცემთა უზარმაზარ რაოდენობაზე ჩატარებული ფაქტორული ანალიზის შედეგად ვერ მიიღო კეტელის მსგავსი შედეგი- 16 ფაქტორის ნაცვლად მის კვლევაში გამოიყო მხოლოდ ხუთი ფაქტორი. ფრისკეს ამ განცხადებას პირველ ხანებში პიროვნების ფსიქოლოგთა დიდი დაინტერესება არ მოჰყოლია. 1969 წელს, ახლა უკვე სხვა ფსიქოლოგებმა-(ნორმანმა დ სმიტმა) განაცხადეს, რომ მათი კვლევის მონაცემთა ფაქტორული ანალიზის შედეგად ასევე, მხოლოდ ხუთი ფაქტორი გამოიყო. 1980 წლისთვის კი სხვადასხვა ავტორის მიერ განხორციელებული განსხვავებული და მრავალფეროვანი მეთოდებით პიროვნების კვლევის (მათ შორის კროსკულტურულიც) შედეგად საკმაო მასალა დაგროვდა იმისათვის რომ მკვლევარები ამ ხუთი ფაქტორის არსებობაზე შეთანხმებულიყვნენ. ამ მოსაზრებას ისიც ამაგრებდა, რომ ხუთივე ეს ფაქტორი სანდო, ვალიდური და, შედარებით, სტაბილური იყო მოზრდილი ადამიანის ცხოვრების მანძილზე.

1981 წელს გოლდბერგმა თავის მონაცემებთან ერთად სხვა მკვლევართა მონაცემებიც გაანალიზა და საბოლოოდ მივიდა დასკვნამდე, რომ “ინდივიდუალურ განსხვავებათა ნებისმიერი მოდელი, როგორც ჩანს პიროვნულ ნიშანთა ამ დიდ ხუთეულს (ბიგ ფივე) ეყრდნობა. ტერმინი “დიდი ხუთეული” სწორედ გოლდბერგის სახელს უკავშირდება. სიტყვა “დიდი” მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული ფაქტორი ძალიან ბევრ კონკრეტულ ნიშანს მოიცავს. საინტერესოა, რომ ხუთფაქტორიანი თეორიის წარმომადგენლები (ავტორები) განსხვავდებული სახელებით აღნიშნავენ ამ ხუთ ფაქტორს*. დღეს მიღებულია ამ ფაქტორთა შემდეგი დასახელებები:

ნეიროტიციზმი (ნეუროტიცისმ ვსსტბლუ)

ექსტრავერსია (ესტრვერსიონ ვს რტრვერსიონ)

სიახლისადმი გახსნილობა (ლენ ვს. ცხვენტრაფ)

დამყოლიანობა (agreeableness vs. uncooperative)

კეთილსინდისიერება C (conscientiousness (reliable vs. unreliable))

თავის მხრივ, თითოეული ფაქტორი შემდეგ განზომილებებს მოიცავს:

ნეიროტიციზმი – შფოთვა, მტრული განწყობა,, დეპრესია, თვითცნობიერება, იმპულსურობა, მოწყვლადობა

ექსტრავერსია – სითბო, ხალხთან ყოფნის სურვილი,, შეუპოვრობა, აქტიურობა, მწვავე შთაბეჭდილებების სიყვარული, დადებითი ემოციები

სიახლისადმი მზაობა-გახსნილობა – წარმოსახვა, ესთეტიზმი, გრძნობები, მოქმედებები, იდეები, ღირებულებები

დამყოლიანობა – ნდობა, პირდაპირობა, ალტრუიზმი, დათმობის უნარი,თავმდაბლობა, სირბილე

კეთილსინდისიერება–კომპეტენტურობა, მოწესრიგებულობა, პასუხის მგებლობის გრძნობა, მიღწევისკენ სწრაფვა, თვითდისციპლინა, წინდახედულება

ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზა.

ბაზისური ელემენტების დადგენის ერთ-ერთი გზა კეტელის მიერ ჩატარებული კვლევის მსგავსია. (გაიხსენეთ ოლპორტისა და ოლბენტის მიერ ლექსიკონიდან ამოკრეფილი

* მაგალითად, ამ ტიპის კვლევათა პიონერმა ფრისკემ ფაქტორების აღსანიშნად გამოიყენა შემდეგი სახელწოდებები გამოიყენა: 1)მაძიებელი, ძნობისმოყვარე (ინქუაერე) ინტელექტი, 2) მიღწევაზე ორიენტაცია (ნება) 3) სოციალური ადაპტაცია4) კონფორმულობა და 5) ემოციური კონტროლი. 1964 წელს ბორგატამ შემდეგი სახელწოდებები გამოიყენა: 1) ინტელექტი 2) პასუხისმგებლობა 3)ასერტიულობა 4) კეთილგანწყობა და 5) ემოციონალობა.

პიროვნული ნიშნების აღმნიშვნელი სიტყვები და შემდგომი პროცედურები . .). ძირითადი მეთოდოლოგიური პროცედურა იმაში მდგომარეობდა, რომ ცდის პირებს თავისი თავი და სხვები უნდა შეეფასებინათ სწორედ ამ ლექსიკონიდან სპეციალურად შერჩეული პიროვნული ნიშნების მიხედვით. ხუთფაქტორიანი თეორიის მიზანი იყო სწორედ ის პიროვნული ნიშნები მოეცვა, რომლებსაც ადამიანების აზრით, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვთ მათი ცხოვრებისთვის.

გოლდბერგმა ეს მიდგომა ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზის სახით ჩამოაყალიბა: იგი წერდა: “ინდივიდუალურ განსხვავებათა მრავალფეროვნებას დასასრული არ აქვს. მიუხედავად ამისა, ბევრ მათგანს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთმანეთთან ურთიერთობის დროს და პრაქტიკულად შეუმჩნეველი რჩება. სერ ფრენსის გალტონი იყო ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც სათავე დაუდო ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზის ჩამოყალიბებას, ივარაუდა რა, რომ ადამიანური ურთიერთობების დროს ინდივიდუალურ განსხვავებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა მსოფლიოს ყველა ენაში საბოლოო ანგარიშით ცალკეული ტერმინებში (სიტყვებში) არის კოდირებული.”

ამრიგად, გოლდბერგის ვარაუდით, ადამიანები თავისი ხანგრძლივი განვითარების მანძილზე აღმოაჩენდნენ და გამოყოფდნენ ხოლმე იმ პიროვნულ ნიშნებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ მათი სოციალურ გარემოში ცხოვრებისთვის. ერთმანეთთან ურთიერთობა გასაადვილებლად ისინი ამ ნიშნებსა სპეციალურ სიტყვებით აღნიშნავდნენ. პიროვნულ ნიშანთა ამ დასახელებებში ჩადებულია ინფორმაცია იმ ინდივიდუალური ნიშნების შესახებ, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი საკუთარი კეთილდროებისთვის ან ჩვენი ჯგუფის თუ კლანის კეთილდღეობისთვის. ამდენად, ისინი სასარგებლონი არიან, რადგან პროგნოზის და კონტროლის შესაძლებლობას იძლევიან – გვეხმარებიან ვიწინასწარმეტყველოთ, თუ როგორ მოქცევიან სხვები და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული საკითხები კონტროლს დაუშუქებდებაროთ. გოლდბერგის მიხედვით ინდივიდები (ყველა კულტურის წარმომდგენლები) როდესაც ადამიანს ეცნობიან თავის თავს ხუთ კითხვას უსვამენ:

1. სტაბილური თუ ემოციურად სუსტი პიროვნებაა იგი?
2. დომინანტური თუ პასიურია?
3. რამდენად დამყოლია
4. შემიძლია თუ არა ვენდო ჩ
5. რამდენად გონიერი-გამჭრიახია?

კროსკულტურული გამოკვლევები. თუკი არსებობს უნივერსალური საკითხები, დაკავშირებული ინდივიდუალურ განსხვავებებთან და ადამიანთა ურთიერთობებთან, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მსოფლიოს ყველა ენაში უნდა აღმოჩნდეს პიროვნების ერთი და იგივე სახის და რაოდენობის ბაზისური ნიშნები. ამ კითხვაზე პასუხს ხუთფაქტორიანი თეორიის კროსკულტურული გამოკვლევები იძლევა. როდესაც ხუთფაქტორიანი თეორიის შესაბამისი კითხვარი გადათარგმნეს ევროპულ ენებზე(გერმანულ, უნგრულ იტალიურ, ჩეხურ და სხვ. ენებზე), მართლაც დადასტურდა იგივე ხუთი ფაქტორის არსებობა. ასეთივე შედეგი იქნა მიღებულ კორეული, თურქული და სხვა აზიური ენების შემთხვევაშიც, თუმცა იაპონურ ენაში მხოლოდ ოთხი ფაქტორი გამოვლინდა (გამოაკლდა მზაობა სიახლისადმი). შემდგომ კორექტივი შეიტანეს კვლევაში და ნაცვლად კითხვარის თარგმანისა, უკვე თვით იმ ენაში ჩაატარეს მთელი ის პროცედურა, რაც თავის დროზე ინგლისურ ენაზე იყო ჩატარებული ლექსიკონიდან სიტყვების ამოკრეფით დაწყებული და ფაქტორული ანალიზით დამთავრებული. ს იმისთვის გაკეთდა, რომ კულტურის ფაქტორი ყოფილიყო გათვალისწინებული. ამ მოდიფიცირებული პროცედურით ჩატარდა კვლევა ჩინელებზე, სადაც ხუთი ფაქტორი კი გამოვლინდა, მაგრამ აბსოლუტური დამთხვევა ინგლისურ შედეგებთან არ ყოფილა (თითოეულ ფაქტორში ბევრი ნიშანი, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა განზომილებებში არის გაერთიანებული).

ეს შედეგი მიუთითებს, ერთის მხრივ, ფუნდამენტური ლექსიკური ჰიპოთეზის უნივერსალობაზე (ხუთივე ფაქტორი გამოვლინდა) , მაგრამ მეორეს მხრივ თვით კულტურის გავლენაზე და ეთნოფსიქოლოგიურ თავისებურებებზე, რაც ენაშიც აისახება.

დიდი ხუთეული და ასაკობრივი ცვლილებები

იცვლება თუ არა დიდი ხუთეულის ნიშნები ასაკთან ერთად? როგორც გამოკვლევების შედეგად დადგინდა, ეს ნიშნები სტაბილური მხოლოდ 30 წლის შემდეგ ხდება. ამ ასაკამდე კი შესაძლებელია გარკვეული ცვლილებები, პიროვნული ნიშნების რაოდენობის ზრდაც კი. სწორედ ამიტომაც ამბობენ კოსტა და მაკკრეი, რომ პიროვნულ ნიშნებს ინტელექტისა და ფიზიკური ზრდის მსგავსად აქვთ თავისი სრული სიმწიფის წერტილი. პიროვნების განვითარება მესამე ათწლეულამდე გრძელდება. მთელი რიგი გამოკვლევების მიხედვით ზრდასრულებთან შედარებით მოზარდებთან და 20-25 წლის ახალგაზრდებთან ნევროტიზმი და ექსტრავერსია ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე კეთილგანწყობისა და კეთილსინდისიერების მაჩვენებლები. ეს შედეგები გასაგები გახდება, თუ უფროსკლასელებისა და კოლეჯის სტუდენტების ამ შედეგებს მათი მშობლების მონაცემებს შევადარებთ. საქმე ისაა, რომ მოზარდებს, საშუალოდ, უფრო ბევრი შფოთვის მიზეზი და პრობლემა აქვთ უფროსებთან ურთიერთობიდან და თვითშეფასებიდან გამომდინარე (ნევროტიზმის მაღალი დონე), უფრო მეტ დროს ატარებენ მობილურზე ლაპარაკში და მეგობრებთან აქტიურ ურთიერთობაში (ექსტრავერსიის უფრო მაღალი დონე) , უფრო კრიტიკულები და მომთხოვნები არიან საზოგადოების თუ მისი ცალკეული წარმომადგენლების მიმართ (ნაკლებია კეთილგანწყობა) და ხშირად უფრო ნაკლებად კეთილსინდისიერი და პასუხისმგებელი არიან, ვიდრე მათგან მოელიან. ამიტომაც არის გასაგებია, რომ შემოვიდა ცნება “გაბრაზებული ახალგაზრდები” და არა გაბრაზებული “ორმოცწლიანები” ან “გაბრაზებული ბაბუები”. მართლაც, სიყმაწვილე და მოზარდობა ადამიანის ცხოვრებაში არის ყველაზე მეტი უკმაყოფილების, მოუსვენრობის, პროსტესისა და აფორიაქებული ვნებების პერიოდი. თუ განვაზოგადებთ ზემოთქმულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ასაკში დიდი ხუთეულის პარამეტრების მიხედვით ცვლილებები უფრო 30 წლისთვის პიროვნების სრულყოფილი განვითარებისკენ ზრდას უნდა მივაწეროთ. მოზრდილი ადამიანის პროფესიული საქმიანობა თუ მშობლის როლი მეტ თვითდაჯერებას და ემოციურ წონასწორობას სძენს ადამიანს და მიჰყავს იგი სოციალიზაციისა და კომპეტენტურობისკენ.

რაც შეეხება განვითარების უფრო ადრინდელ პერიოდებს, შეიძლება ითქვას, რომ ტემპერამენტის ისეთი ადრინდელი მახასიათებლებიდან, როგორცაა კონტაქტურობა, აქტივობა და ემოციონალობა, მოზრდილის ისეთი პიროვნული პარამეტრები ყალიბდება, როგორცაა ექსტრავერსია და ნევროტიზმი. უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვობის ასაკში პიროვნების სტრუქტურა უფრო რთული და ნაკლებ ინტეგრირებულია, ვიდრე მოზრდილისა. ამერიკის შეერთებულ შტატებში და ნიდერლანდებში ბავშვებზე ჩატარებულ კვლევებში აღმოაჩინეს არა ხუთი, არამედ შვიდი ფაქტორი. ეს მონაცემები ამტკიცებენ, რომ პიროვნების ორგანიზაცია განვითარების პროცესში შეიძლება იცვლებოდეს და, თავდაპირველად ერთმანეთთან დაუკავშირებელი პარამეტრები (შვიდი განსხვავებული ნიშანი ბავშვთან) გაერთიანდეს და უფრო დიდი, ინტეგრირებული პარამეტრი შექმნას (მოზრდილთან ხუთი ფაქტორი). ასე, მაგალითად, მემკვიდრეობით მიღებული ტემპერამენტის ორი ნიშანი – აქტივობა და კონტაქტურობა შეიძლება ბავშვობაში ცალ -ცალკე არსებობდეს, ხოლო

შემდეგ თანდათანობით გაერთიანდეს და მოზრდილთან ექსტრავერსიის ფაქტორად მოგვევლინოს.

ნიშანი, როგორც პიროვნების გენეტიკური მახასიათებელი

რა მექანიზმით უნდა აიხსნას ნიშანთა ეს სპეციფიკური ასაკობრივი ცვლილებები და მოზრდილი ადამიანის სტაბილურობა? ცნობილია, რომ აიზენკი და კეტელი ხაზს უსვამდნენ ნიშანთა გენეტიკურ განპირობებულობას. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე არც ისე მცირე მონაცემი დაგროვდა იმის სასარგებლოდ, რომ ნიშანს საკმაო რაოდენობის გენეტიკური კომპონენტები გააჩნია. არც თუ ისე დიდი ხნის წინ გაჩნდა ცნობა სიახლისადმი მზაობის გენის აღმოჩენის შესახებ (□ენჯამ ჩ, 1996; □სტრ1988). ამ გენის მოქმედება ვლინდება ექსტრავერსიაში, იმპულსურობაში, სისწრაფეში, აგზნებადობაში, კვლევით ქცევებში. ბოლო მონაცემების მიხედვით, პიროვნულ ნიშნებში გენეტიკური ფაქტორის წილი დაახლოებით 40% შეადგენს. სხვა სიტყვებით, ინდივიდუალურ განსხვავებათა 40 % გენეტიკურად არის გაპირობებული.. ამიტომ პოპულარული გამონათქვამები, რომ პიროვნული ნიშანი ადამიანს დაბადებიდან დაყვება” ან “ პიროვნებებად იბადებიან და არა ხდებიან” არ არის სულ მთლად აზრს მოკლებული, მაგრამ საკითხის არსს ძალიან ამარტივებენ.

დიდი ხნის მანძილზე ფსიქოლოგები არ აღიარებდნენ, რომ ნიშანს გენეტიკური საფუძველი გააჩნია. მაგრამ დაგროვდა საკმაო მასალა იმის დასადასტურებლად, რომ გენეტიკური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, განსაკუთრებით ტემპერამენტის ნიშნების შემთხვევაში ნიშანში გენეტიკური ფაქტორის წილის დასადგენად ფსიქოლოგები აკვირდებოდნენ და იკვლევდნენ მსგავსების ხარისხს ერთ ოჯახში გაზრდილი მონოზიგოტური ტყუპების ტესტურ შეფასებებსა და ცალ-ცალკე გაზრდილ ტყუპების შეფასებებს შორის. მიუხედავად იმისა, ცალკე თუ ერთად იზრდებოდნენ ტყუპები, პიროვნული ნიშნების მიხედვით მსგავსება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. 1990 წელს ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით (□უჯარდ ეტალ 1990) “ინდივიდუალური განსხვავებები, დაწყებული რეაქციის დროით და დამთავრებული რელიგიურობით დამოკიდებულია ადამიანთა შორის გენეტიკურ განსხვავებებზე. ამ ფაქტის ჭეშმარიტება ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს”-, წერს ავტორი.

ამავე დროს, ამ გამოკვლევათა უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო იმის დადგენა, თუ გარემოს რა ასპექტები თამაშობენ დიდ როლს პიროვნების განვითარებაში. პირველ რიგში იკვეთება ოჯახის ფაქტორი. თუმცა, როგორც გამოკვლევებში გამოჩნდა, ოჯახური გარემო ერთნაირი არ არის ამ ოჯახში მყოფი ბავშვებისათვის. არატყუპი და-ძმა (ე.წ. “სიბლინგები”) ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ საერთო გენეტიკის ხარჯზე, რადგან მათი ინდივიდუალური გარემო მიუხედავად ერთ ოჯახში ცხოვრებისა, მაინც განსხვავებულია. ამიტომ განსხვავების მიზეზი ამ შემთხვევაში სწორედ ინდივიდუალური გარემოა – თითოეული მათგანის მიერ საერთო სიტუაციის აღქმა და განცდები განსხვავებულია (□ლ ჩ, 1990).

საინტერესოა, რომ გენეტიკა მოქმედებს არა მხოლოდ პიროვნული ნიშნის ჩამოყალიბებაზე, არამედ გარემოზეც. სხვა სიტყვებით, გენები არა მხოლოდ ბიოლოგიური, პირდაპირი გზით მოქმედებენ პიროვნული ნიშნის ჩამოყალიბებაზე, არამედ ირიბადაც. მაგალითად, წყნარი, ალერსიანი ჩვილი ბავშვი მშობლებში სულ სხვა რეაქციას იწვევს, ვიდრე ჭირვეული, მტირალა და უემოციო. ასევე, მშობლების, თანატოლების და მასწავლებლების რეაქცია აგრესიული, ჰიპერაქტიული ბავშვის მიმართ განსხვავდება წყნარი, პასიური ბავშვის მიმართ რეაქციისგან. ასეთი ბავშვები არსებობის სხვადასხვა

პირობებისკენ თვითონაც მიისწრაფიან. აგრესიული ბავშვი პასიურისგან განსხვავებით ეძებს მასტიმულირებელ, ამაგზნებელ, რისკის შემცველ გარემოს.

გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობის აღიარებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ:

1. დასკვნა გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ არ ნიშნავს არც იმას, რომ პიროვნების განვითარება მთლიანად ბიოლოგიურად არის გაპირობებული და არც იმას, რომ არაგენეტიკურ ფაქტორებს არ აქვთ მნიშვნელობა.
2. თუმცა გენეტიკურ ფაქტორებს ოჯახურ გარემოზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ, გარემო პირობებით გამოწვეულ ადამიანთა შორის ინდივიდუალურ განსხვავებებზე პასუხისმგებლობა მაინც არაგენეტიკურ ფაქტორებს ეკისრება.
3. ოჯახური გარემო ამ ოჯახში მყოფი და-ძმებისთვის ერთნაირი არ არის და დამოკიდებულია ბავშვის სქესზე, დაბადების თანმიმდევრობაზე და კონკრეტული ბავშვისთვის (სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეულ) შექმნილ უნიკალურ გარემოზე. ამავე დროს, ოჯახური გამოცდილება უაღრესად მნიშვნელოვანია პიროვნების ჩამოყალიბებისთვის მაშინაც, როდესაც იგი ერთნაირი არ არის ამ ოჯახში გაზრდილი ყველა ბავშვისთვის.
4. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ძლიერი გენეტიკური გავლენა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნული ნიშანი ერთხელ და სამუდამოდ არის ფიქსირებული და არ შეიცვლება გარემოს გავლენით.

ამრიგად, ხუთფაქტორიანი თეორიის წარმომადგენლები წინააღმდეგნი არიან “ან-ან” პოზიციის და აღიარებენ როგორც გენეტიკური, ისე გარემოს როლის მნიშვნელობას პიროვნული ნიშნის ჩამოყალიბებაში და ხაზს უსვამენ ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურ მიდგომის აუცილებლობას.

დიდი ხუთეულის კითხვარი

დიდი ხუთეულის კითხვარი 1992 წელს შექმნეს კოსტამ და მაკკრემი. შემდგომში ის რამდენჯერმე გადაამუშავდა და საბოლოოდ მიიღო სახელწოდება „ - პიროვნების გადამუშავებული კითხვარი“ (OCEI personality Inventory Revised) (OCEI - R)

კითხვარის თავდაპირველ ვერსიაში მხოლოდ სამი ფაქტორი სედიოდა და იზომებოდა: ნეიროტიციზმი (N), ქსტრავერსია (E), და მზაობა სიახლისადმი (O). შემდეგ კი დაემატა ორი ფაქტორი -დამყოლობა და კეთილსინდისიერება. გარდა ამისა, როგორც აღრე უკვე აღვნიშნეთ, თითოეულ ფაქტორში გამოიყო 6 ასპექტი-პარამეტრი, სადაც თითოეულში 8 კითხვა შედიოდა. საბოლოოდ კითხვარი 240 კითხვას მოიცავს.

კითხვარის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოდგენს ის, რომ იგი გამოიყენება როგორც თვითშეფასებისთვის, ისე სხვების მიერ ნაცნობ ადამიანთა შეფასებისთვის. რამდენიმე გამოკვლევაში შედარებული იყო ცდის პირთა თვითშეფასებები მათი კოლეგებისა და მეუღლეების მიერ ამ ცდის პირთა შეფასებებთან ყველა ხუთი ფაქტორის მიხედვით. აღმოჩნდა რომ დამთხვევის მაჩვენებელი მეუღლეების მიერ მოცემული შეფასებასა და თვითშეფასებას შორის უფრო მაღალია, ვიდრე კოლეგების შეფასებასა და ცდის პირის თვითშეფასებას შორის. ეს შედეგი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მეუღლეები უკეთ იცნობენ ერთმანეთს, ვიდრე კოლეგები ან უფრო ხშირად „მსჯელობენ“ ერთმანეთის პიროვნების შესახებ. ამ გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ

ერთი და იგივე ხუთი ფაქტორი ვლინდება როგორც თვითშეფასების ისე სხვათა შეფასების მასალებში. ფაქტობრივად, მოხდა შ და მონაცემების დამთხვევა, რაც დამატებითი საბუთია ხუთფაქტორიანი კითხვარის სანდოობის სასარგებლოდ.

ლიტერატურა:

1. ნორაკიძე ვლ. - ხასიათი და მხატვრული ლიტერატურა
2. ი. იმედაძე (2004) - XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები, თბ.,
3. ბენდურა (1996) - სიცოცხლე დრამატული
4. ბატი (2003) - დრამატული პსიქოლოგი, ზღაპრული
5. ბატი (2008) - დრამატიკა, ბი
6. ბატიაშვილი ბი - თბილისი. ნიუ ინტელექტუალური ტექნიკური პსიქოლოგი (ფორტ ელტონ)
7. ბატიაშვილი ბი (2001) - ბი, ბი.
8. ბატიაშვილი ბი (1982), ბი
9. ბატიაშვილი ბი (2000), ბი
10. Первин Л., Джон О. - Психология личности (2000), М.